სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ფირათ ჩაქირი

ახალციხის საფაშო 1774-1829 წლებში, ქუჩუკ-კაინარჯიდან – ადრიანოპოლის ზავამდე (ოსმალური წყაროების მიხედვით)

(წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
პროფ., ისტ. მეცნ. დოქტ. ო.შ. თურმანიძე
ასოც. პროფ., ისტ. მეცნ. კანდ. ი.ნ. ბარამიძე

ბათუმი - 2020

განაცხადი ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ფირათ ჩაქირი

3.11.2020

ს ა რ ჩ ე ვ ი :

შესავალი 5

თავი I. ახალციხე ოსმალეთის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში. ურთიერთობა ქართულ სამეფო-სამთავროებთან და რეგიონში ირან-რუსეთის ინტერესები 1774 წლამდე 14

§ 1. 1578 ირან-ოსმალეთის ომი და ჩილდირის ეიალეთის დაარსება 14

§ 2. ჩილდირის ეიალეთის ადმინისტრაციული მმართველობა. სამცხის ათაბაგები/ახალციხის ფაშები 1579-1774 წლებში 21

§ 3. ირან-ოსმალეთის და რუსეთ-ოსმალეთის ომები XVII-XVIII ს. 70-იან წლებამდე და ახალციხის საფაშო 32

თავი II. ჩილდირის ეიალეთი 1774-1806 წლებში. ოსმალეთის პოზიციების შესუსტება და რუსეთის დამკვიდრება სამხრეთ კავკასიაში 47

§ 1. ახალციხე სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე (1774-1787 წწ.) 47

§ 2. ქართული სამეფო-სამთავროები და ახალციხის საფაშო რუსეთ-ოსმალეთის 1787-92 წლების ომის დროს 56

§3. პოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ კავკასიასა და ახალციხეში 1792-1806 წლებში 68

თავი III. ახალციხის საფაშო 1806-1828 წლებში. რუსეთ-ოსმალეთის ომები და რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება 78

§1. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და ახალციხის საფაშო. ქართული სამეფოების მდგომარეობა 78

§2. სელიმ და შერიფ ფაშების ბრძოლა ახალციხისთვის. სამხრეთ კავკასია 1812-1828 წლებში 93

§3. 1828-1829 რუსეთ-ოსმალეთის ომი და მისი შედეგები სამცხე-ჯავახეთისთვის 107

დასკვნები 129

დანართები 137

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია 142

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საკვლევი თემის აქტუალობა: ისტორიული სამცხეს, სამცხე-საათაბაგოს და მის მთავარ ქალაქს - ახალციხეს დიდი ხნის ისტორია აქვს. საუკუნეთა მანძილზე იგი საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონი, სამხრეთ კარიბჭე და სტრატეგიული ციხე-ქალაქი იყო, დღეს კი წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის მხარის და ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის შუა წლებში გაძლიერებულმა ირან-ოსმალეთმა საქართველოში გავლენის სფეროები გაინაწილეს, ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედში კი ოსმალეთის იმპერიამ მოახერხა საქართველოს სამხრეთ მიწებზე დამკვიდრება, რასაც მოჰყვა ახალციხის საფაშოს დაარსება (1579 წ.). XVIII საუკუნეში ამიერკავკასიის ასპარეზზე რუსეთის გამოჩენამ შეცვალა აქ ძალთა ბალანსი. ოსმალეთი აღმოჩნდა ამ რეგიონში გავლენის დაკარგვის საფრთხის წინაში, რის ერთგვარად პირველი, სიგნალი იყო 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და მისი შედეგები. სწორედ აქედან, ანუ 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავიდან მოყოლებული ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი გახდა ჩვენი ინტერესის სფერო, ვიდრე 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით ახალციხეში არ დამყარდა რუსული მმართველობა. ვფიქრობთ, ახალციხის საფაშოში ოსმალური ხელისუფლების ბოლო ხუთი ათწლეულის კვლევა მნიშვნელოვანია ქართულ-რუსულ-ოსმალური ურთიერთობების კონტექსტში, მითუმეტეს, როცა ეს არ იყო საქართველოს ტერიტორიის გადანაწილების ბოლო ეპიზოდი იმ საუკუნეში (მხედველობაში გვაქვს რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და მისი შედეგები). ამდენად, მიგვაჩნია, რომ თემა აშკარად არ არის მოკლებული აქტუალობას და მისი ცალკეული საკითხების შესწავლა უდავოდ შეუწყობს ხელს ისტორიულ ჭრილში პრობლემის სწორ და ობიექტურ გააზრებას.

ვფიქრობთ, თემას აქტუალობას მატებს ისეთ ისტორიულ პირთა მოღვაწეობისა და ცხოვრების ბოლო წლების წარმოჩენა, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II, იმერეთის მეფე სოლომონ II, სელიმ ხიმშიაშვილი, სულეიმან ფაშა ხაზინადაროღლი და სხვა.

კვლევის მიზნები და ამოცანები: კვლევის მიზანია თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების,

საარქივო დოკუმენტების კვლევასა და ობიექტურ ანალიზზე დაყრდნობით შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ ახალციხის საფაშოს ისტორია რუსეთ-ოსმალეთის ორ ომს შორის პერიოდში: 1774 წლიდან 1829 წლამდე.

ზემოაღნიშნული მიზნის სარეალიზაციოდ დავსახეთ შემდეგი ამოცანების შესრულება: ახალციხის (ჩილდირის) ეიალეთის შესახებ არსებული ქართული და თურქული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა; გარკვევა იმისა, თუ რა ადგილი და როლი ჰქონდა ახალციხის საფაშოს ოსმალეთის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში, როგორი ურთიერთობა აკავშირებდა ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რა ურთიერთობები ჰქონდა ქართულ სამეფო სამთავროებთან.

თავიდანვე უნდა შევნიშნო, რომ პროცესების შესწავლას ვახდენთ დინამიკაში, არსებული რეალობისა და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. ამიტომაც მიმოხილვას ვიწყებთ ახალციხის საფაშოს დაარსებიდან (1579). რა თქმა უნდა, მოვლენებს ვაშუქებთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და კავკასიის ასპარეზზე მთავარ მოთამაშეთა საომარი დაპირისპირებების ფონზე. აქ ვგულისხმობთ რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774, 1789-1791, 1806-1812 და 1828-1829 წლების ომებს და მის შედეგებს. ჩვენი კვლევის საგანია ახალციხის საფაშოს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე სოციალ-ეკონომიკური საკითხები, მათ შორის დემოგრაფიული ვითარება, მიწათმფლობელობა და სხვა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: იქნება ის, რომ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში პირველად მთლიანობაში წარმოჩნდება ახალციხის საფაშო რუსეთ-ოსმალეთის ოთხი ომის პერიოდში, რასაც საბოლოოდ მოჰყვა აქ რუსული მმართველობის დამყარება. უნდა ითქვას, რომ ახალციხის საფაშოს აღნიშნული პერიოდის ისტორია არც ისე ფართოდაა წარმოდგენილი როგორც ქართულ, ისე თურქულ ისტორიოგრაფიაში. ამდენად, ახალი ოსმალური დოკუმენტებით გაჯერებული კვლევა უდავოდ ბევრი ახალი შტრიხის შემომტანი იქნება. აღსანიშნავია, რომ ნაწილი ამ დოკუმენტებისა თან ერთვის ნაშრომს.

ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ: საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა

კომპლექსური გამოყენება, როგორიცაა ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, სტატისტიკური, რეტროსპექტული, პოლიტიკური ანალიზისა და სხვა.

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ქართული, თურქული ინგლისური, რუსული მასალები და სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე პრემიერ-მინისტრის ოსმალურ არქივში მოძიებული დოკუმენტები, რომელთა დიდი ნაწილი წარმოადგენს პორტას მაღალ-ჩინოსანთა მიმოწერას.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი საინტერესო იქნება საქართველოს ისტორიით, სამეზობლო ურთიერთობების დინამიკით, ახალციხის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, გეოპოლიტიკითა და XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე რეგიონში განვითრებული მოვლენებით დაინტერესებულ პირთათვის, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვისაც. მისი გამოყენება შეიძლება უნივერსიტეტებში შესაბამისი საგანმანათლებლო კურსის მომზადებისას. კვლევის შედეგები, თან დართული ბიბლიოგრაფია შეიძლება საყურადღებო იყოს საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას.

საკითხის შესწავლის ისტორია: ისტორიული სამცხეს, სამცხე-საათაბაგოს და მის მთავარ ქალაქს - ახალციხეს დიდი ხნის ისტორია აქვს. საუკუნეთა მანძილზე იგი საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონი, სამხრეთ კარიბჭე და სტრატეგიული ციხე-ქალაქი იყო, დღეს კი წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის მხარის და ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის შუა წლებში გაძლიერებულმა ირან-ოსმალეთმა საქართველოში გავლენის სფეროები გაინაწილეს, ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედში კი ოსმალეთის იმპერიამ მოახერხა საქართველოს სამხრეთ მიწებზე დამკვიდრება, რასაც მოჰყვა ახალციხის საფაშოს დაარსება (1579 წ.). XVIII საუკუნეში ამიერკავკასიის ასპარეზზე რუსეთის გამოჩენამ შეცვალა აქ ძალთა ბალანსი. ოსმალეთი აღმოჩნდა ამ რეგიონში გავლენის დაკარგვის საფრთხის წინაშე, რის ერთგვარად პირველი, სიგნალი იყო 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და მისი შედეგები. სწორედ აქედან, ანუ 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავიდან მოყოლებული ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი გახდა ჩვენი ინტერესის სფერო, ვიდრე 1829 წლის

ადრიანოპოლის ზავით ახალციხეში არ დამყარდა რუსული მმართველობა. ვფიქრობთ, ახალციხის საფაშოში ოსმალური ხელისუფლების ბოლო ხუთი ათწლეულის კვლევა მნიშვნელოვანია ქართულ-რუსულ-ოსმალური ურთიერთობების კონტექსტში, მითუმეტეს, როცა ეს არ იყო საქართველოს ტერიტორიის გადანაწილების ბოლო ეპიზოდი იმ საუკუნეში (მხედველობაში გვაქვს რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და მისი შედეგები). ამდენად, მიგვაჩნია, რომ თემა აშკარად არ არის მოკლებული აქტუალობას და მისი ცალკეული საკითხების შესწავლა უდავოდ შეუწყობს ხელს ისტორიულ ჭრილში პრობლემის სწორ და ობიექტურ გააზრებას.

კვლევის მიზანია თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების, საარქივო დოკუმენტების კვლევასა და ობიექტურ ანალიზზე დაყრდნობით შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ ახალციხის საფაშოს ისტორია რუსეთ-ოსმალეთის ორ ომს შორის პერიოდში: 1774 წლიდან 1829 წლამდე.

ზემოაღნიშნული მიზნის სარეალიზაციოდ დავსახეთ შემდეგი ამოცანების შესრულება: ახალციხის (ჩილდირის) ეიალეთის შესახებ არსებული ქართული და თურქული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა; გარკვევა იმისა, თუ რა ადგილი და როლი ჰქონდა ახალციხის საფაშოს ოსმალეთის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში, როგორი ურთიერთობა აკავშირებდა ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რა ურთიერთობები ჰქონდა ქართულ სამეფო სამთავროებთან.

თავიდანვე უნდა შევნიშნო, რომ პროცესების შესწავლას ვახდენთ დინამიკაში, არსებული რეალობისა და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. ამიტომაც მიმოხილვას ვიწყებთ ახალციხის საფაშოს დაარსებიდან (1579). რა თქმა უნდა, მოვლენებს ვაშუქებთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და კავკასიის ასპარეზზე მთავარ მოთამაშეთა საომარი დაპირისპირებების ფონზე. აქ ვგულისხმობთ რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774, 1789-1791, 1806-1812 და 1828-1829 წლების ომებს და მის შედეგებს. ჩვენი კვლევის საგანია ახალციხის საფაშოს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე სოციალ-ეკონომიკური საკითხები, მათ შორის დემოგრაფიული ვითარება, მიწათმფლობელობა და სხვა.

როგორც ხედავთ, ერთი შეხედვით თითქოს მოკლე პერიოდი მოვლენებით საკმაოდ დატვირთულია და, შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაც არც ისე მწირია. თუმცა, უფრო დიდი სიუხვით გამოირჩევა თურქული ისტორიოგრაფია. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულად ამ მიმართულებით და ასეთი კუთხით კვლევა არავის უწარმოებია. მიუხედავად ამისა, რეგიონისა და ეპოქის, თუნდაც ცალკეული ასპექტებისადმი მიძღვნილი ნაშრომების გარეშე ჩვენი კვლევა ვერ დაიწერებოდა.

უმნიშვნელოვანესი წყარო ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ რეგიონსა და ეპოქაზე, რა თქმა უნდა, არის ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.[1] ახალციხის ისტორიის შესწავლა ერეკლე II-ის მოღვაწეობისგან მოწყვეტით შეუძლებელია. ამდენად, ძალიან საყურადღებოა, ასევე, ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“.[2] საინტერესო ცნობებია დაცული ერეკლე მეორის ზეობისას რუსეთის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ი. გიულდენშტეტდის საქართველოში მოგზაურობის ამსახველ მასალებში.[3]

საქართველოსა და კავკასიის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა ი. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის გარეშე შეუძლებელია. ამდენად, ბუნებრივია, ვერც ჩვენ ავუვლიდით მათ გვერდს.[4] სხვა ქართველ ავტორთაგან, რომლებიც ახალციხის ისტორიას შეეხო, უპირველესად აღსანიშნავია პროფ. შოთა ლომსაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა. მან მონოგრაფიულად შეისწავლა სამცხე-ჯავახეთის ისტორია XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე.[5] მის ნაშრომებში ბევრი ჩვენთვის საყურადღებო საკითხია განხილული და

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959; ტ. IV, თბ., 1973.

[2] ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1989.

[3] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი გ. გელაშვილისა, ტ. 1, თბ., 1962.

[4] ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი XII ტომად, ტ. VIII, თბ., 1977; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965.

[5] ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი: XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე, თბ., 1975.

შესწავლილი.[1] მესხეთის ისტორიის ცალკეული საკითხებია წარმოჩენილი ქართველ მკვლევართა და მეცნიერთა შრომებში, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს დისერტაციაზე მუშაობისას, მათ შორის: ა. ფრონელი[2], ზ. ჭიჭინაძე[3], ს. ფირცხალავა[4], მ. ჯანაშვილი[5], თ. ჩიქოვანი[6], რ. გოგოლაური[7], მ. ბერიძე[8] და სხვა.

რაც შეეხება თურქულ ისტორიოგრაფიას, საკითხის შესწავლისადმი აქაც არანაკლები ინტერესია. ახალციხის საფაშოს, როგორც ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეულის ისტორიით, სოციალური და დემოგრაფიული საკითხებით ბევრი თურქი მკვლევარი დაინტერესდა. ჩვენც ძირითადი ყურადღება აქეთ გადავიტანეთ, რადგანაც ეს ნაშრომები, რომელთა დიდი ნაწილი ოსმალურ საარქივო დოკუმენტებს ეყრდნობა, თითქმის უცნობია ქართველი მკითხველისთვის. ყველას აქ მოტანა და განხილვა, ბუნებრივია, დიდ ადგილს წაიღებს, ამიტომ ჩვენ ძირითად მათგანზე შევჩერდებით:

მკვლევარი მუსტაფა ადილ ოზდერი თავის მონოგრაფიაში - „ჩილდირის (ახალციხის) ათაბაგებისა და მათი შვილიშვილების ისტორია“ [**ერზრუმი, 1971**] - დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის სამცხის ათაბაგების, ოსმალეთის პერიოდში რეგიონის მართვის სათავეში მყოფი ფაშების შესახებ.

ფერიდუნ აბაბაი თავის ნაშრომში - „ჩილდირის ისტორია“ [**ანკარა, 1987**] - დიდ ყურადღებას ამახვილებს სიტყვა ჩილდირის წარმომავლობაზე და განიხილავს ჩილ-

---

[1] ლომსაძე შ., გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან: ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979; ლომსაძე შ., მესხეთი და მესხები, თბ., 2000.

[2] ფრონელი ა., დიდებული მესხეთი, თბ., 1991.

[3] ჭიჭინაძე ზ., ქართველი კათოლიკენი და საქართველოს დაკარგული სოფლები, ტფ., 1904; სამცხე-საათაბაგო, ტფ., 1905; მესხეთ-ჯავახეთის გათათრება, ტფ., 1906.

[4] ფირცხალავა ს., სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი, თბ., 1915.

[5] ჯანაშვილი მ, მესხეთი, თბ., 1915.

[6] ჩიქოვანი თ., მესხეთი. სამცხე: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1979.

[7] გოგოლაური რ., სამცხე-ჯავახეთი XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ახალციხე, 2007.

[8] ბერიძე მ, ქართველთა გამუსლიმება და გვარის შეცვლა მესხეთში, თბ., 2006; მისივე: მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა, თბ., 2009.

დირის რეგიონის ისტორიას.[1] იგივე ავტორი ნაშრომში - „ჩილდირის მმართველობის ორგანიზების პროცესი“ - განიხილავს ჩილდირის ეიალეთის მართვის ფორმას და ადმინისტრაციულ სტრუქტურას.[2]

ჩილდირის ეიალეთის ისტორიას გადმოგვცემს რასიმ ბაირაქტარი თავის წიგნში „ახალციხე-ჩილდირის ბეგლარბეგები“ [**ანკარა, 2000**]. მასში დიდი ადგილი ეთმობა რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდს.[3]

მეჰმეთ ინბაში თავის ნაშრომში - „ჩილდირის ეიალეთი და მისი მმართველები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში“ [**ერზრუმი, 2006**] - გვაწვდის ინფორმაციას იმ ფაშების შესახებ, რომლებიც მე-18 საუკუნეში მართავდნენ ჩილდირის ეიალეთს. გარდა ამისა, განიხილავს აღნიშნული პერიოდის ჩილდირის სანჯაყის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.[4]

ფაჰრეთთინ ქირზიოღლუ თავის წიგნში - „ოსმალების მიერ კავკასიის დაპყრობა“ [**ანკარა, 1998**] - განიხილავს ჩილდირის ეიალეთის დაპყრობის პროცესს და გვაწვდის ინფორმაციას დაპყრობის შემდგომ ჩილდირის ეიალეთის ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეორგანიზაციის შესახებ.[5]

იუნუს ზეირექმა თავის ნაშრომში - „ახალციხის რეგიონი და მესხეთელი თურქები“ [**ანკარა, 2001**] - აღწერა ახალციხის რეგიონის ისტორია, ახალციხის მდგომარეობა და მესხეთელი თურქების პრობლემები უძველესი პერიოდიდან დაწყებული ათაბაგების, ოსმალეთის, მეფის რუსეთისა და საბჭოთა პერიოდის ჩათვლით.[6]

---

[1] Ababay F., Çıldır Tarihi, Kadıoğlu Matbaası, Ankara, 1987.

[2] Ababay F., “Çıldır’ın Yönetsel Örgüt Süreci; Kuzeydoğu Anadolu’nun Tarihi Coğrafyası ile Osmanlı Taşra Örgütü”, Ankara, 2000.

[3] Bayraktar R., “Ahıska – Çıldır Beylerbeyliği”, Yaşayan Kitaplar, İstanbul, 2000.

[4] İnbaşı M., “18. Yüzyılın İkinci yarısında Çıldır Eyaleti ve İdarecileri”, Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, C. 7. S. 1., Erzurum, 2006.

[5] Kırzıoğlu F., Osmanlı’nın Kafkas Ellerini Fethi (1451-1590), Ankara, TTK, 1998.

[6] Zeyrek Y., Ahıska ve Ahıska Türkleri, Türkler Ansiklopedisi, C. 20., Yeni Türkiye Yayınları, Ankara, 2002.

ახალციხის სანჯაყში, ასევე, სტამბოლში მოღვაწე ფაშების საქმიანობას განიხილავს ლევენთ ქუჩუქი თავის ნაშრომში - „ახალციხელი სახელმწიფო მოხელეები ოსმალეთის ბიუროკრატიაში“ [**სტამბოლი, 2015**].

მე-19 საუკუნის შუა ხანებში ჩილდირის სანჯაყის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და იმ პერიოდის ჩილდირის სანჯაყში არსებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას განიხილავს ოქთაი ქიზილქაია თავის ნაშრომში - „ჩილდირის სანჯაყის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის შუა ხანებში“.[1]

თანზიმათის შემდგომ პერიოდში ჩილდირის სანჯაყის ადმინისტრაციულ სტრუქტურას განიხილავს ბაჰათთინ ქილიჩი თავის სადისერტაციო ნაშრომში - „ჩილდირის სანჯაყის ადმინისტრაციული სტრუქტურა მე-19 საუკუნეში“ [**ყარსი, 2011**] და გვიხატავს არსებულ ვითარებას მითითებულ პერიოდში.

საინტერესოა სადიქ მუფით ბილგეს ნაშრომი - „კავკასია ოსმალეთის პერიოდში 1454-1829 (ისტორია-საზოგადოება-ეკონომიკა)“ [**სტამბოლი, 2015**]. მასში ავტორი განიხილავს კავკასიის ზოგად ისტორიას და მითითებულ პერიოდში ჩილდირის სანჯაყის მდგომარეობას.[2]

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომამდე ჩილდირის ეიალეთის ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას განიხილავს სალიჰ დეღირმენჯი თავის სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც ეყრდნობა ოსმალეთის იურისტების მიერ შედგენილ ჩანაწერებს ოფიციალურ მასალებს.

ახალციხის საფაშოს ისტორიის, ეკონომიკური და სოციალური ვითარების ცალკეული ასპექტები აქვთ განხილული თავიანთ ნაშრომებში იბრაჰიმ აიქუნს[3], ესრა ფამუქს[1], შოთა და იაშა ბექაძეებს[2], ნები გუმუშს[3], ჯემალ გოქჩეს[4] და სხვებს.

---

[1] Kızılkaya O., XIX. Yüzyılın Ortalarında Çıldır Sancağının Ekonomik Durumu, Turkish Studies, S. 8., Ankara, 2013.

[2] Bilge S., “Osmanlı Çağı'nda Kafkasya 1454-1829 (Tarih-Toplum-Ekonomi)”, İstanbul Kitabevi Yayıncılık, 2015.

[3] Aykun İ., Erzurum ve Çevresinde İlk Rus İşgali (1828-1829), Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Yüksek Lisans Tezi, Erzurum, 1991.

რაც შეეხება ევროპულ ისტორიოგრაფიას, კავკასიისადმი გარკვეული ინტერესი იქაც იგრძნობა. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება, კავკასიის პარალელურად, უფრო დიდი მასშტაბით ევროპის სცენაზეც მიმდინარეობდა და ამ კონტექსტში რეგიონისადმი ყურადღება არცაა გასაკვირი. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სამცხესთან დაკავშირებულ საკითხებს სპეციალური გამოკვლევები არ მოიპოვება, თუმცა გლობალური ურთიერთობების კონტექსტში გვხვდება ბევრი საინტერესო ცნობა, რასაც ცალკეულ პარაგრაფებში შევეხებით.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესო საკითხის ისტორიოგრაფია ამით არ ამოიწურება და არც ჩვენ გვაქვს მისი სრულყოფილად წარმოჩენის პრეტენზია, თუმცა აქ წარმოდგენილი მონოგრაფიები, ცალკეული სტატიები და სამეცნიერო ნაშრომები, ძირითადად ასახავს პრობლემის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას

---

[1] Pamuk E., 1 Numaralı Ahıska Şer'iyye Sicili'nin Transkripsiyonu Ve Değerlendirilmesi (H.1183–1241 / M.1769–1825), Gaziantep Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Yüksek Lisans Tezi, Gaziantep, 2012.

[2] XVI. Yüzyılda Çıldır Eyaleti Ahıska Sancağı'nın Politik ve Sosyo-Ekonomik Durumu, Ankara Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Yüksek Lisans Tezi, Ankara 2014; Gürcistân Vilâyeti Kanunnâmeleri'nin Değerlendirilmesi, Karadeniz Uluslararası Bilimsel Dergi, 2015.

[3] Gümüş N., Son Gürcü Kralı II. Solomon'un Ruslara Karşı Mücadelesi ve Osmanlı Devleti ile İlişkileri, Necmettin Erbakan Üniversitesi İlahiyat Fakültesi Dergisi, Sayı: 22., Konya, 2006; Tiflis'te İkinci Osmanlı Hakimiyeti ve 18. Yüzyıl Osmanlı–Gürcü ilişkileri, XVI. Türk Tarih Kongresi, C. 4. K. 2, Ankara, 2010.

[4] Gökçe C., Kafkasya ve Osmanlı İmparatorluğu'nun Kafkasya Siyaseti, Şamil Eğitim ve Kültür Vakfı, İstanbul 1979

თ ა ვ ი I.

ახალციხე ოსმალეთის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში. ურთიერთობა ქართულ სამეფო-სამთავროებთან და რეგიონში ირან-რუსეთის ინტერესები 1774 წლამდე

§ 1. ირან-ოსმალეთის 1578 წლის ომი და ჩილდირის ეიალეთის დაარსება

ქართულ და თურქულ ისტორიოგრაფიაში ახალციხე-ჩილდირი ხშირად სინონიმური ცნებებია. ისტორიულ კონტექსტში ეს ასეცაა. როცა ახალციხის საფაშო ჩამოყალიბდა (1579), მას მეორენაირად ჩილდირის ეიალეთს (შემდეგში ვილაიეთი) ეძახდნენ. ასეა განმარტებული ოსმალეთის ისტორიის ლექსიკონშიც. სახელწოდება „ჩილდირი“ ქართული „ჩრდილის“ სახეცვლილი ფორმაა. ამ სახელის მნიშვნელობა დღეს უკვე დავიწროებულია. მისით აღინიშნება ქალაქი და რაიონი თურქეთის არტაანის პროვინციაში. აქვეა ამავე სახელწოდების ტბაც.

ჩილდირის ეიალეთი არ წარმოადგენდა დღევანდელ ჩილდირის რაიონს. ეს სახელწოდება არა ქალაქის, არამედ რეგიონის სახელწოდებაა [**Emecen, 1993: 300-301**] [**Sertoğlu, 1992: 36**]. ჩილდირის ეიალეთი დღევანდელი ქალაქ არტაანის [თურქ.: Ardahan] ტერიტორიაა და გამოიყენება რეგიონის სახელწოდებად, რომელიც აერთიანებს არტაანის რაიონსა და ახალციხის რეგიონს [**Kılıç, 2011: 14**].

ახალციხე, რომლის ეტიმოლოგიაც ქართულში არ საჭიროებს განმარტებას, თურქულში ცნობილია, როგორც Ahıska ან Akıska, რაც ქართულის სახეშეცვლილ ვარიაციას წარმოადგენს [**Bostan, 1988: 526-527**].

როგორც ცნობილია, 1555 წლის 29 მაისს, ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის გაფორმებული ამასიის ზავით საქართველო მეომარ სახელმწიფოთა შორის გადანაწილდა: დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ქვეშევრდომობაში შევიდა, აღმოსავლეთ საქართველო - ირანის, სამცხის მხარე კი გაინაწილეს. ხელშეკრულება წერილობით არ გაფორმებულა, იყო მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება [**Şahin, Emecen, 1991: 4**]. ამ პერიოდში ოსმალეთისა და ირანის დელეგაციები ერთმანეთს საჩუქრებით

სტუმრობდნენ და მშვიდობიან ურთიერთობას ინარჩუნებდნენ. თუმცა, ეს მშვიდობა მოჩვენებითი იყო და მათ შორის მეტოქეობა სამხრეთ კავკასიაში გრძელდებოდა.

სამცხის ათაბაგებსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობები სულთან მეჰმედ II ფათიჰის (1451-1481) დროს დაიწყო. ამ პერიოდში სამცხე და ოსმალეთი მოკავშირეები იყვნენ. 1514 წელს, სულთან სელიმ იავუზის (1512-1520) მიერ ირანში განხორციელებულ ლაშქრობაში სამცხე-საათაბაგოც მონაწილეობდა [**Alasania, 1999: 164**]. შემდგომ პერიოდში კი, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ აღმოსავლეთისკენ გაფართოების პოლიტიკის გატარება დაიწყო, სამცხის რეგიონი გახდა ოსმალეთის იმპერიის სამიზნე. 1549 წლის შემოდგომაზე ოსმალებმა დაიკავეს თორთუმის ციხე, ასევე, იმიერ ტაოს რამდენიმე პუნქტი [**სანაძე-ბერაძე, 2018: 640**]. ახჩაყალა ბრძოლით იქნა აღებული [**ჩიქობავა, 2018: 248**]. ფაქტობრივად, 1549 წლისათვის ორივე ტაოს (იმიერ და ამიერ ტაო) მნიშნველოვანი ნაწილი ოსმალთა ხელში გადავიდა [**სამუშია, 2016: 36**]. 1578 წლის ომამდე, როგორც ოსმალეთის იმპერია, ისე ირანი აწარმოებდნენ ლაშქრობებს სამცხეში, რომელიც იმერეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა [**ჩოჩიევი, 1976: 152; კაპანაძე, 2005: 45**].

1576 წლის 14 მაისს შაჰ თამაზი გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა ისმაილ II (1576-1577), რომლის 15-თვიანი მმართველობის პერიოდში დაიძაბა ურთიერთობა ოსმალეთთან. შაჰის მიერ ზენჯანის რეგიონში ოსმალეთის ქარავანის გაძარცვის გარდა, იყო რიგი მიზეზები (მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის დაპყრობის სურვილი, კასპიის გზით სავაჭრო გზების კონტროლი), რამაც ოსმალეთის სახელმწიფოს მშვიდობის დარღვევისაკენ უბიძგა [**Matthee, 2018: 125; Zeyrek, 2001: 6**]. სეფიანების მიერ ოსმალეთის ტერიტორიაზე გაწეული პროპაგანდის გამო ოსმალეთის ტერიტორიაზე თავი იჩინა აჯანყების საფრთხემ. გარდა ამისა, სეფიანები ცდილობდნენ თავიანთ კონტროლს დაექვემდებარებინათ ქურთი მმართველები, რომლებიც იმ დროისათვის ოსმალეთს ემორჩილებოდნენ [**Bilge, 2015: 91**].

ოსმალური ისტორიოგრაფიის მიხედვით, სეფიანებმა დაარღვიეს ზავი და შეეცადნენ ქართული სამეფოები დაექვემდებარებინათ. ოსმალეთის სახელმწიფო იძულებული გახდა აღნიშნული ვითარების საპასუხოდ მიეღო გალაშქრების გადაწყვეტილება [**Emecen, 1993: 300**].

პორტას მთავარი ვეზირი - სოქულლუ მეჰმეთ ფაშა ლაშქრობის წინააღმდეგი იყო და ირწმუნებოდა, რომ იგი ცუდ გავლენას მოახდენდა ოსმალეთის ეკონომიკაზე. ლალა მუსტაფა ფაშა და ქოჯა სინან ფაშა საპირისპიროს ამტკიცებდნენ. საბოლოოდ მიღებულ იქნა ლაშქრობის გადაწყვეტილება [**Kırzıoğlu, 1998: 275**]. არმიას სათავეში ჩაუდგნენ ლალა მუსტაფა ფაშა და ქოჯა სინან ფაშა. ლალა მუსტაფა ფაშამ დაიწყო გადაადგილება ერზრუმის გავლით ახალციხის მიმართულებით. ფაშამ კახეთისა და შავშეთის მმართველებს გაუგზავნა წერილები და მოუწოდა ომში ოსმალეთის სასარგებლოდ ჩაბმულიყვნენ [**Ababay, 2000: 131**]. მოგვიანებით, ქოჯა სინან ფაშა ჩამოაშორეს მეთაურობას და მის ჯარსაც სათავეში ლალა მუსტაფა ფაშა ჩაუდგა [**Kırzıoğlu, 1998: 276**].



რუკა 1. პოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში ჩილდირის ომის წინ

ამგვარად, ლალა მუსტაფა ფაშამ განაგრძო ლაშქრობა უკვე 110 ათასიანი არმიით და 23 ივლისს დაბანაკდა არტაანის ციხის მისადგომებთან [**Ababay, 2000: 132**]. აქედან მან მოუწოდა იმერეთის მეფეს და სამეგრელოსა და გურიის მთავრებს რომ ოსმალეთის მხარეს გამოსულიყვნენ. გარდა ამისა, მოითხოვა სამეგრელოს სამთავროსგან გადაუხდელი ხარკის გადახდაც [**სვანიძე, 1965: 388**]. მალევე, იმერეთის სამეფოს ელ-

ჩები ეწვივნენ ფაშას და მორჩილება გამოუცხადეს მას [**Kırzıoğlu, 1998: 286**]. 7 აგვიტოს ოსმალეთის ლაშქარი საქართველოს ტერიტორიაზე შევიდა [**ისლამი, 1999: 141**]. ოსმალეთის არმიამ 9 აგვისტოს ხელში ჩაიგდო ვალეს (თურქ. – Helevan), 10 აგვისტოს კი - ბეღრეჰათუნის (ახალციხე) ციხე [**Ababay, 2000: 137**]. მანამდე, 5 აგვისტოს ლალა მუსტაფა ფაშამ დაიპყრო მგელ-ციხე, ველის ციხე, თეთრი ციხე და ამოიხოცა ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა [**Kırzıoğlu, 1998: 288**].

1578 წლის 9 აგვისტოს, ჩილდირის რეგიონში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოსმალეთისა და ირანის არმიები. წვიმის მიზეზით თოფი და ზარბაზნები არ გამოყენებულა, რის გამოც იგი ცნობილია ხმლისა და შუბის ომის სახელით [**Ababay, 2000: 139**]. ოსმალებმა ეს ბრძოლა მოიგეს. სეფიანებმა 5.000 ჯარისკაცი დაკარგეს, 500-მდე კი მძიმედ დაიჭრა. ამ გამარჯვების შემდეგ საფუძველი ჩაეყარა ახალ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს ოსმალეთის იმპერიაში - ჩილდირს (ახალციხის) ეიალეთს, რომელშიც მოგვიანებით გაერთიანდა საათაბაგოს ადრე დაპყრობილი ტერიტორიებიც [**Gökçe, 1979, 56**].

ჩილდირის ბრძოლის შემდეგ, ფაშამ ილაშქრა შირვანზე და დაიპყრო კიდეც. ამ წარმატების შემდეგ, მას ვეზირის წოდება მიენიჭა, ამასთანავე, გახდა შირვანისა და დაღესტნის გამგებელი [**Çiçek, 2007: 472**].

ამ გამარჯვებამ ოსმალებს საქართველოს დაპყრობა გაუადვილა. გამარჯვების შემდეგ, 1578 წლის 10 აგვისტოს 5.000 ჯარისკაცით მოსულ სამცხის ათაბაგ მანუჩარ II-ს აწყური, მის უმცროს ძმას ყვარყვარეს - ოლთისის სანჯაყი, ხოლო სამცხის დედოფალ დედისიმედს სამი სოფელი გადაეცათ. საინტერესოა, რომ ოსმალეთის არმიაში მყოფმა ესპანელმა ჯაშუშმა, ხუან დე ბრიონესმა დეტალურად აღწერა ლაშქრობის დროს მიმდინარე მოვლენები, ასევე შეეხო ოსმალებსა და ქართველებს შორის ურთიერთობებს [**Naki, 2012: 87-108**].

1578 წლის 10 აგვისტოს ლალა მუსტაფა ფაშამ თბილისისკენ აიღო გეზი. მას თან მანუჩარ II-ც ახლდა [**ბექაძე, 2014, 26**]. ვახტანგ მუხრანბატონმა და ქსნის ერისთავმა ბარძიმ ამილახვარმა ოსმალეთს მორჩილება გამოუცხადეს [**Kırzıoğlu, 1998: 291**]. ირანს დაქვემდებარებულმა ქართლის მეფე დავით XI-მ (1569-1578) კი დატოვა თბილისი და თავი მთიანეთს შეაფარა. ლალა მუსტაფა ფაშამ ქართლის მეფეს გაუგ-

ზავნა წერილი და მორჩილება ითხოვა. უარის შემთხვევაში აფრთხილებდა, რომ ჩერქეზებს წააქეზებდნენ ქვეყნის წინააღმდეგ [**Bilge, 2015: 95**].

1578 წლის 21 აგვისტოს, ოზდემიროღლუ ოსმან ფაშა და მოწინავე ძალები შევიდნენ თბილისში. 24 აგვისტოს კი ლალა მუსტაფა ფაშა, ოსმალეთის არმიასთან ერთად, უსისხლოდ შევიდა ქვეყნის დედაქალაქში. 29 აგვისტოს ქართლის სამეფო თბილისის ეიალეთად იქცა და შეუერთდა ოსმალეთის ტერიტორიას. იმავე პარასკევ დღეს, სულთნის სახელით ორი ეკლესია და მუსტაფა ფაშას სახელით ერთი ეკლესია მეჩეთად გადაკეთდა. თბილისის ბეგლარბეგის თანამდებობაზე დაინიშნა ქასთამონის ბეგი სოლაქ ფერჰად ფაშაზადე მეჰმეთ ბეი. მას 1.000.000 ახჩა დაენიშნა. თბილისის ციხეში 6000 ჯარისკაცი და 100 ზარბაზანი დატოვეს და დაიწყეს დავთრების შედგენა [**Bilge, 2015: 91**]. ლალა მუსტაფა ფაშამ გაქცეულ მოსახლეობას ხელშეუხებლობა აღუთქვა და უკან დააბრუნა კიდეც.

ოქტომბრის თვის მიწურულს, ლალა მუსტაფა ფაშა დაბანაკდა გორის ციხის მახლობლად. აქ მას შეუერთდნენ იმერეთის მეფის გიორგის ძმა და გურიის მთავრის ძმა მამია. ამავე დროს ქართლის მეფე სიმონმა, რომელიც ირანელებმა გაათავისუფლეს 10-წლიანი ტყვეობიდან, განჯის ბატონის დახმარებით დაიწყო მცირე თავდასხმები ოსმალეთის არმიაზე. სიმონმა ძალიან კარგად იცოდა ოსმალური ენა. გარდა ამისა, ირანულად და ოსმალურად წერდა ლექსებს [**Allen, 1970: 34**]. მან წლების განმავლობაში დიდი ზიანი მიაყენა ოსმალეთის არმიას.

მართალია, ოსმალებმა თბილისი შედარებით იოლად დაიპყრეს, მაგრამ შემდგომი წინ წაწევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. გარდა ამისა, სეფიანთა და ქართველთა ბრძოლების გამო ოსმალეთის არმიამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა. გორის აღება მოხერხდა 1578 წლის სექტემბრის თვეში. კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574-1601), ოსმალეთს ელჩი იორამი გაუგზავნა და მორჩილება გამოუცხადა, რითაც კახეთის ეიალეთის მმართველობა მიიღო [**Bilge, 2015: 96**].

1582 წელს სამცხეში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო. მანუჩარი ისევ გაქრისტიანდა, სიმონს მიემხრო და ოსმალების მიერ 1579 წელს გაუქმებული ათაბაგობა აღადგინა, რაც ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გამარჯვება იყო. იმ პერიოდში სიმონ I და მანუჩარ ათაბაგი ერთად იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. ბრძოლა

ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ოსმალები ქართულ მიწებს არ თმობდნენ [**კაციტაძე, 1998: 123**].

ირან-ოსმალეთის ომი, რომელიც დაიწყო 1578 წელს, დასრულდა 1590 წელს სტამბოლის ხელშეკრულებით [**Yılmazçelik, 2015: 44**]. მთავარსარდალმა ფერჰათ ფაშამ დიდი როლი შეასრულა ხელშეკრულების ხელმოწერაში და თავად წაიყვანა შაჰის ელჩები სტამბოლში [**İpşirli, 1995: 384**]. 1587 წლიდან ირანის შაჰის ტახტი ეკავა აბას I-ს, რომელმაც კარგად შეაფასა რა ქვეყნის მდგომარეობა, ოსმალეთთან დაზავება და მომავალი ომისთვის საფუძვლიანად მომზადება არჩია.

სტამბოლის ხელშეკრულებით ოსმალეთმა კავკასიაში მიიღო საქართველო, განჯა, შირვანი და ყარაბაღი [**As, 2010: 225**]. უფრო მეტიც, ამ გამარჯვებით ოსმალეთის იმპერიას შესაძლებლობა მიეცა უშუალოდ დაკავშირებოდა ჩრდილოეთ კავკასიას [**Yaşar, 2011: 102**].

მიუხედავად იმისა, რომ ომი ოსმალეთმა გამარჯვებით დაასრულა, მისი ეკონომიკური შედეგები ბევრად აღემატებოდა მიღწევებს. იმ პერიოდის დიდი ვეზირი, სოქულუ მეჰმეთ ფაშა სამართლიანად შენიშნავდა, რომ ომის დროს ქვეყნის ეკონომიკა თითქმის მთლიანად განადგურდა [**Zinkeisen, 2011: 414**]. დიდი ხნის განმავლობაში, რეგიონის ხალხს პრობლემა ჰქონდა გადასახადებთან დაკავშირებით. მშვიდობაც დროებითი აღმოჩნდა და ირანმა, ძალების აღდგენის შემდეგ, კვლავ ომი დაიწყო.

სამწუხაროდ, ქართულ სამეფოებს შორის უთანხმოებამ და იმან, რომ საქართველოს არ გააჩნდა ერთიანობა, მნიშვნელოვნად შეასუსტა წინააღმდეგობა ორი ძლიერი ძალის - ოსმალეთისა და ირანის მიმართ. სიმონ I, სხვა ქართველ ხელისუფალთაგან განსხვავებით, ოსმალებს თითქმის ოცი წლის განმავლობაში ებრძოდა, თუმცა, ქვეყნიდან მათი გაძევება ვერ მოხერხდა. ამ პერიოდისთვის საქართველოსთვის ყველაზე დამანგრეველი ფაქტი იყო სამცხის რეგიონის სრული დაკარგვა [**ბერძენიშვილი, ჯანაშია, 1943: 286**].

როგორც ვხედავთ, 1555 წელს გაფორმებული ამასიის ხელშეკრულებით, საქართველოს ტერიტორია, ოსმალებსა და სეფიანებს შორის გავლენის სფეროებად, ფაქტობრივად ორად გაიყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის ირან-ოსმალეთის დაზავება მომგებიანი არ იყო, მას არ შეეძლო რამენაირი ზეგავლენის მოხდენა ან

მიმართულებით. დროებითი მშვიდობის პერიოდი უკეთ გამოიყენა ოსმალეთის იმპერიამ, რომელმაც საკმაოდ მოკლე ხანში შეძლო მთელი ამიერკავკასიის ბატონ-პატრონი გამხდარიყო. 1578 წლის ოსმალეთ-ირანის ომის დაწყებისთანავე სამცხე-ჯავახეთი და მთელი ქართული მიწა, ბრძოლის ველად გადაიქცა. ომში ოსმალებმა იმარჯვეს და სამცხე, ქართლი და კახეთი მათი მმართველობის ქვეშ მოექცა. ყოველივემ კი ქართული სამეფოების გამაერთიანებელი ძალისხმევა დიდად დააზარალა. ახალციხის რეგიონის დაპყრობა გარდამტეხი წერტილი იყო ოსმალეთის კავკასიურ პოლიტიკაში. ამიერიდან სწორედ ეს პროვინცია, გაერთიანებული ოსმალეთის ადმინისტრაციულ სისტემაში, გახდა დასაყრდენი ირანისა და საქართველოს წინააღმდეგ ოსმალეთის იმპერიის გამუდმებული, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ლაშქრობებისა მომდევნო ორსაუკუნენახევრის განმავლობაში. გარდა ამისა, ოსმალეთის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაშიც წამყვანი ადგილი ეჭირა ახალციხის საფაშოს.

§ 2. ჩილდირის ეიალეთის ადმინისტრაციული მმართველობა. სამცხის ათაბაგები//ახალციხის ფაშები 1579-1774 წლებში

1579 წლის 1 ივლისს დაარსდა ჩილდირის ეიალეთი. მისი მმართველობის ფორმა ითვალისწინებდა ამ რეგიონის ტერიტორიიდან აღებული შემოსავლის ისევ ამ რეგიონის მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენებას [**Bilge, 2015, 559**].

ჩილდირის ეიალეთი დაარსებისას შედგებოდა არფალის, იმერხევის, ფერთექრექის (იუსუფელის), არტანუჯის, ჩეჩერექის, ასპინძისა და უდეს სანჯაყებისგან. 1582 წელს მას შეუერთდა ლივანის სანჯაყიც. საფაშოს მიუერთეს ადრე დაპყრობილი ტერიტორიებიც, კერძოდ, არტაანი [**სვანიძე, 1999: 186**]. ვინაიდან ჩილდირის ეიალეთი წარმოადგენდა სასაზღვრო რეგიონს, აქ ხშირი იყო სამხედრო მოქმედებები და ეიალეთის საზღვრებიც დრო და დრო იცვლებოდა. ჩილდირის ეიალეთის ცენტრს ზოგჯერ ჩილდირი, ხან კი ახალციხე წარმოადგენდა. 1596 წლის საარქივო ჩანაწერების მიხედვით, ჩილდირი დანგრეულია და ბეგლარბეგი ახალციხეში ცხოვრობდა [**Ababay, 1987: 102**].

ახალციხის საფაშოს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის ყველაზე კარგ სურათს იძლევა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც 1595 წლით არის დათარიღებული. მისით შესაძლებელია ოსმალების მიერ ხელში ჩაგდებული სოფლებისა და დაბების ეთნიკური მრავალფეროვნების, მოსახლეობის რაოდენობის, აკრეფილი გადასახადების, სოფლის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ უხვი ინფორმაციის მოპოვება შეიძლება [**ჯიქია, 1947; შენგელია, 1960: 277; Shengelia, 2002**].

ოსმალეთის იმპერიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის აღწერას. იგი უმთავრესად დაკავშირებული იყო დაპყრობით ომებთან და დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრასთან. დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისა და მათი რესურსების ექსპლუატაცია კი ოსმალეთის სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ამ მიზნით ოსმალეთში ადგენდნენ დავთრებს, რომლებშიც აღწერილი იყო ესა თუ ის ტერიტორია, მასში შემავალი ყველა სოფელი თუ დასახლებული პუნქტი, მისი მოსახლეობა, დასამუშავებლად ვარგისი მიწები თუ საძოვრები. განსაზღვრული იყო მიწისმფლობელობის პირობები

(თიმარი, ზეამეთი, ხასი...), მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადები და სხვა [**შაშიკაძე, 2009, 163**].

მე-16 საუკუნეში ჩილდირის ეიალეთისათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული შემწეობა შეადგენდა 900.100 ახჩას. ჩილდირის ეიალეთის მმართველთა მოვალეობა იმერეთის სამეფოს, გურიის და სამეგრელოს სამთავროების გაკონტროლება, ირანის ზემოქმედებისგან მათი დაცვა, აჯანყების პრევენცია, გადასახადების აკრეფა, დაღესტანისა და აზერბაიჯანის სახანოებთან ქართული სამეფო-სამთავროების მეშვეობით ურთიერთობის დამყარება და ჩილდირის, ფოთის, ბათუმისა და სოხუმის ჯარების მეთაურობა იყო [**Bilge, 2015, 559**].

ფრანგი მოგზაური შარდენი გვაწვდის ინფორმაციას ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ ქართული სამთავროებიდან აღებული გადასახადების შესახებაც. ასევე განმარტავს, რომ ოსმალეთის სახელმწიფომ დანიშნა შესაბამისი პირები ქართული სამთავროებისგან გადასახადების მოსაკრებად და აღნიშნული პირები გაგზავნა დანიშნულებისამებრ. აქვეა მითითებული, რომ ქართული სამთავროები ერთდროულად უხდიდნენ ხარკს როგორც ოსმალეთს, ისე ირანს [**Chardin, 2014: 133**].

1595 წელს ჩილდირის ეიალეთში იყო მიწის შემდეგი კატეგორიები: 16 ხასი, 90 ზეამათი, 761 თიმარი. აღნიშნული მიწის ტიპები განირჩეოდა მათი სიდიდისა და მოსავლიანობის მიხედვით. ყველაზე დიდი ტიპს წარმოადგენს ხასი, რომლის შემოსავალიც 100 ათას ახჩაზე მეტი იყო. მისი მფლობელი ვალდებული იყო ყოველ 5 ათასი ახჩა შემოსავლის შემთხვევაში, გამოეყვანა ერთი ცხენოსანი მეომარი. ამ კატეგორიის მიწის მფლობელი მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი იყო. ზეამეთი იყო სამხედრო ლენი, რომელიც სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდათ. მისი შემოსავალი უდრიდა 20-100 ათას ახჩას. თიმარი, რომლის შემოსავალიც 20 ათს ახჩამდე იყო, წარმოადგენდა მიწისმფლობელობის მემკვიდრეობით ფორმას.

მე-17 საუკუნის შუა ხანებში ჩილდირის ეიალეთში იყო 14 ხასი, 92 ზეამეთი და 559 თიმარი [**Bilge, 2015: 562**]. ანუ, ნახევარი საუკუნის მანძილზე 200 ერთეულით შემცირდა თიმარის მფლობელთა რაოდენობა, რაც მოსახლეების შემცირების მაჩვენებელია. ახალციხის ეიალეთის მოსახლეობა ეწეოდა მეცხოველეობასა და სოფლის მეურნეობას. მათ მიერ წარმოებული/მოყვანილი პროდუქცია იყო ხორბალი, თაფლი,

სელი და ბოსტნეული. მიღებული შემოსავალის ნაწილი, გადასახადების გადახდის შემდეგ, რჩებოდა ხალხს.

1592 წლის მდგომარეობით ჩილდირის ეიალეთი შედგებოდა შემდეგი სანჯაყებისაგან: 1. ახალციხის; 2. ოქროს ციხის; 3. ოცხის; 4. ჩეჩერექის; 5. ასპინძის; 6. ხერთვისის; 7. ახალქალაქის; 8. ფოცხოვის [**ბექაძე, 2012: 2013**].

1595 წლის დავთარში სანჯაყების რაოდენობა შემცირებულია 6-მდე: 1. ახალციხე; 2. ხერთვისი; 3. ახალქალაქი; 4. ჩილდირი; 5. ფოცხოვი; 6. ბედრე; 7. დიდი არდაგანი; 8. პენეკი [**ჯიქია, 1947: 6-11**].

იაშა ბექაძის აზრით, სანჯაყების რაოდენობა იყო 9. 1595 წელს დადგენილ კანონებში აღნიშნულია შემდეგი სანჯაყები: აჭარა, არტანუჯი, არპალუ, ასპინძა, ჩილდირი, ჰაჯრექი, იმირჰო, ფენექი და ფერტენექი [**ბექაძე, 2015: 2**].

მე-17 საუკუნის დასაწყისში, აინი ალის რისალეს მიხედვით, ჩილდირის ეიალეთი შედგებოდა უკვე 14 სანჯაყისგან [**İnbaşı, 2006: 79**].

1613-32 წლების თევჯიჰათის (დავთარი, სადაც დაცული მონაცემები დასაქმებული პირების შესახებ) დავთარში განმარტებულია, რომ ჩილდირის ეიალეთი, ფაშის სანჯაყთან ერთად, შედგებოდა 16 სანჯაყისგან [**İnbaşı, 2006: 79**].

ევლია ჩელების მიხედვით, ჩილდირის ეიალეთი ცამეტი სანჯაყისგან შედგებოდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, ჰაჯრექი, არტაანი, ფოცხოვი, მაჭახელი და არჩაფენქი. ახალციხე იყო ფაშის სანჯაყი [**Kahraman, Dağlı, 2008: 163**]. ამით გარდა, ოთხი სანჯაყი იურთლუქის, ოჯაქლიქის და მულქიეთის წესით აქვთ მათ ბეგებს - ფერთექრექი, ლივანა, მცირე ლივანა და შავშეთი. მაგრამ სულთან მეჰმედ მეოთხეს დროს ქუთაისის ციხე ყარა მურთაზა-ფაშას ხელით იქნა დაპყრობილი და იგი სანჯაყებს შეუერთდა. ერთი სიტყვით, დემირ სერჰანის შვილები დამორჩილდნენ და იქაურობა სანჯაყი გახდა [**ფუთურიძე, 1973: 32**].

1653 წლის სოფიალი ალი ჩავუშის კანონთა კრებულის მიხედვით, ჩილდირის ეიალეთის მეორე სახელწოდებაა ახალციხის ეიალეთი, რომელიც ცამეტი სანჯაყისგან შედგებოდა. სამი სანჯაყი იყო სამფლობელო და დინასტიური. რეგიონი შედიოდა ოსმალების კონტროლქვეშ. ჩილდირის ეიალეთის სანჯაყებია: ქალაქი ოლთისი,

არდაგანი, ხერთვისი, არტანუჯი, ფოცხოვი, მაჭახელი, შავშეთი, სერგერექი [**Sertoğlu, 1992, 36**].

ქათიბ ჩელების ნაშრომის „ჯიჰანნუმა“-ს მიხედვით, ჩილდირი ომების დროს დაინგრა და შეუერთდა ახალციხის სანჯაყს. სანჯაყები შემდეგია: აჭარა, არტანუჯი, არდაგანი დიდი, არდაგანი პატარა, სევქა/სოქა, ოლთისი, ფერთექრექი, ფენექი, ფოცხოვი, თავუსქერი, ჩილდირი, ჰაჩრექი, ხერთვისი, შავშეთი. გოლე და ლივანე დინასტიურია. მაჭახელი, მამერვანი, ახალქალაქი, თრიალეთი. ახალციხე კი ეიალეთის ცენტრი იყო [**Katip Çelebi, 2010: 408**].

ჰეზარფენ ჰუსეინ ეფენდი გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას: „ჩილდირის ეიალეთის შედგება ცამეტი სანჯაყისგან. ეიალეთს არ ჰყავს მმართველის მოადგილე და ფინანსური თანამშრომელი. ოთხი სანჯაყი სამფლობელო და დინასტიურია. ეიალეთის სანჯაყებია: ოლთისი, დიდი არდაგანი, არტანუჯი, ჰაჯრექი, ხერთვისი, ფოცხოვი, ფეთრექი, ტაშირი, ურუ, უსთუჰა, ახალქალაქი/მაქელექ, ჰითილა, ესფინი, ფინდექი“ [**Sertoğlu, 1992: 36**].

როგორც ხედავთ, მე-17 საუკუნეში ახალციხის ეიალეთში სანჯაყების რაოდენობა, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მერყეობს 13-დან 20-მდე. აინი ალის, ევლია ჩელების, სოფიალი ალი ჩავუშის და ჰუსეინ ჰეზარფენ ეფენდის მიხედვით, სანჯაყების რაოდენობა იყო 13-14. თუმცა, 1631-32 წლების დავთარში მოცემულია 15 სანჯაყის სახელი, ხოლო ქათიბ ჩელებს მოცემული აქვს 20 სანჯაყის სახელი.

მე-18 საუკუნეში, ჩილდირის ეიალეთის სანჯაყების რაოდენობაში შევიდა ცვლილებები. 1694-1732 წლების ჯაბა დავთრის მონაცემების მიხედვით, ახალციხეში იყო 21 სანჯაყი [**აბულაძე, 1979: 80**]. რეგიონში მიწის მფლობელთა რაოდენობა 889 სულია [**სვანიძე, 1994**]. 1717-1730 წლების თევჯიჰათის დავთრის მიხედვით, სანჯაყების რაოდენობა 23-ია [**Başar, 1997: 22**]. 1740 წლის თევჯიჰათის დავთრის მიხედვით, სანჯაყების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და მისი რაოდენობა ჩამოვიდა 15-მდე, ყველა იყო დინასტიური. 1750-1800 წლების თევჯიჰათის დავთარის მიხედვით, ეიალეთის სანჯაყების რაოდენობა შეადგენს 21-ს [**Küçük, 2011 :5**]. აქედან ნისფი-ი ლივანე, ფერთექრექი, მაჭახელი, აჭარა-ი ულია, აჭარა-ი სუფლა და ესთიზე იყო დინასტიური, ხოლო ფენექის სანჯაყი იყო სამფლობელო [**İnbaşı, 2006: 81**].

როგორც ვხედავთ, ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა, რაც ადმინისტრაციულ ერთეულთა რაოდენობაზეც აისახებოდა. ახალციხის საფაშოს სანჯაყების რაოდენობის მუდმივი ცვლილების მიზეზი იყო საფაშოს მდებარეობა სასაზღვრო რეგიონში და ირანთან და ქართულ სამეფო-სამთავროებთან მუდმივად დაპირისპირების ცენტრში ყოფნა. როდესაც ახალციხის საფაშო დაარსდა, იგი შვიდი სანჯაყისგან შედგებოდა (არპალუ, იმირჰო, ფერთექრექი, არტანუჯი, ჩეჩერექი, ასპინძა და უდე), დროთა განმავლობაში კი 23-მდეც კი ავიდა. გამომდინარე იქიდან, რომ ახალციხის საფაშო იყო სასაზღვრო რეგიონი, კონფლიქტები უფრო ხშირი იყო [**Emecen, 1993: 300**]. ამ მიზეზით, ის ზოგჯერ იზრდებოდა ახალი დაპყრობით და ზოგჯერ პირიქით - მცირდებოდა, რასაც კარგად ადასტურებს ზემოთ მოყვანილი მონაცემები.

საინტერესოა, რომ 1596 წელს ჩილდირის სანჯაყის განადგურების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში სანჯაყბეგი არ დანიშნულა. 1634-1635 წლებში ახალციხის საფაშოს ზოგიერთ სანჯაყზე განხორციელდა ყიზილბაშთა შემოტევა. სეფიანთა თავდასხმებისგან ამ პერიოდში განადგურდა ჩეჩერექის, ფოცხოვის, ასპინძისა და ფენექის სანჯაყები, რამაც გამოიწვია მათი გაერთიანება, შესაბამისად, შემცირდა სანჯაყების რაოდენობა.

1723 წელს, თბილისის დაპყრობის შემდეგ, ახალციხისა და თბილისის რეგიონი, ისჰაკ ფაშას კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ და მათ მართავდა, როგორც ერთიან საფაშოს. თბილისის დაკარგვის შემდეგ, ახალციხის საფაშომ მოახდინა სანჯაყების რეორგანიზაცია. ამგვარი მდგომარეობის გამო საფაშოს სანჯაყების რაოდენობა მუდმივად იცვლებოდა [**Emecen, 1993: 301**].

ჩილდირის ეიალეთის ფაშების ისტორია იწყება მანუჩარ II-ით, რომელიც იყო სამცხე-საათაბაგოს მმართველი დინასტიის გამორჩეული წარმომადგენელი და სამცხის ათაბაგი. ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის დროს მან ისლამი მიიღო და მუსტაფა დაირქვა. იგი ამ თანამდებობაზე იყო 1579 წლიდან 1582 წლამდე. ეიალეთის გამგებლობაში მონაწილეობდა, ასევე, მისი ძმა ყვარყვარეც და თითოეულს 925.000 ახჩა ხელფასი ეძლეოდათ. 1582 წელს ჩილდირის ეიალეთი შეუერთდა თბილისის ეიალეთს. 1582 წელს მანუჩარმა უარყო ისლამი, ჰადიმ მეჰმეთ ფაშა და ბოსნიელი მუს-

ტაფა ფაშა კარავში დაჭრა და გაიქცა [**Süreyya, 1996: 2003**]. მანუჩარმა ცოლად შეირთო ქართლის მეფე სიმონ I-ის ქალიშვილი და ათაბაგი გახდა (ყვარყვარეს ნაცვლად). ოსმალებმა ჩილდირის ბეგლარბეგად იუსუფ-ფაშა დასვეს და აჯანყების ჩაქრობა დაავალეს, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. ოსმალები კომპრომისზე წავიდნენ - 1583 წელს ბეგლარბეგად მანუჩარ II აღადგინეს. იგი სულთნისაგან ქრისტიანობის შენარჩუნებით ათაბაგობის აღდგენას მოითხოვდა. ოსმალებს მესხეთის ინკორპორაცია ჰქონდა გადაწყვეტილი და 1587 მანუჩარ II-ის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნეს. მანუჩარ II ირანის ორიენტაციის გზას დაადგა და თვითონაც ირანში გადავიდა.

1582 წლიდან 1614 წლამდე ჩილდირის ეიალეთი სტამბოლიდან დანიშნული მმართველების მხრიდან იმართებოდა. მანუჩარის შემდეგ 1614 წლამდე ყარამანის ბეგლარბეგი მეჰმეთ ფაშა იმავე დროს ჩილდირის ეიალეთის ბეგლარბეგიც იყო. 1614 წელს ჩილდირის ეიალეთის მმართველობის სადავეები კვლავ სამცხის ათაბაგებს გადაეცათ. ამის შემდეგ 1829 წლამდე ჩილდირის ეიალეთი იმართებოდა სამცხის ათაბაგების მხრიდან [**Bilge, 2015: 560**].

1614-1625 წლებში ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო მანუჩარ II-ის ძე მანუჩარ III. იგი ჯერ კიდევ სამცხის ათაბაგად იწოდებოდა. იგი ცდილობდა შეეჩერებინა მესხ ფეოდალთა გამაჰმადიანების პროცესი, რითაც ოსმალთა უკმაყოფილება გამოიწვია. 1624 წელს არზრუმის ფაშამ მანუჩარის წინააღმდეგ ილაშქრა. მანუჩარ III მცირე რაზმით ქართლში გადავიდა. აქ მონაწილეობა მიიღო მარაბდის ბრძოლაში სპარსელების წინააღმდეგ. ამის შემდეგ სულთანმა მანუჩარ III-ს ქრისტიანობის შენარჩუნებით ათაბაგობა დაუმტკიცა. სამშობლოში მომავალი გზაში მოკლა ბიძამ ბექამ (საფარ-ფაშა), რომელმაც იგდო ტახტი ხელთ.

1625-1635 წლებში ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო სწორედ ზემოაღნიშნული საფარ ფაშა, რომელიც ქართულ წყაროებში ჯერ კიდევ სამცხის ათაბაგად იწოდება. იგი სტამბოლში სულთანს ეახლა, მაჰმადიანობა მიიღო, საფარ-ფაშა დაირქვა და ათაბაგობა მიიღო. წარმატებული მმართველობის გამო მას გადაეცა ქალაქ ყარსის შემოსავლები [**Süreyya, 1996: 1485**].

1635-1647 წლებში ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო საფარ ფაშას შვილი იუსუფ ფაშა. ქართულ წყაროებში იგი ათაბაგად ან ფაშა-ათაბაგად იხსენიება [**ბროსსე, 1998: 284**].

1647-1658 წლებში ჩილდირს განაგებდა როსტომ ფაშა. მისი დროიდან იწყება მესხეთის ფეოდალთა მასობრივი გამაჰმადიანება. ვინც მაჰმადიანობას არ იღებდა, მესხეთიდან იყრებოდა და საქართველოს სხვა კუთხეს აფარებდა თავს. უქმდებოდა ქართული ეკლესია-მონასტრები, ეცემოდა მხარის შემოქმედებითი და კულტურული ცხოვრების დონე. როსტომი ხელს უწყობდა ქართულ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ოსმალურით შეცვლას, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის მტრობის გაღვივებას [**Süreyya, 1996: 1402**].

1652-1653 წლებში ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო საფარ ფაშას ძმა ომერ ფაშა.

1653-1662 წლებში ჩილდირის ეიალეთს განაგებდა საფარ ფაშას შვილი როსტომ/რუსტემ ფაშა. რუსტემ ფაშამ 1648 წელს დიდი წარმატება მოუტანა ოსმალეთს [**Süreyya, 1996: 1502**].

1658-1679 წლებში ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო რუსტემ ფაშას ძმა არსლან მეჰმედ ფაშა. შარდენი გადმოგვცემს, რომ იგი ჩილდირის ფაშა იყო 1659-1679 წლებში [**Chardin, 2014: 165**]. მისი მმართველობის დროს გახშირდა მესხთა ზედაფენების ოჯახთა გამაჰმადიანება. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს მმართველობა ოსმალეთს ახალციხის საფაშოსთვის ჰქონდა დავალებული. ასლან I-თან ხშირად ჩადიოდნენ იმერეთის მეფე, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრები და ფეოდალები. ტახტზე ასვლისთანავე ასლან I იმერეთის საქმეების მოსაგვარებლად გაემგზავრა და ქუთაისის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენა. ტახტიდან ჩამოგდებული ბაგრატ IV ისევ აღადგინა, მაგრამ ქრთამის მოყვარე ფაშამ სამეფოში სიმშვიდე მაინც ვერ დაამყარა. შემდგომში, როდესაც იმერეთში ქართლიდან მოწვეული არჩილ II გამეფდა, ასლან I-მა მასთან გააბა ურთიერთობა, რაც სულთნის კარმა საშიშად მიიჩნია. ამ ეჭვიანობის ნიადაგზე ასლან I სიკვდილით დასაჯეს. მისი ერთი ქალიშვილი, ელენე სპარსეთის დედოფალი იყო, ხოლო მეორე – თამარი სულხან-საბა ორბელიანის მეუღლე.

1679 – 1688 წლებში ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო ასლან მეჰმედ ფაშას შვილი იუსუფ ფაშა [**ბროსსე, 1998: 286**].

1690-1701 წლებში ახალციხის მმართველი იყო ასლან I-ის ძე სალიმ-ფაშა, რომელმაც ტახტი დაიკავა უფროსი ძმის, იუსუფ II-ის გარდაცვალების შემდეგ [**Ababay, 2010: 394**]. მის დროს ახალციხის საფაშოში უკიდურესად გაძლიერდა იანიჩართა თარეში და ქრისტიანული მოსახლეობის აკლება. სალიმ-ფაშა ცდილობდა იანიჩარებისათვის დაეპირისპირებინა „ყულის“ ჯარი, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება მხარს არ უჭერდა. მის დროს გახშირდა ქრისტიანული მოსახლეობის გამაჰმადიანების შემთხვევები.

1701-1737 და 1744-1745 წლებში ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო იუსუფ ფაშას შვილი ისაყ ფაშა, რომელიც 1702-1703 წლებში გადასახადის ამკრეფის პოზიციაზე მუშაობდა [**Ababay, 2010: 394**]. 1722 წელს გათავისუფლდა ჩილდირის ეიალეთის ფაშის თანამდებობიდან და მისი ადგილი მეჰმედ ფაშამ დაიკავა. მიზეზი მისი წინამორბედის მიკერძოებული მოქმედება იყო [**İnbaşı, 2006: 84**]. თუმცა, 1725 წელს ისაყმა დაიბრუნა თანამდებობა [**Süreyya, 1996: 806**]. 1724-1725 წლებში იყო თბილისის გუბერნატორი. ირანის მიერ თბილისის დაპყრობისას დაბრუნდა ჩილდირში. მაგრამ, როცა ოსმალებმა თბილისი დაიბრუნეს, კვლავ გუბერნატორი გახდა.

1705-1708 და 1716-1718 წლებში ახალციხის ფაშა სალიმ-ფაშას ძე ასლან II ჯაყელია [**ბროსსე, 1998: 287**]. სალიმის გარდაცვალების შემდეგ მასთან ერთად საფაშო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა მისი ბიძაშვილი ისაყ იუსუფის-ძე. 1701 წელს ისაყმა შეძლო ახალციხის საფაშოს სათავეში მოსვლა. ასლან II ორჯერ ავიდა ტახტზე, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა და იძულებული გახდა ახალციხიდან წასულიყო. ამ ბრძოლის პერიოდში ახალციხის მხარე დიდად დაზარალდა.

1737-1744 წლებში ჩილდირს განაგებდა ისაყ ფაშას შვილი იუსუფ ფაშა. საფაშო ტახტზე ავიდა მამის სიცოცხლეშივე. ცდილობდა საქართველოს სამეფო-სამთავროებთან ბრძოლაში ჩაება დაღესტნელი ფეოდალები და ოსმალეთის გავლენა აღედგინა ქართლში. დამსჯელი ექსპედიცია მოაწყო აჭარაში. 1744 წელს დიდი ხაზინითა და ჯარით დაიძრა ახალციხიდან დაღესტანში ლეკთა დასაქირავებლად. გზად, მდინარე არაგვზე, ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა. უკუქცეული იუსუფ III აწყურში გარდა-

იცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩილდირის ფაშა კვლავ მამამისი – ისაყ ფაშა გახდა [Süreyya, 1996: 1695].

1740-1748 წლებში ჩილდირის ფაშა კვლავ ისაყ ფაშა გახდა. იგი 100 წელზე მეტი ხნის იყო, როცა გარდაიცვალა [Süreyya, 1996: 806].

1748-1759 წლებში ჩილდირის ეიალეთს მართვადა ისაყ ფაშას შვილი ჰაჯი აჰმედ ფაშა, რომელიც სამთუღიანი ფაშა იყო და სულთნის ვეზირად ითვლებოდა. 1755 წელს იყო ვანის გუბერნატორი. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალციხის საფაშოში მაჰმადიანობის შემდგომ გავრცელებასა და მუსლიმანთა საკულტო ნაგებობების მშენებლობას. მისი განკარგულებით ააგეს ახალციხეში აჰმედის სახელობის დიდი მეჩეთი, რომელთანაც დააარსეს სასულიერო სასწავლებელი და ბიბლიოთეკა. მის დროს განსაკუთრებით გაუარესდა საქართველოს მდგომარეობა. ახალციხის ფაშა თვითონ აწესებდა იმერეთის სამეფოდან ოსმალებისათვის მისაყიდ ტყვეთა რაოდენობას. როდესაც იმერეთის მეფე სოლომონ I-მა ოსმალებს ხარკი შეუწყვიტა, სულთან მუსტაფა III-ის დავალებით აჰმედ-ფაშა დაუკავშირდა არზრუმისა და ყარსის ფაშებს, დაღესტნელ ფეოდალებს და 1757 წელს 40-ათასიანი ლაშქარი გაგზავნა იმერეთში. სოლომონმა ხრესილის ველზე სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის ჯარი. ამ მარცხის გამო სულთანმა მუსტაფა III-მ აჰმედ-ფაშა თანამდებობიდან გადააყენა და ციხეში ჩასვა. აჰმედ-ფაშა ციხიდან გაიპარა, მაგრამ მალე ხელახლა დაატყვევეს და სულთნის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს [Süreyya, 1996: 210].

1760-1763 წლებში ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო ყარსის ძველი გუბერნატორი იბრაჰიმ ფაშა. მოითხოვდა ტყვეებით ვაჭრობის თავისუფლებას დასავლეთ საქართველოში. 1760 წლის შემოდგომაზე დიდი ლაშქრით იმერეთში შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა. ახალციხეში დაბრუნებულს ხალხი აუჯანყდა, ფაშობიდან გადააყენეს და ქალაქიდან გააძევეს. ოსმალთა სულთანმა მუსტაფა III-მ იგი ყარსის ფაშად გადაიყვანა [Ababay, 2010: 395].

1758-1759 და 1763-1767 წლებში ახალციხეს განაგებდა ჰასან-ფაშა ჯაყელი. ასევე იყო ოლთისის სანჯაყის მმართველი. ახლად დანიშნულ ფაშას დაევალა განდგომილი იმერეთის სამეფოს კვლავ დამორჩილება. ამ მიზნით ჰასან-ფაშამ 1758 წელს ორჯერ ილაშქრა იმერეთში, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა. 1759 წელს გადააყენეს. მის

ნაცვლად დანიშნეს იბრაჰიმ-ფაშა (ჯაყელი), რომელსაც ხალხი აუჯანყდა. 1761 კვლავ ჰასან-ფაშა დანიშნეს ორი თუღით. მალე იგი სამთუღიანი ფაშა და სერასკერი გახდა. 1763-1767 ჰასან-ფაშამ მრავალგზის ილაშქრა იმერეთში, მაგრამ უშედეგოდ. 1767 წლის თებერვალს იგი ახალციხიდან გაიწვიეს და სელენიქის ფაშად გაამწესეს [**Süreyya, 1996: 632**].

1767 წლის მარტი – 1767 ოქტომბერი: ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშა, რომელიც სასახლის სკოლაში გაიზარდა. ჩილდირის ეიალეთი მას ფოთის ციხის დასაცავად გადაეცა. მასვე ევალებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენების ზედამხედველობა.

1767 ოქტომბერი – 1770 ივნისი: ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო ვეზირი სეიდ ნუმან ფაშა. ის ერზრუმის ძველი გუბერნატორი იყო. ჩილდირის ეიალეთი გადაეცა ფოთის ციხის დაცვის მიზნით.

1770 ივნისი – 1771 იანვარი: ჩილდირის ეიალეთის ფაშა იყო მეჰმედ ფაშა, რომელიც 6 თვე იყო აღნიშნულ თანამდებობაზე [**İnbaşı, 2006: 85**].

1771-1790 (1767– 1769 და 1770– 1791) წლებში ჩილდირის მმართველი იყო სულეიმან ფაშა. 1768 მარტიდან 1769 ივნისამდე იმერეთის საქმეებსაც განაგებდა. დრო და დრო ტრაპიზონის ეიალეთიც მას ებარა და ერთდროულად ორი ეიალეთის ფაშა იყო. 1769 წლის ივნისის ბოლოს სულეიმანი ფაშობიდან გადააყენეს. 1770 წელს ისევ დაინიშნა. აღადგინა ნორმალური ურთიერთობა იმერეთთან. ვერ ურიგდებოდა ერეკლე II-ის პრეტენზიებს სამცხე-საათაბაგოზე. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს საჩუქრები გაუგზავნა და ოსმალეთის მხარეს ყოფნა მოითხოვა [**İnbaşı, 2006: 85**]. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ სათავეში ჩაუდგა კავკასიელ მაჰმადიანთა კოალიციურ ლაშქრობას საქართველოზე. ხელს უწყობდა ტყვეებით ვაჭრობას. 1783 წელს არზრუმის სერასკერობა მიენიჭა. თანახმა იყო შესულიყო რუსეთის შემადგენლობაში, თუ ფაშობას შეუნარჩუნებდნენ.

როგორც ვხედავთ, მას შემდეგ, რაც ოსმალეთის იმპერიამ ახალციხე დაიპყრო, მან ეს რეგიონი მოაწყო ტრადიციული ოსმალეთის სახმელეთო რეჟიმის, თიმარის სისტემის შესაბამისად. შემოწმდა და აღირიცხა რეგიონის ქალაქებისა და სოფლების შემოსავლები. პირველი რამდენიმე ათწლეულის შემდეგ რეგიონის მართვა გადაეცათ

სამცხის ათაბაგებს, რომლებიც მანამდე ახალციხის მმართველები იყვნენ. ეს სისტემა გამოიყენებოდა ოსმალეთის იმპერიის რეგიონებში, განსაკუთრებით იქ, სადაც მჭიდროდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები. ამის გარდა, ზოგიერთ პერიოდში სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების მმართველები დაინიშნენ ახალციხის საფაშოში. თუმცა, როგორც ზემოთ მოყვანილმა სტატისტიკამ აჩვენა, ახალციხის მმართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეირჩა სამცხის ათაბაგებისგან. რა თქმა უნდა, ეს ათაბეგები დაინიშნენ ამ პოზიციაზე იმ პირობით, რომ ისლამს მიიღებდნენ ოსმალეთის ტრადიციული ფორმის მიხედვით და მართავდნენ რეგიონს ოსმალეთის სახელმწიფოს სახელით.

§ 3. ირან-ოსმალეთის და რუსეთ-ოსმალეთის ომები XVII-XVIII ს. 70-იან წლებამდე და ახალციხის საფაშო

როგორც აღვნიშნეთ, 1587 წელს ირანის შაჰი გახდა აბას I, რომელმაც კარგად გამოიყენა ოსმალეთთან დაზავების პერიოდი და მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა ქვეყანაში, რამაც მას რევანშის შესაძლებლობა მისცა. რა თქმა უნდა, სტამბოლშიც ხვდებოდნენ, რომ მშვიდობა დროებითი იყო და რომ ირანი კავკასიაში პოზიციების დაკარგვას არ შეურიგდებოდა. სულ რაღაც 16 წელიწადში, ალავერდი ხან უნდილაძის რეფორმატორული ნიჭით მოძლიერებულმა ირანმა, ომი განაახლა.

1603 წელს დაწყებული ირან-ოსმალეთის ომები ინტერვალებით მიმდინარეობდა და 1639 წლამდე გაგრძელდა. იგი შეეხო საქართველო-აზერბაიჯანს და ერაყს. ომის დაწყებამდე სეფიანები და ირანის შაჰი აბას I ცდილობდნენ ევროპაში (გერმანია, იტალია, ესპანეთი) მოკავშირეების პოვნას. გაიგზავნა დელეგაციაც, რომელიც პაპსაც შეხვდა [**Kütükoğlu, 1993: 249**]. ოსმალეთის წინააღმდეგ ირანის სამხედრო აგრესია ერთგვარად წაახალისა გერმანიამ [**Hasani, 2003: 23**] და 1603 წლის 14 სექტემბერს, სეფიანთა არმიის თავრიზზე თავდასხმით, ომიც გაჩაღდა. ომის მსვლელობისას ქართულ სამეფო-სამთავროებს განსხვავებული პოზიციები ეჭირათ.

თავრიზის დაპყრობის შემდეგ, 1603 წლის ოქტომბერში შაჰ აბასმა ალყა შემოარტყა ოსმალების ხელთ არსებულ ერევნის ციხეს [**ასათიანი, 2003: 280**]. ალყამდე შაჰ აბასმა ქართველ მეფეებს სთხოვა გაერთიანებულიყვნენ ომში ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. ეს არ იყო ადვილად მისაღები გადაწყვეტილება, რადგან გაურკვეველი იყო თუ ვინ გაიმარჯვებდა. კახეთის სამეფოს ამ პერიოდში (გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული) ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან [**ჯამბურია, 1973: 244**]. ქართლიც ფრთხილობდა. მათ გადაწყვიტეს ომში ირანულ მხარესთან შეერთება გარკვეული ტერიტორიების სანაცვლოდ. შაჰი მათ შეჰპირდა, რომ ქართლის მეფეს მისცემდა ლორეს, ხოლო კახეთის მეფეს - საინგილოს [**ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990: 199**]. ერევანთან ქართლის მეფე გიორგი X ათი ათას კაციანი ჯარით ეახლა შაჰს [**Brosset, 1858: 634**]. ექვსთვიანი ალყის შემდეგ ერევანი ირანელთა ხელში გადავიდა.

ერევნის აღების შემდეგ, სეფიანთა არმიამ გაილაშქრა ახალციხის წინააღმდეგ და მას ალყა შემოარტყა, თუმცა ციხე ვერ აიღო. სეფიანებმა გაძარცვეს ახალციხე და მრავალი ქართველი ტყვედ ჩაიგდეს [**Bilge, 2015: 111**]. ქართული წყაროების მიხედვით, 1607 წლის ახალციხის ალყის დროს, ქართველები დაეხმარნენ სეფიანებს, რის შედეგადაც ამ უკანასკნელებმა ხელთ იგდეს ახალციხე [**სვანიძე, 1973, 305**].

1605 წელს, ურმიას ტბის მახლობლად გამართულ ბრძოლაში ოსმალეთის არმიამ 30.000 ჯარისკაცი დაკარგა და იძულებული გახდა უკან დაეხია [**Şakiroğlu, 1993: 526**]. 1606 წელს, გიორგი X-ის უეცარი გარდაცვალების შემდეგ, სეფიანთა მხარდაჭერით, ქართლის ტახტი ლუარსაბ II-მ დაიკავა და ქართლის სამეფო სეფიანთა ქვეშევრდომობაში შევიდა [**Soofizadeh, 2018: 173**]. ამის შემდეგ, შაჰ აბასმა დაიწყო რეგიონის დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა ბორჩალოდან ჩამოყვანილი მომთაბარეების განსახლებით [**ბოშიშვილი, 2018: 195**].

ერევნის დაკარგვის და სინან ფაშას დამარცხების შემდეგ, შაჰ აბასმა განაგრძო წინსვლა აზერბაიჯანში. მან ალყა შემოარტყა განჯას და ქალაქი 1606 წლის ივლისში დაიპყრო [**ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990: 200**]. ქალაქში მყოფი 2.500 კაციანი ოსმალური გარნიზონი დახოცეს და ქალაქი გაანადგურეს [**Bilgili, 2015: 122**].

1607 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის დედა, დედოფალი ქეთევანი, ქართველ მთავრებთან ერთად, წარსდგა შემახაში მყოფი შაჰის წინაშე. იქ ქეთევან დედოფალმა თავისი შვილის სახელით მორჩილება გამოუცხადა შაჰს. ამის შემდგომ, 1609 წელს ქართლის მეფე ლუარსაბ II ილაშქრა ჩილდირში. ამის საპასუხოდ, ჩილდირის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა 1609 წლის მაისის თვეში ლუარსაბ II-ის შესაპყრობად და ქალაქ გორის ხელში ჩასაგდებად თავს დაესხა ქართლს. თუმცა, ჯერ ცხირეთის, შემდეგ ტაშისკარის ბრძოლებში, ქართლის არმიასთან, რომელსაც გიორგი სააკაძე მეთაურობდა, სასტიკად დამარცხდა და უკან დაიხია. ამის შემდეგ, ოსმალეთ-სეფიანთა ომი დიდი ხნით შეჩერდა [**კაჭარავა, 1998: 148**].

1612 წლის ხელშეკრულებით ირან-ოსმალეთის საზღვარი დაუბრუნდა 1555 წლის მდგომარეობას. ხელშეკრულების შემდეგ, კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა, შაჰ აბას I-ის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად, ოსმალეთის იმპერიაში ელჩები გაგზავნა და სანაცვლოდ მათ ქვეშევრდომობაში შესვლა შესთავაზა. 1614 წელს შაჰ

აბას I-მა გაილაშქრა კახეთზე. თეიმურაზ I-მა შაჰს, მისი რისხვის შეჩერების მიზნით, გაუგზავნა თავისი დედა ქეთევანი, მისი ვაჟები - ლევანი და ალექსანდრე და რამდენიმე ქართველი ბატონი [**ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990: 202**]. თუმცა, შაჰ აბას I-მა გააგრძელა მსვლელობა და დაიპყრო კახეთის მეფეთა რეზიდენცია - ძეგამი. ამის შემდეგ, თეიმურაზ I კახეთიდან გაიქცა და თავი ქართლის სამეფოს შეაფარა. თავის მხრივ, შაჰ აბას I-მა კახეთის სამეფო ტახტზე დასვა შიიტი მაჰმადიანი, თეიმურაზ I-ის ბიძაშვილი ისა ხანი. კახეთის ოკუპაციის შემდეგ, სეფიანებმა რეგიონის ბევრი ეკლესია მეჩეთებად აქციეს და დაახლოებით 30,000 ქართველი ტყვედ წაიყვანეს ირანში [**Bilge, 2015: 116**].

კახეთის სამეფოს განადგურების შემდეგ, შაჰ აბას I-მა ყურადღება ქართლის სამეფოზე. მან ქართლის მეფე ლუარსაბის II-ს დამოყვრება შესთავაზა, თუმცა ლუარსაბმა თეიმურაზთან მოყვრობა არჩია. სეფიანთა არმია 1615 წლის მაისში, ქართლის ტერიტორიაზე შევიდა. ლუარსაბ II-მ და თეიმურაზ I-მა თავი იმერეთს შეაფარეს [**ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990: 204**]. ამ პერიოდის განმავლობაში, თეიმურაზ I-მა სცადა, რომ ირანის წინააღმდეგ რუსებისაგან მიეღო სამხედრო და პოლიტიკური დახმარება, თუმცა, უშედეგოდ [**შველიძე, 2011: 232**].

შაჰ აბასმა ქართლის ტახტზე დავით XI-ის ვაჟი, შიიტი ბაგრატი VII დასვა. 1619 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, ქართლის მეფე ბაგრატის ვაჟი, სიმონი გახდა. 1624 წელს, შაჰ აბას I-მა შვილიშვილი ფატიმა სულთან ბეგუმი, სიმონზე დააქორწინა და ნათესაური კავშირი დაამყარა ქართლის ტახტთან [**Floor, 2012: 484**]. თუმცა, ამ პერიოდის ყველაზე გამორჩეული ფიგურა გიორგი სააკაძეა, რომელიც თბილისის მოურავობიდან ჯერ ლუარსაბის სიძე და ქვეყნის ყველაზე გავლენიანი პირი გახდა, შემდეგ კი, 1612 წლიდან კი მეფისგან სასიკვდილოდ განწირული და დევნილი ირანს აფარებდა თავს, სადაც, შაჰის კარზე, დიდი ავტორიტეტი და სახელი მოიხვეჭა, რის შემდეგაც სიმონ ხანის მრჩევლად დაინიშნა.

1615 წელს ირან-ოსმალეთის ომი განახლდა. ოსმალებმა რამდენჯერმე სცადეს ერევნისა და არდებილის აღება, თუმცა უშედეგოდ. 1618 წლის 26 სექტემბერს გაფორმდა ახალი სამშვიდობო ხელშეკრულება [**Emecen, 2007: 453**], რომლითაც ყარსი

და ახალციხის მიწები ოსმალეთს დარჩა. გადაწყდა ოსმალებისთვის აბრეშუმით დატვირთული 200 აქლემის გაგზავნა [**Sykes, 1915: 264**].

1624 წლის 24 სექტემბერს, ირანის ქალაქ შირაზში, შაჰ აბას I-მა სიკვდილით დასაჯა თეიმურაზ I-ის დედა, ქრისტიანობის ერთგული და გაუტეხელი დედოფალი ქეთევანი, ასევე, მისი ვაჟები ლევანი და ალექსანდრე. ირან-ოსმალეთისა და ლეკებისგან შეწუხებული თეიმურაზი დახმარებას ითხოვდა ევროპისგან [**ჯავახიშვილი, 1967: 385**], რასაც ემსახურებოდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) ელჩობა, თუმცა ამას შედეგი არ გამოუღია.

1625 წლის გაზაფხულზე, შაჰ აბას I-მა ყარჩიხა ხანის მეთაურობით საქართველოში 30.000 კაციანი არმია გამოგზავნა, რომელიც მარტყოფში პირწმინდად განადგურდა [**ჯამბურია, 1973: 277; Küpeli, 2009: 93**], რაშიც გიორგი სააკაძემ გამოიჩინა თავი, რომელმაც ქვეყნის ინტერესებს საკუთარი ვაჟის სიცოცხლე შესწირა. ამის შემდეგ ქართველებმა მოახერხეს ქართლ-კახეთის თითქმის ყველა ციხის დაბრუნება. გიორგი სააკაძემ ორჯერ სცადა თბილისის დაპყრობაც, თუმცა უშედეგოდ [**ბაინდურაშვილი, 2016: 39**].

სეფიანთა არმიის დამარცხების შემდეგ, გიორგი სააკაძემ მოიწვია ოსმალეთის გავლენაში მყოფ დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულად კი გონიოში თავშეფარებული თეიმურაზ I და კვლავ კახეთის ტახტზე დასვა. თეიმურაზ I-მა სეფიანთა მეთაურების მოკვეთილი თავები ოსმალეთში გაგზავნა და მათზე გამარჯვება ამცნო [**Baykal, 1982: 378**].

ბუნებრივია, ასეთ მარცხს ირანის ლომი შაჰ აბას I ვერ შეურიგდებოდა და იმავე წლის ზაფხულშივე რევანშის აღება სცადა. ივლისში მარაბდის ველზე ირანელებსა და ქართველებს შორის მძიმე და სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა, რომელშიც ორივე მხარემ დიდი დანაკარგი ნახა, მაგრამ საქართველოსთვის მისი შედეგები ძალიან მძიმე იყო. თუმცა, საქართველოში განცდილმა ფაქტობრივმა მარცხმა და დიდმა დანაკარგმა აიძულა შაჰი ოსმალეთთან დაზავებაზე ეფიქრა. ამ მოვლენებიდან მალევე თეიმურაზსა და სააკაძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რასაც მათ მომხრეებს შორის შეტაკება და დიდი მოურავის ოსმალეთში გაქცევა მოჰყვა. 1626 წლიდან

გიორგი სააკაძე ოსმალეთშია და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მსახურობდა კონიის მმართველად [**Rota, 2005: 22**].

ამ პერიოდში, 1627 წლის მარტის თვეში, სეფიანებმა ალყაში მოაქციეს ახალციხე და აიღეს იგი [**Naima, 2007, 623**]. ამას მოყვა სეფიანებთან დროებითი დაზავება იმავე წელს.

20-იანი წლების მეორე ნახევარში ერევანსა და ყარაბაღში სეფიანთა წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. თეიმურაზ I-მა ისარგებლა აჯანყებით და 1631 წელს თავს დაესხა განჯა-ყარაბაღს და გაძარცვა. ამის გამო, ირანელები თავს დაესხნენ საქართველოს. თეიმურაზ I მარტო დარჩა. მას არც სხვა ქართულმა სამთავროებმა აღმოუჩინეს დახმარება. თეიმურაზ I-მა თავი იმერეთის სამეფოს შეაფარა. ქართლის ტახტზე თეიმურაზის ნაცვლად დავით XI-ის (დაუთ-ხანის) ძე როსტომი ავიდა, რომელსაც ირანში იმხელა ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა, რომ შაჰ აბასის შვილი სეფი მირზა სწორედ მისი წყალობით გახდა ირანის მმართველი. იგი 1658 წლამდე განაგებდა სამეფოს [**Beradze, Kucia, 2002: 162**].

რუკა 2. საქართველო 1578-1639 წლებში

1635 წელს ოსმალეთმა ერევანი და ახალციხე უკან დაიბრუნა [**Hüseyn, 2015: 693**]. 15 სექტემბერს დაარსდა ახალციხის ეიალეთი [**Bilge, 2015: 125**]. მალე ირანთან მიმდინარე ომი დასრულდა. 1639 წლის ხელშეკრულებით საფუძველი ჩაეყარა ორ ქვეყანას შორის ახალი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას [**Ağalarlı, 2016: 710**]. ირანი პირობას დებდა, რომ არ გაძარცვავდა ახალციხისა და ყარსის რეგიონს. აღნიშნული სამშვიდობო ხელშეკრულება ირანმა გამოიყენა კავკასიაში თავისი ბატონობის გასაძლიერებლად [**Soofizadeh, 2017: 441**].

ამ პერიოდში გაგრძელდა რუსეთის მცდელობები კავკასიაში გავლენის მოპოვების მიზნით. 1639 წელს რუსებმა ქართლის მეფეს, როსტომს ელჩები გაუგზავნეს, მაგრამ როსტომმა არ გამოხატა ინტერესი მათ მიმართ. როსტომის გარდაცვალების შემდეგ, 1658 წელს შაჰ აბას II-მ კახეთი ირანის პროვინციად აქცია, რომელსაც ცენტრიდან გამგებლების დანიშვნით მართავდა. ქართლის სამეფო კი გადასცეს ვახტანგ V-ს, იგივე შაჰნავაზ I-ს, რომელიც თავის დროზე როსტომმა იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. მისი გამეფებით საფუძველი ჩაეყარა ქართლში მუხრანელი ბაგრატიონების მეფობას.

1720-იანი წლებიდან მოყოლებული კავკასიაში რუსების გამოჩენისა და ირანში შიდა დაპირისპირების გამო, ოსმალეთს სამხრეთ კავკასიაში ინტერვენციის მიზეზი მიეცა. შეკეთდა და გაძლიერდა საქართველოში ოსმალთა ხელში არსებული ციხესიმაგრეები. ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა ადრე განადგურებული სოხუმის ციხის აღდგენა [**Fedakar, 2017: 167**].

1722 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა მოაწყო ექსპედიცია აზერბაიჯანში, იმ საბაბით, რომ მის მიერ ირანში გაგზავნილი სავაჭრო ქარავანი შირვანის შემოგარენში ლეკებმა გაძარცვეს და ვაჭრები მოკლეს [**Çaycıoğlu, 2014: 43**]. მან გარკვეული ხნით ხელთ იგდო შამხალი, ტარკუ, დერბენტი და ბაქო [**Kuzucu, 2016: 65**]. ამასთან, ლაშქრობის დროს, რუსულ არმიას მოუწია სტიქიურ უბედურებებთან გამკლავება, წყალდიდობის შედეგად ჯარმა დაკარგა საკვები, ხოლო კავკასიურმა ჰავამ და გეოგრაფიამ, რომელიც უცხო იყო რუსებისთვის, მათი არმია დიდ უბედურებაში ჩაადგო [**Alizade, 2010: 110**]. ამ პერიოდში ქართლის მეფე ვახტანგ VI, რომელიც ყოველგვარი ოფიციალური საბუთის გარეშე მთლიანად მიენდო რუსებს და იმპე-

რატორ პეტრე I-ს, ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც ოსმალეთთან, ისე - ირანთან, რაც მას ტახტის დაკარგვად და ქვეყნის დატოვებად, ქვეყანას კი ოსმალობის ახალ ტალღად დაუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად გამწვავებულ ვითარებაში ოსმალეთსა და რუსეთს შორის არსებობდა ახალი ომის გაჩაღების წინაპირობა, მხარეებმა მოახერხეს შეთანხმების მიღწევა და 1724 წლის სტამბოლის ხელშეკრულებით ომი თავიდან აიცილეს [**Aktepe, 1989: 36**].

ამასობაში კი, ირანის წაქეზებითა და ლეკთა დახმარებით, კახეთის მეფე კონსტანტინე II-მ, 1723 წლის 15 ივნისს, თბილისი დაიკავა [**Bilge, 2015: 196; ბერძენიშვილი, 1965: 196**]. ვახტანგ VI-მ გორის ციხეს შეაფარა თავი და იქედან ცხინვალში გადავიდა [**შოშიტაშვილი, 2015: 35**]. აქედან მან ყარსში წერილი გაგზავნა და იქ მყოფ იბრაჰიმ ფაშისგან დახმარება ითხოვა. იბრაჰიმ ფაშა ქართლზე წამოვიდა. ფაშა თავისი ჯარითა და ჩილდირის ეიალეთიდან გამოგზავნილი 30.000-იანი არმიით შეიჭრა საქართველოში. კონსტანტინე II-მ 1723 წლის 12 ივლისს ფაშას თბილისი უბრძოლველად ჩააბარა. 1723 წლის ივლისში ქართლის მთლიანი ტერიტორია ოსმალებმა დაიპყრეს [**სამუშია, 2014: 25**]. კონსტანტინემ მიიღო ოსმალეთის ქვეშევრდომობა [**Valiyev, 2014: 78**], ვახტანგი კი რუსეთში გადაიხვეწა და იქვე აღესრულა 1737 წელს [**ბოშიშვილი, 2011: 276**]. ოსმალთა მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ, თბილისის რამდენიმე ეკლესია მეჩეთად გადაიქცა. გარდა ამისა, გორიდან ახალციხემდე მონაკვეთში გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურა [**Genç, 2013: 201**].

სულთნის ხელისუფლებამ საქართველოში არსებული მმართველობა ნაწილობრივ შეამსუბუქა. ოსმალები ცდილობდნენ ქართული მთავრები გადმოებირებინათ. ოსმალეთის სახელმწიფო არ შეხებია ქართველი სასულიერო პირებს, სასამართლო სისტემას. გარდა ამისა, იმ პერიოდის სულთან აჰმედ III-მ გამოსცა ფირმანი (ბრძანება), რომელიც იცავდა ქართული ეკლესიის პატრიარქის დომენტი III-ის უფლებებსა და პრივილეგიებს. თუმცა, მალე პატრიარქი დააპატიმრეს და სტამბოლს გაგზავნეს [**Bilge, 2015: 199**]. 1725 წლის 14 ივნისს თბილისის მცველად დაინიშნა ჩილდირის ბეგლარბეგი ისჰაქ ფაშა.

1727 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის ომი დასრულდა [**Yazıcı, 1998: 184**]. წინა წლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებთან შედარებით, ირანისთვის ამ შეთანხმების

შედეგები ბევრად უფრო მძიმე იყო. ისინი იძულებული გახდნენ, ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრები, როგორიც იყო თავრიზი და თბილისი, ოსმალებისთვის დაეთმოთ [**ჩოჩიევი, 1965: 402**].

მე-18 საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარეობდა მძიმე ბრძოლები ირანში ავღანელთა წინააღმდეგ, რაც სეფიანთა მარცხით დასრულდა. ავღანელებმა მოახერხეს ისპაჰანის დაპყრობა და რამდენიმე წლით ირანის ტახტის ხელში ჩაგდება. თუმცა, ნადირ-შაჰ ავშარმა ყიზილბაშთა ტომიდან, მოახერხა 20-იანი წლების ბოლოსთვის ავღანელთა განდევნა ისპაჰანიდან, 1736 წელს კი ტახტსაც დაეუფლა. მის დროს ირანმა კვლავ მოიკრიბა ძალა. მალევე ნადირ ხანმა უკან დაიბრუნა ყველა ის ტერიტორია, რაც ოსმალეთმა ირანისგან მიიტაცა და კვლავ საქართველოსკენ წამოიწია. კახეთის ბეგლარბეგი კონსტანტინე II/მაჰმუდ ფაშა ცდილობდა ურთიერთობა დაემყარებინა ირანელებთან და რუსებთან. ამ მიზეზით, ჩილდირისა და თბილისის ბეგლარბეგ ისჰაქ ფაშას ებრძანა, რომ თავს დასხმოდა კონსტანტინე II-ს. 1732 წლის 23 დეკემბერს გამართულ ბრძოლაში კახეთის მეფე კონსტანტინე მოკლეს.

1735 წლის 17 სექტემბერს ქართველებმა, ირანის დახმარებით, დაიბრუნეს ქალაქი თბილისი. როდესაც თბილისში მყოფმა ოსმალთა ჯარებმა ნადირ შაჰის შესვლის შესახებ გაიგეს, მათ დატოვეს ქალაქი და იმერეთის ციხეებს შეეხიზნენ [**ვახუშტი, 1973: 889**]. კახეთის მეფე გახდა თეიმურაზ II. დასრულდა ოსმალეთის ბატონობა, ე.წ. „ოსმალობა“ აღმოსავლეთ საქართველოში, 12-წლიანი ოსმალეთის მმართველობა, განსაკუთრებით გადასახადების გამო, ძალიან მძიმე იყო ქვეყნისთვის [**ბერძენიშვილი, 1965: 198**]. თუმცა, დაიწყო ახალი, არანაკლებ რთული პერიოდი, ე.წ. „ყიზილბაშობა“, რომელიც ასევე 12 წელი გაგრძელდა.

თბილისის დაპყრობის შემდეგ, ნადირ შაჰმა 6.000 ქართველი ხორასანში გადაასახლდა [**Ateş, 2001: 107**]. თბილისის მმართველად გამაჰმადიანებული ალი მირზა ხანი დაინიშნა, თეიმურაზ II კი მძევლად იქნა გაგზავნილი ირანში. ნადირ შაჰის დახმარებით, დომენტი III დააბრუნეს სტამბოლის ციხიდან და ის კვლავ საქართველოს პატრიარქი გახდა [**Özyücel, 2013; 79**].

საქართველოში ნადირ შაჰის მმართველობას 1735-1738 წლებში აჯანყებები მოჰყვა. კვლავ დაიწყეს თარეში ლეკებმა, რომლებიც ახალგაზრდა ბატონიშვილმა ერეკ-

ლემ გააძევა ქვეყნიდან [**Lekveishvili, 2017: 228**]. 1741 წელს აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ქსნის ერისთავი გივი ამილახვარი. ნადირი ჯერ დერბენდისკენ გაეშურა და შემდეგ კი საქართველოში შემოვიდა აჯანყებების ჩახშობის მიზნით [**Memmedova, 2016: 94**]. ამ აჯანყებას, რომელსაც ჩილდირის ფაშაც უჭერდა მხარს, ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა [**Gökçe, 1979: 83**].

1743 წლის 23 სექტემბერს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა ირანს. საბრძოლო მოქმედებები აღმოსავლეთ ანატოლიასთან და ერაყთან ერთად, გაჩაღდა კავკასიაშიც. 1744 წლის მაისში ჩილდირის ბეგლარბეგი იუსუფ ფაშა თავს დაესხა აღმოსავლეთ საქართველოს, თუმცა, თეიმურაზ II-მ სასტიკად დაამარცხა ოსმალთა არმია [**Uzunçarşılı, 2011: 303**]. ამის შემდეგ თეიმურაზ II ქართლის, ხოლო თეიმურაზის შვილი ერეკლე კახეთის მეფედ დაინიშნა. პირველად ბოლო საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გვირგვინის დადგმის ცერემონიალი ქართული ქრისტიანული წესის მიხედვით ჩატარდა 1745 წლის 1 ოქტომბერს, მცხეთაში, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში [**ჯანაშია, ბერძენიშვილი, 2000: 271**]. მათი გამეფებით დასრულდა მუსლიმი მეფეების ეპოქა საქართველოში.

ირან-ოსმალეთის ომი მალე დასრულდა. 1746 წელს გაფორმებულ კერდენის ხელშეკრულებას [**Uzunçarşılı, 2011, 309**] არანაირი ტერიტორიული გადანაწილება არ მოჰყოლია.

ნადირ შაჰის გარდაცვალების (1747) შემდეგ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. ირანს დაქვემდებარებულმა ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ და მისმა შვილმა ერეკლე II-მ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, დაამარცხეს და განდევნეს რეგიონში მყოფი ირანის არმია.

მამა-შვილი ცდილობდნენ აზერბაიჯანის სახანოებთან ერთად ირანის წინააღმდეგ შეექმნათ ალიანსი, მიეღოთ რუსების დახმარება. 1750 წელს განჯის ხანი შაჰვერდი ხანი და ყარაბაღის სომხური სამთავროები შევიდნენ ერეკლე II-ის კონტროლქვეშ [**Bilge, 2015, 247**].

იგივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოშიც. 1752 წელს, იმერეთის მეფე ალექსანდრე V გარდაცვალების შემდეგ ტახტი ბრძოლებით სოლომონ I-მა დაიკავა, რომელმაც ოსმალეთის სახელმწიფოს შეუწყვიტა ხარკის გადახდა. ამის გამო 1757

წელს ოსმალეთის არმია დაიძრა ქუთაისისკენ. ოსმალთა ჯარს სოლომონის პაპა დედის მხრიდან, თავადი ლევან აბაშიძე მოუძღვებოდა, რომელიც ამ მიზნით სპეციალურად ჩავიდა ახალციხეში. სოლომონ I-მა 14 დეკემბერს შეძლო ოსმალეთის არმიის დამარცხება ხრესილის ველზე (ტყიბულის მუნიციპალიტეტი). ლევან აბაშიძე ბრძოლაში მოკლეს. ხრესილის გამარჯვებას მოყვა ოსმალთა გეგმების სრული მარცხი. მათი გავლენის კლება რეგიონში შეუქცევად პროცესად იქცა. ოსმალებმა დაკარგეს ყველანაირი კონტროლის საშუალება იმერეთის სამეფოზე. ნელ-ნელა შემცირდა ტყვეთა სყიდვის მასშტაბები [**Hammer, 2008: 72**].

თუმცა, ერთი წლის შემდეგ ახალციხის მმართველი ჰაჯი აჰმედ ფაშა თავს დაესხა იმერეთს და დაამარცხა სოლომონ I. ომის შემდეგ სოლომონ I-მა იკისრა გადასახადის გადახდა. მალევე იმერლებმა შეძლეს ოსმალთა 3.000 კაციანი არმიის დამარცხება. ამ შემთხვევის შემდეგ, ჰაჯი აჰმედ ფაშა, ქართველების მიმართ ცუდი მოპყრობის გამო, სიკვდილით დაისაჯა და მის ნაცვლად იბრაჰიმ ფაშა გამოიგზავნა [**Köse, 2014: 48**].

1758 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I ქართლის მეფე თეიმურაზ II-ს და კახეთის მეფე ერეკლე II-ს შეხვდა გორში და ოსმალეთის, ირანისა და დაღესტანის წინააღმდეგ შექმნა ალიანსი. 1762 წლიდან, თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, ქართლისა და კახეთის სამეფოები გაერთიანდა ერეკლე II-ის დროშის ქვეშ [**ასათიანი, 2003: 343**].

1759 წელს სოლომონ I-ის ინიციატივით მოწვეულმა საეკლესიო კრებამ აკრძალა იმერეთის ტერიტორიაზე ტყვე ადამიანებით ვაჭრობა და ოსმალეთში მონების გაყიდვა. საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის აღწერისას ჯ. შარდენი განმარტავს, რომ ოსმალეთს წელიწადში 7-8 ათასის ფარგლებში ტყვე გაჰყავდა [**Chardin, 2014, 133**]. ფრანგი ბოტანიკოსი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მოგზაური ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა გოგონებით ვაჭრობას. იგი წერს, რომ რეგიონში 7-8 წლის ასაკში გოგონებს იტაცებდნენ და მათ ოსმალეთისა და ირანის მონათა ბაზრებზე ჰყიდდნენ, რომ ამ გოგონების გადარჩენა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ადრეულ ასაკში დაქორწინდებოდნენ, ან თუ ისინი მონასტრებში ჩაიკეტებოდნენ [**Tournefort,**

2005: 153]. გარდა ამისა, ტავერნიე აღნიშნავდა, რომ ქართველი ქალები აზიაში ყველაზე ლამაზ ქალებად მიიჩნეოდნენ და ისინი საკმაოდ ბევრნი იყვნენ სპარსეთის შაჰის ჰარამხანაში [**ნაჭყებია, 2017: 248**].

1760 წლის 15 იანვარს ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეები კვლავ შეიკრიბნენ, ამჯერად უკვე ცხინვალში. მათ შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, გადაწყდა ერეკლე II-ის ქალიშვილისა და სოლომონ I-ის უმცროსი ძმის, უფლისწულ არჩილის შეუღლების საკითხი. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ რუსეთიდან კვლავ ეთხოვათ დახმარება [**Köse, 2014: 48**].

საპასუხოდ, ოსმალეთის სულთანმა მუსტაფა III-მ 1760 წელს სოლომონ I-ს გაუგზავნა წერილი, მოითხოვა მონებით ვაჭრობის კვლავ დაშვება და საქართველოს დაპყრობით დაიმუქრა. თუმცა, ოსმალეთს არავითარი სამხედრო მოძრაობა არ განუხორციელებია.

1766 წელს ერეკლე II-მ ელჩები გაგზავნა სტამბოლში და შეეცადა ოსმალეთის სახელმწიფოსთან დაზავებას [**Bilge, 2015: 130**]. აჰმეთ ჯევდეთ ფაშა თავის ნაშრომში „ყირიმისა და კავკასიის ისტორია“ განმარტავს, რომ ერეკლე II თავდაპირველად შევიდა ოსმალეთის ქვეშევრდომობაში, მაგრამ შემდგომ რუსეთის მხარეს გადავიდა [**Gümüş, 2010: 927**].

1768 წლის 25 სექტემბერს ბალკანეთსა და კავკასიაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაჩაღდა ომი, რომელშიც მეომარი მხარეები დიდ იმედებს ამყარებდნენ ქართული სამეფო-სამთავროების პოზიციაზე. რუსეთი ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეების თავის მხარეზე ჩართვას ფიქრობდა, ოსმალეთი კი ქართველების გადაბირებას ცდილობდა. 1769 წლის 21 მაისს სოლომონ მეფე თბილისში ჩასულა და ერეკლე მეორეს შეხვედრია. მეფეებს ხანგრძლივი თათბირი გაუმართავთ მომავალი ბრძოლების შესახებ [**ტყეშელაშვილი, 2016: 71**]. 1769 წლის 14 ივნისს ერეკლე II-მ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ნიკიტა ივანეს ძე პანინს გაუგზავნა წერილი რომელშიც მოცემული იყო ინფორმაცია ჩილდირისა და ყარსის ეიალეთების, დაღესტანისა და აზერბაიჯანის სახანოების და საქართველოსა და სომხეთის მდგომარეობის შესახებ. მეფე აცხადებდა მზადყოფნას ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, საქართველოში გარკვეული რაოდენობის რუსთა ჯარის შემოსვლის

შემდეგ. შეთანხმება დაიდო 1769 წლის 16 დეკემბერს, რაც, როგორც ჩანს, უყურადღებოდ არ დარჩენიათ მეზობლებს. ოსმალეთმა, აღნიშნული ახალი ვითარების საპასუხოდ, დაიწყო თადარიგის დაჭერა. 1769 წლის ოქტომბერში მუსტაფა ფაშას ეცნობა, რომ ერევნის სახანო მზად იყო ბრძოლისთვის და გაიცა ბრძანება შეჭრილიყო საქართველოს ტერიტორიაზე და დაერღვია ქართლ-კახეთ-რუსეთის კავშირი [**Kırca: 2007: 477**]. ჩილდირის ბეგლარბეგმა იბრაჰიმ ფაშამ სტამბოლს აცნობა, რომ აუცილებელი იყო დაღესტანის სახანოები თავს დასხმოდნენ დასუსტებულ ქართულ სამთავროებს [**Bilge, 2015: 257**].

1769 წელს რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ საქართველოში გარკვეული რაოდენობის სამხედრო კონტიგენტის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო. ჯარის სარდლად დაინიშნა ოდიოზური გენერალი გოტლიბ კურტ ტოტლებენი, რომლის მეთაურობით ავანგარდი - 411 რუსი ჯარისკაცი 29 აგვისტოს, დარიალის ხეობის გავლით, შევიდა თბილისში. შემდგომ ამას დაემატა 3.356 კაციანი არმია 4 ზარბაზნით. ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ჯარმა 1770 წლის მარტში ჩილდირის ეიალეთისკენ წაიწია. 1770 წლის აპრილის თვეში მათ ალყაში მოაქციეს აწყურის ციხე. სწორედ აქ, ტოტლებენმა მოულოდნელად მიატოვა მეფე, რუსთა ჯარით დაბრუნდა თბილისში და ადგილობრივი მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო, რაც, დიდი ალბათობით, იყო არა უშუალოდ მისი ინიციატივა, არამედ პეტერბურგის დაკვეთა [**ჯიბაშვილი, 2010**].

ერეკლე II-მ, რომელიც ფაქტობრივად ოსმალეთთან საომარ ვითარებაში აღმოჩნდა, თავისი ჯარით ახალციხიდან ორი საათის დაშორებით მდებარე ასპინძის ციხეს შეუტია. ოსმალებმა ციხე მიატოვეს და ახალციხის მიმართულებით წავიდნენ. ერეკლე II-მ მდინარე მტკვრის სანაპიროზე ალყაში მოაქცია ოსმალეთის არმია და 1770 წლის 20 აპრილს სასტიკად დაამარცხდა. ცნობების თანახმად, ოსმალეთის დანაკარგი დაახლოებით 4.000 ჯარისკაცი იყო, ხოლო ქართული ჯარის დანაკარგი კი ძალიან მცირე [**ლომსაძე, 1975: 76**]. ბრძოლაში ქართველების წინააღმდეგ მებრძოლი ახალციხის მმართველის ჯარის ბევრი მაღალჩინოსანი და სახელმწიფო პირი დაიღუპა [**ლომსაძე, 1975, 77**].

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ერეკლე II-მ ვერ გაბედა საფაშოს სიღრმეში შეჭრა, რადგან ერთი მხრივ ახალციხეში დაბანაკებული ოსმალეთის არმია აფიქრებდა, მეორე მხრივ - ტოტლებენის მანევრი და იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო. გერმანელი გენერალი 1770 წლის ოქტომბერში დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ოსმალები შეეცადნენ შეეჩერებინათ ქუთაისში მიმავალი რუს-ქართველთა არმია მაგრამ დამარცხდნენ. 1770 წლის 6 ოქტომბერს ქუთაისის ციხე კვლავ ქართველებმა დაიბრუნეს. მალევე რუსებმა ალყაში მოაქციეს ფოთის ციხე, თუმცა, უშედეგოდ [**Karagöz, 1993: 108**]. იმავე წელს ერეკლე II თავისი არმიით გაემართა ახალციხის მიმართულებით. საპასუხოდ ახალციხის მმართველმა სულეიმან ფაშამ ოსმალთა და დაღესტნელთაგან დაკომპლექტებული ჯარი გაგზავნა ერეკლე II-სთან საბრძოლველად, გოლა ფაშას მეთაურობით [**გოგოლაური, 2016: 29**].

ოსმალეთის თავდასხმის მოლოდინში მყოფმა ერეკლე II-მ თავისი ძე ლევანი სანკტ-პეტერბურგში გაგზავნა და დახმარება ითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ამასობაში ტოტლებენი გენ. სუხოტინით ჩაანაცვლეს. 1771 წელს ფოთის ციხე კვლავ ალყაში მოაქციეს, თუმცა ისევ ვერ მოხერხდა მისი აღება [**Aydın, 1986: 147**]. 1771 წლის 13 მაისს სუხოტინი ქუთაისში ჩავიდა [**მაჭარაძე, 1975: 117**]. იმავე წლის ივნისში იმერეთის მეფე სოლომონი და გენერალი სუხოტინი ქართლში გადავიდნენ. 15 ივნისს ხელთუბანში ერეკლესთან შეხვედრისას რუსმა გენერალმა სოლომონ მეფის მხარდაჭერით შეადგინა სამხედრო ოპერაციის გეგმა, რომელიც პროფ. იასე ცინცაძის განმარტებით, ემსახურებოდა უშუალოდ ფოთის ციხის აღებას [**ცინცაძე, 1940, 337-360**].

გეგმის მიხედვით, ერეკლე მეფეს, 14.300 კაცი უნდა გამოეყვანა, აქედან 2.000 კაცი უნდა დაეყენებინა ბორჩალოს, 2.000 კახეთს, 3.000 გორს. ამ ჯარს ქვეყანა უნდა დაეცვა ლეკებისაგან. თვით ქართლ-კახეთის მეფე 10.000-იანი კორპუსით ახალქალაქ-ახალციხე-ყარსის მიმართულებით უნდა შეჭრილიყო, თავდასხმებით ოსმალები შეეწუხებინა რათა მათ არ მისცემოდათ საშუალება იმისა, რომ მიშველებოდნენ ფოთის ციხეში მდგარ იანიჩრებს. სოლომონ მეფეს 6.000 იანი ჯარით ახალციხიდან ბაღდათისაკენ მიმავალი ხეობები უნდა შეეკრა, გურიელს კი ტრაპიზონიდან მიმავალი გზა ზღვისპირეთამდე. ამასთან ერთად, გურიელსვე უნდა დაეცვა ქუთაისიდან კომუნიკაციები და უშუალოდ დაეფარა კორპუსი [**სულაბერიძე, 2014: 56**].

ოსმალებმა, რუსების და ქართველების ახალი თავდასხმის მოლოდინში, შეაკეთეს ფოთის ციხე. თუმცა, დიდი ფინანსური დანახარჯებისა და რუსეთში მიმდინარე პუგაჩევის აჯანყებების გამო, 1772 წლის მაისში კავკასიაში რუსეთის ჯარი უკან იქნა გაწვეული [**Korkmaz, 2018: 105; Fuller, 2006: 536**].

მიუხედავად ამისა, ფოთის საკითხი მაინც აქტუალური იყო. მისი დაცვა დაევალა ჩილდირის გუბერნატორს სულეიმან ფაშას და ამ მიზნით 1773 წლის აპრილის თვეში გადაეცა გონიოს სანჯაყი. ამასობაში, 1773 წლის 27 ივნისს სოლომონ I და ერეკლე II ოსმალეთისა და ავარიის სახანოს წინააღმდეგ ერთობლივ, კოორდინირებულ მოქმედებებზე შეთანხმდნენ და კავშირიც გააფორმეს [**Bilge, 2015: 259**]. ქართლ-კახეთისა და იმერეთის 10.000 კაციანმა გაერთიანებულმა ჯარმა 1773 წელს დაიპყრო ჯავახეთი და ალყაში მოაქცია ახალქალაქი. მაგრამ ლეკების შემოსევის გამო საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. ამას დაემატა ჩილდირის გუბერნატორ სულეიმან ფაშას მძარცველობითი ხასიათის ლაშქრობა იმერეთში 1774 წელს. თუმცა, ერეკლე II-მ შეძლო მათი დამარცხება უფლისციხესთან [**Allen, 1971: 207**].

რაც შეეხება რუსეთ-ოსმალეთის ომს, იგი დასრულდა 1774 წელს ქუჩუქ-კაინარჯის ზავით, რომლითაც რუსეთმა გაიმყარა სტრატეგიული და სავაჭრო პოზიციები შავ ზღვაზე; კავკასიაში ოსმალეთ რუსეთის საზღვარები დაუბრუნდა ძველ მდგომარეობას და ყუბანის მდინარე აღიარებულ იქნა საზღვრად [**Kuzucu, 2010: 111**]; რუსეთის მიერ ომის დროს დაპყრობილი ბაღდათის, შორაპნისა და ქუთაისის ციხეები დაუბრუნდა ოსმალეთს (თუმცა, ეს საკითხი ხელშეკრულების 23-ე მუხლში ნათლად და ერთმნიშვნელოვნად არ იყო მითითებული). მაგრამ ოსმალეთი განდევნილნი იყვნენ ეს ციხეებიდან [**გურული, 2010: 26**]. რუსეთმა აღიარა დასავლეთ საქართველოზე ოსმალეთის უფლებები. ამის სანაცვლოდ, ოსმალეთმა უარი თქვა ხარკის მოთხოვნასა და ქრისტიანების შევიწროვებაზე. საზავო ხელშეკრულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯები რუსეთის შავიზღვისპირეთში დამკვიდრების მხრივ, ყირიმი განთავისუფლდა ოსმალეთის ბატონობისგან და მოიპოვა დამოუკიდებლობა. ეს ვითარება ხელს უწყობდა ყირიმის რუსეთის ხელში გადასვლას და კავკასიაში რუსეთის ფეხის მოკიდებას. ერეკლე II-მ, რომელიც ფიქრობდა, რომ ზავით მოგებული დარჩებოდა, სასურველი შედეგები ვერ მიიღო [**Beydilli, 2002, 527**].

როგორც ვხედავთ, 1603 წელს კვლავ დაწყებულმა ოსმალეთ-ირანის ომებმა ომმა დააზარალა როგორც აღმოსავლეთ საქართველო, ასევე ახალციხის პროვინცია. 1625 წელს ირანის მიერ ახალციხის დაპყრობამ და მისი დაბრუნებისათვის განხორციელებულმა საბრძოლო მოქმედებებმა შეარყია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

როსტომის გამეფებით აღმოსავლეთ საქართველოში შესუსტდა ოსმალეთის გავლენა და გაიზარდა რეგიონში ირანის ძალაუფლება. ფაქტობრივად, აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო ირანის ქვეშევრდომ მუსლიმ მმართველთა ხანა. აღნიშნულ პერიოდში ქართველი მეფეების რუსეთთან ურთიერთობამ არანაირი სარგებელი არ მოიტანა, რადგან რუსების პოზიციები ამიერკავკასიაში არ იყო მყარი. ამასთან, მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში, პეტრე I-ის კავკასიაში ლაშქრობის შედეგად, რუსებმა აჩვენეს, რომ ისინი დიდი ძალა იქნებოდნენ რეგიონში.

1762 წელს ერეკლე II-ს მიერ ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებით დაიწყო ახალი ხანა რეგიონულ პოლიტიკაში. იმერეთის მეფესთან, სოლომონ I-თან ერეკლე II-ს მიერ შექმნილმა ალიანსმა გააძლიერა საქართველოს გაერთიანების იმედი. 1768-1774 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენამ კიდევ უფრო გაამყარა ეს იდეა. ამით გამხნევებულმა ერეკლე II-მ ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ დაიწყო უფრო აქტიური პოლიტიკის გატარება, რის გვირგვინიც 1770 წლის ასპინძის ბრძოლა იყო. 1774 წლიდან, ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების ძალით, სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში რუსეთის სახით გამოჩნდა ახალი მოთამაშე, რომელმაც თანდათან საფრთხე შეუქმნა როგორც საკუთრივ საქართველოს, ისე ოსმალეთისა და ირანის ინტერესებს.

თავი II. ჩილდირის ეიალეთი 1774-1806 წლებში. ოსმალეთის პოზიციების შესუსტება და რუსეთის დამკვიდრება სამხრეთ კავკასიაში

§1. ახალციხე სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე (1774-1787 წწ.)

ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შემდეგ, 1775 წლის 30 მარტს, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ კავკასიაში რუსული არმიის მთავარსარდალს წერილი გაუგზავნა. წერილში ერეკლე II ითხოვდა რუსული ჯარების კავკასიაში შემოსვლას, ხოლო სანაცვლოდ რუსებს დახმარებას ჰპირდებოდა. ასევე, ინფორმაციას აწვდიდა დაღესტანისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის საერთო მდგომარეობის შესახებ. ამ პერიოდში რეგიონში სამი ძირითადი ძალა (ირანი, ოსმალეთი, რუსეთი) ცდილობდა ქართულ სამთავროებზე გავლენის მოპოვებას. ამ მიზნით ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორმა სულეიმან ფაშამ, ოსმალეთის ხელისუფლების დავალებით, საქართველოს, აზერბაიჯანის სახანოებსა და დაღესტანს საჩუქრები დაუგზავნა. მასვე დაევალა გაეკონტროლებინა აღნიშნული რეგიონები [Uzunçarşılı, 2011: 211].

1775 წელს ირანის მიერ ოსმალეთის იმპერიისთვის ომის გამოცხადება, ერეკლე II-თვის დიდი შესაძლებლობა იყო. იგი თვლიდა, რომ იმ ეტაპზე მომგებიანი იქნებოდა ოსმალეთთან მოკავშირეობა [Özer, 2008: 80]. ერეკლე II-მ თავისი ელჩი მირზა გიორგი (გურგინა ენაკოლოფაშვილი) ჩილდირის გუბერნატორის დახმარებით, სტამბოლს გაგზავნა და ოსმალეთის ხელისუფლებას აცნობა, რომ ქართლ-კახეთი ოსმალეთის მხარეს იყო. ამავე დროს ერევნისა და ხოის ხანებმა განაცხადეს, რომ ერეკლე II-ის მოკავშირეები იყვნენ და დახმარება ითხოვეს [Ahmet Cevdet, 2016: 61]. მირზა გიორგი შეხვდა ოსმალთა მაღალჩინოსნებს, მოლაპარაკებები გამართა არა მხოლოდ მეფე ერეკლეს, არამედ აზერბაიჯანული ხანის სახელითაც. გიორგი ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ ერეკლე II და აზერბაიჯანის ხანები ოსმალთა ერთგულნი იყვნენ. ერეკლეს მთავარი მიზანი ოსმალეთთან მოკავშირეობა და ირანთან ერთიანი ძალებით შებრძოლება იყო [გიგინეიშვილი, 1959: 221].

აღნიშნულ პერიოდში საქართველოსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობას არ-თულებდა ის, რომ 1768-1774 წლებში ქართველები რუსების მხარეს იყვნენ [**სვანიძე, კაჭარავა, 2010: 912**]. მიუხედავად ამისა, არსებული ვითარების გათვალისწინებით, ოსმალეთის სულთანმა აბდულჰამიდ I-მა მიიღო შეთანხმება საქართველოსთან ირა-ნის წინააღმდეგ. სულთანმა მეფეს საჩუქრად, ოფიციალურ წერილთან, ერთად 1.000 ოქრო, ქურქი და ცხენი გაუგზავნა. გარდა ამისა, ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორს სულეიმან ფაშას უბრძანა, რომ საჭიროების შემთხვევაში ერეკლე II-ს 3.000 კაციანი არმიით დახმარებოდა [**Ahmet Cevdet, 2016: 64**].

ერეკლე II ფიქრობდა, რომ 1775-1779 წლებში მიმდინარე ოსმალეთ-ირანის ომი პირველის გამარჯვებით დასრულდებოდა. ამის გამო, აღიარა ოსმალეთის სახელმ-წიფოს ძალაუფლება და მიიღო საჩუქრები. საპასუხო საჩუქრები გაუგზავნა სულთანს ერეკლემაც. ამრიგად, ქართლ-კახეთი ბოლოჯერ 1776-1783 წლებში დაექვემდებარა ოსმალეთის იმპერიას [**Ahmed Vasıf, 1994: 107**].

ოსმალეთი ყოველთვის იღებდა შესაბამის ზომებს კავკასიაში რუსეთის დამკ-ვიდრების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში რუსეთსა და ოსმალეთს შორის არ იყო ომი. 1778 წლის ივლისით დათარიღებული ცნობიდან ირკვევა, რომ ოსმალეთის იმპერია შიშობდა, რეგიონში მყოფი ოსმალეთის ჯარების უკან გაყვანის შემთხვევაში, რუსები მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს ხელში ჩაიგდებდნენ და რეგიონში მცხოვრები ჩერქეზები, ნოღაელები, აფხაზები და თათრები რუსეთის კონტროლს დაექვემდებარებოდნენ. გაიცა ბრძანება, რომ სოხუმის ციხეში დაბანაკებულიყო 20.000 ჯარისკაცი [**Özbay, 2008: 250**].

ხოის ხანი აჰმედი და შაქის ხანი მეჰმედ ჰასანი შიშობდნენ, რომ ერეკლე II და-იპყრობდა მათ სახანოებს, რის გამოც, ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორს სულე-იმან ფაშას წერილი გაუგზავნეს და აცნობეს, რომ ოსმალეთს ემორჩილებოდნენ. აღნიშნულის საფუძველზე ერეკლე II-მაც შაქის ხანს გაუგზავნა წერილი და ითხოვა მეგობრული ურთიერთობების დამყარება [**Bilge, 2015: 278**].

1779 წელს გარდაიცვალა ირანის შაჰი ქერიმ ხან ზენდი. მისი გარდაცვალების-თანავე ყუბის ხანმა ფათ ალი ხანმა ისარგებლა შექმნილი არეულობით და მოისურვა შაჰი გამხდარიყო. ამ მიზეზით, განჯისა და ერევანის ხანებთან ერთად თავს დაესხა

ქართლ-კახეთს. ამის საფუძველზე, ერეკლე II-მ ყარაბაღის ხანთან, იბრაჰიმთან ერთად შექმნა კავშირი. ერეკლე II-ისა და ყარაბაღის ხანის გაერთიანებულმა არმიამ დაამარცხა განჯისა და ერევნის ჯარები. მოგვიანებით, განჯისა და ერევნის სახანოები შევიდნენ ერეკლე II-ის დაქვემდებარებაში. ამავე პერიოდში რუსეთი, ერთის მხრივ ერეკლე II-თან, ხოლო მეორეს მხრივ, აზერბაიჯანის ხანებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა [**Bilge, 2015: 279**]. ქერიმ ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ რუსებმა ისარგებლეს ამ ვითარებით და დაიწყეს მზადება საქართველოში შეჭრისათვის.

1781 წელს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ერეკლეს ძე, ლევან ბატონიშვილი, რომელიც იყო ერეკლეს მიერ შექმნილი მუდმივი ტიპის ჯარის, ე.წ. „მორიგე ჯარის“ სარდალი. მისი გარდაცვალების შემდეგ ახალციხის მმართველი სულეიმან ფაშა ფიქრობდა ქართლ-კახეთზე თავდასხმას, რასაც ერეკლე II-სთან ურთიერთობის გაუარესება უნდა მოჰყოლოდა. გააქტიურდა ქართლ-კახეთის უფლისწული ალექსანდრე ბაქარის ძე [**ლომსაძე, 1975: 93**]. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ერეკლე II ოსმალეთის მოკავშირე იყო და განჯისა და ერევნის სახანოებზეც ჰქონდა გავლენა. ერეკლეს გაძლიერება იწვევდა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის შეშფოთებას, რომ ის იმერეთსაც გადაწვდებოდა, ამიტომ დაეხმარა ალექსანდრეს, რომელიც ქართლ-კახეთის ტახტზე გამოთქვამდა პრეტენზიას. ალექსანდრემ გამოიყენა ერეკლე II-ს წასვლა ერევანში და აჯანყება წამოიწყო. ერეკლე II სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში და ჩაახშო აჯანყება. ალექსანდრემ თავი ყუბის ხანს ფათ ალი ხანს შეაფარა და ქართლ-კახეთში მყოფი თავისი მომხრეების საშუალებით შეეცადა სიტუაციის შემობრუნებას. შველა ითხოვა რუსეთისგანაც. ამის საპასუხოდ, ერეკლე II-მ დასახმარებლად გერმანიასა და ვენეციას მიმართა, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ მან პირი ისევ რუსეთისკენ იბრუნა.

1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკის ციხეში, რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გაფორმდა 13 მუხლიანი ხელშეკრულება, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით არის ცნობილი. გეორგიევსკის ტრაქტატს ქართლ-კახეთის მხრიდან ხელი მოაწერა იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, ხოლო რუსეთის მხრიდან - გენერალმა პოტიომკინმა [**პაიჭაძე, 1973: 689; Ahmed Vasıf, 1994: 76-77**].

ოსმალები დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ ამ ახალ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. 1783 წლის 18 აგვისტოს ერთ ოსმალურ დოკუმენტში ჩილდირის მმართველი სულეიმან ფაშა საუბრობს იმაზე, რომ რუსები ჯერ კიდევ არ შესულან თბილისში და იმყოფებიან ჩერქეზთა ტერიტორიებზე, ხაზს უსვამს სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას. აღნიშნავს, რომ აკვირდება ამ ორი მეფის მოქმედებებს და აცხადებს, რომ მათ მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების წამოწყების შემთხვევაში მზადყოფნაში იქნება [**COA, HAT, 12-445**].

ხელშეკრულების პირველი მუხლით ქართლ-კახეთის მეფე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აცხადებდა, რომ უარყოფდა ირანის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსადმი რაიმე დამოკიდებულებას და ცნობდა მხოლოდ რუსეთის უზენაეს ხელისუფლებას და მფარველობას. თავის მხრივ, იმპერატორი ეკატერინე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით პირობას დებდა, ყოველთვის მზრუნველობა გამოეჩინა და მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის მეფეებისათვის.

ამიერიდან ქართლ-კახეთის მეფე უცხო სახელმწიფოებთან დამოუკიდებელ დიპლომატიურ ურთიერთობას არ აწარმოებდა. რუსეთის მიერ ოსმალეთთან და ირანთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების პირობები გავრცელდებოდა საქართველოზეც; ქვეყნის საშინაო მართვა-გამგეობა, სამართლის წარმოება და გადასახადების აკრეფა მთლიანად საქართველოს მეფის უფლებებში რჩებოდა. საქართველოს კათალიკოსი უნდა დარჩენილიყო თავის უფლებებში ხელშეუვალად [**Gvosdev, 2000: 55**]. ტრაქტატში იყო მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ახალციხის რეგიონი უნდა მოქცეულიყო საქართველოს საზღვრებში [**მაჭარაძე, 1998: 250; გოგოლაური, 2017: 133**]. ერეკლეს ამოძრავებდა იმის იმედი, რომ მიუხედავად ქვეშევრდომობაში შესვლისა, ერთ დღეს საქართველო შეძლებდა გაერთიანებას და ეს ხელშეკრულება იქნა მიღებული, როგორც პირველი ნაბიჯი ამ მიზნისკენ.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ კავკასიაში რუსეთის წარმომადგენლის პ.ს. პოტემკინის სახელით მუქარის წერილები დაეგზავნა აზერბაიჯანულ ხანებს, რომლითაც მოთხოვნილი იყო რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა გეორგიევსკის

ტრაქტატის პირობებით. ყარაბაღის ხანი იბრაჰიმ ხანი და ყუბის ხანი ფათ ალი-ხანი დადებითად გამოეხმაურნენ პოტიომკინის წერილს, სხვა ხანებმა კი უხეში პასუხები გასცეს [Mehmetov, 2009: 476].

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ ოსმალეთმა დაიწყო კავკასიაში არსებული ციხე-სიმაგრეების გამაგრება-გაძლიერება. გაძლიერდა ფოთის, ბათუმისა და სოხუმისა ციხეები და გაიზარდა ჯარისკაცების რაოდენობა. შერემონტდა ახალ-ციხის, ახალქალაქის, აწყურისა და ხერთვისის ციხეები. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა და სამეგრელოს დადიანმა კაცია II-მ ფოთის ციხის მეთაურს გურჯიზადე ჰალილ ფაშას ელჩი გაუგზავნეს და აცნობეს, რომ ოსმალეთის მხარეზე იყვნენ [Bilge, 2015: 280]. ჩერქეზული ტომები იძლეოდნენ გარანტიას, რომ არ დაესხმოდნენ თავს ოსმა-ლეთის ტერიტორიებს მანამ, სანამ რუსეთსა და ოსმალეთს შორის იქნებოდა მშვი-დობიანი ურთიერთობა [COA, HAT, 10–333 –C].

რუსებმა იმისათვის, რომ გადმოელახათ კავკასიის მთები და შესულიყვნენ სა-ქართველოში, თერგის ხეობაში, დარიალის გადასასვლელზე დაიწყეს სამხედრო გზის მშენებლობა. ერეკლე II-ს სურდა ამ საქმისათვის გამოეყენებინა ლეკი მო-სახლეობა, თუმცა მათ ამაზე უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ ისინი მუსლიმები იყვნენ და ჩილდირის ეიალეთში გადავიდნენ. ჩილდირის მმართველი მათ იარაღითა და საკვებით დაეხმარა [COA, HAT, 10-333-H].

1783 წლის 25 ნოემბერს თავრიზის ხანმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ კავ-კასიონის გადმოლახვა მთლიანად ისლამურ სამყაროს დაემუქრებოდა და გაგზავნა წერილი, სადაც მითითებული იყო რუსეთის წინააღმდეგ რეგიონის ყველა მუსლიმი ხანის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ [COA, HAT, 10-333-F]. დარიალის გადა-სასვლელის მშენებლობის დასრულების შემდეგ, პოლკოვნიკ ბურნაშევის მეთაურო-ბით 1.800 კაციანი რუსეთის არმია 1783 წლის 3 ნოემბერს შევიდა თბილისში. რა თქმა უნდა, რეგიონში რუსეთის არსებობის მთავარი მიზანი იყო ანატოლიაზე გალაშქრება, დაღესტანის ალყაში მოქცევა და ასევე ირანზე გალაშქრება [Bilge, 2015: 281]. ამავე პერიოდის, 1784 წლის 18 სექტემბრით დათარიღებული ცნობიდან ირკვევა, რომ ოს-მალეთის იმპერიას სურდა საქართველოში არსებული არეული სიტუაცია თავის სა-სარგებლოდ გამოეყენებინა. ცნობიდან ირკვევა, რომ ოსმალეთის იმპერია გეგმავდა

ერეკლე II-ის ნაცვლად თბილისში მეფედ გამოეგზავნა გიორგი (?), რომელიც სტამბოლში იმყოფებოდა. თუმცა, შემდეგ გადაწყდა, რომ დალოდებოდნენ უფრო ხელსაყრელ პერიოდს და ისე ემოქმედათ [**COA, HAT, 26-125**].

ოსმალეთი შეეცადა რუსეთისათვის საკადრისი პასუხი გაეცა. ამ მიზნით, აზერბაიჯანისა და დაღესტანის ხანებს წერილები დაუგზავნა და მათგან საქართველოზე თავდასხმა მოითხოვა. ყუბის ხანმა მეჰმედ ხანმა, დაღესტანის მოსახლეობამ, ყარაბაღის მეთაურმა იბრაჰიმ ჰალილ ხანმა და საქართველოს საზღვარზე მუსლიმმა მოსახლეობამ ჩილდირის ეიალეთის მმართველს სულეიმან ფაშას აცნობეს, რომ ომისათვის მზად იყვნენ [**Karagöz, 1993: 117**]. როგორც 1785 წლის 2 ნოემბრით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, აზერბაიჯანის ხანებმა ოსმალეთს შეჰფიცეს, რომ თუ ოსმალეთი ერეკლე II-ის წინააღმდეგ განახორციელებდა სამხედრო მოქმედებებს, ოსმალეთის მხარეს დაიკავებდნენ და ჩილდირის მმართველს სულეიმან ფაშას გაუგზავნეს გაერთიანების წერილი [**COA, HAT, 2-58-C**].

იმისათვის, რომ ოსმალეთს სამხედრო მოქმედებები არ დაეწყო, ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა და განაცხადა, რომ რუსების სამხედრო მოქმედებები არ იყო მიმართული ოსმალეთის წინააღმდეგ, და რომ რუსები თბილისში ჩამოვიდნენ ირანთან და დაღესტანთან დაკავშირებული საქმეებისათვის. თუმცა, ჩერქეზეთში ოსმალეთის სახელმწიფოს ჯაშუშებმა აცნობეს, რომ რუსებმა ლეკების ტერიტორიაზე ორი ციხესიმაგრე ააშენეს. ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორი სულეიმან ფაშა რეგულარულად აწვდიდა სტამბოლს ინფორმაციას საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ [**Bilge, 2015: 281**]. პორტამ სულეიმან ფაშას მიერ გაგზავნილი წერილებიდან შეიტყო, რომ ერეკლე II ემზადებოდა ჩილდირსა და ყარსზე, ხოლო სოლომონ I - ჩილდირზე, ფოთსა და ანაკლიაზე თავდასხმისათვის [**Ahmed Vasıf, 1994: 84-85**]. ოსმალეთმა საქართველოსთან ურთიერთობის დალაგება დაავალა ფოთის ციხის მეთაურს ჰალილ ფაშას და აბაზა მეჰმეთ ფაშას [**Karagöz, 1993: 118**].

1784 წლის 24 იანვარს ერეკლე II-მ რუსეთთან ერთგულების ფიცი დადო. ერთი დღის შემდეგ აღნიშნული მდგომარეობა ეცნობა თბილისის მოსახლეობას. აღნიშნულის შემდეგ, ერეკლე II-ის კონკურენტი ალექსანდრე ხანი რუსებმა დაატყვევეს. ქართლ-კახეთში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობა განჯისა და ყარაბაღის სახანო-

ებში იქნა გადასახლებული, რის გამოც ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმ ჰალილ ხანმა ქართლ-კახეთთან გაწყვიტა მეგობრული ურთიერთობა [**Gökçe, 1979: 78**].

იმერეთის მეფე სოლომონ I შეეცადა რუსეთს დაახლოებოდა, ვინაიდან იმერეთის ტერიტორიებს, ოსმალთა წაქეზებით, თავს ესხმოდა აჭარისა და ლაზეთის მოსახლეობა. სოლომონმა, რომელსაც ოსმალეთი მფარველობდა, ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორ სულეიმან ფაშისგან დახმარება და აღნიშნული თავდასხმების შეჩერება ითხოვა, მაგრამ ამ უკანასკნელს არაფერი მოუმოქმედებია. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სოლომონ I სცადა რუსეთთან დაკავშირება. რუსეთი კი, ამ პერიოდში, ისედაც ცდილობდა იმერეთის მეფის გადაბირებას. ეკატერინემ სოლომონს ფულადი დახმარება აღმოუჩინა [**Bilge, 2015: 283**].

1784 წლის აპრილში სოლომონ I გარდაიცვალა. ოსმალეთს ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, რომ იმერეთის ტახტზე ერეკლე II-ის მომხრე მეფე არ ასულიყო [**COA, HAT, 25-1228**]. პორტა გეგმავდა იმერეთის ტახტზე აეყვანა ქართველი თავადი ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე, სოლომონ I-ის ბიძა, რომელიც ოსმალეთს ემორჩილებოდა და სტამბოლში ცხოვრობდა. მის დამხმარედ ჯანიქლი ალი ფაშა გამოგზავნიდა 8000 ჯარისკაცს [**COA, HAT, 10-333-C**]. იგი მართლაც შეიჭრა გურიაში, მაგრამ დამარცხდა და ისევ ოსმალეთს შეაფარა თავი. ამასობაში იმერეთის ტახტისათვის ბრძოლაში სოლომონ I-ის ბიძაშვილმა დავით გიორგის ძემ დაამარცხა 12 წლის დავით არჩილის ძე - სოლომონის ძმისწული და 5 წლით დაეუფლა ტახტს დავით II-ის სახელით. მის მომხრედ გამოდიოდა რუსეთიც, რომელსაც მეფემ იმავე წელს ქვეშევრდომობა სთხოვა. რუსეთის მთავრობა მაშინვე ჩაერია იმერეთის საქმეებში და 1784 წლის მაისში დავით გიორგის ძე და ერეკლე II მოარიგა: იმერეთის მეფე იძულებული გახდა, დავით არჩილის ძე თავის მემკვიდრედ გამოეცხადებინა, მისთვის საუფლისწულო მიეცა და სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ტახტიც დაეთმო.

სულთან აბდულჰამიდ I-ის მიერ განხორციელებული დიპლომატიური ნაბიჯების შედეგად შაქის, ხოისა და ყარაბაღის ხანებმა გამოთქვეს თანხმობა, ემოქმედათ ჩილდირის მმართველ სულეიმან ფაშასთან ერთად რუსებისა და ქართველების წინააღმდეგ. ოსმალეთის წაქეზებით ავარიის ხანმა ომარმა და ელისუს ხანმა ალიმ 1784 წლის 1 ივნისს დალაშქრეს ქართლ-კახეთი და გაძარცვეს [**COA, HAT, 27-1281**].

მოგვიანებით ომარ ხანი, რომელსაც სურდა ერეკლე II-ს დასჯა, 20.000 მეომრით თბილისისკენ დაიძრა. მათ აიღეს და გაძარცვეს გუმუშხანე, ლორე. ერეკლე II-მ უკან დაიხია [**COA, HAT, 19-879**] და თავი თბილისის ციხეს შეაფარა, ხოლო ომარ ხანმა ციხე ალყაში მოაქცია. ახალციხის ფაშამ აღუთქვა მას, რომ დაეხმარებოდა 3.000 ჯარისკაცითა და 10 ზარბაზნით [**ლომსაძე, 1975: 97**]. ომარმა თბილისი ვერ აიღო და უკან დაიხია. სიცივის, საკვებ-საბრძოლო მასალის სიმცირისა და დიდი სამხედრო დანაკლისის გამო ომარ ხანმა მოისურვა ზამთარი ახალციხეში გაეტარებინა. მისი ჯარისათვის სულეიმან ფაშამ სტამბოლიდან 5.000 ყურუშის გამოგზავნა ითხოვა. ერეკლე II-მ თავდასხმებში ბრალი სულეიმან ფაშას დასდო და სტამბოლში წერილი გაგზავნა, რითაც სულეიმან ფაშას გადაყენებას მოითხოვდა. ოსმალეთის ხელისუფ-ლებამ აღნიშნული ბრალდება არ მიიღო, თუმცა ფაშას გაუგზავნა გაფრთხილება, რომ მშვიდობიანი ურთიერთობის საწინააღმდეგოდ აღარ ემოქმედა [**COA, C. HR, 12-552**].

თავის მხრივ, სულეიმან ფაშამ, საკვების უქონლობის გამო, ომარ ხანს უარი შეუთვალა მასთან გამოზამთრებაზე და სთხოვა დაღესტანში დაბრუნება. ომარ ხანმა სულთან აბდულჰამიდ I-ს მისწერა გასაჭირი და აუხსნა სიტუაცია [**Ünsal, 2017, 40**]. სულთნის ბრძანებით, დაღესტნელებმა გარკვეული დროით შეაფარეს თავი ჩილ-დირს და მიიღეს საჭირო სანოვაგე [**COA, HAT, 18-811**]. 1786 წლის ნოემბერში ომარ ხანი და ალი სულთანი კვლავ ამოძრავდნენ, თბილისსა და იმერეთში ალყა შემო-არტყეს რამდენიმე ციხეს და გაძარცვეს მოსახლეობა [**COA, HAT, 28-1338: ალიმ-ბარაშვილი, 2013, 70**]. იმამ მანსურის აჯანყების გამო რუსები ვერ დაეხმარნენ ერეკლე II-ს, რის გამოც ერეკლე II იძულებული გახდა ომარ ხანისათვის წლიურად 65.000 რუბლი ხარკი გადაეხადა [**Zinkeisen, 2011: 364-365**].

მეფე ერეკლე მიხვდა, რომ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება არ წარმო-ადგენდა საკმარის გარანტიას. ამის გამო საჭირო იყო ირანის წინააღმდეგ კიდევ ერთი მოკავშირე. 1786 წლის მიწურულს ერეკლე II-მ ახალციხის მმართველს სულეიმან ფაშას გაუგზავნა მეგობრული წერილი და შეეცადა დასავლეთი საზღვრის ამ ფორმით გამაგრებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმოადგენდა გეორგიევსკის ტრაქტატის მე-4 მუხლის დარღვევას. მაგრამ, ერეკლეს ეს მოქმედება ოსმალეთში მის მანევრად მიიჩნიეს [**COA, HAT, 24-1220**].

1787 წელს აზერბაიჯანის ხანებმა ჩილდირის გუბერნატორს გაუგზავნეს ელჩები და ერთგულება აღუთქვეს [**Bilge, 2015: 289**]. ჩილდირის გუბერნატორმა სულეიმან ფაშამ სტამბოლს აცნობა, რომ აზერბაიჯანის სახანოებს შორის დასრულდა უთანხმოება და სურდა მათთან ერთად თავს დასხმოდა ქართლ-კახეთს. სულეიმან ფაშას დაევალა ზედამხედველობა გაეწია გასაგზავნი ჯარისკაცებზე და იარაღზე. ასევე, სულეიმან ფაშას ებრძანა, რომ რეგიონში შეეკრიბა 4.000-იანი ჯარი [**Ahmed Vasıf, 1994: 329**]. თავის მხრივ, ზომები მიიღო ერეკლემაც და ყუბის ხანთან ფათ ალისთან მოკავშირეობა გადაწყვიტა. ერეკლეს სამწუხაროდ, არ ისვენებდა ომარ ხანი და ქართლ-კახეთზე თავდასხმებს განაგრძობდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ზომებისა, ოსმალეთმა ვერ მოახერხა ამიერკავკასიიდან რუსეთის განდევნა და რეგიონზე კონტროლის დამყარება. ოსმალეთის იმპერია, როგორც კავკასიაში, ასევე რუმელიაში გადავიდა თავდაცვით პოზიციაზე რუსეთთან ურთიერთობაში

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში, ოსმალეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის ურთიერთობები გაუარესდა 1768-1774 წლის ომში ქართველების რუსებთან ერთიანობის გამო. ერეკლე II-მ თავის სასარგებლოდ გამოიყენა კავკასიაში რუსების ყოფნა და შეეცადა გაეზარდა რეგიონული გავლენა. მან გაატარა მოქნილი პოლიტიკა ოსმალეთთან კარგი ურთიერთობების დამყარებით და აზერბაიჯანელ ხანთან, რომლებიც რუსების გამო რთულ ვითარებაში იყვნენ. რა თქმა უნდა, ეს სიტუაცია ეწინააღმდეგებოდა საქართველოში ძალაუფლებადაკარგული სულეიმან ფაშას, ახალციხის გუბერნატორის ამბიციას, რომელმაც ერეკლეს წინააღმდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის გამოყენება სცადა. ევროპის დახმარებაში იმედგაცრუებულმა ერეკლე II-მ 1783 წელს ხელი მოაწერა გეორგიევსკის ხელშეკრულებას და რუსეთის მფარველობაში შევიდა. ამ პერიოდში რუსეთმა კარგი ურთიერთობა დაამყარა იმერეთის მეფე სოლომონ I-თან და ამან კიდევ უფრო შეასუსტა ოსმალეთის გავლენა რეგიონში. თავის მხრივ, სულეიმან ფაშა შეეცადა რუსეთ-საქართველოს ალიანსზე რეაგირება მოეხდინა აზერბაიჯანის ხანებთან კავშირის შექმნით.

§2. ქართული სამეფო-სამთავროები და ახალციხის საფაშო რუსეთ-ოსმალეთის 1787-92 წლების ომის დროს

1787 წლისთვის მომწიფდა რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი. 1768-1774 წლების ომის წყალობით დასრულდა ოსმალეთის იმპერიისგან ყირიმის გამოყოფის პირველი ეტაპი. რუსეთმა დაიწყო ყირიმის ანექსიის მომზადება და ოსმალეთის იმპერიის გაძევება ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნებიდან. იმავდროულად, ოსმალეთის იმპერია ემზადებოდა ყირიმში, ბალკანეთსა და კავკასიაში დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია ემზადებოდა ომისთვის, ის გრძნობდა, რომ არ იყო საკმარისად ძლიერი ამისთვის. ამიტომ, მან ითხოვა, რომ ოსმალეთსა და რუსეთს თავიანთ შორის არსებული პრობლემები განეხილათ და მოეგვარებინათ მოლაპარაკებების გზით. მთავარი, რა თქმა უნდა ყირიმისა და ქართლ-კახეთის საკითხი იყო: გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამდე რამდენიმე თვით ადრე რუსეთმა ყირიმი შეიერთა. შედგა მაღალი დონის შეხვედრაც [**Gökçe, 1972: 2**]. თუმცა, რუსებმა ეს მიიღეს, როგორც სისუსტე და უფრო გაზარდეს თავიანთი მისწრაფებები.

ოსმალეთის იმპერია მიხვდა, რომ რუსეთს ნებისმიერ შემთხვევაში სურდა ომის დაწყება. 1787 წლის 17 ივლისს სტამბოლში, რუსეთის ელჩ ბულგაკოვს, დიდ ვეზირ ხოჯა იუსუფ ფაშას მეშვეობით, შვიდი პუნქტისგან შემდგარი ულტიმატუმი გადაეცა [**სვანიძე, 2007: 257**]. ერთ-ერთი უკავშირდებოდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან ხელშეკრულების შეწყვეტას და თბილისიდან რუსული ჯარის გაყვანას. რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ პეტერბურგს ამ პირობების შესახებ აცნობებდა, თუცა ომი მაინც გარდაუვალი შეიქმნა [**Uzunçarşılı, 1998: 50**].

1787 წელს ოსმალეთი უკვე ულტიმატუმის ფორმით ითხოვდა ქართლ-კახეთის ოსმალეთის ნაწილად ცნობას და ყირიმზე უარის თქმას. ამის საბაბი გახდა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ს ტრიუმფალური ვიზიტი ყირიმში. რუსეთმა ეს წინადადება არ მიიღო, რასაც რუსეთის ელჩის იედიყულეს ციხეში გამომწყვდევით უპასუხა პორტამ. ეს კი თითქმის ომის გამოცხადების ტოლფასი იყო. ბრიტანეთის, საფრან-

გეთისა და პრუსიის მიერ წაქეზებულმა ოსმალეთის ხელისუფლებამ 1787 წლის 13 აგვისტოს ომი გამოუცხადა რუსეთს [**Ahmet Cevdet, 1892: 280**], რაც ასევე ავსტრიისათვის ომის გამოცხადებასაც ნიშნავდა, რადგან ცოტა ხნით ადრე რუსეთმა და ავსტრიამ სამხედრო კავშირი შეკრეს, რის შესახებაც იმ დროს სტამბოლში არ იცოდნენ. თანაც, საფრანგეთმა, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე ოსმალეთის იმპერიის მოკავშირე იყო, ლუი XVI დროს შეამცირა თავისი მხარდაჭერა ოსმალეთის იმპერიისადმი. 1786 წელს საფრანგეთმა ოსმალეთში მყოფი თავისი ოფიცრები და სამხედრო ექსპერტები უკან გაიწვია. გარდა ამისა 1787 წლის 11 იანვარს საფრანგეთმა ხელი მოაწერა რუსეთთან სავაჭრო და საკონსულო შეთანხმებას [**Anderson, 2001: 31**]. საინტერესოა, რომ ომში რუსეთის დაფინანსება ჰოლანდიელმა ბანკირებმა იკისრეს. მთლიანობაში მათი ვალი 57 მილიონ ფლორინს შეადგენდა [**Braudel, 1993: 477**].

ომის დაწყებამდე რუსების ყოფილმა მტერმა, შვედეთის სამეფომ, რომელსაც რუსეთთან თავისი ანგარიშები ჰქონდა, შესთავაზა ოსმალეთის იმპერიას რუსეთის წინააღმდეგ მოკავშირეობა. შვედეთის შეთავაზების თანახმად, თუ ოსმალეთის იმპერია შვედეთს ომის დროს და მის შემდეგ გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევდა, ომში მათთან ერთად ჩაებმებოდა. ოსმალები ამ შემოთავაზებას დათანხმდნენ. ამის შემდეგ, შვედეთმა 1788 წელს ომი გამოუცხადა რუსეთს, ავსტრიამ კი, იმავე წელს - ოსმალეთს. ომის მზარდი ხარჯების გამო პორტამ ვერ შეძლო შვედეთისთვის დაპირებული ფინანსების გამოყოფა. მიუხედავად ამისა, 1790 წლის ვერელის ხელშეკრულებით შვედეთმა ომიდან უდანაკარგოდ გამოსვლა მოახერხა [**Çapraz, 1997: 119**].

თემის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ჩვენ არ შევუდგებით ომის მთელი პერიპეტიების აღწერას. განვიხილავთ მხოლოდ კავკასიის ფრონტზე არსებულ მდგომარეობას. ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დაწყებამდე ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო კავკასიური ფრონტის მომზადება. 1787 წლის 24 აპრილითა და 10 მაისით დათარიღებულ დოკუმენტებში ჩანს, რომ ახალციხის მმართველს სულეიმან ფაშას, ტრაპიზონის ქალაქის შემოსავლების გამოყენებით ერზრუმის, ახალციხის, ახალქალაქისა და არდაგანის ციხეებისთვის საბრძოლო იარაღის, ჭურვების და ტყვიების შეგროვება მოუხდენია. გარდა ამისა, ახალციხის მმართველ სულეიმან ფაშას მეშვეობით ჩერქეზეთის, აფხაზეთის, დაღესტნის და ნოღაის ბატონებისთვის, ჯამში 113

ათასი ყურუში გაუგზავნიათ [**COA, DFE, 857**]. შედგა ახალი შეთანხმებები რეგიონში არსებული დიპლომატიური ურთიერთობების ფარგლებში.

ომის დაწყებამდე ოსმალეთის იმპერიამ სამხედრო ტექნიკა და საკვები მოიმარაგა, ასევე, დასავლეთ საქართველოში. 1786 წლის 20 ივლისს, ფოთის პორტში შევიდა ორი საბრძოლო და 15 სატრანსპორტო ხომალდი, დატვირთული საგზლითა და სამხედრო ტექნიკით. ამასთანავე, ფოთიდან მდინარე რიონამდე გაითხარა არხები და გაძლიერდა რეგიონის დაცვა [**ჩხატარაიშვილი, 1973: 749**]. ერეკლე II-სა და ახალციხის მმართველ სულეიმან ფაშას შორის დაძაბული ურთიერთობა სუფევდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ 1785 წელს სულეიმან ფაშამ ფული გამოუგზავნა ლეკ ომარ ხანს და სანაცვლოდ საქართველოზე გალაშქრება მოსთხოვა. ამის შემდეგ ომარ ხანმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი ზიანი მიაყენა ქართლ-კახეთს.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი საქართველოში იმყოფებოდა და ისინი, გეორგიევსკის შეთანხმების ფარგლებში, პასუხისმგებელნი იყვნენ საქართველოს დაცვაზე, თუმცა მათ ეს არ გაუკეთებიათ. ოსმალეთთან ბრძოლაში ქართული სამეფოები რუსეთის დახმარებისგან გარეშე დარჩნენ და მხოლოდ საკუთარი სამხედრო ძალით ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. 1787 წელს ოსმალეთ-რუსეთის ომის დაწყების შემდეგ, რუსეთმა თავისი ჯარები საქართველოდან მთლიანად გაიყვანა [**ლომსაძე, 1975: 97**]. პარალელურად კი რუსეთის ხელისუფლება ერეკლეს მათ მხარეზე ომში ჩართვისკენ მოუწოდებდა.

ომის დაწყებამდე, სულეიმან ფაშამ, ერეკლე II-ს დაზავება შესთავაზა. 1786 წლის 15 სექტემბერს ორი მხარის მოთხოვნების ამსახველი ხელშეკრულება, ერეკლემ სტამბოლში მყოფ დიდვეზირს გაუგზავნა, თუმცა ეს შეთანხმება არ შედგა [**ლომსაძე, 1975: 98**]. 1787 წლის 9 მაისს სტამბოლში გაგზავნილ მოხსენებაში ჩანს, რომ ახალციხის გამგებელ სულეიმან ფაშას კვლავაც სურს ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ლეკების გამოყენება. თუმცა, ომის დროს ერეკლეს მიერ ოსმალეთისადმი გამოვლენილი მეგობრული დამოკიდებულების გამო მიღებული იქნა გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ლეკების შეჩერების თაობაზე [**COA, C. HR., 552**].

ერეკლე მაინც არ გრძნობდა თავს უსაფრთხოდ, მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება 1787 წლის ზაფხულში გაფორმდა. ირანიდან მომდინარე საფრთხეების

გამო, ერეკლე ფიქრობდა ოსმალეთის იმპერიასთან ალიანსის შექმნას. ამიტომ, მან ორი ქართველი ბატონიშვილი გაუგზავნა მძევლად სულეიმან ფაშას [**Türker, Soofizadeh, 2015: 158, Gvosdev, 2000: 63**]. რუსებმაც ურჩიეს მეფეს, რომ თუ უნდოდა თავი დაეცვა ოსმალეთის თავდასხმებისგან, მაშინ ახალციხის ფაშასთან უნდა დაემყარებინა კარგი ურთიერთობა [**Gvosdev, 2000: 63**]. ქართული წყაროების მიხედვით, მძევლები გაიგზავნა სულეიმან ფაშას მოთხოვნით ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად [**გოგოლაური, 2018: 125**]. რა თქმა უნდა, ამ ხელშეკრულების განხორციელებისას, ერეკლე II მიზნად ისახავდა, რომ დაეცვა თავისი მიწები ოსმალეთის შესაძლო თავდასხმისგან [**კოჟორიძე, 1987: 25**]. ამიტომ იყო მითითება, ერეკლესთან ფრთხილად ყოფილიყვნენ და შესაბამისი ბრძანების გარეშე არანაირი მოქმედება განეხორციელებიათ [**COA, HAT, 1220**].

თუმცა, ომის დაწყებისთანავე ამ ხელშეკრულებამ აზრი დაკარგა [**გოგოლაური, 2018: 127**]. 1788 წელს, ახალციხის მმართველმა სულეიმან ფაშამ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელა თავდასხმები და მრავალი ტყვე თუ ნადავლი იგდო ხელთ.

1787 წლის სექტემბერში კავკასიის რუსული არმია ანაპასა და სუჯუკ-კალეს (ნოვოროსიისკი) ციხეებს სამ გზით დაესხა თავს. რუსული არმია განადგურდა, მაგრამ ჯილეჰოიში (ყაბარდოს ტერიტორია) გამართულ ბრძოლაში ოსმალთა არმია დაამარცხა და უკან დაიხია [**Berkok, 1958: 387**]. ომის მსვლელობისას სტამბოლში დიდი ვეზირის მონაწილეობით გაიმართა შეხვედრა, რათა გადაეწყვიტათ, თუ რა დამატებითი ღონისძიებები გაეტარებინათ რუსული თავდასხმების მოსაგერიებლად. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საჩუქრები გაეგზავნათ კავკასიის მმართველთათვის მათი გულის მოსაგებად და ეს ქუთაისელ მეჰმედ ბეგს დაავალეს. ის სულთნის საჩუქრებით და მოსაწვევით ჩავიდა ყაბარდოში, ჩერქეზეთსა და დაღესტანში და ბრძოლაში ოსმალეთის მხარდაჭერა ითხოვა. ამას დადებითი გამოხმაურება ჰქონდა [**Gökçe, 1972: 9**].

1788 წელს ახალციხის მმართველმა სულეიმან ფაშამ დარიალის ხეობის სამხედრო გზის გასანადგურებლად, რომელსაც რუსები იყენებდნენ, ქართლ-კახეთის მიწებზე განახორციელა თავდასხმა. ოსმალეთის იმპერიამ განაცხადა, რომ თავდასხმა

გზის მოშლის სანაცვლოდ შეწყდებოდა, თუმცა ერეკლემ განაცხადა, რომ გზას ვერ გაანადგურებდა, რადგან რუსებს ტყვეების სახით მისი შვილები ჰყავდათ ხელთ [COA, HAT, 1221]. ერეკლე II-მ ოსმალური თავდასხმებისგან თავის დასაცავად და ირანსა და კავკასიას შორის სავაჭრო ურთიერთობის მოსპობის მიზნით, რუსეთს ფულისა და ჯარისკაცების სახით დახმარება სთხოვა, თუმცა უარი მიიღო. 1788 წელს გენერალმა პოტიომკინმა მეფეს წერილი გაუგზავნა და იმერეთის მეფე სოლომონთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მიიწვია, თუმცა ეს შემოთავაზება მეფემ მეომართა არასაკმარისი რიცხვის გამო ვერ მიიღო [Gvosdev: 2000, 64]. ის დაჰყვა ანტირუსული პოზიციის ქართველი ბატონების რჩევას და გეორგიევსკის ტრაქტატის მიუხედავად, ომში ოფიციალურად ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. თუმცა, ოფიციალურად ომის გამოცხადების გარეშე წამოიწყო საპასუხო თავდასხმები ახალციხეზე. ერეკლეს შვილიშვილმა და ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილმა 1789 წელს ყარსი გაძარცვა და აურაცხელი ნადავლით საქართველოში დაბრუნდა [გოგოლაური, 2018: 127]. 1789 წლის 15 სექტემბერს კი ახალქალაქის მხარეს მდებარე ახალციხის სოფლები გაძარცვა [კოჟორიძე, 1987: 76].

1788 წელს, სამეგრელოს მთავარს შვილი გრიგოლი, რომელიც სამეგრელოს ტახტის კანდიდატად არ დასახელდა, აუჯანყდა. ამ აჯანყების ჩახშობაში დიდი როლი შეასრულა ერეკლე II-მ. გრიგოლი 1789 წელს ახალციხეში გაიქცა და სულეიმან ფაშას შეაფარა თავი [მაკალათია, 1941: 142].

ომის დროს სტამბოლში ჩავიდა ინფორმაცია, ახალციხის მმართველ სულეიმან ფაშასა და ერეკლე II-ს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარების შესახებ. 1788 წლის 30 დეკემბრის დოკუმენტის მიხედვით, სულეიმან ფაშა ხელს იღებდა თბილისზე შეტევისა და ერეკლე II-ს ტახტიდან ჩამოგდების სურვილისაგან და ეს ყველაფერი სტამბოლს, ერზრუმის მმართველ სეიდ აჰმეთ ფაშას კაცების მეშვეობით შეატყობინა. 1789 წელს ერეკლე II-მ წერილი გაუგზავნა სულეიმან ფაშას, რათა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან. მან განაცხადა, რომ ის რუსების მხარეს არ დაიჭერდა და რომ სურდა ოსმალებთან ერთად მოქმედება. ამასთან დაკავშირებით, დაღესტანის ხანმა სტამბოლში წერილებიც აფრინა და ეჭვი გამოთქვა სულეიმან ფაშასა და ერეკლეს შორის შესაძლო ალიანსთან დაკავშირებით.

სულთანმა ბრძანა, რომ ამ საქმეს სათავეში ვეზირი ჩადგომოდა და რომ გამოძიება საიდუმლოდ ჩაეტარებინა, თუმცა უშედეგოდ [**Nusel, 2015: 95**]. მიუხედავად იმისა, რომ 1786-88 წლებში ახალციხესა და ქართლ-კახეთს შორის ურთიერთობა ოფიციალური იყო, იგი ძირითადად შედგებოდა სულეიმან ფაშას და ერეკლეს პირადი ურთიერთობებისგან [**ლომსაძე, 1997: 158**]. ეს სიტუაცია ოსმალეთის მმართველობას აწუხებდა. სტამბოლი, მიუხედავად იმისა, რომ ფაშას ზოგ საკითხში უჩიოდა, ომის პერიოდისა და ფაშას ასაკის გამო ის მოვალეობიდან მაინც არ გადააყენა. სულეიმან ფაშა 1791 წლის 7 თებერვალს, ომის დასრულებამდე გარდაიცვალა [**ლომსაძე, 1997: 158; Süreyya, 1996:1544**].

1788 წელს რუსებმა, გენერალ პეტრე ტეკელს კავკასიაში რუსეთის არმიის ხელმძღვანელობა გადასცეს. გენერალი თავს დაესხა ჩერქეზთა ტერიტორიას 1788 წლის აპრილში, 15.000 ჯარით. 1788 წლის 24 იანვარს ოსმალეთის იმპერიამ ბათთალ ჰუსეინ ფაშა დანიშნა ტრაპიზონის მმართველად და ანაპის ციხის დამცველად. მასვე ებრძანა 10.000 ჯარისკაცით ანაპაში წასვლა [**COA, C. AS, 6584**]. სულთანი ცდილობდა ფაშას მოტივირებას იმით, რომ რუსული მიწები, რომელთაც ხელთ იგდებდა, ბათალ ფაშასი იქნებოდა [**Fedakar, 2010: 102**]. ფაშასთვის ამ ამბის მიტანა ქუთაისელ მეჰმედ ბეგის დაევალა, რომელმაც ფაშას ჯანიკის სანჯაყში (ოსმალეთის პროვინცია, რომელიც მდებარეობს ანატოლიაში და რომლის ცენტრი არის სამსუნი) გადასცა ბრძანება. თუმცა ფაშა, მეჰმედ ბეგის ცუდად მოექცა და სხვადასხვა მიზეზით არ მოინდომა ანაპას ციხეში წასვლა. მიუხედავად ამისა, მეჰმედ ბეგი მარტო წავიდა ანაპას ციხეში. იქ მყოფთ მან განუცხადა, რომ ჯარი მალე მოვიდოდა და შეეცადა ჯარისკაცების მორალური მდგომარეობის ამაღლებას [**Gökçe, 1972:12**].

რადგან ბათთალ ჰუსეინ ფაშა ანაპას ციხეში ჩასვლას აგვიანებდა (ფაშა მუდმივად დებდა ანაპას ციხე-სიმაგრეში წასვლას, რადგან ტრაპიზონის მაღალჩინოსნებთან ძალაუფლებისათვის იბრძოდა), ჩერქეზმა ტომებმა მეტხანს ვერ მოიცადეს და 15.000 ჯარისკაცით რუსებს თავს დაესხნენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსებს დიდი დანაკარგი ანახეს, არტილერიის ნაკლებობისა და ჯარის ნაწილის დაკარგვის გამო, უკან დაიხიეს [**Ahmet Cevdet, 1892: 135**]. 1788 წლის შემოდგომაზე რუსები ამჯერად ანაპას ციხეს თავს დაესხნენ, თუმცა, როდესაც მიხვდნენ რომ ციხეს ვერ აიღებდნენ, ყუბანის

მდინარის ჩრდილოეთით უკან დაიხიეს. ამ მოვლენების შემდეგ, 1789 წლის ივნისში ბათთალ ჰუსეინ ფაშას მკაცრი ბრძანება გაეგზავნა, რათა დაუყოვნებლივ წასულიყო ანაპას ციხე-სიმაგრეში [**COA, C. AS, 1938**]. ბათთალ ჰუსეინ ფაშა იძულებული გახდა ბრძანება შეესრულებინა. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მას 10.000 ჯარისკაცი გამოუყვეს, ციხე-სიმაგრეში ტრაპიზონში შეგროვებული რამდენიმე ასეული ჯარისკაცით წავიდა.

მას შემდეგ, რაც ბათთალ ჰუსეინ ფაშა ანაპას ციხეში მივიდა, იგი ტრაპიზონის მმართველის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მისი ადგილი დაიკავა ქართული წარმოშობის სარი აბდულაჰ ფაშამ. რამდენიმე ხნის შემდეგ ის დაინიშნა ერზრუმის მმართველადაც. სარი აბდულაჰ ფაშას, თანამდებობაზე დანიშვის შემდეგ, ტრაპიზონსა და მის შემოგარენში ჯარისკაცების შეკრება და მათი ანაპასა და სუჯუკ-კალეს ციხე-სიმაგრეებში გაგზავნა დაევალა. ფაშამ 22.000 ჯარისკაცი შეკრიბა და აღნიშნულ ციხეებში ზღვით გაგზავნა [**Bilge, 2015: 300**].

1789 წელს ოსმალეთსა და რუსეთს შორის სამშვიდობო ინიციატივები გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროპაში რუსეთს უფრო ხელსაყრელი პოზიცია ეკავა, ვიდრე ოსმალეთის იმპერიას, საფრანგეთის რევოლუციის ახალი პოლიტიკური სიტუაცია მას მაინც აწუხებდა. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ინგლისი მხარს უჭერდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთის ერთ-ერთი შეშფოთების საგანს წარმოადგენდა. ამ მიზნით რუსეთმა მშვიდობა შესთავაზა ოსმალეთის იმპერიას, იმ პირობით, რომ ბალკანეთსა და კავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები კვლავ მას დარჩებოდა და მიიღებდა კომპენსაციას. თუმცა ოსმალეთის იმპერიამ უარყო ეს მოთხოვნები, რადგან იცოდა, რომ ამ მიწების დაკარგვა მომავალში სერიოზულ შედეგებს გამოიწვევდა. რუსეთს ამ შეთანხმების მიღწევა ინგლისის გამოყენებით სურდა, მაგრამ ინგლისმა ეს მოთხოვნები უარყო, როგორც გადაჭარბებული. ამდენად, სამშვიდობო ინიციატივები ჩავარდა [**Koçak: 2017, 470**].

ამ მიზეზების გამო, ცვლილებები მოხდა რუსეთის არმიის ხელმძღვანელობაში. გენერალ პ. ტეკელი 1790 წლის იანვარში გაათავისუფლეს და რუსეთის არმიის მეთაურად დაინიშნა გენერალი სალტიკოვი. რომელმაც 12.000 ჯარისკაცით ყუბანის მდი-

ნარე გადაკვეთა და ჩერქეზეთის ტერიტორიას დაესხა თავს. მან რუსი ჯარისკაცების შესაჩერებლად მოსული ოსმალეთის არმია, შაიკას რაიონში დაამარცხა. ამის შემდეგ, ჩილდირის გამგებელმა სულეიმან ფაშას რჩევით, ქუთაისელი მეჰმედ ბეგი დახმარების სათხოვნელად ჯერ ანაპას ციხეში, შემდეგ კი ყუბანის კავკასიურ ტომებში გაგზავნა. ჩერქეზული ტომები დადებითად გამოეხმაურნენ მეჰმედ ბეგის ამ თხოვნას და გაერთიანებულმა ოსმალეთ-ჩერქეზულმა არმიამ, 1790 წლის 24 მარტს წითელ ტყეში, რუსეთის არმია დაამარცხა [**Bilge, 2015: 300**]. ამ ომში რუსეთმა 5.000 ადამიანი დაკარგა და რუსულმა არმიამ ყუბანის მდინარის მიღმა უკან დაიხია. ბათთალ ჰუსეინ ფაშამ სტამბოლში გამარჯვების ახალ ამბავთან ერთად 200 რუსი ჯარისკაცის მოჭრილი თავიც გაგზავნა [**COA, HAT, 55537**]. ჩერქეზულმა ტომებმა ამ დამარცხებით ისარგებლეს, რუსეთის მიწებს თავს დაესხნენ და ქალაქი და სოფლები გაანადგურეს. 1790 წლის 6 აპრილს ლეკები თავს დაესხნენ ჯავახეთის რეგიონს და მრავალი ქრისტიანი გამოასალმეს სიცოცხლეს [**კოჟორიძე, 1969: 67**].

მალე სულთან სელიმ III-მ კავკასიაში მყოფი ოსმალეთის არმიის ყაბარდოს ტერიტორიაზე შესვლის ბრძანება გასცა. 1790 წლის 8 აგვისტოს, ბათთალ ჰუსეინ ფაშამ ანაპას ციხიდან 30.000 ჯარისკაცითა და 31 ზარბაზნით იქით გადაინაცვლა [**COA, C. AS, 924-39954**]. ყაბარდოელთა მემკვიდრეებმაც პირობა მისცეს ფაშას, რომ მასთან ერთად იბრძოლებდნენ.

აქვე რამდენიმე წინადადებით უნდა შევეხოთ იმამ მანსურის მოძრაობას. რუსეთის წინსვლამ სამხრეთისკენ, სამხედრო სიმაგრეების მშენებლობამ და კაზაკების ჩასახლებამ მათ მიწაზე გამოიწვია ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის მძაფრი პროტესტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა შეიხი მანსური. ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიელი ტომები ცდილობდნენ ოსმალეთის არმიასთან ჰარმონიულ მოქმედებაში ყოფილიყვნენ. ომის დროს ოსმალეთის იმპერიამ ბევრ გზას მიმართა, რათა გაეგო ინფორმაცია კავკასიაში იმამ მანსურის პოზიციის შესახებ, თუმცა უშედეგოდ. შესაბამისი ბრძანებები დაეგზავნათ შავიზღვისპირა რეგიონში ოსმალეთის საფაშოებს, რომ გაერკვიათ ჩრდილოეთ კავკასიაში იმამ მანსურის პოლიტიკური შეხედულებები და გაეგოთ რეგიონში არსებობდა თუ არა საფრთხე ოსმალეთის ინტერესებისთვის. 1787 წელს ბრძანება გაეგზავნა ახალციხის მმართველს, სულეიმან ფაშას.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, ახალციხის მმართველი სულეიმან ფაშა დაუკავშირდა დაღესტანს, რომელთანაც მას კარგი ურთიერთობები ჰქონდა და იმამ მანსურის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას შეუდგა. სულეიმან ფაშა სტამბოლში გაგზავნილ ანგარიშებში, ლეკებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, აცხადებდა, რომ იმამ მანსურს დიდი გავლენა ჰქონდა რეგიონში და რომ ის ქარიზმატული ლიდერი იყო. მან ასევე დაარწმუნა სტამბოლის მმართველობა, რომ დაღესტნის ხანების სიტყვა რეგიონში პირველი იყო [**Yüksel, 2012: 193**]. იმამი მანსური 1785 წელს რუსების წინააღმდეგ გამარჯვების შემდეგ, ოსმალეთის სულთან აბდულჰამიდ II-ს წერდა, რომ კავკასიური ტომები იბრძოდნენ, რათა ოსმალეთის იმპერიისათვის ერთგულება დაემტკიცებინა. ამით მან ოსმალეთის იმპერიის ნდობა მოიპოვა [**Kuzucu, 2012:49**]. თუმცა, ამის მიუხედავად, კავკასიურ ტომებსა და ოსმალეთის ჯარს შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარება ვერ მოხერხდა [**Temizkan, 2013: 30**].

ამიტომაც იყო, რომ ბათთალ ფაშა, როდესაც სისწრაფე საჭირო იყო, ნელა მოძრაობდა და ანაპას ციხიდან ყუბანამდე 12 დღიან მარშრუტს თვენახევარი მოანდომა. ოსმალეთის არმია ყუბანის გადაკვეთის შემდეგ არ მიჰყვა რუსულ არმიას და დაელოდა მათ. გენერალ ჰერმანს 3.600 რუსი ჯარისკაცი ჰყავდა. თუმცა, ბათთალ ჰუსეინ ფაშამ რუსების წინააღმდეგ მთელი არმიის ნაცვლად გააგზავნა მხოლოდ 500 კაცი. ისინი რუსებმა დაამარცხეს და პანიკით მოცულებმა უკან დაიხიეს. ბათთალ ჰუსეინ ფაშა კი მტერს ჩაბარდა. გადარჩენილებმა 1790 წლის 20 ოქტომბერს ანაპას ციხე-სიმაგრეს მიაღწიეს [**Ahmet Cevdet, 1892: 144**].

არსებობს ეჭვი, რომ ბათთალ ჰუსეინ ფაშა რუსეთთან ამ კონფლიქტამდე თანამშრომლობდა. ერთი ცნობით, ანაპას ციხეში მთავარსარდლობის პერიოდში, ფაშას ცუდი ქცევის გამო, მისი გათავისუფლება გადაწყდა, რის გამოც მან თავი რუსებს შეაფარა [**Karagöz, 1993: 152**]. სხვა ავტორთანაც გაზიარებულია ეჭვი, რომ ფაშა რუსეთთან კავშირში იმყოფებოდა [**Güneş Yağcı, 2004: 23**].

მას შემდეგ, რაც ბათთალ ჰუსეინ ფაშა რუსებს ჩაბარდა, ჩერქეზულმა ტომებმა ქუთაისელი მეჰმედ ბეგი სტამბოლში ელჩად გაგზავნეს, რათა ახალი მთავარსარდალი დაენიშნათ. 1791 წლის აპრილში ერზრუმის გამგებელი სარი აბდულაჰ ფაშა ანაპას ციხის გამგებელი გახდა [**COA, HAT, 10268**]. ჩერქეზულ ტომებს გადაეგზავნათ

წერილი მოწოდებით, რომ ახალ ფაშასთან ერთად ემოქმედათ რუსეთის წინააღმდეგ [**Kuzucu: 2012, 67**]. მუსლიმი კავკასიელები, რომლებიც ხედავდნენ ოსმალეთის არმიაში არსებულ პრობლემებს, კარგად ხვდებოდნენ, რომ ამ ბრძოლაში ოსმალები მათ დახმარებას ვერ გაუწევდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მეგობრული და მოკავშირული ურთიერთობები ოსმალეთის იმპერიასთან [**Berkok, 1958: 394**]. ამ პერიოდის განმავლობაში კვლავ შეიცვალა რუსული არმიის ხელმძღვანელობა. 1790 წლის 28 დეკემბერს გენერალი გუდოვიჩი ყუბანის რუსული არმიის უფროსად დაინიშნა [**Gvosdev, 2000: 67**].

ანაპას ციხის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ყირიმის დაკარგვის შემდეგ. მანამდე ოსმალეთის იმპერია, ყირიმის ხანის მეშვეობით, ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობას ინარჩუნებდა. თუმცა, ყირიმის დაკარგვის შემდეგ, ის ანაპას ციხემ ჩაანაცვლა [**Baddeley, 1908: 52**]. გენერალმა გუდოვიჩმა, რომელმაც ანაპას ციხის მნიშვნელობას კარგად იცოდა, გადაწყვიტა შეტევა. რუსები ანაპას დაეცნენ 1790 წელს, თუმცა, მაშინ არასაკმარისი სამხედრო ძალებისა და ოსმალთა თავდასხმების გამო, ალყა მოხსნეს [**Spencer, 1854: 297**]. ახლა კი, უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფმა გუდოვიჩმა 1791 წლის 9 ივნისს, 12.000 ჯარისკაცით ანაპას ციხე-სიმაგრეს ალყა შემოარტყა. 1791 წლის 22 ივნისს, ანაპა რუსებმა დაიკავეს. ქალაქში 5.900 მამაკაცი და 7.588 ქალი ტყვედ ჩაიგდეს. ტყვეებს შორის იყო ასევე იმამ მანსურიც. ის პეტროგრადის მახლობლად მდებარე ციხე-სიმაგრეში გამოკეტეს, სადაც გარდაიცვალა [**Berkok, 1958: 398**]. ანაპას ციხე, მისი აღების შემდეგ, გენერალ გუდავიჩის ბრძანებით განადგურდა. სარი აბდულა ფაშა კი დაუმორჩილებლობის გამო, გადააყენეს. კავკასიაში ანაპის ციხის დაკარგვის შემდეგ, ოსმალეთის არმიამ სუჯუკ-კალეს ციხე დააცარიელა. ამგვარად, რუსებმა სუჯუკ-კალეს ციხე 1791 წლის ივლისში დაიკავეს, მაგრამ ჩერქეზული თავდასხმების გამო ისინი იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ.

ამ მარცხის შემდეგ, ოსმალეთმა რუსეთს სამშვიდობო მოლაპარაკებები შესთავაზა. რუსეთმა გადაწყვიტა გაეგრძელებინა ომი, მისი უპირატესობის გამო. მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის შედეგად შექმნილი ნაციონალისტური გარემო, რუსეთის მრავალეროვანი იმპერიისთვის საშიში იყო. რუსეთი, რომელსაც ევროპაში განვითარებული მოვლენები აწუხებდა და რომელმაც ნაციონალისტური მოძრაობების წი-

ნააღმდეგ ზომების მიღება გადაწყვიტა, იძულებული გახდა მშვიდობის დამყარებას დათანხმებოდა [**Allen, 1932: 212**].

შედეგად, 1791 წლის 4 აგვისტოს ოსმალეთის იმპერიასა და ავსტრიას შორის გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება. ოსმალეთ-რუსეთის ომი კი დასრულდა 6 თვის შემდეგ, 1792 წლის 9 იანვრის იასის ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით: რუსები დათანხმდნენ დასავლეთ სანაპიროზე ოსმალეთისთვის წართმეული მიწები უკან დაებრუნებიათ და ყუბანის მდინარე გახდა ამ ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი; ოსმალეთის იმპერიამ აღიარა, რომ ყირიმის და ტამანის რეგიონები რუსეთის ტერიტორია იყო; ოსმალეთის იმპერიამ მიიღო ქართლ-კახეთის სამეფოზე რუსული ბატონობა; ახალციხის ფაშებს და ამ მხარეში ოსმალეთის სასაზღვრო ჯარებს აეკრძალა ქართლ-კახეთის მიწებზე თავდასხმა და ნებისმიერ მათ კრიზისში ჩარევა; თუ ახალციხეში მყოფი მეომრები, სტამბოლიდან ნებართვის გარეშე თავდასხმას განახორციელებდნენ, ამაზე პასუხისმგებლობა სტამბოლს ეკისრებოდა; ასევე, თუკი ჩრდილოეთ კავკასიური ტომები რუსებს თავს დაესხმებოდნენ, ამაზე პასუხისმგებელი ოსმალები იქნებოდნენ და ზარალსაც ისინი აანაზღაურებდნენ [**ლომსაძე, 1975: 100**].

იასის ხელშეკრულების დადებისთანავე ოსმალეთის იმპერიამ რუსებს ბათთალ ჰუსეინ ფაშას გადაცემა სთხოვა, მაგრამ რუსეთი ამას არ დათანხმდა [**Bilge, 2015: 304**]. 1798 წელს რუსებმა პატიების პირობით, ჰუსეინ ფაშა ოსმალეთს გადასცა. ამის შემდეგ ის ტრაბზონის გამგებელი გახდა და ეს პოზიცია ეკავა გარდაცვალებამდე, 1801 წლამდე [**Süreyya, 1996: 718**].

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერიას ომში გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, რეგიონში ფაშებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლის, ბრძანებების დაუმორჩილობისა და ჯარის შეკრებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მან ეს უპირატესობა დაკარგა. კავკასიის ფრონტზე გაგზავნილ მეთაურებს ძირითადი მოვალეობა დაავიწყდათ და ერთმანეთს დაუწყეს ბრძოლა. ეს ცუდ მდგომარეობაში მყოფი რუსეთისთვის სასარგებლო აღმოჩნდა და ამით შეძლეს თავის გადარჩენა. სწორედ ეს იყო კავკასიაში ოსმალეთის ჯარის დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. გარდა ამისა, კავკასიურ ხალხთა შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლამ კავ-

კასიის მაჰმადიანური ძალა დაასუსტა და ეს მდგომარეობა გახდა რუსეთის წინაშე დამარცხების საწინდარი.

საბოლოოდ, იასის ხელშეკრულებით ოსმალეთის იმპერია იძულებული გახდა დათანხმებოდა ყირიმის რუსეთის ტერიტორიად ცნობას და ქართლ-კახეთის სამეფოს მათი ქვეშევრდომობის ქვეშ მოქცევას. ამას კი საბოლოოდ საქართველოს დაპყრობა მოჰყვა.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ სულეიმან ფაშასა და ერეკლე II-ს სურდათ მათ შორის დაძაბულობა ხელშეკრულებით მოეგვარებინათ, ოსმალეთ-რუსეთის ომმა ამის საწინააღმდეგოდ იმოქმედა. ქართლ-კახეთის ბატონიშვილთა რუსეთში მძევლად ყოფნამ ერეკლე II-ს ხელები შეუკრა. ასეთ მდგომარეობაში, მას სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ოსმალეთის თავდასხმებისთვის ეპასუხა. ახალციხის გუბერნატორი, სულეიმან ფაშა, ცდილობდა საქართველოში ოსმალეთის ზარალის ანაზღაურებას. როგორც ამ კონფლიქტის, ისე ოსმალეთ-რუსეთის ომის გამო, ქართველებმა მიმართეს ანტიოსმალურ პოლიტიკას. მთელი ომის განმავლობაში ქართლ-კახეთის სამეფო ცდილობდა ახალციხის დამორჩილება. [**გოგოლაური, 2018: 127**]. ერეკლე ცდილობდა ოსმალეთის წინააღმდეგ, სოლომონთან ერთად ემოქმედა, რომელიც ფოთისა და აჭარის ხელში ჩაგდებას ლამობდა. მათი ეს მცდელობები უშედეგოდ დასრულდა.

§3. პოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ კავკასიასა და ახალციხეში 1792-1806 წლებში

1787-91 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, როგორც ოსმალეთმა, ასევე რუსეთმა გადადგეს ნაბიჯები, რათა საზღვრები დაეცვათ და გრძელვადიანი მშვიდობა უზრუნველეყოთ. ოსმალეთის იმპერია განსაკუთრებულად დაინტერესდა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ანაპას ციხის გაძლიერებით. მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს რუსებმა აიღეს ანაპას ციხე, იასის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, იგი ოსმალებს დარჩათ. ამ მიზნით, ქოჯა იუსუფ ფაშა ციხე-სიმაგრის უფროსად დაინიშნა. 1794-95 წლებში მოხდა ციხის რესტავრაცია [**COA, C. AS, 5873-7769**]. რუსეთმა კი დაიწყო მუშაობა ყუბანის და თერგის ხაზების გაძლიერებისათვის [**Traho, 2007: 44**].

აღნიშნულ პერიოდში ყველაზე დიდი საფრთხე საქართველოსათვის და, განსაკუთრებით, ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ირანიდან მოდიოდა. როდესაც ირანში ზენდების მმართველობა შესუსტდა, ყაჯარებმა (თურქმანული ტომი) ხელთ იგდეს ირანის მმართველობა. 1786 წელს აღა მაჰმად ხანის ტახტზე ასვლით დაიწყო ყაჯართა დინასტიის პერიოდი [**Türker, Soofizadeh, 2015: 155**]. ირანი, ტრადიციულად, საკუთრად განიხილავდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიებს და აცხადებდა, რომ როგორც ოსმალეთის, ასევე რუსეთის წინააღმდეგ საქართველოზე უფლება ჰქონდა. 1787-92 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, აღა მაჰამდ ხანმა ისარგებლა ოსმალეთისა და რუსეთის სისუსტით და კვლავ სამხრეთ კავკასიაში დომინირება გადაწყვიტა. მას შემდეგ, რაც ის ტახტზე ავიდა, ერეკლე II-ს წერილი გაუგზავნა, სადაც მეგობრობასა და მფარველობას სთავაზობდა. აღა მაჰმად ხანმა რუსეთისგან ქართლ-კახეთის სამეფოზე უფლებების აღიარება მოითხოვა და ქართლ-კახეთის დარბევისათვის დაღესტნის ხანების პროვოცირება მოახდინა [**Bilge, 2015: 314**].

სავარაუდოა, რომ ერეკლე II-მ მომავალი საფრთხე წინასწარ განსაზღვრა და 1790 წელს იმერეთის მეფე სოლომონ II-თან, სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანთან და სიმონ გურიელთან ხელი მოაწერა ალიანსს, რომლის მიხედვითაც საქართველოზე

თავდასხმის შემთხვევაში, მათი ჯარი ერეკლე II-ს დროშის ქვეშ გაერთიანდებოდა [**ბერძენიშვილი, 1965: 235**].

იასის ზავის შემდეგ ერეკლე II-მ ოსმალეთში ელჩი გაგზავნა და მშვიდობის სურვილი გამოთქვა [**COA, C. HR., 7253-1**]. ამის საპასუხოდ პორტამ განაცხადა, რომ ხელშეკრულებას ხელს მოაწერდა, თუ დარიალის სამხედრო გზას მოარღვევდა [**COA, C. HR., 7253-2**]. ერეკლე II-მ გზის დანგრევისათვის ოსმალებს მუშების გამოგზავნა სთხოვა, თუმცა ამაზე უარი მიიღო, რადგან ოსმალეთის ხელისუფლების აზრით, ეს იასის შეთანხმების საწინააღმდეგო იყო და ამას შესაძლოა რუსეთთან პრობლემები გამოეწვია. მალე, ერეკლე II-მ, ერევნის ხანმა მეჰმედმა, თალიშის ხანმა მირ მუსტაფამ და ყარაბაღის ხანმა ჰალილმა ირანის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება გადაწყვიტეს [**Bilge, 2015: 314**]. ერეკლემ იცოდა, რომ თუ ყარაბაღის სახანოს დაიპყრობდა ირანი, მაშინ იგი შემოიჭრებოდა ქართლ-კახეთის სამეფოში. ამ მიზეზით, 1795 წლის ივნისში მეფემ იბრაჰიმ ჰალილს ათასი ჯარისკაცი გაუგზავნა [**თაბუაშვილი, 2011: 252**]. მიუხედავად ამისა, იბრაჰიმი ბრძოლაში დამარცხდა და შუშის ციხეს შეაფარა თავი. ირანელებმა ციხეს ალყა შემოარტყეს. ყარაბაღი გახდა ირანის სახანო.

აღნიშნულ პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოში, როგორც რუსეთის, ასევე ირანის ორიენტაციაც განიხილებოდა. თანდათან აღა მაჰმად ხანის მუქარა ერეკლე II-ს წინააღმდეგ უფრო გაძლიერდა. ამ საფრთხეების გამო, ერეკლემ გენერალ პოტიომკინთან შესახვედრად, რუმინეთში, იასიში ელჩი სულხან თუმანიშვილი გაგზავნა. შეხვედრის შედეგად, რუსეთი დათანხმდა მეფისთვის ფინანსური და სამხედრო დახმარების გაწევას. თუმცა, ეს შეთანხმება გაუქმდა 1793 წელს, რადგან რუსები იმ დროს ოსმალეთთან მშვიდობიან ურთიერთობაში იმყოფებოდნენ [**თაბუაშვილი, 2012, 241**]. რუსეთმა გადაწყვიტა, რომ რაკი ირანი რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა, პირიქით ირანს დახმარებოდა თუ ქართლ-კახეთის წინააღმდეგ წავიდოდა და ამ საქმისთვის დანიშნა გენერალი გუდოვიჩი [**კაჭარავა, 1998: 274**]. ტრაქტატის ძალით რუსეთის მთავრობა ვალდებული იყო, ერეკლეს დახმარებოდა, მაგრამ მოკავშირე-მფარველის დანაპირები არ ჩანდა [**რეხვიაშვილი, 1982: 233**]. ერეკლე II-მ, რომელიც რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, დასახმარებლად ოსმალებს მიმართა. მან 1794 წელს

ახალციხის გავლით სტამბოლში ელჩები გაგზავნა [**ლომსაძე, 1997: 174**]. პარალელურად, მეფემ გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-თან შესახვედრად პეტერბურგში გაგზავნა [**დუმბაძე, ცქიტიშვილი, 1973: 756**].

აღა მაჰმად ხანი, ერეკლე II-სა და აზერბაიჯანის სახანოს შორის დადებული ალიანსის წინააღმდეგ წავიდა და 1794 წელს შემახა დაიპყრო. 1795 წელს, როდესაც შაჰმა იქაურობა დატოვა, მუსტაფა ხანმა ქალაქი კვლავ დაიბრუნა. 1795 წლის აგვისტოში ირანმა, ერევანი და ყარაბაღი დაიპყრო [**Ahmet Cevdet, 1892: 205**].

ამის შემდეგ შაჰმა წერილი გაუგზავნა ერეკლე II-ს და განუცხადა, რომ ირანი თანახმა იყო არ შეხებოდა ქართლ-კახეთს, თუ ხარკის გადახდაზე დათანხმდებოდა და მას დაემორჩილებოდა [**Hambly, 1991: 127**]. ერეკლე II ამ შემოთავაზებას არ დათანხმდა, რადგან რუსეთს უფრო ენდობოდა. ამის საპასუხოდ შაჰმა 35.000 კაციანი ჯარი ქართლ-კახეთის წინააღმდეგ გამოგზავნა. ზოგ წყაროებში მითითებულია, რომ ჯარისკაცთა რაოდენობა 40.000 იყო [**Türker, Soofizadeh, 2015: 161**]. ერეკლე II-ს მიერ 1795 წლის ივნისში შედგენილი გეგმის მიხედვით, თუკი იგი შეძლებდა ქართველი ხალხის მობილიზებას, მაშინ დაღესტნელებისაგან შეკრებილ ძალებთან ერთად, მისი ჯარი დაახლოებით 25.000 კაცს მიაღწევდა [**თაბუაშვილი, 2011: 238**].

შაჰის ჯარმა, 1795 წლის 10 სექტემბერს, კრწანისის ბრძოლაში, ერეკლე II დაამარცხა და 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისში შეიჭრა [**გელაშვილი, 2016: 41**]. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, დასახმარებლად მოსული იმერეთის ჯარი პანიკაში ჩავარდნილა, უკან დაუხევია, თან იქაურობა გაუძარცვავთ [**Çünatıko, Yusuf İzzet, 2009: 58; Allen, 1971: 213**]. სოლომონი დაახლოებით 2.000-3.000 კაციანი ჯარით მისულა დასახმარებლად, ბრძოლის შემდეგ კი 1.500 ჯარისკაცით იმერეთში დაბრუნებულა [**Türker, Soofizadeh, 2015: 161; რეხვიაშვილი, 1992: 185-188**].

ირანის ჯარმა 6 დღე-ღამე ძარცვა თბილისი, მრავალი მოქალაქე გამოასალმა სიცოცხლეს, 30.000-მდე კი ტყვედ წაიყვანა გადამწვარი დედაქალაქიდან [**Hambly, 1991, 129**]. ბრძოლის დროს ახალციხის გამგებელს შერიფ ფაშას, ირანის ჯარისთვის საკვებით დახმარება გაუწევია [**ლომსაძე, 1975: 100**]. რა თქმა უნდა, ფაშას ეს მიდგომა 1787-92 წლების ომის შემდეგ კავკასიაში ოსმალეთის იმპერიის ნეიტრალიზაციის პოლიტიკის შედეგი იყო. ფაშას მიერ ირანის ჯარისკაცებზე სურსათით დახმარება

გამოწვეული იყო ირანთან ახალი ომის წამოწყების სურვილით [**გიგინეიშვილი, 1981: 1219**].

თბილისის განადგურების შემდეგ განიხილებოდა ერეკლე II-ს ოსმალეთის იმპერიაზე დაქვემდებარების საკითხი. ამაზე მუშაობდა საფრანგეთის ელჩი ოლივერი, რომელიც ამ მიზნით, ახალციხეში ჩასულა და შეხვედრები გაუმართავს [**ლომსაძე, 1975: 101**]. მეფე ამ დროს მთიულეთს აფარებდა თავს, საიდანაც 1795 წელსვე გენერალ გუდოვიჩს წერილი გაგზავნა და განუცხადა, რომ თუ ისინი არ აღმოუჩენდნენ სამხედრო დახმარებას, იძულებული იქნებოდა ირანისათვის თავი დაეხარა. მალე აღა მაჰმად ხანმა, ზამთრის მოახლოებისა და ხორასანში მომხდარი აჯანყების გამო, ქართლ-კახეთი დატოვა.

ერეკლე II 1795 წლის 6 ოქტომბერს განადგურებულ თბილისში დაბრუნდა [**Gvosdev, 2000: 72**]. ნოემბერში კი ქალაქში რუსთა 2.000 კაციანი ჯარი შევიდა ორი საარტილერიო დანადგარით [**Baddeley, 1995: 59**].

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს საზღვართან მყოფი ოსმალო გამგებლები ქართლ-კახეთის შესახებ მოპოვებულ ცნობებს სტამბოლს აუწყებდნენ. ამ დროის ახალციხის მმართველმა შერიფ ფაშამ გაგზავნა წერილი, რომელშიც ერეკლე II-ს დამარცხებისა და უკან დახევის შესახებ აცნობებდა და თბილისის დაპყრობისა და ოსმალეთის საზღვართან ირანის წინააღმდეგობის არ არსებობის მიუხედავად, მაინც ფრთხილად ყოფნისა და საბრძოლო ძალების გამაგრების შესახებ მოუწოდებდა [**COA, HAT, 6688-A**]. ერზრუმის მმართველმა იუსუფ ზია ფაშამ სტამბოლში წერილი აფრინა, თუ როგორ მოქცეულიყო. სავარაუდოდ, ირანზე თავდასხმისათვის 1795 წლის ნოემბერში ზია ფაშა მთავარსარდლად დაინიშნა, მაგრამ ირანთან გართულების თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტილება შეცვალეს. ამის სანაცვლოდ, ახალციხის, ახალქალაქისა და არტაანის ციხეები შეკეთდა და გაძლიერდა [**Bilge, 2015: 316**].

1796 წლის მარტში რუსეთმა ირანს ომი გამოუცხადა. მანამდე კი, ოსმალეთის იმპერიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, ახალციხეში ელჩები გაგზავნა. ომის გამოცხადებამდე ორი თვით ადრე, 1796 წლის 18 იანვარს, ქართლ-კახეთისა და რუსეთის ელჩები ახალციხეში ჩავიდნენ და შერიფ ფაშას შეხვდნენ [**ლომსაძე, 1975: 178**]. ომის გამოცხადების შემდეგ ამიერკავკასიური ჯარის მეთაურად

გენერალი ზუბოვი დაინიშნა. რუსმა სამხედროებმა 10 მარტს დერბენტი, 13 ივნისს ყუბა და ბაქო დაიპყრეს. ამის შემდეგ ყარაბაღმა რუსის ჯარს წინააღმდეგობა არ გაიწია და დანებდა. რუსეთის ჯარმა 7 ოქტომბერს შემახაც დაიპყრო. ამ პერიოდში რუსების წინააღმდეგ ირანის პროვოცირებას ახდენდა საფრანგეთი [**Zinkeisen, 2011: 154**]. აღა მაჰმად ხანმა ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ ალიანსი შესთავაზა, მაგრამ ოსმალეთი არ დათანხმდა. თუმცა სულთან სელიმ III-მ ყველა ჯარისკაცს, ვისაც რუსეთთან ბრძოლა სურდა, 50 რუბლის ოდენობის ფული გამოუყო. ამასთანავე ახალციხის, ერზრუმისა და ვანის მმართველები გააფრთხილა, რომ აზერბაიჯანის სახანოს მაცხოვრებლების ოსმალეთში შეხიზვნის შემთხვევაში, მათთვის თავშესაფარი მიეცა [**Bilge, 2015: 317**].

1796 წლის 18 ნოემბერს ეკატერინე II გარდაიცვალა და ტახტი პავლე I-მა დაიკავა, რომელმაც ამიერკავკასიაში რუსული პოლიტიკა შეცვლა. მან 1796 წლის 25 დეკემბერს რუსი ჯარისკაცები კავკასიიდან გაიყვანა [**დუმბაძე, 1973: 769**]. 1797 წლის 5 იანვარს გენერალ გუდოვიჩის ბრძანებით, ყუბანსა და თერგისკენ მიმავალი რუსი ჯარისკაცები უკან დააბრუნეს. ამგვარად, რუსეთის ჯარმა 1797 წლის მარტში ბაქო, 1797 წლის სექტემბერში ქართლ-კახეთი დატოვა [**Allen, 1971, 214**].

ერეკლე II შიშობდა, ირანი კვლავ თავს არ დასხმოდა, ამიტომ ერზრუმის მმართველის მეშვეობით, ოსმალეთის იმპერიას წერილი გაუგზავნა და განაცხადა, რომ ოსმალეთის მფარველობა სურდა. ოსმალეთის იმპერიამ ამის საპასუხოდ ერეკლე II-სგან საბოდიშო წერილი მოითხოვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში დათანხმდებოდა ის საზავო შეთანხმებას [**COA, HAT, 6693**].

რუსეთის მიერ კავკასიის დატოვებისთანავე, 1797 წლის მარტში აღა მაჰმად ხანმა ახალი ლაშქრობა დაგეგმა, თუმცა 1797 წლის ივნისში ის მოკლეს. ხანის მოჭრილი თავი პავლე I-ს გაუგზავნეს. მისი სიკვდილის შემდეგ ირანის ჯარი დაიშალა და დაიწყო შიდა არეულობა. ამგვარად, ქართლ-კახეთი და კავკასიის სახანოები, ირანის ახალ მუქარას გადაურჩნენ [**Aydın, 2001: 51**].

1798 წლის 11 იანვარს ერეკლე II გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ ტახტი უფროსმა ძემ გიორგი XII-მ დაიკავა. ერეკლე II-ს ავადმყოფობის დროს, გიორგი XII-ის ტახტის მემკვიდრეობა მისმა ნახევარძმებმა გააპროტესტეს. ოსმალეთის მმართ-

ველობამ, თბილისის ტახტის პოტენციურ მემკვიდრეს, ოსმალეთზე მორჩილების აუცილებლობა შეახსენა [COA, HAT, 1743]. ოსმალური წყაროების მიხედვით, გიორგი ბატონიშვილი, პროოსმალურ განწყობას ამჟღავნებდა მაგრამ ქართლ-კახეთის ტახტზე ასვლის შემდეგ რუსებს, გადმობირების მიზნით, მისთვის ხმალი და საჩუქრები გაუგზავნია. გიორგიც რუსების მხარეს გადასულა. ოსმალეთს კი სიმშვიდე შეუნარჩუნებია [Gökçe, 1972: 55].

1798 წლის 5 ივნისს, ირანის ახალმა შაჰმა ფათ ალიმ გიორგი XII-ს ბრძანება გაუგზავნა. მას ირანის ქვეშევრდომობაში შესვლა და ერთი ვაჟიშვილის მძევლად თეირანში გაგზავნა მოთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისის აღებით დაიმუქრა. გიორგი XII-მ შემოთავაზება უარყო. თუმცა თბილისისათვის ერთადერთი საფრთხე ირანი არ იყო. 1798 წლის 23 დეკემბერს სტამბოლში ხელი მოეწერა ოსმალეთ-რუსეთის ალიანსს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტამბოლში რუსეთის ელჩმა ვასილი ტამარამ და დიდვეზირმა. ეს ალიანსი ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც ნაპოლეონი თავს დაესხა ეგვიპტეს. ამ მიზეზით, ოსმალეთის მმართველობამ ოფიციალურად ვერაფერი გააკეთა საქართველოში რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ [Morkva, 2004: 53]. თუმცა, მათ შეეძლოთ რეგიონში მყოფი ლეკების გამოყენებით, რუსი ჯარი საქართველოში რთულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ და ამას აკეთებდნენ კიდეც ახალციხის გამგებლის მეჰმედ ფაშას შუამავლობით [ლომსაძე, 1975: 101].

1799 წლის ივნისში გიორგი XII-მ გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგში გაგზავნა და რუსეთისგან ქართლ-კახეთის დასახმარებლად 3.000 ჯარისკაცი და მის შემდეგ შვილის - დავითის მეფედ აღიარება ითხოვა. პავლე I ამ მოთხოვნებს დაეთანხმა: 1799 წლის 18 აპრილს გიორგი XII მეფედ და უფლისწული დავითი - მემკვიდრედ დაამტკიცა. ამის საპასუხოდ გიორგის ძმები ფარნავაზი, ვახტანგი და იულონი სამხედრო ძალის შეგროვებას შეუდგნენ [ბერძენიშვილი, ჯანაშია, 2000: 302]. ალექსანდრე კი ომარ ხანთან გაიქცა და ფათ ალი შაჰს დახმარება სთხოვა. 1799 წლის 26 ნოემბერს, რუსეთის ჯარის მეთაურის - ლაზარევის წინამძღოლობით, თბილისში 3.000 რუსი ჯარისკაცი შევიდა. 1800 წლის ნოემბერში ომარ ხანი და ბატონიშვილი ალექსანდრე 12.000 კაციანი ჯარით ქართლ-კახეთში შემოიჭრნენ [Aydın, 2001: 53]. ომარ ხანმა ჯარი ორ ნაწილად გაყო, რითაც ისარგებლა გენერალმა ლაზარევმა და მომხდურნი

დაამარცხა [**ბერძენიშვილი, 1965: 243**]. გამარჯვების შემდეგ გიორგი XII იძულებული გახდა, რუსეთს მთლიანად დამორჩილებოდა, თუმცა ტახტისთვის ბრძოლაში, მისი ძმების წინააღმდეგ, მას უფრო პრივილეგირებული პოზიცია ჰქონდა.

1799 წლისათვის ირანის შაჰმა ფათ ალიმ ჩილდირის მმართველს, შერიფ ფაშას წერილი გაუგზავნა და შეატყობინა, რომ აბას მირზას ხელმძღვანელობით შირვანის, საქართველოსა და დაღესტნის საზღვრებთან, ამ მხარეების რუსებისაგან დაცვის მიზნით, ჯარი გაგზავნა. ამ მიზეზით, მას სთხოვა, რომ თუ ვინმე ამ მხარეებს დატოვებდა, ოსმალეთს უარი ეთქვა მათ შეფარებაზე [**Temizkan, 2006: 458**].

გიორგი XII-ს ელჩი გარსევან ჭავჭავაძე 1800 წლის 23 ნოემბერს პეტერბურგში ჩავიდა და სამეფოსა და ქართული ეკლესიის ავტონომიის შენარჩუნების პირობით, ხელშეკრულება წარადგინა, რომელიც უზრუნველყოფდა ქართლ-კახეთის რუსეთის მიერ დაცვას. ხელშეკრულების პირობებს 1800 წლის 18 იანვარს პავლე I დაეთანხმა [**იობაშვილი, 1998: 299**]. ათი დღის შემდეგ გიორგი XII გარდაიცვალა. დავითი ტახტზე ასვლას ყოყმანობდა. ამ სიტუაციას ქართლ-კახეთის ანექსია მოჰყვა. 1801 წლის 18 იანვარს, პავლე I-ის დეკლარაციით, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება გამოცხადდა [**Gvosdev, 2000: 75**]. მიზანი „კეთილშობილური“ იყო: ქართველი ხალხის გარდაუვალი დასასრულის თავიდან ასაცილებლად რუსეთი მათ დაცვას სთავაზობდა. საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ქართველები რუსი მოქალაქეების თანასწორი გახდებოდნენ [**Luxembourg, 1998: 275**]. დეკლარაციის შემდეგ პავლე I-მა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა იგრძო საქართველოს შეერთებასთან დაკავშირებით. ოპოზიციის აზრით, ანექსია საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგებოდა. მათ პავლე I-ს ამ ანექსიაზე უარი ათქმევინეს და იძულებული გახადეს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებაზე შეჩერებულიყო.

თუმცა 1801 წლის 12 სექტემბერს, რუსეთის ახალმა მონარქმა ახალი დეკლარაციით საქართველო რუსეთის პროვინციად გამოაცხადა [**Çapraz, 2017: 258**]. ქვეყნის პირველ მთავარმართებლად, 1801 წლის 15 სექტემბერს, გენერალი კნორინგი დაინიშნა.

ქართლ-კახეთის რუსეთის დაქვემდებარებაში შესვლისთანავე, ბატონიშვილმა ალექსანდრემ რუსების წინააღმდეგ, ოსმალეთის იმპერიასთან მოლაპარაკება გამარ-

თა და დახმარება სთხოვა. 1800 წლის 12 აგვისტოს მიმოწერებიდან ირკვევა, რომ ალექსანდრეს ოსმალების დახმარების უზრუნველსაყოფად ისლამიც მიუღია და უთხოვნია თბილისის აღების შემთხვევაში იქ მისი მეფედ დასმა [COA, HAT, 6721-G].

1802 წლის 8 სექტემბერს, საჩივრების საფუძველზე, გენერალი კნორინგი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და მის ადგილზე ქართული წარმოშობის რუსი გენერალი, პავლე ციციანოვი დაინიშნა. მან მონარქ ალექსანდრესთან წარადგინა გეგმა, რომლის მიზანი იყო სრული კონტროლი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებზე. გარდა ამისა, ციციანოვი გეგმავდა ახალციხის საქართველოსთვის შეერთებას. თუმცა, ამ პერიოდში რუსეთს ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა, ამიტომ გეგმა სამომავლოდ იქნა გადადებული [**გოგოლაური, 2016: 18**].

ამავე პერიოდში, იმერეთის მეფე სოლომონ II-მ რუსეთის მფარველობაში შესვლის მიზნით, 1804 წლის 21 აპრილს გენერალ ციციანოვს მიმართა. შემოთავაზება 1804 წლის 4 ივლისს დამტკიცდა და იმერეთის სამეფო რუსეთის მმართველობაში შევიდა [**საქართველოს ისტორია, 1990: 265**]. ამის შემდეგ, ყულევში რუსთა ჯარის გადმოსხმა იყო მნიშვნელოვანი მოვლენა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში. ამით გადაიდგა პირველი რეალური ნაბიჯი შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროდან ოსმალთა განდევნისათვის [**რეხვიაშვილი, 1989: 349**].

რუსული ოკუპაცია არ შემოიფარგლა მხოლოდ საქართველოთი. მათ იმავდროულად აზერბაიჯანის სახანოებსაც შეუტიეს. 1803 წელს გენერალმა ციციანოვმა განჯას ალყა შემოარტყა და ეს რეგიონი თბილისზე დამოკიდებულად გამოაცხადა [**Türker, 2017: 97**]. ამის საპასუხოდ ჯევად ხანმა განაცხადა, რომ ამ რეგიონს აზერბაიჯანის ხანი მართავდა და შესაბამისად მოთხოვნა არ მიიღო [**Umurlu, 2004: 40**]. ციციანოვმა განჯის ხანს ქალაქის გადაბარება, წელიწადში 20.000 რუბლის გადახდა და მისი შვილის მძევლად გაგზავნა მოთხოვა. როდესაც ხანმა ეს შეთავაზება არ დააკმაყოფილა, 1804 წლის 3 იანვარს რუსებმა ქალაქი აიღეს და მეჩეთების ჩათვლის ყველაფერი გადაწვეს [**Sadıgov, 2018: 59**]. ქალაქს ელიზავეტპოლი უწოდეს და საქართველოს მმართველობას ჩააბარეს [**Atkin, 1979: 83**].

აზერბაიჯანის მიმართ რუსეთის შეტევამ ირანის მობილიზება გამოიწვია. 1804 წლის მაისში ფათალი შაჰმა მოითხოვა რუსული ჯარების გაყვანა აზერბაიჯანიდან.

ამ თხოვნის უარყოფის შემდეგ, 1804 წლის 10 ივლისს, რუსეთსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა და მათ შორის დაიწყო ომი. ირანი, ფათ ალი შაჰის შვილის აბას მირზას მეთაურობით, 20.000 კაციანი ჯარით ერევნისკენ დაიძრა. გენერალმა ციციანოვმა 10.000 კაციანი ჯარით ირანის არმია დაამარცხა. მარცხის შემდეგ ფათ ალი შაჰი 40.000 კაციანი ჯარით გაემართა ციციანოვის წინააღმდეგ, რის გამოც გენერალმა უკან დაიხია [**ბერძენიშვილი, 1976: 318**].

განჯის რუსული ოკუპაციის შემდეგ, რეგიონის ზოგიერთმა ხანმა საკუთარი ნებით რუსული მმართველობა მიიღო. ყარაბაღის ხანმა 1805 წლის 14 მაისს რუსებთან დადო შეთანხმდება, რომლის მიხედვითაც ის ქვეყნის შიდა საქმეების მართვაში თავისუფალი, დინასტიის მემკვიდრეობის უფლებებში დაცული იქნებოდა. წლიურად 8.000 რუბლის ოდენობის გადასახადის გადახდის სანაცვლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა.

1805 წლის 20 მაისს, შაქის ხანმა სელიმმა მსგავსი შეთანხმება დადო რუსეთის მმართველობის ქვეშ შესვლასთან დაკავშირებით [**Cabbarov, Uyanık, 2018: 474**]. 1805 წლის 25 დეკემბერს, შირვანის ხანმა მუსტაფამ მიიღო რუსეთის მმართველობა. 1806 წლის 30 იანვარს ციციანოვი ბაქოში შეიჭრა, რუსეთის საზღვაო ფლოტმა კი კასპიის ზღვის სანაპიროდან ალყა შემოარტყა ქალაქს. გენერალი ციციანოვი ბაქოს თაობაზე მოლაპარაკებების დროს, 1806 წლის 20 თებერვალს მოკლეს. რუსული ჯარი იძულებული გახდა თერგამდე უკან დაეხია. 1806 წლის 22 ივნისს, რუსებმა ყუბა დაიმორჩილეს. 1807 წლის 7 სექტემბერს რუსებმა ბაქოს სახანო დაშალეს.

როგორც ვხედავთ, მას შემდეგ, რაც ოსმალეთ-რუსეთის ომი დასრულდა საქართველო კვლავ ირანის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ერეკლემ სცადა ახალციხის ფაშას მეშვეობით ოსმალეთთან ურთიერთობის გააქტიურება, თუმცა უშედეგოდ. 1795 წელს აღა მაჰმად ხანის თბილისზე ლაშქრობის შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნა. თუმცა, 1797 წელს მისი გარდაცვალების შედეგად, ქართლ-კახეთმა ამ საფრთხისგან თავი დააღწია. მიუხედავად მძიმე მარცხისა, ერეკლემ, სიცოცხლის ბოლო წლებში ოსმალეთთან კავშირის შესაძლებლობა მოსინჯა. ახალციხეში გაიმართა შესაბამისი შეხვედრებიც. მაგრამ, აღნიშნულ პერიოდში ოსმალეთმა ვერ შეძლო აქტიურად ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში. მან უარყო

ირანის სამოკავშირეო წინადადება და მიზნად დაისახა რუსეთთან ურთიერთობაში სტატუს ქვოს შენარჩუნება.

ოსმალეთის პასიური პოლიტიკისა და აღა მაჰმად ხანის შემდეგ ირანში დაწყებული არეულობების შედეგად, რუსებმა გაიმყარეს პოზიციები როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში. 1798 წელს ერეკლე II-ს გარდაცვალება ქართლ-კახეთის სამეფოს დასრულების მომასწავლებელი იყო. 1801 წელს გიორგი XII-ს გარდაცვალებასთან ერთად, იმპერატორ ალექსანდრე I-ის 12 სექტემბრის მანიფესტით, ქართლ-კახეთის სამეფო ანექსირებულ იქნა. რუსეთი უკვე მაშინ ცდილობდა ახალციხის საფაშოზე კონტროლის დამყარებას, მაგრამ ოსმალეთთან ურთიერთობების გაფუჭებას მოერიდა და ეს საქმე მომავლისთვის გადადო.

თავი III. ახალციხის საფაშო 1806-1828 წლებში. რუსეთ-ოსმალეთის ომები და რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება

§1. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და ახალციხის საფაშო. ქართული სამეფოების მდგომარეობა

ვიდრე რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს კავკასიის ფრონტზე მომხდარი მოვლენების განხილვას დავიწყებდეთ, ვფიქრობთ, აუცილებელია წარმოვაჩინოთ როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის პოზიციები ევროპულ პოლიტიკაში და ის მიზეზები, რამაც ორი იმპერია ომამდე მიიყვანა.

შეიძლება ითქვას, რომ ომამდე არ არსებობდა ისეთი სერიოზული უთანხმოება, რომლის გადაჭრაც ოსმალებსა და რუსეთს შორის ომს მოითხოვდა. თუმცა, ევროპულ პოლიტიკაში განვითარებულმა მოვლენებმა საფუძველი მოუმზადა ორ იმპერიას შორის სამხედრო დაპირისპირებას. ესაა ნაპოლეონის აღზევების პერიოდი ევროპაში. საფრანგეთის რესპუბლიკის ლიკვიდაციისა და იმპერატორად თავის გამოცხადების შემდეგაც მან შეინარჩუნა და გააღრმავა თავისი აგრესიული პოლიტიკა ევროპული სახელმწიფოების მიმართ. 1804 წელს სულთან სელიმ III-ს სურდა ნაპოლეონ ბონაპარტის იმპერიის ოფიციალურად აღიარება და ხელშეკრულების გაფორმება. თუმცა, რუსეთის და ბრიტანეთის პოლიტიკურმა ზეწოლამ ხელი შეუშალა ამას. ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, 1805 წლის 24 სექტემბერს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის გაფორმდა მეგობრობის ხელშეკრულება [**Hayta, 2015: 194**]. ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის თხოვნით, ოსმალეთის იმპერიამ რუმინეთში, ვლახეთსა და მოლდოვაში დანიშნა რუსულ ორბიტასთან დაახლოებული პირები. გადაიდგა ნაბიჯები რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის კარგი ურთიერთობების დასამყარებლად.

ოსმალეთ-რუსეთის ხელშეკრულებიდან ორი თვის შემდეგ, როცა ნაპოლეონმა 1805 წლის დეკემბერში დაამარცხა ავსტრია და რუსეთი, კიდევ უფრო გამძაფრდა სულთან სელიმ III-ის სურვილი, რომ ოფიციალურად ეღიარებინა ნაპოლეონის საფრანგეთი. 1806 წლის 30 მარტს სელიმმა მუჰიბ ეფენდი საფრანგეთში ელჩად გაგზავნა და გამოთქვა სურვილი გაუმჯობესებულიყო ოსმალეთ-საფრანგეთის ურთიერთო-

ბები, რომლებიც 1798 წელს გაფუჭდა ნაპოლეონის ეგვიპტური კამპანიის შემდეგ [**Karaer, 2011: 3**].

სელიმ III ფიქრობდა საფრანგეთთან ერთად ემოქმედა მტრების - ავსტრიის, რუსეთის და ბრიტანეთის წინააღმდეგ. იგი ელოდა საფრანგეთის მხრიდან დახმარებას რუსების მიერ მხარდაჭერილი სერბების აჯანყების წინააღმდეგ. საფრანგეთის მხარდაჭერის მოსაპოვებლად სელიმმა გადააყენა ის მთავრები, რომლებიც რუსეთის თხოვნით დანიშნა. საპასუხოდ, რუსებმა გაზარდეს სერბების მხარდაჭერა. ბალკანეთში ომის წინაპირობები გაჩნდა და ოსმალებმაც და რუსეთმაც დაიწყეს ომისთვის მზადება. თუმცა აჯანყების მასშტაბების გაზრდის შიშით, ოსმალეთმა ისევ დააბრუნა გადაყენებული მთავრები რუმინეთში.

1806 წლის სექტემბერში, ორ იმპერიას შორის ურთიერთობების დარეგულირების საქმეში ჩაერია დიდი ბრიტანეთი. ინგლისს სურდა რუსეთის საბრძოლო ხომალდებისთვის ბოსფორის კვლავ გახსნა. სელიმ III-მ თავიდანვე მიიღო ეს შეთავაზება, თუმცა, შემდეგ უარყო.

რუსეთი ვერ მოითმენდა ოსმალეთ-საფრანგეთის უფრო მეტ დაახლოებას. მიუხედავად იმისა, რომ 1804 წლიდან, ომი ჰქონდა ირანთან, რომ არაფერი ვთქვათ დასავლეთის მიმართულებაზე, ინგლისის მხარდაჭერით გათამამებულმა, 1806 წლის ოქტომბერში, ომის გამოცხადების გარეშე, 60.000-იანი არმიით, გენერალ მიხელსონის მეთაურობით, შეუტია რუმინეთს და დაიწყო 1806-12 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი. 1806 წლის 22 დეკემბერს ოსმალეთის იმპერიამ ომი გამოუცხადა რუსეთს [**Finkel, 2007: 368**]. 1807 წლიდან ბალკანეთში არსებული რუსეთის არმია უფრო აქტიურ მოქმედებებზე გადავიდა, მათ დაიკავეს ჰოტინი, კილისა და აკერმანის ციხეები. ინგლისმა რუსეთის მხარდასაჭერად, ადმირალ ჯონ დაკვორტის მეთაურობით, 16 ხომალდისგან შემდგარი ფლოტი გადასხა დარდანელის სრუტეში. 20 თებერვალს ისინი სტამბოლში მივიდნენ. ამ ფლოტის გამოყენებით, ინგლისი გეგმავდა, რომ ოსმალეთის იმპერიისთვის დაეძალებინა რუსეთთან შეთანხმება და საჭიროების შემთხვევაში ალყა შემოერტყა დედაქალაქისთვის. თუმცა, როდესაც საარტილერიო ნაწილები სტამბოლის სანაპიროებზე დაბანაკდნენ და სტამბოლში საფრანგეთის ელჩმა სებასტიანმა განაცხადა, რომ აუცილებელ დახმარებას გამოაგზავნიდა, ინგლისი მი-

ხვდა, რომ მის ფლოტს არ ჰქონდა საკმარისი რესურსი სტამბოლის ხელში ჩასაგდებად და დიდი დანაკარგით უკან დაიხია. ამის შემდეგ, 1807 წლის მარტში, ინგლისის ფლოტმა სცადა ეგვიპტის ხელში ჩაგდება, მაგრამ უშედეგოდ [**Black, 2009: 257**].

1807 წლის ივლისში გაფორმებული ტილზიტის ხელშეკრულებით დასრულდა ოსმალეთის იმპერიის მოკავშირეობა საფრანგეთთან, ინგლისის კი რუსეთთან [**Aksan, 2017: 256**]. რუსეთი შეუერთდა კონტინენტურ ბლოკადას, მიმართულს ბრიტანეთის წინააღმდეგ, საფრანგეთი კი უარს ამბობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში ამ უკანასკნელის მხარდაჭერაზე. ტილზიტის ხელშეკრულების მიხედვით, თუ ოსმალეთის სახელმწიფო უარს იტყოდა რუსეთ-ოსმალეთის ომში მშვიდობის მცდელობებზე, საფრანგეთი და რუსეთი გაინაწილებდნენ ოსმალეთის იმპერიის კუთვნილ მიწებს ბალკანეთში [**Günay, 1998: 80**]. თუმცა, ამ შეთანხმებამ ვერ დააახლოვა რუსეთი და საფრანგეთი. ნაპოლეონის მიზანი იყო ევროპული პოლიტიკაში რუსეთის მიყვანა მისთვის სასურველ წერტილამდე. სწორედ ამიტომ, ნაპოლეონი ყოველთვის იყო ამპარტავანი ალექსანდრე I–ის მიმართ მოლაპარაკებების დროს [**Ragsdale, 2006: 526**]. ტილზიტის ხელშეკრულებამ წერტილი დაუსვა საფრანგეთისადმი სელიმ III-ის პოლიტიკას. იგი, გატარებული რეფორმების, იენიჩარების წინააღმდეგობისა და საფრანგეთით აღფრთოვანების გამო, ხალხის მიერ წამოწყებული აჯანყების შედეგად ტახტიდან იქნა ჩამოგდებული და მისი ადგილი 1807 წლის 29 მაისს მუსტაფა IV-მ, 1808 წლიდან კი - მაჰმუდ II-მ დაიკავა.

ომის კავკასიის ფრონტზე, პირველ ეტაპზე დიდი ძვრები არ მომხდარა. 1807 წლის დასაწყისში რუსმა გენერალმა ნესვეტაევმა, კავკასიის მთავარსარდალ გუდოვიჩისადმი წერილში განაცხადა, რომ ყარსში სომეხები მოუთმენლად ელოდნენ რუსული ჯარის შესვლას. მან გაგზავნა თავისი წარმომადგენლები ყარსში, მეჰმედ ფაშასთან და სთხოვა რუსეთის მხარეს ნებაყოფლობით გადასვლა, რაც, ამ უკანასკნელმა უარყო. მეჰმედ ფაშამ რუსების წინააღმდეგ დახმარება ერევნის ხანს, ჰუსეინ ყული ხანს სთხოვა. 1807 წლის მარტში ნესვეტაევმა საზღვარი გადალახა და დაიწყო სამხედრო მოქმედებები [**Hacılar, 2011: 18**]. რუსებმა, 1807 წლის გაზაფხულზე, პირველად შეუტიეს ანაპას და ციხე ორ საათში აიღეს იგი. ანაპას რეგიონის რუსული ოკუპაცია მაისამდე გაგრძელდა. ანაპას ციხესიმაგრის შემდეგ, რუსებმა შეუტიეს

ანაკლიას და დაიკავეს იგი. ამის შემდეგ, რუსების შავ ზღვაზე შესაძლო შემოტევების თავიდან ასაცილებლად, ოსმალებმა გააძლიერეს სამხედრო ნაწილები სინოპში, ტრაპიზონში, ბათუმსა და ფოთში [**Bilge, 2015: 347**].

ომის დაწყებამდე, ზაპოროჟიელ კაზაკებს შორის დაწყებულმა და ჩრდილოეთ კავკასიაში სწრაფად გავრცელებულმა ჭირის ეპიდემიამ, რეგიონის რუსეთის ჯარს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. დიდი დანაკარგი განიცადეს კაზაკებმა, რომელთა გამოყენებაც რუსეთს სურდა ომში [**Kardaş, 2010: 33**]. გერმანელი მოგზაურის, ჯულიუს ფონ კლაპროტისაგან ვიგებთ, რომ ჭირის ეპიდემია საქართველოში გავრცელდა 1808 წელს. კლაპროტის თქმით, 1808 წლის იანვარში ჭორის ეპიდემიის გამო, მცხეთაში მოყოლილა კარანტინში და მხოლოდ მაშინ გაუგრძელებია გზა, როცა დაამტკიცა, რომ ავად არ იყო [**Von Klaproth, 1814: 408**].

სანამ ახალციხის რეგიონში დაიწყებოდა სამხედრო მოქმედებები, კავკასიაში რუსეთის ჯარის სარდალმა, გენერალმა გუდოვიჩმა ახალციხის გუბერნატორს შეუთვალა, რომ თუ რუსებს წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, ზარალს არ მიაყენებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში არავის დაინდობდნენ. მან ერთგვარი ფსიქოლოგიური იერიში მიიტანა მტერზე [**ლომსაძე, 1975: 116**]. ომის დაწყების შემდეგ, გუდოვიჩმა თავისი ჯარი ორად გაყო, ერთი ლაშქარი ახალციხეში გაგზავნა, მეორე - ფოთსა და ყარსში. გენერალ გუდოვიჩის აზრით, თუ წარმატებებს მიაღწევდნენ ფოთსა და ახალციხის რაიონებში, იქ მყოფი ქართველი ბატონები აჯანყდებოდნენ ოსმალების წინააღმდეგ და შეუერთდებოდნენ რუსეთის ჯარს [**ლომსაძე, 1975: 116**].

რუსებმა, გარკვეული ინტერვალებით, გაგზავნეს ელჩები ახალციხის მმართველ სელიმ ფაშასთან და მოითხოვეს ახალციხის რუსეთის მფარველობაში შესვლა [**ლომსაძე, 1975: 117**]. რა თქმა უნდა, ეს ელჩები მხოლოდ დიპლომატიური მიზნებისთვის არ ჩადიოდნენ. ელჩები ასევე ატყობინებდნენ რუსეთის ჯარს, ახალციხის ციხესიმაგრეების და ტერიტორიის დამცველი ჯარისკაცების მდგომარეობის შესახებ [**ლომსაძე, 1997: 202**]. ომის დაწყების შემდეგ პორტამ მოითხოვა ახალციხის ქრისტიანი მოსახლეობის შეიარაღება და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვა [**ლომსაძე, 1997: 201**].

ახალციხისკენ მიმავალმა არმიამ ჯერ დაიპყრო ახალქალაქი, რითაც მან აუცილებელი უპირატესობა მოიპოვა ყარსზე სამხედრო ოპერაციების განხორციელებისას. შემდეგ რუსული არმია ყარსისკენ დაიძრა. მიუხედავად რუსების დიდი დანაკარგისა, ქალაქი ვერ აიღეს. საარქივო დოკუმენტებში ჩანს, რომ ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ჯარების მთავარსარდალი და ერზრუმის გუბერნატორი იუსუფ ზია ფაშა ამ დროს ერზრუმში იყო 40.000 ჯარისკაცით [COA, HAT, 145-6101]. ოსმალეთის არმიამ, დაიწყო კონტრშეტევა, თუმცა გენერალმა გუდოვიჩმა ისინი გიუმრის მახლობლად დაამარცხა. 1807 წლის მაისში იუსუფ ზია ფაშა გიუმრისკენ გაეშურა და 1807 წლის ივნისში არპაჩაიში ორი არმია ერთმანეთს დაუპირისპირდა. ოსმალეთის ძალებმა მარცხი განიცადეს და კავკასიაში უპირატესობა რუსების ხელში გადავიდა. 1807 წლის 19 მაისს, იუსუფ ზია ფაშა კვლავ წავიდა გიუმრის წინააღმდეგ. სისხლიანი ბრძოლების შემდეგ რუსები იძულებული გახდნენ ქალაქიდან გასულიყვნენ. ამ წარმატების შემდეგ, იუსუფ ზია ფაშას ჯარს ნესვეტაევის არმიამ, არპაჩაიში, დიდი ზარალი მიაყენა [Mustafa, 2002, 254]. ამ მარცხის გამო იუსუფ ზია ფაშა გაათავისუფლეს და მის ნაცვლად აღმოსავლეთ არმიის მთავარსარდლად და ერზრუმის მმართველად ფერჰად ფაშა დაინიშნა [Karagöz, 1993: 162].

რუსეთის პოზიციები კავკასიაში დიდხანს ვერ შენარჩუნდა. ეს ძირითადად განპირობებული იყო 1807 წლის აგვისტოს სლობოდეას ხელშეკრულებითა და ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილებით [ქორთუა, 1964: 190]. მეომარი მხარეები შეთანხმდნენ, რომ 35 დღის განმავლობაში თავიანთ ჯარებს რუმინეთიდან ომამდელ საზღვრებამდე გაიყვანდნენ [გოგოლაური, 2018: 32]. რუმინელი ისტორიკოსი ნიკოლა იორგა, სლობოდეას ხელშეკრულებამდე ოსმალეთ-რუსეთის ომის პერიოდს ამგვარად აჯამებს: „ნაპოლეონ ბონაპარტის მოთხოვნით წამოწყებულ ომში, კვლავ მისი სურვილით, იმავე წლის ზაფხულში, ერთი საბოლოო ომის გარეშე, პაუზა გაკეთდა. ამ პერიოდის განმავლობაში ოსმალეთის იმპერია დაკავებული იყო საკუთარი შინაგანი ქაოსით“ [Jorga, 2009: 155].

სლობოდეას ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, რუსეთ-ოსმალეთის კონფლიქტი გაგრძელდა სამხრეთ საქართველოში. 1807 წლის ნოემბერში ახალციხეში მყოფმა ლეკებისა და ახალციხის მუსლიმთა დანაყოფებმა დაარბიეს სამხრეთ საქარ-

თველო და შეუტიეს ბამბაკის რეგიონს და სოფელ ახბულაკს. ამ თავდასხმებში რეგიონის მოსახლეობის უმეტესობა ტყვედ ჩაიგდეს და უკან დაბრუნდნენ. ამ პერიოდში ახალციხეში 2.700 ლეკი იმყოფებოდა. 1808 წლის ივლისში ახალციხეში მყოფმა ყარაფაფახებმა შეუტიეს სოფელ წავკისს, მრავალი პირუტყვი წაართვეს და წაიყვანეს [**გოგოლაური, 2018: 32**]. ამ თავდასხმების საპასუხოდ, გენერალი ორბელიანი 500 კაციანი დანაყოფით, ახალციხეში შეიჭრა. მხარეში კიდევ 200 კაცის შეკრების შემდეგ, ორბელიანი შეტევაზე გადავიდა და რეგიონში 8.000 ცხვარი შეკრიბა. თუმცა დიდი დანაკარგის გამო უკან დაიხია [**გოგოლაური, 2018: 33**].

მალე რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები, რომელიც გაგრძელდა 1809 წლის გაზაფხულამდე, თუმცა საბოლოო ხელშეკრულება ვერ იქნა გაფორმებული. ამ გადაუჭრელმა ვითარებამ, რომელიც 1812 წლამდე გაგრძელდა, განაპირობა ომის განახლება. ამ პერიოდის განმავლობაში, 1808 წლის 12 ოქტომბერს, რუსეთსა და საფრანგეთს შორის ხელი მოეწერა ერფურტის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ხელს არ შეუშლიდა საფრანგეთის ინტერესებს ოსმალეთის იმპერიის მიმართ. ამის სანაცვლოდ, საფრანგეთი არ გააპროტესტებდა რუსეთის შეჭრას ფინეთსა და რუმინეთში [**Özkaya Duman, 2009: 532**].

როგორც პოლიტიკური ნაბიჯი, ერფურტის ხელშეკრულების საპასუხოდ, 1809 წლის 5 იანვარს ოსმალეთის იმპერიასა და ინგლისს შორის გაფორმდა დარდანელის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით დასრულდა ოსმალეთ-ინგლისის ომი [**Beydilli, 2003: 353**]. ამ თორმეტ მუხლიანი ხელშეკრულებით, ოსმალეთ-ინგლისის სავაჭრო და დიპლომატიის ურთიერთობები ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა. ამავე ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებით, ოსმალეთის იმპერიამ უზრუნველყო, რომ ბრიტანელებს საფრანგეთის შესაძლო თავდასხმისას მიეღოთ საზღვაო ძალების დახმარება და რუსეთთან მშვიდობისთვის ასევე მიიღო ინგლისისგან მხარდაჭერა [**Yeni-dünya, 2009: 311**].

დროებითი მშვიდობის პერიოდში შეიცვალა ოსმალეთის დასავლეთთან ურთიერთობები. ოსმალეთის იმპერიამ, ევროპაში დაკარგული საფრანგეთის მხარდაჭერა, ინგლისით ჩაანაცვლა. ამასთან, აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა, ოსმალებისთვის სიტუაცია გააუარესა კავკასიის ფრონტზე. 1809 წელს, ომის მეორე

პერიოდამდე, რუსეთმა ირანს ცეცხლის შეწყვეტა შესთავაზა [**ლომსაძე, 1975: 116**]. ამ შეთავაზების მიღება, რა თქმა უნდა, იყო ის ფაქტორი, რამაც შეცვალა ბალანსი კავკასიაში. ამ ხელშეკრულებით, რუსეთი მშვიდად იყო ირანის საზღვარზე და სამხედრო უპირატესობა მიანიჭა აზერბაიჯანულ სახანოებს [**COA, HAT, 795**].

ცხადია, ამ ვითარებამ ასევე მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საფრანგეთის ინტერესებს კავკასიაში. ოსმალეთ-რუსეთის ომის დასაწყისში, 1807 წლის 4 მაისს, ავსტრიაში ნაპოლეონის ჯარის ბანაკში, ნაპოლეონმა და ფათ ალი შაჰის ელჩმა ხელი მოაწერეს ფინკენშტეინის მეგობრობის ხელშეკრულებას [**ნაჭყებია, 2018: 289**]. მიზეზი, რის გამოც ამ პერიოდში ნაპოლეონი ასე დაინტერესდა კავკასიითა და ირანით, იყო ინდოეთზე დარტყმის მიყენება, რომელიც ინგლისის კოლონია იყო და შემდეგ მისი ხელში ჩაგდება. ასევე, რუსეთის შევიწროება აღმოსავლეთით. რუსეთ-ირანული მშვიდობის შედეგად, საფრანგეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის ამბიციაზე ირანის რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებაზე, საფრანგეთის მისია თავრიზიდან საქართველოსკენ ერევნის გავლით გაემგზავრა [**ნაჭყებია, 2017: 274**].

ამის შემდეგ, 1809 წლის 17 აპრილს, ირანში საფრანგეთის დელეგაციამ დატოვა თავრიზი. 15 მაისს საფრანგეთის დელეგაცია ჩავიდა თბილისში, სადაც გენერალი ტორმასოვი შეეგება. რუსებმა საელჩოს დელეგაცია მიიწვიეს ქართველების მიერ გამართულ სადილზე და შეეცადნენ საფრანგეთისთვის ეჩვენებინათ რუსული მმართველობა საქართველოში და რუსეთ-ქართული მეგობრობა [**ნაჭყებია, 2013: 187**]. რუსები ასევე ცდილობდნენ ოსმალეთის მიმართ ირანის პროვოცირებას და წაქეზებას [**ქურთუა, 1964: 281**].

ოსმალეთის იმპერიასა და რუსეთს შორის დროებითი მშვიდობიანობის დროს, რუსეთმა განაგრძო სამხედრო მოქმედებები აზერბაიჯანში. 1808 წლის სექტემბერში გენერალმა გუდოვიჩმა, 6.000 კაციანი არმიით დაიწყო სამხედრო ოპერაცია ერევანზე. თავის მხრივ, ჰუსეინ ხანი 5.000 ჯარისკაცით ემზადებოდა რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. მას ჰყავდა 2.000-მდე გარნიზონი ერევნის ციხესიმაგრეში [**ქორთუა, 1964: 283**]. კავკასიაში მყოფმა რუსულმა არმიამ, 1808 წლის ნოემბერს გენერალ გუდოვიჩის მეთაურობით, შეუტია ერევნის სახანოს, მაგრამ დიდი ზარალი განიცადა და თბილისისკენ უკან დაიხია [**Baddeley, 1908: 77**]. ამ დამარცხების გამო, რუსეთის

არმია იძულებული გახდა გასულიყო ნახიჭევანიდან, რომელიც 1808 წლის სექტემ-ბერში ჩაიგდო ხელში [**Emirbeyova, 2015: 217**]. მისი წარუმატებლობის გამო, 1809 წლის აპრილში, გენერალი გუდოვიჩი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ხოლო კავკასიის რუსული ჯარების უფროსად გენერალი ტორმასოვი დაინიშნა [**ქორთუა, 1964: 288**]. იმავე პერიოდში, კავკასიაში ოსმალთა ჯარებშიც მოხდა ცვლილება. 1808 წლის 21 მარტს, კავკასიაში ოსმალთა არმიის უფროსად, იუსუფ ზია ფაშას ადგილას დაინიშნა დიარბაქირის გუბერნატორი ოსმან ფაშა, რომელსაც სამართავად ჩაბარდა ასევე ერზრუმი [**Bilge, 2015: 348**].

დროებითი ცეცხლის შეწყვეტის პერიოდში, რუსეთმა 1808 წელს დაიწყო ფოთის ციხეზე თავდასხმისთვის მზადება. აღმოსავლეთ შავი ზღვის რეგიონიდან ჯარისკა-ცები და იარაღი გაგზავნეს ფოთსა და ბათუმში. აჭარაში მობილიზებული იქნა დამა-ტებითი ძალები [**Gökçe, 1979: 201**]. 1809 წლის მაისში რუსებმა ალყა შემოარტყეს ფოთის ციხესიმაგრეს. რუსეთის ჯარის სარდალმა გენერალმა დავით ორბელიანმა ფოთის დამცველ და რიზეს მმართველ მემიშ აღას მოსთხოვა ციხის გადაცემა. მემიშ აღამ იმ იმედით, რომ ტრაპიზონიდან დამატებით ძალა მოვიდოდა, ეს მოთხოვნა უარყო. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც მოსალოდნელი დახმარება მოვიდა, გენერალმა ორბელიანმა უკან დაიხია [**Temizkan, 2005: 225**].

ბათუმის დაცვა ახალციხის გუბერნატორს სელიმ ფაშას დაევალა [**Şanizade, 1874: 304**]. მას გარკვეული უთანხმოება ჰქონდა ტრაპიზონის მმართველ შერიფ ფაშასთან, რამაც გამოიწვია პრობლემები სამხედრო ოპერაციების წარმოებაში. 1809 წლის 7 დეკემბრით დათარიღებული დოკუმენტიდან [**Bay, 2007: 197**] ირკვევა, რომ მოსახ-ლეობა უკმაყოფილებას გამოხატავდა სელიმის მმართველობის მიმართ. ხალხის პრე-ტენზია აისახა სტამბოლში გაგზავნილ წერილში [**COA, HAT, 798-36994-İ; HAT, 798-36994-M**], რომელშიც ახალციხელები მიუთითებდნენ სელიმის მხრიდან ტირანულ მმართველობას, თანამშრომლობას მტერთან და ითხოვდნენ მის გათავისუფლებას. მათი განცხადებით, სელიმ ფაშამ გურიის სამთავროსთან და რუსებთან შეთანხმებით, ხელი შეუწყო მტერს ახალციხეზე შეტევაში. ახალციხელებს სურდათ, რომ ახალცი-ხის პროვინცია დაკავშირდებოდა ტრაპიზონის გუბერნიას და შერიფ ფაშა, რომელიც იმ დროისთვის ტრაპიზონის გუბერნატორი იყო, ტრაპიზონთან ერთად ახალციხის

მმართველიც გამხდარიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაიწყებდნენ შეიარაღებულ ბრძოლას სელიმ ფაშას წინააღმდეგ [Toprak, 2019: 162]. თუმცა, პორტამ ეს საჩივარი ომის გამო უგულებელყო და პრობლემის მოგვარება სამომავლოდ გადადო. ბუნებრივია, ეს პრეტენზიები არ გამოძიებულა, რადგან ითვლებოდა, რომ ფაშას გათავისუფლებას შეიძლება გამოეწვია პრობლემები რეგიონში. გარდა ამისა, სელიმ ფაშას ძალაუფლებამ ხელი შეუშალა ოსმალეთის მმართველობას მის წინააღმდეგ მოქმედებაში [COA, HAT, 52]. რეგიონის მნიშვნელობის გამო, ერთი წლის შემდეგ, 1810 წელს, ახალციხის გუბერნატორ სელიმ ფაშასთან უთანხმოების გამო, ტრაპიზონის გუბერნატორი შერიფ ფაშა თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ადგილას ჩერჰაჯი ალი ფაშა დაინიშნა [Şanizade, 2008: 319].

XVIII-XIX საუკუნეებში ასეთი კონფლიქტები გავრცელებული იყო ოსმალეთის პროვინციების მმართველთა შორის და ეს ვითარება პორტას ძალიან რთულ მდგომარეობაში აგდებდა, განსაკუთრებით ომის დროს. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს: ოსმალეთ-რუსეთის ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, 1805 წელს, ტრაპიზონის ფაშა თაიარ მაჰმუდმა, რეგიონში ძალაუფლების მოსაპოვებლად, შეუტია მიმდებარე ქალაქებს, თუმცა იგი ერზრუმის მმართველმა იუსუფ ზია ფაშამ დაამარცხა [Serbestoğlu, 2006, 98]. თაიარ მაჰმუდ ფაშა სოხუმში გაიქცა და იქიდან წერილი მიწერა ახალციხის გუბერნატორს სელიმ ფაშას, რათა შუამავლობა გაეწია სულთანთან [COA, HAT, 4067]. როდესაც თაიარ მაჰმუდ ფაშამ დადებითი პასუხი ვერ მიიღო, სელიმ ფაშას კვლავ მიწერა წერილი და დაემუქრა სტამბოლის მმართველობას. მაჰმუდ ფაშა აცხადებდა, რომ მიზნის მისაღწევად მთებსაც გადაივლიდა და საჭიროების შემთხვევაში აჯანყდებოდა კიდეც [COA, HAT, 4052].

ზემოაღნიშნულის მსგავსია ტრაპიზონში მომხდარი ამბავი, როცა რიზეს ერთ-ერთი მაღალჩინოსანმა თუზჯუოღლუ მემიშ აღამ ახალციხის პროვინციაზე კონტროლი მოიწადინა. 1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს, როდესაც მისი ძალაუფლება უფრო გაიზარდა, მან დაიწყო მზადება ახალციხეზე ბატონობის დამყარებისთვის [Aktepe, 1953: 24]. ამ მიზნის განხორციელება რიზეს, ოფისა და სურმენეს რეგიონების მოსახლეობასთან შეთანხმებით სცადა [Aybar, 2017: 497]. ომის გამო, სახელმწიფოს არ შეეძლო მემიშ აღას წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარება.

ომის დასრულებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში, მემიშ აღამ შეინარჩუნა თავისი ძალაუფლება რეგიონში, მაგრამ იგი საბოლოოდ ერზრუმის გუბერნატორ ფეჰლივან იბრაჰიმ ფაშას მიერ იქნა დატყვევებული და 1817 წლის 26 ნოემბერს სიკვდილით დასჯილი [**Hacısalihoğlu, 2012: 451**]. ასეთი სიტუაციები იქმნებოდა იმპერიის არსებობის თითქმის ყველა ეტაპზე. სახელმწიფო მმართველები ხშირად ახორციელებდნენ ასეთ ქმედებებს, განსაკუთრებით ომის დროს, თავიანთი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიების გაფართოების მიზნით, სარგებლობდნენ რა სახელმწიფოს პრობლემური მდგომარეობით.

სელიმსა და შერიფ ფაშას შორის დაპირისპირებას, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს რეგიონის რუსი სარდლები. გენერალმა ორბელიანმა, რომელმაც იცოდა ამ დავის შესახებ და სურდა სიტუაციით სარგებლობა, კიდევ ერთხელ გადაწყვიტა შეტევა ფოთის ციხეზე. ტრაპიზონის მმართველი შერიფ ფაშა 9.000-კაციანი რაზმით დასახმარებლად გაეშურა. ორბელიანმა თავისი ჯარი განლაგდა მდინარე გრიგოლეთის ნაპირებზე და დაიწყო ლოდინი. რუსებმა ჯარების მობილიზაცია მოახდინეს სამეგრელო-აფხაზეთშიც. 1809 წლის 27 ნოემბერს ფოთის ციხესიმაგრე რუსების ხელში გადავიდა [**Beygua, 1999: 61; რეხვიაშვილი, 1992: 233-235**]. ოსმალებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ დაიწყეს შავი ზღვის სანაპირო ზოლის, განსაკუთრებით ბათუმის, ტრაპიზონისა და სოხუმის გამაგრებაზე ზრუნვა [**Türkmen, 2003: 29**]. შეიცვალა აქაური ჯარის სარდლები. სინოპის გამგებელი ჰაზინედარზადე სულეიმან აღა, 1810 წლის იანვარში დაინიშნა ფოთის ციხესიმაგრის უფროსად, საფაშოს გამგებლად [**COA, HAT, 23702**] და ებრძანა ფოთის დაბრუნება. სულეიმან აღა თავიდან ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ გაუძლო სულთან მაჰმუდ II-ის ზეწოლას და 1811 წლის 26 ივნისს გაემართა ფოთის ციხისკენ [**COA, HAT, 41305-A**]. თუმცა, როგორც ჩანს, ფოთის ციხესიმაგრის აღების ეს მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა.

როგორც აღინიშნა, ფოთის დაკარგვის შემდეგ პორტამ სასაზღვრო რეგიონებში შეცვალა მმართველები. მათ შორის სელიმ ფაშაც, რომელიც ახალციხის მმართველის თანამდებობიდან და ბათუმის ციხის უფროსობიდან გადააყენეს და მის ადგილას რიზეს ბატონი თუზჯუოღლუ მემიშ აღა დანიშნეს [**Ahmet Cevdet, 1892: 236**]. ამავე პერიოდში, 1811 წელს, რუსებმა აფხაზეთის მმართველი დინასტიის წარმომადგე-

ნელი - სოსლანი ბათუმში გაგზავნეს და მიზნად დაისახეს იქ ავტონომიური მთავ-რობის შექმნა. რუსებს სურდათ ესარგებლათ შერვაშიძეების ოჯახის აჭარაზე გავლე-ნით. თუმცა, ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა, რადგან მალევე, 1812 წელს რუსებსა და ოსმალებს შორის ზავი გაფორმდა [**კვაშილავა, 2017: 589**]. მანამდე პორ-ტამ დაიჭირა თადარიგი და, სიფრთხილის მიზნით, შესაძლო თავდასხმის თავიდან ასაცილებლად ბათუმში, ტრაპიზონსა და რიზეში საბრძოლო მასალა და არტილე-რიის ოსტატები გაგზავნა [**Ahmet Cevdet, 1892: 236**].

რა თქმა უნდა, აქ ომის მთელ პერიპეტიებს და კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ვერ შევეხებით, მოკლედ აღვნიშნავთ ძირითად მომენტებს: 1810 წლის თებერვალში ყაბარდოელებმა დაიწყეს აჯანყება რუსების წინააღმდეგ, რომელიც გენერალმა ბულგაკოვმა სისხლში ჩაახშო. ამის შემდეგ სოხუმისთვისაც მოიცალეს და 1810 წლის ივნისში აიღეს ციხესიმაგრე [**Aydın, 2001: 98**].

სოხუმის აღებით წაქეზებულმა რუსულმა ფლოტმა 1810 წლის 27 ოქტომბერს თავდასხმა განახორციელა ტრაპიზონზე. ალექსანდრე I-ს ტრაპიზონში სამხედრო ბაზის შექმნა სურდა, თუმცა ეს ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა. რუსებმა დიდი დანაკარგით უკან დაიხიეს [**Yılmaz, 2019: 483**].

ომის დროს რუსული სამხედრო მოქმედებები, ახალციხის რეგიონის წინააღმ-დეგ, გაგრძელდა მთელი 1810 და 1811 წლებში. ამ პერიოდის განმავლობაში, ახალ-ციხის რეგიონში მცხოვრები ქრისტიანი ქართველები მხარს უჭერდნენ რუსეთის ჯა-რებს და იბრძოდნენ საქართველოსთან გაერთიანებისთვის. ეს აშკარად ჩანს გენერალ ტორმასოვისადმი გენერალ ორბელიანის წერილში [**გოგოლაური, 2016: 69**].

1810 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარმა ალყა შემოარტყა ახალციხეს და შეუტია მას. ერზერუმის გუბერნატორი, ემინ ფაშა, მივიდა ახალციხის დასახმარებლად, რასაც რუსთა უკან დახევა მოჰყვა. დამარცხებულ რუსულ ჯარს, ახალციხის არმიამ უკან მისდია. ამგვარად, რუსული ჯარი იძულებული გახდა თბილისის მიმართუ-ლებით წასულიყო [**COA, HAT, 1005-42140**]. გარდა ამისა, რუსეთის ჯარში ალყის დროს დაწყებულმა ჭირის ეპიდემიამ, რუსული არმია საკმაოდ დაასუსტა [**Kardaş, 2010: 33**]. ამ წარუმატებლობის გამო, ახალი დანიშვნები განხორციელდა კავკასიაში რუსეთის არმიის სარდლობაში.

ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს, ერევნის ხანის ჰუსეინის მეშვეობით ჩამოყალიბდა ოსმალეთ-ირანული ალიანსი. ჰუსეინ ხანი თვლიდა, რომ მას მხოლოდ ოსმალეთ-ირანული მოკავშირეობით შეეძლო საერთო მტრის – რუსებისთვის წინააღმდეგობა გაეწია. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ახალციხის გუბერნატორ შერიფ ფაშას, რომელთანაც იმ დროს კარგი ურთიერთობა ჰქონდა. საერთო მტრის, რუსეთის განდევნის მიზნით, 1810 წელს ირანელი თავადი აბას მირზა, ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთის არმიის მთავარსარდალ ემინ ფაშასთან შესახვედრად, ახალციხეში გაემგზავრა. ერთობლივი ანტირუსული გეგმის მომზადებაში მონაწილეობდა ახალციხის გუბერნატორიც [**Teymurova, 2016: 56**]. გეგმის თანახმად, ჰუსეინ ხანი 7.000 ჯარისკაცით წავიდოდა შერიფ ფაშას დასახმარებლად და გაერთიანებული ძალით შეუტევდნენ საქართველოს. მას შემდეგ, რაც ჰუსეინ ხანი ახალქალაქს მიუახლოვდა, შერიფ ფაშა შეუერთდა მას 17.000 ჯარისკაცით. ოსმალეთსა და ირანს შორის ალიანსმა, 1810 წლის აგვისტოში შედეგი გამოიღო. თუმცა, ჯაშუშების მეშვეობით გენერალმა ტორმასოვმა შეიტყო ამ ალიანსის შესახებ და ძალიან სწრაფი მოქმედება დაიწყო მის წინააღმდეგ. ქართული წყაროები აცხადებენ, რომ ტორმასოვმა ამ ალიანსის შესახებ, სელიმ ფაშას წყალობით შეიტყო და რომ სელიმ ფაშას მიზანი იყო მისი ბუნებრივი მტრის - ოსმალეთის განადგურება, ამ გზით მას ასევე სურდა რუსებთან ურთიერთობის გაუმჯობესება [**გოგოლაური, 2016: 72**]. გენერალ ტორმასოვმა ჯერ ერევნის ხანი ჰუსეინ ხანი დაამარცხა, შემდეგ კი გაერთიანებული ოსმალეთ-ირანული ჯარი და აღმოფხვრა რუსეთის დიდი საფრთხე. 1810 წელს აღმოსავლეთ ჯარების მეთაურის, ემინ ფაშას მკვლელობის შემდეგ, ამ ალიანსის პერსპექტივა მთლიანად დასრულდა [**Mustafazade, 2015: 806**].

1811 წლის სექტემბერში რუსულმა ჯარმა ალყა შემოარტყა სუჯუკ-კალეს და იმავე თვეში აიღო იგი. იმავე წლის დეკემბერში რუსებმა აიღეს ახალქალაქიც. გაიცა ახალციხის გუბერნატორის – შერიფ ფაშას დაპატიმრების ბრძანება. მის ადგილას კი ახალციხის გუბერნატორად ისევ სელიმ ფაშა დაინიშნა [**COA, HAT, 283**].

1811 წლის მიწურულს, ორ მხარეს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო. რუსები მოითხოვდნენ მთელს ჩერქეზულ, აფხაზურ და ქართულ მიწებს მდინარე ფაზისის გაყოლებაზე, ანაპას ციხიდან ქემჰალის ციხესიმაგრემდე. თავის მხრივ,

ოსმალეთის იმპერია ცდილობდა მშვიდობის დამყარებას ტერიტორიების დაკარგვის გარეშე. რუსები ცდილობდნენ ოფიციალური სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას მნიშვნელოვანი სტრატეგიული წერტილების, განსაკუთრებით ბალკანეთის შენარჩუნებით. მათ მიზნად დაისახეს, რომ ბალკანეთის ომის დროს ოსმალებისთვის წართმეული მნიშვნელოვანი ციხეები არ დაეთმოთ. თუმცა, ეს წინადადება არ იქნა მიღებული ოსმალეთის იმპერიის მიერ [**Ahmet Cevdet, 2016: 229**].

1812 წლის მარტში, ნაპოლეონის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ომისთვის მზადებამ, რუსეთი აიძულა შეერბილებინა თავისი სამშვიდობო შეთავაზებები. 1812 წლის 16 მაისში ხელმოწერილი ბუქარესტის ხელშეკრულებით ომი დასრულდა [**Sevim-Yücel, 1992: 152**]. ხელშეკრულების მე-6 მუხლით, რუსეთი დათანხმდა, რომ დაებრუნებინა ოსმალებისგან სამხრეთ კავკასიაში აღებული ტერიტორიები (ფოთი, სუჯუკ-კალე, ანაპა, ახალქალაქი); მდინარე ყუბანი დადგინდა საზღვრად ორ სახელმწიფოს შორის; ანაკლია, ქემჰალისა და სოხუმის ციხესიმაგრეები, რომლებიც ომამდე ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა, რუსების ხელში გადავიდა; ახალციხის, ახალქალაქის რეგიონები, რომლებიც ომის დროს რუსეთმა დაიკავა, ოსმალეთს დაუბრუნდა.

ბუქარესტის ხელშეკრულებიდან ერთი წლის შემდეგ, 1813 წელს, რუსეთსა და ირანს შორის ხელი მოეწერა გულისტანის ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა მოიპოვა გავლენა დერბენტზე, ყუბაზე, ბაქოზე, ლენქორანზე, შირვანზე, შეიკზე, განჯასა და ყარაბაღის სახანოებზე და ელისუს სასულთნოზე [**Yılmazçelik, 2015: 53**].

როგორც ვხედავთ, შიდაპოლიტიკური, სამხედრო არეულობებისა და მმართველობის ხარვეზების გამო, ომში ოსმალეთის იმპერია დამარცხდა. ომის დროს, რუსეთის არმიამ, საფრანგეთის საფრთხის გამო ვერ შეძლო ჯარის კონცენტრაცია კავკასიაში. თავის მხრივ, ვერც ოსმალეთის იმპერიამ მოახერხა საკმარისი ჯარის მობილიზება პროვინციებში მმართველებს შორის კონფლიქტის გამო [**Sunar, 2018: 250**]. გარდა ამისა, ოსმალეთმა ვერ შეძლო შეეჩერებინა რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია. ბუქარესტის ხელშეკრულებით, ომის დროს დაკარგული ფოთის, სუჯუკ-კალეს და ანაპას ციხესიმაგრეები ოსმალეთმა უკან დაიბრუნა, რითაც შეინარჩუნა გავლენა რეგიონში ჩერქეზებზე [**Karagöz, 2009: 165**].

თუ დავაკვირდებით რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობას, ჩანს, რომ რუსეთის ზეწოლა მათზე დღითი-დღე იზრდებოდა. რუსები ეჭვის თვალით უყურებდნენ იმერეთის მეფე სოლომონ II-ს. ახალციხეზე შეტევის წარუმატებლობის შემდეგ, სოლომონი შეხვდა ერზრუმის მმართველ იუსუფ ზია ფაშას, რომელთანაც ისაუბრა ოსმალებთან რუსების წინააღმდეგ ალიანსზე [**Gvosdev, 2000: 123**]. ამის გათვალისწინებით, 1810 წლის 20 თებერვალს, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოაცხადა იმერეთის სამეფოს გაუქმება და ბრძანა, რომ სოლომონ II., მისი ოჯახი და იმერეთის სამეფოს მმართველი დინასტიის წევრები გადაესახლებინათ რუსეთში [**კუპრაშვილი, 2019: 156**]. გენერალმა ტორმასოვმა სოლომონ II მიიწვია თბილისში და დაატყვევა. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, სოლომონმა მოახერხა გაქცევა და 1810 წლის 11 მაისს ახალციხეში ჩავიდა. მან ორი თავადი - დავითი და ქაიხოსრო დახმარების სათხოვნელად სტამბოლს გაგზავნა, მდივანი სოლომონი კი – ირანში [**დუმბაძე, 1973: 866**]. ახალციხის და ტრაპიზონის ფაშები სოლომონ II-ს მხარდაჭერას დაპირდნენ [**Gümüş, 2006: 108**].

1810 წელს ქართლ-კახეთის მსგავსად, იმერეთშიც დამყარდა რუსული მმართველობა, რომელიც თანდათან მთელ დასავლეთ საქართველოზე გავრცელდა. რეგიონის გუბერნატორად დაინიშნა გენერალი სიმონოვიჩი. მას დაქვემდებარენ გურია-სამეგრელო-აფხაზეთის მთავრები. მიუხედავად ბუქარესტის ხელშეკრულებისა, ოსმალეთი კრებდა ინფორმაციას იმერეთში შექმნილ ვითარებაზე, ყურადღებით აკონტროლებდა რუსების რეაქციებს საქართველოში. 1811 წელს ოსმალეთის იმპერია ოფიციალურად დაჰპირდა სოლომონ II-ს მხარდაჭერას და აღნიშნა, რომ იმერეთის სამეფო მას დაუბრუნდებოდა [**COA, HAT, 44599**]. 1813 წლის 29 ნოემბრით დათარიღებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ სოლომონის სიძე მალხაზ ანდრონიკაშვილი აცნობებდა ოსმალეთის იმპერიას იმერეთის სამეფოში რუსეთის ჯარების რაოდენობისა და რეგიონში მყოფი თავადების განწყობის შესახებ [**COA, HAT, 1105-44615-Ç**]. ამავე დროს, რუსეთი ოფიციალურად მოითხოვდა სოლომონ II-ის გადაცემას [**COA, HAT, 789-36772**]. პარალელურად, ირანელი აბას მირზა ცდილობდა ახალციხეში შეკრებილი ძალები ჩაერთო რუსების წინააღმდეგ ომში [**Teymurova, 2016: 54**].

რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობისას, 1811 წლის 11 ივნისს რუსეთმა გააუქმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და იგი დაუქვემდებარა მოსკოვის საპატრიარქოს [**მურუსიძე, 2017: 18**]. რუსებმა მოითხოვეს ქართული ეკლესიის პატრიარქისა და ერეკლე II-ის ვაჟის ანტონ II-ის რუსეთში ჩასვლა. უარის შემდეგ კი ძალით გადაასახლეს [**ჟუჟუნაშვილი, 2011: 229**]. ანტონი გარდაცვალებამდე, 1828 წლამდე ცხოვრობდა დევნილობაში ნიჟნი ნოვგოროდში [**Rapp, 2010: 150**]. რუსული ეკლესიის შესაბამისად მოწყობილ იქნა ქართული საეკლესიო იერარქია და თბილისი გახდა მისიონერული საქმიანობის ცენტრი არაქრისტიანული კავკასიელი ხალხისთვის. XIX საუკუნის 10-20-იან წლებში წლებში მისიონერული საქმიანობის შედეგად, გაქრისტიანდა არაერთი ოსი, აფხაზი, ჩეჩენი და ინგუში [**გნოლიძე, 2003: 10**].

როგორც ვხედავთ, ოსმალეთ-რუსეთის 1806-1812 წლების ომი, დაიწყო დასავლეთის სახელმწიფოების ზეწოლის შედეგად და გაგრძელდა კავკასიაში ოსმალეთის დაცემის პროცესი. ევროპაში საომარი გარემო გარდაუვალად აიძულებდა ოსმალეთის იმპერიას ომში ჩაბმას. მიუხედავად იმისა, რომ რუსები რთულ ვითარებაში იყვნენ, ისინი ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდნენ. ოსმალთა მარცხის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, ჯარის არაორგანიზებულობასთან ერთად, კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის მთავრებს შორის კონფლიქტი იყო, რომელიც განსაკუთრებით ახალციხეში იყი თვალში საცემი. სწორედ ამ რეგიონში იგრძნობოდა ანტიოსმალური განწყობილება, თუმცა ოსმალეთმა იმ ეტაპზე მასზე კონტროლის შენარჩუნება მოახერხა. ამავე დროს, პორტა იძულებული გახდა შეგუებოდა იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევას.

§2. სელიმ და შერიფ ფაშების ბრძოლა ახალციხისთვის. სამხრეთ კავკასია 1812-1828 წლებში

სელიმ ხიმშიაშვილი, მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედის ოსმალეთისა და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა. იმ პერიოდში, როდესაც განსაკუთრებით გამწვავდა რუსეთ-ოსმალეთ-ირანის ურთიერთობები, სელიმ ხიმშიაშვილი ორჯერ გახდა ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონის მმართველი, როგორიც ახალციხეა, პირველად 1802-1809, მეორედ 1812-1815 წლებში. სელიმ ხიმშიაშვილის შესახებ დოკუმენტური მასალები მოიპოვება როგორც ოსმალურ, ასევე ქართულ და რუსულ ისტორიულ წყაროებში, თუმცა თურქულ ისტორიოგრაფიაში მასზე ცნობები მწირია და ის პერიოდი საკმარისად არ არის გამოკვლეული. ქართველ მკვლევართა ნაშრომები კი გაცილებით ინფორმაციულია

სტამბოლის სახელმწიფო არქივში დაცულ დოკუმენტებში ასახულია სელიმ ფაშასა და ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას შორის არსებული ურთიერთობები. აქვე მოიპოვება ცნობები ახალციხის ეიალეთის მმართველობისა და მდგომარეობის, სელიმ ფაშისთვის გამოყოფილი თანხების, ქართული სამთავროების, ირანსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების, სელიმ ფაშასა და შერიფ ფაშას შორის არსებული ბრძოლებისა და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ.

სელიმ ფაშა დაიბადა ზემო აჭარის სოფელ ნიგაზეულში. აჭარის რეგიონის პირველ მმართველად მოხსენიებულია სელიმის მამა აბდული (1735-1784) [**თურმანიძე, 2015: 54**]. თურქულ ისტორიოგრაფიაში გვხვდება ცნობა, თითქოს ფაშას წინაპრები საქართველოში მიგრირებული გაქრისტიანებული ყივჩაყები იყვნენ, თუმცა, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მისი ქართული წარმომავლობა (კონკრეტულად აჭარის რეგიონიდან) ეჭვს არ იწვევს [**Acar, 1995: 63**]. ცნობილია, რომ სელიმ ფაშას წინაპრები სოფ. ზენდიდიდან ახალციხეში გადავიდნენ [**სურმანიძე, 2015: 45**]. სელიმ ფაშას დედა, ახალციხელი ბეჟანიძის ქალი გახლდათ. სელიმ ფაშა დაიბადა 1755 წელს. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი თუ რა განათლება მიიღო მან თავის

ოჯახში. 1775 წელს სელიმ ფაშა ჩაირიცხა დარ-ულ ბეგის სამხედრო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაასრულა 4 წლის შემდეგ. ახალციხეში დაბრუნდა მაიორის ჩინით და იქორწინა აჭარელი შაქირ ფაშას ქალიშვილზე ელმასზე. შაქირ ფაშას ევალებოდა ქართულ სამთავროებთან დიპლომატიური ურთიერთობების წარმოება.

1784 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, სელიმ ფაშა გახდა აჭარის სანჯაყის მმართველი. 1802 წლის 26 აგვისტოს კი მას, აჭარასთან ერთად, ახალციხის საფაშოც ჩაბარდა [**Süreyya, 1996: 1492**]. სელიმ ფაშას ახალციხის მმართველად დანიშნვის შემდეგ, ახალციხის წინა გამგებელ შერიფ ფაშასა და სელიმ ფაშას შორის დაიწყო უთანხმოება.

შერიფ ფაშას ცხოვრებასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, წყაროებში ბევრი ცნობა არ მოგვეპოვება. შერიფი ახალციხის ათაბაგთა საგვარეულოს ეკუთვნოდა და იყო ახალციხის ვალის ისჰაკ ფაშას შვილიშვილი და სულეიმან ფაშას შვილი. 1791 წელს შერიფის მამის სულეიმანის გარდაცვალების შემდეგ ახალციხის მმართველის თანამდებობა ისევ ისჰაკ ფაშამ – სულეიმანის მამამ დაიკავა. თუმცა მას შემდეგ, რაც ერთ წელიწადში ისჰაკ ფაშა ახალციხის ვალის თანამდებობიდან გათავისუფლდა, შერიფ ფაშა გახდა ახალციხის გამგებელი ვეზირის უფლებებით [**Süreyya, 1996: 1589**]. უკვე 1797 წლის იანვარში იგი თანამდებობაზე ბიძამისმა მეჰმედ საბით ფაშამ ჩაანაცვლა [**Süreyya, 1996: 1411**]. შერიფ ფაშა არ შეეგუა ამ მდგომარეობას და სამხედრო ძალით მოახერხა ახალციხის დაბრუნება. 1801 წელს შერიფი კვლავ გათავისუფლდა თანამდებობიდან და ახალციხე ისევ მეჰმედ საბით ფაშას ჩაბარდა, თუმცა მისი დაკავება ვერ მოახერხა, რადგან 1802 წელს ახალციხის გამგებელი სელიმ ფაშა გახდა, რასაც მოჰყვა დაპირისპირება სელიმ ფაშასა და შერიფ ფაშას შორის ახალციხის ეიალეთის ვალის თანამდებობისათვის.

1802 წლის 1 ნოემბერს შერიფ ფაშა გაიქცა ახალციხიდან, რის მიზეზიც მოსახლეობის უკმაყოფილება იყო. ეს კარგი მაგალითი უნდა ყოფილიყო სელიმ ფაშისთვის [**COA, HAT, 81-3360**]. 1802 წლის 3 დეკემბერს სელიმ ფაშა თავს დაესხა ჩილდირის ციხეში შემალულ შერიფს, რომელმაც 200 მეომართან ერთად ოლთისის სანჯაყის მიმართულებით დაიხია უკან, სელიმი კი მას გამოედევნა [**COA, HAT, 72-3024**]. შერიფს ამ მძიმე ვითარებაში დახმარების ხელი გაუწოდა ბაიაზეთის სანჯაყბეგმა

მუსტაფა ფაშამ, რომელმაც მას 300 მეომარი დაახმარა. თუმცა, სელიმ ფაშამ ეს ჯარი დაამარცხა [**გოგოლაური, 2016: 17**]. მაგრამ მუსტაფა ფაშას დახმარებით შერიფ ფაშამ მაინც მოახერხა ერევანში გაქცევა [**COA, HAT, 107-4217**]. თავიდან, ერევანის ხანს სურდა შერიფ ფაშა ოსმალეთისათვის გადაეცა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა [**COA, HAT, 105-4143**]. 1803 წლის აგვისტოში შერიფ ფაშა ახალციხის დასაპყრობად სელიმ ფაშას წინააღმდეგ გაემართა. შერიფმა ჯერ ახალქალაქის სოფლები დაიკავა და იქაურ ციხეებში თავისი ჯარისკაცები შეაყენა. თუმცა, სელიმმა მისი ჯარი დაამარცხა და რეგიონიდან კვლავ გააძევა [**გოგოლაური, 2016: 19**]. 1803 წლის დეკემბერში შერიფი ისევ დაეცა ახალციხეს. ამ მოულოდნელი თავდასხმის გამო სელიმი იძულებული გახდა ფოცხოვისკენ დაეხია. თუმცა, შერიფმა ვერ მოახერხა ახალციხეში გამაგრება და სელიმმაც ქალაქი უკან დაიბრუნა [**გოგოლაური, 2016: 20**].

მოგვიანებით, 1804 წლის 16 აპრილის მიმოწერით დგინდება, რომ შერიფ ფაშა გაგზავნილ იქნა თბილისში ჯაშუშად [**COA, HAT, 161-6702**] აბას მირზას მიერ. ამ მიზეზით გენ. ციციანოვმა წერილი მისწერა სელიმ ფაშას, რომელშიც საუბარია შერიფ ფაშას სურვილზე 4.000 ჯარისკაცით თბილისზე თავდასხმის შესახებ და რომ ეს სამხედრო ექსპედიცია მარტო თბილისით არ შემოიფარგლებოდა. აქედან კარგად ჩანს, რომ ციციანოვს ახალციხის გამგებლად სელიმ ფაშა სურდა [**გოგოლაური, 2016: 20**]. რაც შეეხება სელიმს, ამ პერიოდისთვის, რეგიონში გაზრდილი რუსული გავლენის გამო, 1804 წლის 16 მარტს, ფოთის ციხე-სიმაგრის დაცვის მიზნით, მას გადაეცა გონიოს სანჯაყიც [**COA, C.DH., 237-11848-0**].

აღნიშნული მოვლენების შემდეგ, შერიფ ფაშა ირანთან კარგი ურთიერთობის გამო, შეწყალებულ იქნა. 1807 წელს, ყარსის მმართველი უნდა გამხდარიყო, მაგრამ მოგვიანებით, მცირე ხნით, დიარბაქირის, ადანისა და ფიონის მმართველად დაინიშნა. 1809 წელს მას ანდეს ტრაპიზონი და შავი ზღვის არმიის მთავარსარდლობაც [**Süreyya, 1996: 1589**]. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ორივე ფაშას გარკვეული მოვალეობები ეკისრათ. 1808 წლის 23 ოქტომბერს, ციხის დაცვის მიზნით, სელიმ ფაშა თავისი ჯარით ახალქალაქში ჩავიდა და რუსეთის შემოტევა შეაჩერა [**COA, C.AS., 876-37591-0**]. რუსეთის თავდასხმის შედეგად, ციხის დამცველთა შორის დაიღუპა სელმ ფაშას ძმისწული და სხვა ნათესავები [**ლომსაძე, 1975: 120**]. რუსებთან

ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება სელიმ ფაშამ სტამბოლს რუსების მოჭრილი თავებით აცნობა [COA, HAT, 1363-53836-0]. თუმცა, ომის მსვლელობისას ბრძოლა მიმდინარეობდა სელიმ ფაშასა და შერიფ ფაშას შორისაც, რამაც შეასუსტა რუსეთის მიმართ ოსმალეთის არმიის წინააღმდეგობა. 1809 წლის 24 ნოემბერს რუსულმა ჯარმა ფოთის ციხე-სიმაგრეს შეუტია და ალყაში მოაქცია. როგორც ტრაპიზონის მმართველ შერიფ ფაშას, ასევე ახალციხის მმართველს სელიმ ფაშას ებრძანათ ფოთის ციხე-სიმაგრის დაცვა. თუმცა, მათ შორის არსებული უთანხმოების გამო, ფოთის ციხე-სიმაგრის დასაცავად არავინ წასულა და რუსებმაც ფოთის ციხე ხელში ჩაიგდეს [COA, HAT, 1002-42061-0].

ფოთის ჩაბარებამ დღის წესრიგში დააყენა ფაშების დასჯის საკითხი. ოსმალეთის სახელმწიფოს ეჭვი შეეპარა სელიმ ფაშას ავადმყოფობაში, რა მიზეზითაც მან ვერ მიიღო მონაწილეობა რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში [სურმანიძე, 2015: 44]. ამის გამო, სელიმ ფაშა გადმოყვანილ იქნა აჭარაში, ახალციხე კი ფაშის გარეშე დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ხელისუფლება არ იყო კმაყოფილი შერიფ ფაშათი, მისი სურვილისამებრ, 1810 წელს, ის კვლავ ახალციხის მმართველად დანიშნეს [COA, C.DH., 298-14875-0]. საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, რომ ახალციხის მოსახლეობა უკმაყოფილი იყო ომის პერიოდში სელიმ ფაშას მიერ გატარებული პოლიტიკით. მათ მიერ სტამბოლში გაგზავნილ წერილებში ჩანს, რომ ხალხი სელიმ ფაშას ნაცვლად ახალციხის მმართველად შერიფ ფაშას დანიშნვას ითხოვდა [COA, HAT, 798-36994-0]. ახალციხელები აცხადებდნენ, რომ ისინი ცუდი მმართველობის გამო ახალციხეში შესვლის ნებას არ მისცემდნენ სელიმ ფაშას და ითხოვდნენ ახალციხის დაქვემდებარებას ტრაპიზონის ეიალეთისადმი, ანუ შერიფ ფაშას მმართველობისადმი [COA, HAT, 798-36994-0].

თავისი მმართველობის პერიოდში, სელიმ ფაშა, ერთის მხრივ ცდილობდა შეენარჩუნებინა ოსმალეთთან კარგი ურთიერთობა, ხოლო მეორეს მხრივ ირჯებოდა საქართველოს ერთიანობისთვის. მას აქტიური ურთიერთობები ჰქონდა გურიის სამთავროსთან, იმერეთის სამეფოსთან და ქართლ-კახეთის მესვეურებთან. 1809 წელს სელიმ ფაშა შეხვდა რუსი გენერლის, მთავარმართებელ ტორმოსოვის წარმომადგენელს და მიიღო რუსეთის მფარველობა. ამის მიხედვით, ადრე რუსეთის მიერ

დაპყრობილი გურიისა და სამეგრელოს სამთავროების მსგავსად, ახალციხეც ავტონომიურ სტატუსს იღებდა [**თურმანიძე, 2015: 56**]. სელიმი მიისწრაფოდა რუსეთისაკენ საკუთარი ოჯახისა და რეგიონში თავისი მდგომარეობის დაცვის მოტივით [**სურმანიძე, 2015: 41**]. თუმცა, 1810 წლის შემდეგ სელიმ ფაშას პოლიტიკა შეიცვალა. რუსეთის მიერ იმერეთის მეფე სოლომონ II-ის მიმართ განხორციელებული დევნის შემდეგ, სელიმ ფაშას რუსეთისგან დახმარების იმედი გაუქრა და იგი საკუთარი ძალებით შეეცადა ერთიანი დამოუკიდებელი საქართველოს იდეის განხორციელებას [**სურმანიძე, 2015, 45**]. ამას გარდა იმ დროს, როცა რუსები სელიმთან ურთიერთობების გაღრმავებას, დაახლოებას ცდილობდნენ, მეორე მხრივ შერიფ ფაშას გადმობირებასაც ესწრაფოდნენ. მიზანი, რა თქმა უნდა მდგომარეობდა იმაში, რომ რუსებმა იცოდნენ, თუ სელიმი დამარცხდებოდა, შერიფს კვლავ შეეძლო ახალციხის დაბრუნება. რუსული მმართველობის დამყარების საკითხზე გენ. ტორმასოვი შეხვდა შერიფ ფაშას ელჩს, თუმცა, ფაშა რუსებისათვის ზუსტი პასუხის მიცემას გაურბოდა [**ლომსაძე, 1975: 123**].

1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის პერიოდში, ქართული სამთავროების მიმართ რუსეთის ზეწოლა კიდევ უფრო გაიზარდა. რუსეთმა, აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, დაიპყრო სამეგრელოსა და გურიის სამთავროებიც. 1810 წელს ტორმასოვის ბრძანებით დააპატიმრეს იმერეთის მეფე სოლომონ II და თბილისში ციხეში მოათავსეს [**სურმანიძე, 2015: 47**]. თუმცა, მან თავისიანების დახმარებით, მოახერხა თბილისიდან გაქცევა და 2010 წლის 19 მაისს ახალციხეში ჩავიდა [**ლომსაძე, 1997: 215**]. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში ახალციხის მმართველი შერიფ ფაშაა, რომელსაც, ასევე კარგი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სოლომონ II-სთან: 1802 წელს, სამეგრელოს სამთავრო მიმართ განხორციელებულ სამხედრო მოქმედებებში შერიფ ფაშამ სოლომონ II-ს სამხედრო დახმარება აღმოუჩინა. არც სოლომონი დარჩა ვალში. სწორედ იგი დაეხმარა შერიფ ფაშას ერევნიდან ახალციხეში დაბრუნებაში [**Gümüş, 2006: 108**]. თავის მხრივ, სელიმ ხიმშიაშვილი სოლომონ II-ს ჰპირდებოდა, რომ დახმარებას გაუწევდა იმერეთიდან რუსების განდევნაში და სამეფო ტახტზე დაბრუნებაში [**სურმანიძე, 2015: 47**].

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ერევნის ხანის ჰუსეინის შუამავლობით შედგა ირან-ოსმალეთის ალიანსი. ხუსეინ ხანი თვლიდა, რომ საერთო მტრის - რუსეთის წინააღმდეგობის დაძლევა მხოლოდ ირან-ოსმალეთის კავშირით შეიძლებოდა და ამ მიზნით დაუკავშირდა ახალციხის გუბერნატორს შერიფ ფაშას. გეგმით, ჰუსეინ წავიდოდა შერიფის დასახმარებლად 7.000 ჯარისკაცით და ისინი ერთობლივად დალაშქრავდნენ საქართველოს. ამ ინიციატივის ფარგლებში 1810 წლის აგვისტოში შედგა ირან-ოსმალეთის შეთანხმება. თუმცა, გენ. ტორმასოვმა ჯაშუშური ქსელის საშუალებით გაიგო ამ კავშირის შესახებ და სწრაფ მოქმედებებზე გადავიდა. ტორ-მასოვმა ჯერ ჰუსეინ ხანი დაამარცხა, შემდეგ კი ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ჯარი, რითაც რუსებს დიდი საფრთხე ააცილა [**Oktay, 2017: 384**].

1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის მიმდინარეობისას, რუსებმა 1811 წლის 10 დეკემბერს დაიპყრეს ახალქალაქი [**Bilge, 2015: 353**]. ომის დასრულების შემ-დეგ დადებული ბუქარესტის ზავით, ახალქალაქი კვლავ ოსმალეთს დარჩა. შერიფ ფაშას ამ წარუმატებლობამ გამოიწვია მისი ახალციხის მმართველის თანამდებო-ბიდან განთავისუფლება და მის მიმართ გაიცა დაპატიმრების ბრძანება [**COA, HAT, 283-16858**]. ამასთან, სტამბოლში გაიგეს, რომ ერევნის ჰუსეინ ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში შერიფ ფაშა ეხმარებოდა რუსებს [**COA, HAT, 799-37032-0**]. შერიფ ფაშას ნაცვლად ახალციხის მმართველად კვლავ სელიმ ფაშა დაინიშნა [**COA, HAT, 282-16793**], მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთს კვლავ ჰქონდა ეჭვი სელიმის მიმართ და დაიწყო მისი კონტროლი. ფაშებს შორის არსებული წინააღმდეგობის შესასუსტებ-ლად, შერიფ ფაშა ტრაპიზონიდან შორს გაიგზავნა [**COA, HAT, 1318-51382**]. 1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის დასრულების შემდეგ, სელიმ ფაშას ადრეული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა რუსების თვალში. ამ სიტუაციას, რა თქმა უნდა, გამოი-ყენებდა ოსმალეთის მმართველობა და დააშინებდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებულ ლიდერებს [**ჯიბაშვილი, 2015: 74**].

ომის შემდეგ, კვლავ გაგრძელდა მტრობა სელიმ ფაშასა და შერიფ ფაშას შორის და შერიფ ფაშამ ახალციხის ხელში ჩასაგდებად დაიწყო გზების ძიება. 1812 წლის 14 თებერვალს ის შეხვდა რუსებს, სავარაუდო დახმარების მისაღებად ჩავიდა ხერთ-ვისში და იქედან შავშეთში გადავიდა [**ლომსაძე, 1975: 218**]. ამავე დროს ოსმალეთის

ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება თავი მოეკვეთა როგორც სელიმ ფაშისთვის, ისე შერიფისთვისაც [**COA, HAT, 1105-44615**]. 1815 წლის 12 დეკემბერს, ერზრუმის მმართველი ფეჰლივან იბრაჰიმ ფაშა (ბაბა ფაშა) სამი მხრიდან შევიდა ახალციხეში და აიღო ოლთისის ციხე-სიმაგრე [**COA, HAT, 481-23564**]. ამის გამო, სელიმ ფაშამ მიატოვა ახალციხე და აჭარას შეაფარა თავი [**COA, HAT, 1226-47910**]. 1815 წლის 27 მაისს ოსმალეთის სახელმწიფოს ბრძანებით შერიფ ფაშა შეიპყრეს და ბურსაში გაგზავნეს. სელიმ ფაშამ კი თავი ხიხანის ციხეში გამოიკეტა [**COA, HAT, 662-32276**]. 1815 წლის 11 ივნისს სელიმ ფაშა შეიპყრეს და თავი მოჰკვეთეს. ახალციხის ქრონიკაში სელიმ ფაშას თავის მოკვეთის თარიღად 3 ივნისია მითითებული [ლომსაძე, 1975: 220]. სელიმ ფაშას სიკვდილით დასჯისა და შერიფ ფაშას ბურსაში გაგზავნის შემდეგ, ახალციხის ეიალეთი რამდენიმე წლით გადასახადისგან გათავისუფლდა [**COA, HAT, 475-23309**]. შერიფ ფაშა ბურსაში გაგზავნიდან 5 წლის შემდეგ ხელახლა დაინიშნა თანამდებობაზე. 1821 წელს დაწყებული საბერძნეთის აჯანყების დროს მას ჯერ ირაკლიონის გვარდია ჩაბარდა (1822 წელს), შემდეგ კი კრეტის სერასკერად დაინიშნა. გარდაიცვალა 1823 წლის აპრილში [**Süreyya, 1996: 1590**].

ამრიგად, სელიმ ხიმშიაშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში მართავდა რეგიონს, რომელიც სამი დიდი სახელმწიფოს ინტერესების სფეროში ექცეოდა. ოსმალეთის შესუსტების პერიოდში სელიმ ფაშა შეეცადა ჩართულიყო საქართველოს ერთიანობის იდეის განხორციელებაში. გეოპოლიტიკური ვითარებისა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გამოყენებით, მან შეძლო ორჯერ გამხდარიყო ოსმალეთის რეგიონალური მმართველი და დიდი კვალი დაეტოვებინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. თუმცა, სელიმსა და შერიფ ფაშას შორის არსებული ბრძოლა, კავკასიაში ოსმალეთის იმპერიის ვითარების თვალსაზრისით უსარგებლო აღმოჩნდა და შეასუსტა ოსმალეთის ბატონობა რეგიონში. შერიფ ფაშას ურთიერთობებმა ირანთან – ახალციხის ხელში ჩასაგდებად და სელიმ ფაშას კავშირებმა რუსეთთან - საქართველოსთან ახალციხის რეგიონის გასაერთიანებლად, ოსმალეთის შიდა საკითხს საერთაშორისო რეზონანსი მისცა. საბოლოოდ, ამან შეასუსტა ოსმალეთი როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე პოლიტიკურად.

1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ, რომელიც ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა, აღმოჩნდა, რომ რუსებს არ სურდათ პირობების დაცვა. ხელშეკრულებას ორივე მხარე თავისებურად განმარტავდა. ამ ვითარების გათვალისწინებით, ტრაპიზონის გუბერნატორ სულეიმან ფაშას დაევალა სოხუმისა და ფოთის ციხეების აღება, ვეზირ ჰუსეინ ფაშას კი ანაპისა და სუჯუკ-კალეს ციხეებისა და ირგვლივ არსებული ტერიტორიების დაბრუნება [Aydın, 2001: 132]. იმჟამად ერზრუმის გუბერნატორი აჰმედ ფაშა აცხადებდა, რომ რუსები ცდილობდნენ იმერეთის რეგიონში სამხედრო მობილიზებას, რისთვისაც საჭირო იყო ზომების მიღება [COA, HAT, 44615-D]. პარალელურად კი, სტამბოლში მყოფი რუსეთის ელჩი იტალინსკი აცხადებდა, რომ ხელშეკრულების პირობები დაცული უნდა ყოფილიყო. მან გენერალს რტიშევსაც მიწერა, რომ ხელშეკრულების პირობები უნდა შეესრულებინათ. თავის წერილში იგი აღნიშნავდა, რომ ბუქარესტის ხელშეკრულებაში ნახსენები ციხესიმაგრეები ოსმალეთის იმპერიისთვის უნდა დაებრუნებინათ და რომ ჯარი უნდა გაეყვანათ სამეგრელოდან და იმერეთის სამეფოდან [Aydın, 2001: 133].

თუმცა, რუსების დამოკიდებულებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. პირიქით, დაიწყეს ზრუნვა რეგიონში რუსული ჯარების გაძლიერებისათვის. როდესაც ოსმალებმა სამხედრო მზადების მიზეზი ჰკითხეს, რუსულმა მხარემ მიანიშნა, რომ 1804 წელს დადებული ხელშეკრულებებით, იმერეთი და სამეგრელო რუსების დაქვემდებარებაში იყო და რომ უკან არ დაიხევდნენ [COA, HAT, 44517-I]. ამის შემდეგ ოსმალეთის იმპერიამ გადაწყვიტა ჯარის გაგზავნასოხუმის მიმართულებით, რომელსაც დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამას რუსეთის მხრიდან მკაცრი რეაგირება და ომის მუქარა მოჰყვა [COA, HAT, 44558-I].

ამ მოვლენების შემდეგ, სეფერ ბეგმა, რომელიც რუსების სახელით მართავდა სუხუმს, გამოაცხადა, რომ თუ ოსმალები დაეხმარნენ მას, ის მიიღებდა ოსმალთა მმართველობას. თუმცა, ოსმალეთის მმართველობა სკეპტიკურად განეწყო ამ წინადადების მიმართ. ოსმალეთის ჯაშუშის მოხსენებაში სეფერ ბეგის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი მართავდა სოხუმს გენერლის წოდებით და რომ მას კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა ოსმალეთის მხარეს მყოფ მის ძმასთან, ჰასან ბეგთან [COA, HAT, 44629-A].

ოსმალეთის იმპერიამ გააცნობიერა რა, რომ სამხედრო ოპერაციით სოხუმს ვერ აიღებდა, შეეცადა დიპლომატიური გზებით საწადელის მიღწევას, თუმცა უშედეგოდ [Atkin, 1988: 180].

1812 წელს, ომის ფაქტობრივი დასრულების შემდეგ, ცეცხლის შეწყვეტის პროცესის დროს ბუქარესტის შეთანხმების გაფორმებამდე, საქართველოში მოხდა აჯანყება რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. 1812 წლის 31 იანვარს, ქართველებმა, რომლებმაც ვერ გაუძლეს ქართველი ხალხის მიმართ რუსების სისტემატურ დევნას, მძიმე გადასახადებს, ქართული ეკლესიაზე ზეწოლასა და მძიმე სამუშაო პირობებს, დაიწყეს აჯანყება კახეთის რეგიონში [Allen, 1971: 218], ალყა შემოარტყეს ქალაქებს სიღნაღსა და თელავს [გურული, 2017: 255]. აჯანყების ალი თითქმის მთელ საქართველოს მოედო. გენერალმა ორბელიანმა განუცხადა კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდალს პაულიჩს, რომ თბილისის დაცვას ვეღარ შეძლებდა. ქართველებმა საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს დარიალი. ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ამ პერიოდში ირანში იმყოფებოდა, აჯანყების დაწყებისთანავე დაბრუნდა საქართველოში [სამუშია, 2014: 39]. თუმცა, რუსების მხრიდან სათანადო მობილიზაციის შემდეგ აჯანყება მარცხით დასრულდა. 62 ქართველი აჯანყებული ლიდერი ციმბირში იქნა გადასახლებული [გოგოლაძე, 1973: 929]. დაშავებულთა და დაღუპულთა საერთო რიცხვი 1.140-ს შეადგენდა [ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990: 282].

აჯანყებულებმა ვერ გამოიყენეს კარგი შესაძლებლობა წარმატების მისაღწევად. აღნიშნულ პერიოდში რუსეთი ფაქტობრივად 3 ფრონტზე იბრძოდა: ოსმალეთის, საფრანგეთის და ირანის წინააღმდეგ. 1812 წლის აგვისტოში ირანმა შეუტია აზერბაიჯანში თალიშის სახანოს და ხელში ჩაიგდო მისი ცენტრი ქალაქი ლენქორანი. თუმცა, 1812 წლის 31 ოქტომბერს, მდინარე არაქსის მახლობლად, რუსულმა არმიამ ირანის ჯარი დაამარცხა. ამ გამარჯვების შემდეგ, გენერალ კოტლიარევსკი თავს დაესხა ლენქორანს და 1812 წლის 26 დეკემბერს, ხუთდღიანი ალყის შემდეგ, აიღო ქალაქი. რუსებმა ამოხოცეს 4.000 ირანელი ჯარისკაცი, რომელიც იცავდა ქალაქს [Memmedova, 2015: 558].

1813 წლის 12 ოქტომბერს, ირანსა და რუსეთს შორის, ინგლისის ელჩის შუამავლობით გაფორმდა გულისტანის ხელშეკრულება [Wright, 1977: 15]. თუმცა,

ლენქორანის საკითხზე სასაზღვრო დავის გამო, ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1814 წლის 15 სექტემბერს, რუსეთმა კი მისი რატიფიკაცია მოახდინა მხოლოდ 1816 წლის 7 აგვისტოს [**Memmedova, 2015: 559**]. ხელშეკრულებით რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები მდინარე არაქსის ჩრდილოეთით, როგორიცაა განჯა, შაქი, შირვანი, ყუბა, დერბენდი, ბაქო და ლენქორანი რუსეთის მფლობელობაში რჩებოდა. ირანს უარი უნდა ეთქვა თავის უფლებებზე ქართველ სამთავროებსა და დაღესტანზე.

გულისტანის ხელშეკრულების შემდეგ, რუსეთმა მიიღო კასპიის ზღვაში თავისუფალი გადაადგილების უფლება და აზერბაიჯანში დაპყრობილი სახანოებზე მეთვალყურეობის მიზნით, შუშაში ჩამოაყალიბა "მაჰმადიანური პროვინციების გუბერნია". ამის უმთავრესი მიზანი, რა თქმა უნდა, იყო ირანულ მმართველობაში მყოფ ერევნისა და ყარაბაღის სახანოებზე რუსეთის გავლენის გავრცელება. მის პირველ გამგებლად დაინიშნა სომხური წარმოშობის გენერალი ვალერიან მადათოვი.

ირან-ოსმალეთ-საფრანგეთთან დაზავების შემდეგ რუსეთისთვის გადაუჭრელ ამოცანად რჩებოდა იმერეთის ყოფილი მეფის სოლომონ II-ის საკითხი, რომელიც ჯერ ახალციხეს აფარებდა თავს, 1813 წელს კი ტრაპიზონში გადავიდა. რუსეთი, ტრაპიზონის გუბერნატორ სულეიმან ფაშისთვის გაგზავნილ წერილებში ითხოვდა სოლომონის რუსეთისთვის გადაცემას, მაგრამ ოსმალებმა ეს თხოვნა უარყვეს და სოლომონ II-ს დაჰპირდნენ იმერეთის ტახტის დაბრუნებას [**COA, HAT, 44615-C**]. 1813 წლის ნოემბერში სოლომონი ჩავიდა ფოთში და რეგიონის თავადებსა და აზნაურებთან შეხვედრისას, მათ სთხოვა რუსეთის ბატონობისგან გასვლა. გარდა ამისა, სტამბოლში გაგზავნილ წერილებში ითხოვდა, რომ ერზერუმისა და ტრაპიზონის ფაშებს მიეღოთ იმერეთის ტერიტორიიდან რუსების გაძევების ბრძანება. პორტამ, რუსეთისთვის გადაცემულ ულტიმატუმში, ბუქარესტის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, რუსეთს მოსთხოვა რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის აღდგენა და იმერეთის სამეფოს დატოვება. რუსებმა, რა თქმა უნდა, უარი თქვეს იმერეთის დატოვებაზე. ამის შემდეგ, სოლომონ II-მ სტამბოლს აცნობა, რომ თუ მას იარაღითა და ფინანსურად დაეხმარებოდნენ იგი ტახტს დაიბრუნებდა [**Manvelichvili, 1951: 371**].

მას შემდეგ, რაც სოლომონი ახალციხეში გაიქცა, ორჯერ გაუგზავნა წერილი ნაპოლეონს და რუსების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. პირველი წერილი 1810

წლის 20 სექტემბრით არის დათარიღებული. მეორე წერილი კი სოლომონ II-ის ერთ-ერთმა თანაშემწემ, სარდალმა წერეთელმა პარიზში გაგზავნა, რომელიც 1811 წლის 6 იანვრით თარიღდება. ამ წერილებში სოლომონ II-მ ნაპოლეონისგან ითხოვა 25.000 კაციანი არმია. თუმცა, რადგან ნაპოლეონმა რუსეთთან ომში მარცხი განიცადა, სოლომონმა საფრანგეთისგან დახმარება ვერ მიიღო [**რეხვიაშვილი, 1992: 260**]. მიუხედავად ყველა მცდელობისა, სოლომონ II-მ ვერც სხვა ქვეყნებისგან მიიღო ის დახმარება, რომელსაც ელოდა და სასოწარკვეთილებაში მყოფი, 1815 წლის 7 თებერ-ვალს, ტრაპიზონში გარდაიცვალა. დაკრძალეს წმინდა გიორგის ეკლესიის ბაღში [**კუპრაშვილი, სამუშია, 2016: 43**]. როტიეს მიხედვით, გარდაცვლილა 19 თებერვალს [**Акты, 1873: III**].

სოლომონ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ოსმალეთმა, რომ ეჩვენებინა იმერეთის სამეფოზე მისი უფლება, მამია V გურიელი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. თუმცა მამიამ უარყო ეს წინადადება და განუცხადა: ”მე ვერ ვმართავ იმერეთის სამეფოს, სანამ რუსები არ დატოვებენ ქვეყანას, ჯერ რუსები გაიყვანეთ აქედან“ [**COA, HAT, 44517-G**]. იმერეთის მოსახლეობა კვლავაც აცხადებდა მზაობას რუსების ქვეყნიდან განსადევნად [**COA, HAT, 7584**]. ჩილდირის ფაშამ, ბენდერლი ალიმ აცნობა სტამბოლს, იმ პერიოდში იმერეთში ქართველებსა და რუსებს შორის მომხდარი შეტაკებების შესახებ და ჰკითხა, თუ როგორ მოქცეულიყო [**COA, HAT, 44704**]. ოსმალები არ იშურებდნენ ფულს და ეკონომიკურ ბერკეტებს სასურველი შედეგების მისაღწევად [**COA, HAT, 44603**].

უპირველესად, წესრიგი იყო დასამყარებელი ახალციხეში. სელიმისა და შერიფ ფაშას აჯანყების შემდეგ, ეს რეგიონში ვერ დამშვიდდა. ამჯერად აჯანყება სელიმ ფაშას ვაჟმა, ახმედ ბეგმა წამოიწყო, რომელსაც 1816 წლიდან არტანუჯი ჩაბარდა. მმართველობის პირველ ხანებში ახმედ ბეგის მიზანი იყო ახალციხის მმართველობის ხელში ჩაგდება და ქართული მმართველობის დამყარება [**თურმანიძე, 2015: 58**]. ამ მიზნით ახმედ ბეგი, ზემო აჭარის მოსახლეობის მხარდაჭერით, ახალციხის პროვინ-ციაში შეიჭრა და მოახერხა ზემო აჭარაში მყოფი მუსლიმი მუსელიმის (პროვინციის გუბერნატორის მოადგილე) რეგიონიდან მოცილება [**Şanizade, 2008: 930**]. თავის მხრივ, ახმედ ბეგმა, საკუთარი უსაფრთხოებისთვის ციხეების მშენებლობა დაიწყო.

როდესაც მისი აჯანყების ამბავმა სტამბოლს მიაღწია, გამოსცეს ბრძანება მისი დასჯის შესახებ. ამ მიზნით, ერზრუმისა და ახალციხის გუბერნატორმა ფეჰლივან იბრაჰიმ ფაშამ (ბაბა ფაშა), ტრაპიზონის გუბერნატორ ჰაზინედარბაში სულეიმან ფაშისგან დახმარება ითხოვა და გაერთიანებული ძალებით გაემართენ ზემო აჭარისაკენ. თუმცა, ახალციხის კლიმატის გამო, სადაც თოვლი იწყება სექტემბრის დასაწყისიდან, აქტიური მოქმედებები გაზაფხულისთვის გადაიდო [COA, HAT, 47906-A, B].

1817 წლის გაზაფხულის დადგომისთანავე, ახმედ ხიმშიაშვილი მოქმედებას შეუდგა. ის არ დაუპირისპირდა მის წინააღმდეგ მოსულ ჯარს პირდაპირ და მთიანი ადგილებისკენ დაიხია უკან. ის იქ შეკრებილი მეომრებით ცდილობდა ძალების გაძლიერებას. მან ითხოვა ახალციხის დიდგვაროვანთა დახმარება და მოკლე დროში გაზარდა მხარდამჭერთა რაოდენობა. შედეგად, მან დაამარცხა მის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი [Tosik Dinç, 2015: 151].

როდესაც ბაბა ფაშამ სტამბოლს მდგომარეობის შესახებ აუწყა, სულთან მაჰმუდ II-მ მას უფრო დიდი სამხედრო ძალა და საბრძოლო მასალა მიაწოდა და მოითხოვა აჯანყებულთა დაუყოვნებლივი დასჯა. ახმედ ბეგი დამარცხდა, მაგრამ დასჯის მაგივრად, გარკვეული ხნის შემდეგ, აპატიეს დანაშაული [Tosik Dinç, 2015: 151].

შეწყალების შემდეგ, ახმედ ბეგი ემორჩილებოდა ოსმალეთის მმართველობის ბრძანებებს და მონაწილეობდა რეგიონში აჯანყებების ჩახშობაში. ამ პერიოდში, ოსმალთა ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით, გრძელდებოდა აჭარელთა თავდასხმები დასავლეთ საქართველოზე. ახალციხის ზოგიერთი მმართველი მათ ასეთ მოქმედებას ხელს უწყობდა. 1818 წლის 2 ივლისს დათარიღებული დოკუმენტის თანახმად, ჩილდირის გუბერნატორი სეიდ ლუთფულა ფაშა არ კრძალავდა ბანდის საქმიანობას, პირიქით მათგან სარგებელსაც იღებდა [Pamuk, 2012: 40]. ეს პრობლემა მოგვარდა სტამბოლში რუსეთის ელჩთან დადებული შეთანხმებით, რომლის ძალითაც ნაძარცვი ქონება ძველ მფლობელებს დაუბრუნეს [Nazır, 1993: 31].

თუმცა, ბანდის მოქმედებები მაინც გაგრძელდა. 1819 წლის 9 აპრილს, ოსმალეთის სულთან მაჰმუდ II-ის ბრძანებით, ახმედ ბეგმა გურიის მთავარ მამიას წინააღმდეგ მოაწყო სამხედრო ლაშქრობა, რომლის დროსაც მან 87 ადამიანი ტყვედ ჩაიგდო და ამავე დროს მოიპოვა დიდი ნადავლი. იმავე წელს მან ჩაახშო აჯანყებები

ლივანისა და ლაზეთის რეგიონებში [**თურმანიძე, 2015: 59**]. 1828 წლის ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს, ახმედ ბეგმა, რომელიც ხალხს უყვარდა, რეგიონში 20.000 ჯარისკაცი შეკრიბა და ახალციხის ალყის დროს გაილაშქრა რუსების წინააღმდეგ [**აბესაძე, 1914: 6**]. 1828 წლის ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ, ის დაინიშნა ყარსის გუბერნატორად, 1834 წელს კი - ერზრუმის მმართველად [**თურმანიძე, 2015: 59**].

1819 წლის ზაფხულში იმერეთში რუსების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, რომელიც გურიასაც მოედო. 1819 წელს აჯანყება საეკლესიო საკითხის გამწვავების გამო დაიწყო, თუმცა იგი სოლომონ მეფის მიერ დაწყებული ბრძოლის გაგრძელება იყო, რადგან აჯანყების გამარჯვების შემთვევაში იმერეთში მეფობა უნდა აღდგენილიყო [**ტყეშელაშვილი, 2016: 107**]. აჯანყების დროს ხერთვისის სანჯაყ ბეგმა აღა მეჰმედ ვაჩნაძემ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა აჯანყებულებთან. იმერეთს იმედი ჰქონდა, რომ რუსების წინააღმდეგ მიიღებდნენ დახმარებას ახალციხიდან. ამ მიზნით მეჰმედ ვაჩნაძეს თანხა და სამხედრო დახმარება სთხოვეს. მაგრამ უშედეგოდ. ამ აჯანყებამაც კახეთის აჯანყების ბედი გაიზიარა. დამარცხებული ივანე აბაშიძე ახალციხეში გაიქცა [**გოგოლაძე, 1973: 936**].

1826-1828 წლებში, რუსეთთან ომის დროს, ირანმა განახორციელა პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებები საქართველოში, რითაც რუსეთის წინააღმდეგ წააქეზა ქართველი მთავრები და იარაღი გაუგზავნა. ამ პერიოდში რუსეთის წინააღმდეგ ოსმალებმაც მხარი დაუჭირეს ქართველ მთავრებს. ტრაპიზონში ყოფნის დროს იმერეთის ბატონიშვილმა ვახტანგმა განაცხადა, რომ გურიის მოსახლეობა დაიღალა რუსებისგან და თავის დასახსნელად ოსმალებს სთხოვა დახმარება [**COA, HAT, 38094**]. 1826 წლის 2 აგვისტოს, ახალციხის გუბერნატორმა ჰაკკი ფაშამ განაცხადა, რომ ირანი მიიწევდა საქართველოზე, ხალხი კი ემზადებოდა რუსებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად [**COA, HAT, 38095**].

ამ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გაჩნდა იდეები, რუსების წინააღმდეგ ოსმალებთან ალიანსის შესახებ. როგორც იმერეთის, ასევე გურიის აჯანყების დროსაც ჩანს, რომ ქართველები მოითხოვდნენ ოსმალთა მხარდაჭერას რუსების წინააღმდეგ. თუმცა, ოსმალებმა ოფიციალურად ვერ დაუჭირეს მხარი საქართველოს, რადგან ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში რუსეთი, ოსმალებთან შედარებით ბევრად

უფრო ძლიერი იყო და გარდა ამისა, ოსმალეთსა და რუსეთს შორის მშვიდობიანი ვითარება სუფევდა. ამიტომაც შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად იზრუნა მხოლოდ ახალციხისა და არტაანის ციხეების გაძლიერებაზე [**ბარამიძე, 2005: 26-27**].

1828 წელს რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში მორიგ წარმატებას მიაღწია. ირანთან 1826-1828 წლებში მიმდინარე ომის შედეგად, თურქმენჩაის ხელშეკრულებით ნახიჭევანისა და ერევნის სახანოები რუსეთს შეუერთდნენ. ამის შემდეგ რუსეთმა განსაკუთრებით ირანიდან ჩამოსული სომხების ხარჯზე, დაიწყო რეგიონის ეთნიკური სურათის შეცვლა [**Yeşilot, 2008: 193**]. ირანმა ფაქტობრივად დაკარგა კავკასიის პოლიტიკაში გავლენიანი ქვეყნის სტატუსი.

როგორც ვხედავთ, ბუქარესტის შეთანხმების შემდეგ, რუსეთის მმართველობის ზეწოლა საქართველოში თანდათან გაიზარდა. ქართველი ხალხი, რომელმაც ვერ გაუძლო ამ ზეწოლას, აჯანყდა მათ წინააღმდეგ ჯერ ქართლ-კახეთში, შემდეგ კი იმერეთსა და გურიაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყებები წარუმატებელი აღმოჩნდა, ეს მაინც მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამით ქართველმა ერმა რუსებს აჩვენეს, რომ მათ თავს არ დაუხრიდნენ. სამწუხაროდ, ოსმალეთს არ გააჩნდა იმდენი ძალა, რომ აჯანყებულთათვის რეალური დახმარება აღმოეჩინა.

ახმედ ბეგის აჯანყება, ზოგიერთი თვალსაზრისით, შეიძლება მივიჩნიოთ მამის - სელიმ ხიმშიაშვილის აჯანყების ერთგვარ გაგრძელებად. მამამისის მსგავსად, ახმედ ბეგი აჯანყდა თავისუფალი საქართველოს იდეის გამო. წარუმატებლობის შემდეგ, მან შესაძლოა იფიქრა, რომ ოსმალეთის მმართველობა უფრო მისაღები იქნებოდა, ვიდრე რუსეთისა, თუმცა, თავის მიზანსა და გეგმებზე უარი არ უთქვამს.

რუსეთმა, რომელიც რეგიონში ირან-ოსმალეთის იმპერიის სისუსტით სარგებლობდა, ირანის ხარჯზე გააფართოვა თავისი ტერიტორია აზერბაიჯანში და ახალციხის აღმოსავლეთით სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა.

§3. 1828-1829 რუსეთ-ოსმალეთის ომი და მისი შედეგები სამცხე-ჯავახეთისთვის

1828–1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მიზეზები ემყარება რუსეთის იმპერატორ პეტრე I–ის ცნობილ ანდერძში მითითებულ მიზნებს. ეს ანდერძი იყო ერთგვარი სახელმძღვანელო რუსეთის საგარეო პოლიტიკისთვის პეტრე I–ის შემდეგ, რომლის თანახმადაც შავ ზღვაზე უნდა დამყარებულიყო რუსების ბატონობა, უნდა გაძლიერებულიყო საზღვაო ძალები, უნდა ყოფილიყო მუდმივი დავა ოსმალეთსა და ირანს შორის და ამრიგად, აზიაზე დომინირებით, უნდა მომხდარიყო წინსვლა ინდოეთისკენ. პეტრე I ხაზს უსვამდა ბალკანეთიდან ოსმალების განდევნისა და სტამბოლის დაპყრობის აუცილებლობას. ამგვარად, ეს იყო აღმოსავლეთის საკითხის მოგვარება საკუთარი მიზნების შესაბამისად [Türk Kültürü, 1990: 161].

ზემოაღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, რუსეთმა მხარი დაუჭირა იმ ხალხს, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ეცხოვრათ ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში ოსმალური მმართველობით. 1826 წელს ნიკოლოზ I გამოექომაგა სერბებს და ოსმალეთისგან მოთხოვა მისი ავტონომია. ინგლისის მიერ შევიწროებული ოსმალეთის იმპერია იძულებული გახდა ხელი მოეწერა რუსეთთან აკერმანის ხელშეკრულებაზე, რომელმაც დააზუსტა ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების პირობები: ოსმალეთმა აღიარა საზღვარი დუნაიზე, ასევე რუსეთს დაუბრუნდა სოხუმი, რედუტ-კალე და ანაკლია. ოსმალეთმა რუსეთის მოქალაქეებს თავისუფალი ვაჭრობის უფლება მისცა მთელს იმპერიაში, ხოლო რუსულ სავაჭრო გემებს ოსმალეთის ტერიტორიულ წყლებში და დუნაიზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება. გარანტირებული იყო დუნაის სამთავროების და სერბეთის ავტონომია. მოლდოვისა და ვლახეთის მთავრები უნდა აერჩიათ ადგილობრივი მოსახლეობიდან რუსეთთან შეთანხმებით.

ოსმალეთში ამას დროებით დათმობად აღიქვამდნენ, რის მიზეზიც 1826 წლის იენიჩრების აჯანყება იყო. ამაზე ცოტა ქვემოთ. 1827 წელს რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა გაგზავნეს საზღვაო ძალები პელოპონესში იმ საბაბით, რომ იქ დაწყებული ამბოხება არ გადაზრდილიყო ფართომასშტაბიან კონფლიქტში. მათ შეუტი-

ეს ნავარინოს პორტში მყოფ ოსმალეთის საზღვაო ძალებს და გაანადგურა ოსმალეთის ფლოტი. დაიღუპა 6.000 მეზღვაური [Bostan, 2006: 442].

ინგლისმა დაუშვა შეცდომა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა მის ინტერესებს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამ სამხედრო მოქმედებამ დიდი სარგებლობა მოუტანა რუსეთს. ინგლისმა შემდეგ ინანა ეს ნაბიჯი, მაგრამ უკვე გვიან იყო [Aykun, 1991: 20]. ოსმალეთის სახელმწიფომ მკაცრად გააპროტესტა ნავარინოს კატასტროფა და მოითხოვა კომპენსაცია. ამასთან, ევროპელებმა უარყვეს ეს მოთხოვნა და განაგრძეს მათი სურვილების განხორციელება [Erkin, 1940: 8]. ბერძნების აჯანყებამ და ნავარინოს ინციდენტმა რუსებს მისცა თავიანთი მიზნების განხორიცელების შესაძლებლობა [Allen, Muratoff, 1966: 23].

XIX საუკუნის 20-იანი წლებისთვის ოსმალეთის იმპერია დასუსტებული იყო შიდა და გარე აჯანყებებით. მოშლილი იყო ჯარის სტრუქტურა. იანიჩართა არმია გამუდმებით ეწინააღმდეგებოდა სულთანს და მუდმივი არეულობით არღვევდა წესრიგსა და სიმშვიდეს, ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ამის გამო, 1826 წელს იენიჩართა არმია გაუქმდა [Yaramış, 2002: 697] და შეიცვალა ახალი ჯარით, თუმცა ომამდე მისი ბოლომდე ჩამოყალიბება ვერ მოესწრო [Turan, 1951: 114]. ამ მიზეზით, ახალმა არმიამ ვერ მიიღო აქტიური მონაწილეობა ოსმალეთ-რუსეთის ომში და ვერ შეძლო მასში დიდი წვლილი შეტანა [Uyar, Erickson, 2009: 132]. გარდა ამისა, რადგან ახალი ჯარის ყველა ბატალიონი გაგზავნილ იქნა დასავლეთის ფრონტზე, აღმოსავლეთის ფრონტს მოუწია ბრძოლა დიდწილად არარეგულარულ ჯარებთან ერთად [Boyacı, 2019: 22]. ამრიგად, რუსეთმა ისარგებლა ოსმალეთის იმპერიის ამ მძიმე ვითარებით და გაზარდა საბერძნეთის დამოუკიდებლობაზე ზეწოლა [Kurat, 1970: 56]. როგორც ზემოთ ითქვა, ომის დაწყებამდე რუსეთი დაუზავდა ირანს თურქმენჩაის ხელშეკრულებით [ლომსაძე, 1975: 154], რამაც მას ძალები გამოუთავისუფლა. ამ აჯანყების დროს სულთან მაჰმუდ II-მ გამოსცა ფირმანი, რომელიც იცავდა ბერძნული წარმოშობის მოქალაქეების უფლებებს [Değirmenci, 2017: 207].

სულთანმა არ მიიღო რუსეთის წინადადება საბერძნეთის შესახებ და განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში იბრძოლებდა რუსეთის წინააღმდეგ [Turan, 1951: 114]. რუსეთს ომის დაწყების საკითხში სურდა ევროპული სახელმწიფოების თანხმობის

მიღება. ავსტრიისა და პრუსიის გარდა, ევროპულმა ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი ამ სურვილს. გარდა ამისა, ინგლისსა და საფრანგეთს, ოსმალთა წინააღმდეგ ოფიციალურად არ სურდათ ომში მონაწილეობა და რუსეთი მარტო დატოვეს [**Akbulut, 2015: 705**]. ნიკოლოზ I-ს ომის პროგრამა და საბაბები მზად ჰქონდა. ოსმალეთის სულთანს ბრალდებოდა აკერმანის ხელშეკრულების დებულებების დარღვევა. 1827 წლის 8 დეკემბერს ოსმალეთის სულთანმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც ის აპირებდა სამხრეთ კავკასიაში პოზიციების აღდგენას. საბოლოოდ, 1828 წლის 26 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთის იმპერიას, რუსული სახელმწიფოს პატივისცემის, უფლებების ხელშეუხებლობის და ეროვნული ღირსების დაცვის საბაბით და შეიჭრა მოლდოვაში [**Turan, 1994: 442**]. 1828 წლის 20 მაისს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს [**Ahmed Muhtar, 1928: 37**].

მიუხედავად ომის გამოცხადებისა, ოსმალეთის საჭირო საომარი მომზადება არ ჰქონდა გავლილი. არ არსებობდა სამოქმედო გეგმაც. მიზანი იყო დაეცვათ როგორც ბალკანეთში, ისე აღმოსავლეთ ანატოლიაში მდებარე საზღვრები [**Okçu, 2004: 134**]. აღმოსავლეთ ანატოლიაში ხალხს და მმართველებს არც კი სჯეროდათ, რომ ომი გაჩაღდებოდა. რუსეთი კი მშვიდად ემზადებოდა სამხედრო მოქმედებისთვის. რუსული არმია, გენერალ პასკევიჩის მეთაურობით, ადგილიდან არ იძვროდა და არ ახორციელებდა ისეთ მოქმედებებს, რომელიც კავკასიის ხალხს დააეჭვებდა [**Özcan, 2012: 106**].

როდესაც რუსეთმა დაასრულა მზადება კავკასიის ფრონტზე და მიიღო ზომები, ოსმალებს ახალი დაწყებული ჰქონდათ ომისთვის მზადება [**Seyfi, 1940: 71**]. არანაირი აგიტაცია არ განხორციელებულა აღმოსავლეთის საზღვრებზე მცხოვრებ ხალხში. გარდა ამისა, კავკასიის გეოგრაფიამ, განუვითარებელმა სოფლის მეურნეობამ უარყოფითად იმოქმედა რეგიონში მომზადების სიჩქარეზე და მარაგების შევსებაზე. ოსმალეთის არმიის მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. ჯარისკაცები ცხოვრობდნენ გარემოში, რომლებიც არ იყო სახარბიელო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის, რამაც გამოიწვია ინფექციური დაავადებები. ორი ფრონტისთვის ოსმალეთის იმპერიამ შეკრიბა 92.000 ჯარისკაცი. კავკასიის ფრონტზე მისი ჯარები შედგებოდა 32.000 არარეგულარული მეომრისაგან. საზღვარზე მდებარე ციხე-სიმაგრეში ჯარისკაცების

რაოდენობა ყარსში დაახლოებით 11.000 იყო და ერზრუმში - 15.000-20.000. სინამდვილეში, ეს რაოდენობა არ იყო ცოტა, თუმცა, რადგან ამ ჯარის უმეტესობა არარეგულარული იყო, ომის დროს ის სასარგებლო ვერ აღმოჩნდა [**Ahmed Muhtar, 1928: 210**]. ოსმალეთის ჯარში საკმარისი იყო ქვემეხთა რაოდენობაც.

რუსეთის ჯარს ხელმძღვანელობდნენ ოფიცრები, რომლებსაც გამოცდილება მიღებული ჰქონდათ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომებში და რომლებმაც კარგად იცოდნენ კავკასია. ამიტომ რუსეთი ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ოსმალეთის არმია. კავკასიის რუსული ჯარის მთავარსარდალი იყო გენერალი პასკევიჩი, რომელიც ცნობილი იყო ირანულ ლაშქრობაში მიღწეული წარმატებებით. პასკევიჩს თავის განკარგულებაში ჰყავდა 49.000 ჯარისკაცი და ჰქონდა 166 ქვემეხი [**Bayraktar, 2000; 42**]. ჯარისკაცთა ნაწილი საბრძოლო ნათლობა ირანში ჰქონდა მიღებული. ომის დასაწყისში პასკევიჩის პირველი მიზანი ახალციხის დაპყრობა. როდესაც ეს გეგმა განახორციელა, მისი სამიზნე ყარსის ციხე გახდა [**გოგოლაური, 2016: 86**].

რა სიტუაცია იყო საქართველოში? აჯანყებების წარუმატებლობის მიუხედავად, მოსახლეობა რუსეთის უღლისაგან გათავისუფლების იმედს არ კარგავდა და დამხმარედ ოსმალეთს განიხილავდა. 1826 წლის 21 ნოემბერს, მამია V-ის გარდაცვალების შემდეგ, გურიის ტახტზე ავიდა მისი 8 წლის ვაჟი დავითი, თუმცა რეგიონს მართავდა მამია V-ის მეუღლე სოფიო. რუსეთ-გურიის ურთიერთობები დაიძაბა, როდესაც კავკასიის გუბერნატორმა, გენერალმა ერმოლოვმა, გურიის მმართველი საბჭოს წევრებად დანიშნა სოფიოს მოწინააღმდეგენი. საპასუხოდ სოფიომ ფოთის გარნიზონის უფროსს ალი ბეგის საბრძოლო მასალით დახმარება სთხოვა [**Aydın, 2001: 219**]. რასაკვირველია, ეს კარგი შესაძლებლობა იყო, რომ ოსმალებს რეგიონში დაებრუნებინათ პოზიციები [**ბარამიძე, 2005: 31**].

ომამდე ირანიდან ერზრუმში ჩასულ ალექსანდრე ბატონიშვილს გადასცეს საჩუქრები, მახვილი, როგორც სუვერენიტეტის სიმბოლო, გარდა ამისა 7.500 ყურუში, იარაღი და საბრძოლო მასალები. ოსმალეთის მმართველობამ ალექსანდრეს სთხოვა ახალციხეში წასვლა და დაღესტანის ხან მაჰმუდთან ერთობლივი მოქმედებით, რეგიონში მყოფ 4.000 ყარაფაფახთან ერთად, თბილისზე თავდასხმა. ასევე განიხილებოდა სხვა ოსმალური არმიით იმერეთზე თავდასხმაც [**გოგოლაური, 2016: 87**]. 1827 წელს

იმერეთის ბატონიშვილმა ვახტანგმა დახმარება სთხოვდა ოსმალებს რუსების წინააღმდეგ [COA, MAD, 27]. ოსმალეთის იმპერიამ ჩათვალა, რომ ვახტანგი ისარგებლებდა რუსეთსა და ირანს შორის არსებული ომით და შეძლებდა იმერეთის მართვას, ამიტომ იგი ერზრუმიდან ახალციხეში გაგზავნა [ბარამიძე, 2005: 44-45]. თუმცა, ეს გეგმა ვერ განხორციელდა.

ომის დაწყებამდე და ომის დროს თბილისი იყო რუსეთის ჯარების უდიდესი შეკრებისა და მიწოდების ცენტრი. რუსული არმიის მოვლა-პატრონობასა და საჭიროებებს უზრუნველყოფდა თბილისი. რასაკვირველია, ამ ვითარებამ დაამძიმა ქართველთა ეკონომიკური მდგომარეობა რეგიონში. რუსეთის არმიაში ცხენებზე ზრუნვაც კი, თბილისელების მოვალეობა იყო [მათიაშვილი, 1965: 298]. გარდა ქართველებისა, რომლებსაც ომში მონაწილეობის მიღება სურდათ, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უარს აცხადებდნენ. 1829 წლის მარტში, როდესაც რუსებს სურდათ საბრძოლველად თბილისიდან ჯარის წაყვანა, თბილისში მცხოვრებთა ნაწილი შეეწინააღმდეგნენ ამ სიტუაციას და განაცხადეს, რომ ისინი არ მიიღებდნენ ომში მონაწილეობას [მათიაშვილი, 1965: 299].

ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა რეგიონში იყო ანაპის ციხე. თუმცა, 1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომში რუსეთის ოკუპაციისა და ბუქარესტის ხელშეკრულებით მისი უკან დაბრუნების გამო, ციხეს სათანადო ყურადღება არ მიექცა. საზღვაო ძალების არარსებობის გამო, ძალიან რთული იყო ომის დროს ციხე-სიმაგრეში ჯარისა და საბრძოლო მასალის გაგზავნა. ომის დასაწყისში, ციხე-სიმაგრეში 4.500 ჯარისკაცი იყო. რუსების პირველი შეტევების დროს, რეგიონის ხელმძღვანელმა ახმედ ხიმშიაშვილმა წარმატებები მოიპოვა და დახოცა დაახლოებით 800 რუსი ჯარისკაცი [Ahmed Lütfi, 1999: 372].

1828 წლის 14 მაისს, გრაფი მენშიკოვის სარდლობის ქვეშ მყოფი 4.000 რუსი ჯარისკაცი გაიგზავნა ზღვით ანაპაში. ამავდროულად, ხმელეთიდან უახლოვდებოდა სანაპიროებს 2.000 ჯარისკაცი 20 საარტილერიო დანადგარით. ქარიშხლის გამო ზღვიდან შეტევა დაგვიანდა, სახმელეთო არმია კი ოსმალთა ჯარის სათანადო რეაგირების გამო, იგი იძულებული გახდა უკან დაეხია. მას შემდეგ, რაც მენშიკოვის ჯარები რეგიონში შევიდნენ, რუსებმა ელჩები გაგზავნეს და ციხის გადაცემა მოით-

ხოვეს, მაგრამ ოსმალებმა უარი განაცხადეს. ამის შემდეგ დაიწყო ციხეზე თავდასხმა [COA, HAT, 44291-A]. რუსეთი 47 დღე და ღამე ბომბავდა ქალაქს [COA, HAT, 43115-M]. ციხის თავდაცვითი ძალა არ იყო საკმარისი რუსეთის თავდასხმების მოსაგერიებლად. მეციხოვნეებმა ტრაპიზონისგან ითხოვეს საბრძოლო მასალები, მარაგი და აუცილებელი საჭიროებები [COA, HAT, 44291-C]. ჰასან ფაშამ დახმარება ორი გემით გაგზავნა, მაგრამ როდესაც გემები ანაპის პორტს მიუახლოვდნენ, რუსებს იგი უკვე დაკავებული ჰქონდათ [Seyfi, 1940: 72].

რუსები ცდილობდნენ ოსმალთა სამხედრო თავდაცვის მოშლას ცრუ ცნობებით, თითქოს მათ დაიპყრეს ტრაპიზონი, სინოპის რაიონები, რუმელია და სტამბოლიც კი. ისინი, თავიანთ მხარეზე გადმოსაყვანად სხვადასხვა წინადადებებს სთავაზობდნენ იმ კავკასიელებს, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის დასახმარებლად იყვნენ მოსულნი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, რუსული საჩუქრებისა და ფულის შედეგად, ჩერქეზთა ნაწილმა დაიწყო უკან დახევა [Aydın, 2001: 230].

ანაპას ალყის დროს დაახლოებით 3.000 ოსმალო ჯარისკაცი დაიღუპა. თავის მხრივ, რუსეთმა დაკარგვა 270 ადამიანი. ამ უკანასკნელმა ციხის მცველები ტყვედ ჩაიგდო და ყირიმის მხარეს წაიყვანა [**გურული, 2017: 423**]. ანაპას ციხის დაკარგვის მთავარი მიზეზი ომამდე ციხის გაუმაგრებლობა იყო. კიდევ ერთი მიზეზი იყო ის, რომ ომის დროს ოსმალთა ჯარის რაოდენობა არასაკმარისი იყო. გარდა ამისა, ოსმალური ძალები შეასუსტა მათ დასახმარებლად მოსული ტომების რუსეთის მხრიდან მოსყიდვამ და უკან დახევამ [Erkin, 1940: 32].

მოგვიანებით, ჩერქეზებმა ინანეს ომიდან გამოსვლა და სტამბოლს მაცნე გაუგზავნეს. შეუთვალეს, რომ დახმარების სანაცვლოდ იბრძოლებდნენ ციხის დასაბრუნებლად, მაგრამ უშედეგოდ [COA, HAT, 43115-S].

რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა კავკასიაში თავისი მიზნების მისაღწევად, გენერალ პასკევიჩს ორი მნიშვნელოვანი დავალება მისცა: პირველი, ბალკანეთის ფრონტზე მყოფი ოსმალეთის ჯარების უმეტესი ნაწილის კავკასიის ფრონტისკენ მიმართვის უზრუნველყოფა და ამგვარად ბალკანეთში რუსული არმიის ტვირთის შემსუბუქება; მეორე, რუსეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კავკასიაში მნიშვნელოვანი ქალაქების დაპყრობა [**გურული, 2017: 415**]. როგორც აღმოსავლეთ

ანატოლიაზე შემოსევების, ისე კავკასიაში რუსული პროვინციების შენარჩუნებისთვის, საჭირო იყო რუსების მიერ ყარსის ციხის დაპყრობა. გენერალ პასკევიჩს, რომელმაც ეს ძალიან კარგად იცოდა, მომზადებული ჰქონდა თავისი გეგმა და პირველ თავდასხმის წერტილად განსაზღვრული ჰქონდა ყარსი. თუ ყარსის ციხეს აიღებდა, ახალციხის პროვინცია მოწყვეტილი იქნებოდა ანატოლიიდან და მისი დაპყრობა უფრო ადვილი გახდებოდა [**Karagöz, 1993: 178**].

1828 წლის ივნისის ბოლოს, ოსმალებმა ყარსის ციხესიმაგრეში 11.000 ჯარისკაცი შეკრიბა. ციხესიმაგრეში ქვემეხების რაოდენობა 150 იყო. გარდა ამისა, ცდილობდნენ ყარსში გაეგზავნათ ერზრუმიდან შეკრებილი 15.000 კაციანი რაზმი ქოსე მეჰმედ ფაშას მეთაურობით [**გოგოლაური, 2018: 77**]. თუმცა ამჯერად ციხე ომისთვის არ იყო მომზადებული და გაძლიერებული. ერზრუმის გუბერნატორმა გალიფ ფაშამ 1828 წლის 15 მაისით დათარიღებულ წერილში განაცხადა, რომ რუსები ყარსისკენ მიიწევდნენ და სასწრაფო დახმარება იყო საჭირო [**COA, HAT, 44241**]. გენერალ პასკევიჩის სარდლობის ქვეშ მყოფი რუსული არმია შედგებოდა 14.000 ჯარისკაციდან და 70 ქვემეხისაგან. ჰქონდათ 40 დღის სამყოფი საკვების მარაგი.

1828 წლის 1 ივნისს რუსები მიუახლოვდნენ ყარსს სამხრეთით. ქუჩუქ ქოზქოის მახლობლად ოსმალთა კავალერიის დამარცხების შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ციხესიმაგრეს თავს დასავლეთიდან დასხმოდნენ. ოსმალეთის იმპერია კვლავ ცდილობდა ჯარის შეკრებას. მათ ყარსის მდინარის მარცხენა მხარეს თხრილები გაავლეს, მაგრამ რამდენიმე ბორცვი ცარიელი დატოვეს. 4 ივლისს რუსებმა ჯარი განათავსეს ამ ცარიელ ბორცვებზე და დაიკავეს პოზიციები. სამდღიანი ალყის შემდეგ, რუსებმა ხელთ იგდეს ქალაქის გარეუბანი, სომხეთის უბანი და შტაბი. ქართული კავალერია პირველი იყო, ვინც ქალაქში შევიდა [**ლომსაძე, 1975: 160**]. ყარსის გუბერნატორმა, ემინ ფაშამ 5000 კაციანი კავალერიით შეუტია რუსებს, მაგრამ დიდი ზარალით უკან დაიხია [**Kop, 1999: 69**].

საბოლოო ჯამში, შიდა ციხის გარდა, მთელი ქალაქი რუსებმა დაიპყრეს. ოსმალეთის ჯარი გარკვეული ხნის განმავლობაში წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა. ამასთან, ყარსის მუფტის, მერისა და ქალაქის წარმომადგენლების ღალატის შედეგად, ემინ ფაშა იძულებული გახდა 1828 წლის 7 ივლისს ციხე დაეთმო [**Ahmed Lütfi, 1999:**

370]. 1828 წლის 10 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებაში, ერზერუმის გუბერნატორმა სალიჰ ფაშამ აღნიშნა, რომ აბუს აღას და მისი მიმდევრების ღალატი იყო მიზეზი ყარსის ციხის დაცემისა [COA, HAT, 42487-B]. გარდა ამისა, იმ ფაქტმა, რომ ჯარისკაცების უმეტესობა არარეგულარული იყო და ზოგიერთი ოფიცერი და ჯარისკაცი არ იცადა მათი მეთაურების ბრძანებებს, დააჩქარა ციხე-სიმაგრის დაკარგვა [Kırzıoğlu, 1953: 549].

ოსმალების დანაკარგი ყარსის ბრძოლაში შეადგენდა 2.000, ხოლო ტყვეთა რაოდენობა 1.361 კაცს [გურული, 2017: 418]. ამასთან, ყარსში დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის რიცხვი 15.000-ს აწევდა. რუსების დანაკარგმა 4.000 შეადგინა, მათ შორის იყო 14 ოფიცერი [Kop, 1999: 73].

ყარსის დაპყრობის შემდეგ, რუსები შეეცადნენ მიეღოთ ინფორმაცია ოსმალთა ჯარის შესახებ ტყვედ მყოფი ქოსე მეჰმეთ ფაშისგან [ლომსაძე, 1975: 161]. შესაბამისად სურდათ თავიანთი სამომავლო ბრძოლის დაგეგმვა. თუმცა, ერთმა მოვლენამ კინაღამ ჩაშალა გეგმები. ციხის დაპყრობის შემდეგ მომხდარმა ჭირის ეპიდემიამ, რუსეთის ჯარის დიდი ნაწილის განადგურება გამოიწვია. დანაკარგი იმდენად დიდი იყო, რომ ამას შესაძლოა საფრთხე შეექმნა შემდგომი სამხედრო ოპერაციებისთვის. მაგრამ გენერალ პასკევიჩის მიერ გატარებული ზომების წყალობით, გარკვეული ხნით ჭირი შეჩერდა [Özcan, 2010: 261]. თავის მხრივ, ეპიდემიის შედეგად, დაზარალდა ოსმალეთის არმიაც, მაგრამ უფრო ნაკლებად.

რუსების მიერ ყარსის აღების შემდეგ, ჭირის ეპიდემიის გამო, ოცი დღის განმავლობაში ომი შეწყვიტეს. გენერალმა პასკევიჩმა მიიღო ზომები საჭირო მომზადების დასრულების შემდეგ. გეგმის თანახმად, იგი თავს დაესხმებოდა ან ერზრუმს ან ახალციხეს. თუმცა, გადაწყდა ახალქალაქის ციხესიმაგრეზე თავდასხმა, რადგან თუ ერზრუმისკენ წავიდოდა, ახალციხეში მყოფი ოსმალური არმია, რუსული არმიის ზურგში მოექცეოდა. გენერალ ბერგმანის მეთაურობით ციხის დასაცავად ყარსში 6 ქვეითი ჯარი, 2 კაზაკთა პოლკი და 12 არტილერია დარჩა. გენერალი პასკევიჩი 8.000 ჯარისკაცითა და 58 ქვემეხით შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ჯარის მცირე რაოდენობის გამო, მან მოითხოვა დახმარება საქართველოში მყოფი ჯარისგან. გენერალი პასკევიჩი ახალქალაქის შემდეგ ახალციხის აღებას ფიქრობდა.

26 ივლისს პასკევიჩმა დაიწყო ერზრუმის მიმართულებით მცდარი მანევრი. არტაანში ოსმალებს ეგონათ, რომ რუსები მიდიოდნენ ერზრუმში და სოღანლის მთის უკან დაიხიეს. გენერალმა პასკევიჩმა მიაღწია თავის მიზანს და მოწინააღმდეგის ჯარი შეცდომაში შეიყვანა. რუსული არმია ერთი დღის მანძილზე მიემართებოდა ერზრუმის მიმართულებით, შემდეგ კი ახალქალაქის ციხე-სიმაგრისკენ იბრუნა პირი [**Gök, 2008: 25**].

1828 წლის 3 აგვისტოს გენერალი პასკევიჩი ახალქალაქში ჩავიდა და ციხე-სიმაგრის მეთაურს, სელიმ ხიმშიაშვილის ვაჟს, ფერჰად ბეგს მოთხოვა დანებება. თუმცა, ფერჰად ბეგმა და ახალქალაქელებმა ეს მოთხოვნა უარყვეს [**გოგოლაური, 2018: 79**]. ამის შემდეგ, რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა და დაიწყო ქვემეხების სროლა. ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდა 1.000 კაციანი დანაყოფი, რომელმაც ვეღარ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა და ციხიდან გაიქცა [**ლომსაძე, 1975: 161**]. გაქცეულ ჯარისკაცებს ორი რუსული არმია დაედევნა, დანარჩენი ორი კი ციხესიმაგრეში შეიჭრა. ალყის დროს 600 ოსმალო და ციხის მეთაური ფერჰად ბეგი გარდაიცვალა. 300 მეომარი, რომლებიც ციხეში იმყოფებოდა და ჯერ კიდევ ციხის დაცვას ცდილობდა, რუსებმა ტყვედ აიყვანეს და თითქმის უმსხვერპლოდ ხელთ იგდეს ციხე [**გოგოლაური, 2016: 92**]. ციხე-სიმაგრეში ტყვეების გარდა, რუსებმა მოიპოვეს 14 ქვემეხი, საბრძოლო მასალა და 1.000 ტომარა ფქვილი. ხერთვისის ციხე-სიმაგრე, რომელიც ახალქალაქიდან 40 კილომეტრში მდებარეობს, რუსებმა ბრძოლის გარეშე აიღეს 7 აგვისტოს. ამგვარად, არტაანსა და ახალციხეს შორის გზები რუსების ხელში გადავიდა [**Karagöz, 1993: 179**].

ახალქალაქის აღების შემდეგ, გენერალ პასკევიჩის გეგმის მეორე ნაწილი ახალციხის დაპყრობა იყო. ამისთვის მას ორი გზა ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი 160 კილომეტრიანი გზა იყო, შედარებით ფართო და მოსახერხებელი. მეორე კი 60 კილომეტრიანი რთული საცალფეხო ბილიკი. ახალციხეში ყოფნის დროს პასკევიჩმა მიიღო ინფორმაცია ქოსე მეჰმედ ფაშას ახალციხისკენ გადაადგილების შესახებ. ამიტომ მან აირჩია უმოკლესი გზა, რათა ახალციხეში შესვლა დაესწრო ოსმალთა ჯარისათვის [**გოგოლაური, 2016: 94**]. თუმცა, გზა ძალიან რთული იყო. ახალციხისკენ მიმავალი რუსეთის არმიის შემადგენლობაში 10.500 ჯარისკაცი და 60 ქვემეხი შედიოდა. 10

დღიანი მძიმე გზის შემდეგ რუსეთის ჯარმა ახალციხის მახლობლად, მდინარე მტკვარს მიაღწია. თუმცა, ქოსე მეჰმედ ფაშა რუსებამდე ერთი დღით ადრე ჩავიდა ახალციხეში [**COA, HAT, 42947**].

ქოსე მეჰმედ ფაშას სარდლობის ქვეშ მყოფ ჯარისკაცთა რაოდენობა დაახლოებით 30000 იყო. აქედან მხოლოდ 10.000 იყო რეგულარული, ხოლო დანარჩენი 20000 არარეგულარული [**ლომსაძე, 1975: 165**]. ოსმალურმა არმიამ ახალციხის დასავლეთით ფოცხოვის ხეობაში დაიბანაკა. მეჰმედ ფაშამ კი - ფოცხოვის მდინარის ჩრდილოეთით, თუმცა ამ მხარიდან ძნელი იქნებოდა იყო რუსული ჯარის ალყაში მოქცევა [**Ahmed Muhtar, 1928: 222**].

რუსების მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. თავისი მაღალი ქვის კედლებით და 10.000 კაციანი გარნიზონით, ახალციხეს თითქოს არაფერი ემუქრებოდა. გარდა ამისა, ციხე-სიმაგრის გარეთ მყოფი ოსმალეთის არმიას რუსების მიმართ უპირატესობა ჰქონდა. ამ პირობებში რუსეთის არმია შეიძლებოდა სასტიკად დამარცხებულიყო. მაგრამ გენერალი პასკევიჩი ძალიან თავდაჯერებული იყო და შეტევა გადაწყვიტა [**გურული, 2017: 420**].

რუსებმა 17 აგვისტოს დაიწყეს დაზვერვა. იმავდროულად, რუსეთის შტაბმა გადაინაცვლა მოსწორებულ ველზე ახალციხის აღმოსავლეთით 2 კილომეტრში. ოსმალური კავალერია ცდილობდა ხელი შეეშალა მათი წინსვლისთვის ამ რეგიონში, მაგრამ ეს ვერ მოახერხა [**გურული, 2017: 421**]. ჩატარებული დაზვერვის შედეგად, მომდევნო დღეებში რუსებმა შეიტყვეს ოსმალთა ჯარების ადგილმდებარეობის შესახებ. ასევე ცნობილი გახდა, რომ ოსმალები დღის განმავლობაში გზავნიდნენ თავიანთ მოწინავე დანაყოფებს და ღამით უკან ბრუნდებოდნენ. 20 აგვისტოს პასკევიჩმა მოიწვია საბჭო. მიიღეს გადაწყვეტილება ღამე შეტევის დაწყების შესახებ. რუსეთის ჯარი ორ ნაწილად გაიყო. პირველ დანაყოფს, რომელიც შედგებოდა 4.500 ჯარისკაცისა და 39 ქვემეხისგან, ოსმალთა არმიის მოსატყუებლად დაევალა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან თავდასხმა და ციხე-სიმაგრის დანაყოფების ჯარების შეყოვნება. მეორე ერთეული შედგებოდა 5.500 ქვეითის, 2.500 კავალერიისა და 25 ქვემეხისგან [**Erkin, 1940: 45**]. ამ დანაყოფის ამოცანა იყო ღამით ქოსე მეჰმედ ფაშას შტაბის დარბევა. ამ უკანასკნელს არ ჰყავდა შეკრებილი ოსმალური ჯარები ამ რეგიონში. ამის ნაცვლად

მან ჯარისკაცები განათავსა ციხის დასავლეთ და ჩრდილოეთით, რითაც შექმნა გრძელი, მაგრამ სუსტი დაცვა [**Keçeci, 2016: 241**]. პასკევიჩმა ისარგებლა მეჰმედ ფაშას მიერ დაშვებული შეცდომით. მან დაახლოებით 7.000 ჯარისკაცით შეუტია ქოსე მეჰმედ ფაშას შტაბს 21 აგვისტოს, ღამის 2 საათზე.

ცუდი რელიეფის გამო, რუსებმა ვერ მოახერხეს სწრაფად მოქმედება. ოსმალურმა ჯარმა რუსები შენიშნეს და დაიწყეს შეტევა. ხუთ საათიანი ბრძოლისას ციხის დამცველნი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. გენერალმა პასკევიჩმა რეგიონში კიდევ ერთი დანაყოფი გაგზავნა. ამის შემდეგ ოსმალურმა ჯარმა თავდაცვის ზონებისკენ უკან დაიხია და დაიწყო მეტოქის შეტევის მოლოდინი. მტრის მიახლოების შემდეგ, ოსმალურმა ერთეულმა მოულოდნელი შეტევა განახორციელა და რუსთა მნიშვნელოვანი ნაწილი დახოცა. თუმცა, არც რუსები დარჩნენ ვალში [**ლომსაძე, 1975: 167**]. ამასობაში, გენერალ პოპოვის მეთაურობით 1.700 კაცი და დამხმარე ჯარების 4 ბატალიონი გაერთიანდა რუსეთის არმიასთან [**გოგოლაური, 2018: 85**]. რუსულმა არმიამ შეუტია გორაკს, სადაც ეკლესია იყო. რიზა აღა თუზჯუოღლუს მეთაურობით ოსმალთა ჯარმა უკან დაიხა [**COA, HAT, 42478**]. რუსების მიერ იმ ბორცვის აღებამ, რომელიც მანამდე ქოსე მეჰმედ ფაშა იმყოფებოდა, სხვა პოზიციების დამცველებზეც ცუდად იმოქმედა და მათ უკან დაიხიეს. ამის მიზეზი ხალხისთვის საყვარელი აჰმედ ხიმშიაშვილის დაჭრით გამოწვეული პანიკა იყო [**COA, HAT, 42477-G**].

ბრძოლაში, რომელიც ციხის გარეთ მოხდა, რუსეთმა დაკარგვა 32 ოფიცერი, 500 ჯარისკაცი [**გურული, 2017: 422**]. ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს ოსმალების დანაკარგის რიცხვის შესახებ, მაგრამ უეჭველია, რომ ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე რუსების. ამ დამარცხების შემდეგ, ჯარის უმეტესობა გაიქცა, ქოსე მეჰმედ ფაშა და რიზა აღა თუზჯუოღლუ კი იძულებული გახდნენ 4.000-5.000 ჯარისკაცთან ერთად ციხისკენ უკან დაეხიათ [**COA, HAT, 42478**].

მე-19 საუკუნეში ახალციხე მდიდარი და თანამედროვე ქალაქი იყო, სადაც 50.000 სული ცხოვრობდა [**ფრონელი, 1991: 129**]. ახალციხის ციხე-სიმაგრე გარშემორტყმული იყო ქვის ძლიერი კედლებით. ციტადელი გარშემორტყმული იყო კედლების ორი მწკრივით. იმის გამო, რომ ქალაქის სახლები მყარი იყო, ომის დროს შესაძლებელი იყო მათი სიმაგრეებად გამოყენება. მათ შორის ქუჩები ვიწრო იყო, რაც

საზიანო იყო მტრისთვის [**Zeyrek, 2002: 523**]. შესაძლო მტრის შეტევის შესაჩერებლად, ქალაქის შუაში იყო კოშკი და ამ კოშკის გარშემო კი 24 ქვემეხი. ქალაქში მცხოვრები სომხებისა და ებრაელების გარდა, მაჰმადიანი ოსმალები და ქართველები, ძირითადად, მეომრები იყვნენ. ციხის მცხოვრებნი, მათ შორის ქალებიც მზად იყვნენ ბრძოლისათვის [**Baddeley, 1995: 201**]. მას შემდეგ, რაც ქოსე მეჰმედ ფაშა, 5.000 კაციან დანაყოფთან ერთად ციხეში შევიდა, ციხის მცხოვრებთაგან დამატებით ჩამოყალიბდა 15.000 კაციანი არმია. ამ დანაყოფების შემადგენლობაში შედიოდნენ 12-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცები [**ლომსაძე, 1975: 165**]. მცირეწლოვანი ბავშვები, მოხუცები და ქალები ციხიდან გაიყვანეს.

22 აგვისტოს რუსებმა ფალავანდიშვილის პირით ქოსე მეჰმედ ფაშას შესთავაზეს დანებება მოსახლეობისა და მათი რწმენის ხელშეუხებლობის გარანტიით. სასულიერო პირებს მიაგებდნენ საჭირო პატივს. გადასახადები და კანონები არ შეიცვლებოდა. ყველა შეინარჩუნებდა სახლებსა და სარჩოს. რუსი ჯარისკაცისთვის საჭირო მარაგს შეიძენდნენ ფულით ან ჩაითვლებოდა გადასახადად. სანჯაყის ბატონები დარჩებოდნენ თავიანთ პოზიციებზე. თუმცა ახალციხელებმა უარყვეს ეს შეთავაზება [**COA, HAT, 42477-R**].

რადგან რუსებმა იცოდნენ, რომ ოსმალები დამხმარე ძალა მოუვიდათ, ისინი დაუყოვნებლივ გადავიდნენ მოქმედებაზე და 42 ქვემეხი დააყენეს ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე გორაკზე, 15 კი აღმოსავლეთ და სამხრეთ კალთებზე. რუსებმა შეტევა 26 აგვისტოს დაიწყეს და საარტილერიო ჭურვების წყალობით 27 აგვისტოს დაიკავეს ციხის ჩრდილოეთი მხარე. ოსმალები შეეცადნენ წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ვერ შეძლეს [**ლომსაძე, 1975: 167**]. ამასობაში ლივანელ ალი ბეგსა და აჰმედ ფაშას შორის, ძველი დაპირისპირების ნიადაგზე, უთანხმოება ჩამოვარდა. ალი ბეგი შიშობდა, რომ თუ რუსები ახალციხეში დამარცხდებოდნენ, აჰმედ ფაშას რეპუტაცია გაიზრდებოდა, ამიტომაც ჯარისკაცთა ნაწილს - 1.500 კაცს, იმ მოტივით, რომ ბევრ ნადავლს ვერ მოიპოვებდნენ, ბრძოლაზე ხელი ააღებინა [**Ahmed Lütfi, 1999: 371**]. ჩილდირის ბატონებსაც კი დააჯერეს ეს სიცრუე და ბრძოლა გადააფიქრებინეს [**COA, HAT, 42487-B**].

ამის საპირისპიროდ, რუსებმა, ქართველების, სომხებისა და ბერძნებისაგან დახმარება მიიღეს და გაძლიერდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ, ყარსისა და ჩილდირის სომხები, რომლებიც ირანის ლაშქრობის შემდეგ, რუსეთის მხარეზე გადავიდნენ და ოსმალების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ღამის მოახლოების მიუხედავად, ბრძოლა გაგრძელდა. პასკევიჩმა გადაწყვიტა, რომ ქალაქის თავდაცვის ძალა გაერღვია ქალაქში ხანძრის გაჩენით. ამ ვითარებამ გამოიწვია ოსმალების პანიკა [ლომსაძე, 1975: 167].

ახალციხის მცხოვრებნი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსებს. ომში ქალებიც მონაწილეობდნენ და ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს არჩევდნენ. ამ წინააღმდეგობის პირისპირ, რუსებმა განახორციელეს დიდი ხოცვა-ჟლეტა [Aliyev, 2017: 484], რაც დილამდე გაგრძელდა, დილით კი მთელი ქალაქი რუსებმა დაიკავეს. ქოსე მეჰმედ ფაშა, დაახლოებით 400 ჯარისკაცით იძულებული გახდა შიდა ციხისკენ უკან დაეხია. დასახმარებლად მოსული სალიჰ ფაშა, მას შემდეგ რაც გაიგო ახალციხის დაპყრობის ამბავი, ისევ ერზრუმში გაბრუნდა [COA, HAT, 42478-G]. პასკევიჩმა კი ახალი წინადადება წამოაყენა:

1.ციხესიმაგრე, მასში არსებული ქვემეხი, დროშა, დენთის წამალი, საკვები და სახელმწიფო დანიშნულების ნივთები გადაეცემოდა რუსებს; 2. ციხის მცველებს, იარაღითა და ნივთებით, შეეძლოთ ახალციხის დატოვება 5 დღის განმავლობაში; 3. ახალციხის მოსახლეობიდან მსურველებს შეეძლოთ ფაშებთან ერთად წასვლა. მას, ვისაც დარჩენა სურდა, შეეძლო დარჩენა, მათ, ვისაც მოგვიანებით სურდათ წასვლა, შეეძლოთ ერთი წლის განმავლობაში წასვლა; 4. ვინც დარჩებოდა ახალციხეში, მათ გადაეცემოდათ თავიანთი ქონება და მიწა, რუსები მათ არასოდეს დაესხმოდნენ თავს [COA, HAT, 42477-F].

1828 წლის 28 აგვისტოს ქოსე მეჰმედ ფაშა იძულებული გახდა შეთავაზება მიეღო. მისი და ახმედ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით 3.000 კაციანმა ბავშვებისა და ქალების ჯგუფმა, ასევე 50 კაცმა დატოვა ციხე. ახალციხის ალყის დროს რუსებმა დაკარგეს 61 ოფიცერი და 600 ჯარისკაცი, ხოლო ოსმალებმა - დაახლოებით 4.000-5.000 ჯარისკაცი [Aykun, 2002: 1217]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსმალთა მარცხი

დიდ წილად განაპირობა ლივანელი ალი ბეგის ღალატმა, სარდლებს შორის უთანხმოებამ და ჯარისკაცების გაქცევამ [**Aliyev, 2017: 484**].

მაშინ, როდესაც რუსული არმიის ძირითადი ნაწილი დაკავებული იყო ახალციხის აღებით, 5.000-კაციანმა ჯარმა გენერალ ჰესეს მეთაურობით, 1828 წლის 28 ივნისს ხელთ იგდო ფოთისა და ოზურგეთის ციხეები. აგვისტოში აჭარის გარდა რუსეთმა მთელი საქართველო დაიპყრო [**Aydın, 2016: 444**].

ახალციხის აღების შემდეგ გენერალმა პასკევიჩმა წერილები გაუგზავნა მიმდებარე პროვინციებს და მოსთხოვა მათ რუსეთზე დაქვემდებარება, მაგრამ შავშეთის, არტანუჯის, ტაო-კლარჯეთისა და ლივანის სანჯაყებმა ეს შემოთავაზება უარყვეს. თუმცა, მას შემდეგ რაც გაიგეს ახალციხის დაკარგვის შესახებ, ოსმალებმა მიატოვეს არტაანის ციხე და გაიქცნენ. რუსებმა ხელთ იგდეს ცარიელი ციხე. გენერალი ჭავჭავაძე ირანის გავლით, ბაიაზეთის სანჯაყში მივიდა 2.500 ჯარისკაცით და ამ მხარეში მყოფი ბერძნები და სომხები თავის მხარეზე გადაიყვანა. ბაიაზეთის ერთ-ერთმა ბატონმა, ქურთ ბეჰლულ ფაშამ ხელი მოაწერა რუსებთან ხელშეკრულებას. თუმცა, ციხის ჩაბარების დროს, ერზრუმიდან მოსული ოსმალეთის ძალებმა ციხის ჩაბარება გადააფიქრებინა [**Çaycıoğlu, 2019: 57**]. კვლავ დაწყებული შეტაკებების შემდეგ, 1828 წლის 27 აგვისტოს რუსებმა დაიპყრეს ბაიაზეთი [**ხუციშვილი, 1959: 163**].

ახალციხეში რუსთა დამკვიდრებას მოჰყვა რეგიონში დემოგრაფიული და რელიგიური სურათის შეცვლა. ოსმალების, ქურთების ნაწილმა და სხვა მუსლიმებმა დატოვეს ახალციხე და იძულებული გახდნენ თავიანთი მიწა ძალიან დაბალი ფასად გაეყიდათ. რუსებმა ეს ადგილები გადასცეს ახლად ჩამოსულ სომხებს. პასკევიჩმა დატოვა რუსული გარნიზონი რეგიონში და სარდლად დანიშნა სომხური წარმოშობის ბებუთოვი [**ტაო კლარჯეთი, 2018: 245**].

მალე რუსეთის არმიაში კვლავ იჩინა თავი ჭირის ეპიდემიამ. ზამთრის მოახლოვებასთან ერთად ომიც შეჩერდა.

აღმოსავლეთ ანატოლიაში მრავალი მნიშვნელოვანი პუნქტის დაკარგვის შემდეგ, სულთან მაჰმუდმა II-მ ერზრუმის გუბერნატორი გალიფ ფაშა, როგორც

პასუხისმგებელი ამ წარუმატებლობებზე, გადააყენა თანამდებობიდან და მის ადგილას სერასკერად დანიშნა სალიჰ ფაშა.

სალიჰ ფაშამ თანამდებობის დაკავებისთანავე დაიწყო ჯარისკაცების გაწვევა. იგი ერზრუმში ჩავიდა, შეიკრიბა 10.000 ჯარისკაცი და გაამაგრა ციხე [**გოგოლაური, 2018: 95**]. გარდა ამისა, მას მიეცა ფართო უფლებამოსილება, რეგიონის ყველა მცხოვრებნი ჯარში გაეწვია და მათგან შეეგროვებინა საკვები. თუმცა, ხალხის მობილიზება რთული აღმოჩნდა. სალიჰ ფაშა ამ საკითხში ეყრდნობოდა ლაზი და აჭარელი ბატონების მიერ შეკრებილ დანაყოფებს.

1829 წლის კამპანიის დაწყებამდე გენერალი პასკევიჩი პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც განიხილა აღმოსავლეთ ანატოლიაში განსახორციელებელი გეგმა [**Lang, 1962: 9**]. ერზრუმის დაპყრობის შემდეგ, იგი აპირებდა ტრაპიზონის აღებას რუსეთის საზღვაო ძალების დახმარებით, შემდეგ კი სივასის დაპყრობას [**გოგოლაური, 2018: 427**]. ამრიგად, ხელთ იგდებდნენ ვერცხლითა და სპილენძით მდიდარ მაღაროებს, რომლებიც მდებარეობდა დიარბაქირსა და სივასს შორის. ცხადია, ამ რთულ გეგმას დიდი ჯარი და საზღვაო ძალები სჭირდებოდა [**Akbulut, 2001: 352**]. რუსული ჯარის რაოდენობა ამ გეგმისთვის არასაკმარისი იყო. რუსები იძულებულნი იყვნენ დაპყრობილ რეგიონებში დაეტოვებინათ გარნიზონის დანაყოფები, ასე რომ საბრძოლველად 16.000-17.000 ჯარისკაცი დარჩათ. ივლისში 20.000 ახალწვეული რუსეთიდან ამ რეგიონში უნდა ჩასულიყო. გენერალმა პასკევიჩმა იცოდა, რომ თუ ამ ჯარს დაელოდებოდა, ეს ოსმალებისთვის ხელსაყრელი იქნებოდა. ამიტომ გადაწყვიტა დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარის გაწვევა. ამისათვის მან წამოიწყო პროპაგანდა აჭარელთა და ქურთებს შორის [**Özcan, 2012: 108**]. ამის შემდეგ გენერალმა პასკევიჩმა გამოსცა დეკლარაცია და განაცხადა, რომ თუ ოსმალეთის ქურთები მხარს დაუჭერდნენ რუსეთს, დიდ სარგებელს მიიღებდნენ. შედეგად, რეგიონში მცხოვრებმა ქურთებმა მიიღეს რუსეთის მხარდაჭერა და დათანხმდნენ ომში მათთან ერთად ბრძოლას [**Ünal, 2008: 134**]. მუშის ფაშა პასკევიჩს დაჰპირდა 12.000 ოქროსა და 12.000 კავალერიას, მაგრამ მან ვერ შეძლო ჯარების გაგზავნა [**Gök, 2008: 42**]. მიუხედავად იმისა, რომ აჰმედ ხიმშიაშვილი დათანხმდა ოსმალეთის იმპერიის ბრძანების შესრულებას, ქართული წყაროები აცხადებენ, რომ ის დილემის წინაშე იყო. ომის დროს

აჰმედ ხიმშიაშვილი შეხვდა გენერალ ბებუთოვს და რუსეთის მხარეს სთხოვა ომში მონაწილეობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ოსმალეთის ფაშად დანიშნულ აჰმედ ბეგს გენერალ ბებუთოვის შემცვლელად დანიშნულმა გენერალმა ოსტენ-საკენმა პროვოკაცია მოუწყო, აჰმედ ხიმშიაშვილმა გადაწყვიტა ოსმალთა მხარეს გადასვლა [**დიასამიძე, 2009: 18**]. აჰმედ ხიმშიაშვილი სინამდვილეში ოცნებობდა საქართველოსთან გაერთიანებაზე, მაგრამ კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო იძულებული გახდა გადაეფიქრებინა [**აბესაძე, 1914: 12**].

ამასობაში, ირანში მოკლეს რუსეთის ელჩი ა. გრიბოედოვი. ამ ვითარებამ რუსები კავკასიაში საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა. ნორმალურ პირობებში, ამას შეიძლება გამოეწვია ახალი ომი რუსეთსა და ირანს შორის. თუმცა, გენერალმა პასკევიჩმა აირჩია დიპლომატიური გზა და პრობლემის მოგვარება ომის გარეშე მოახერხა [**გოგოლაური, 2018: 96**].

პორტა ახალციხის დაკარგვას არ შეგუებია. იქედან სალიჰ ფაშას აცნობეს, რომ საჭირო იყო ახალციხის უკან დაბრუნება. სალიჰ ფაშამ 1828 წლის 2 ნოემბრით დათარიღებულ წერილში აღნიშნა, რომ იგი რაც შეიძლება მალე შეკრებდა ჯარებს და ამინდის გაუმჯობესების შემდეგ მიიღებდა ზომებს ახალციხის დასაბრუნებლად [**COA, HAT, 43899**]. თუმცა, სალიჰ ფაშა არ დაელოდა ამინდის გაუმჯობესებას. მან გადაწყვიტა ზამთარში განეხორციელებია შეტევა არტაანსა და ახალციხეზე, რათა მტერი მოუმზადებელი გამოეჭირა. ამ ლაშქრობაში ახალციხისა და არტაანის დაბრუნება დაევალა აჰმედ ხიმშიაშვილს [**Erkin, 1940: 58**]. ახმედ ხიმშიაშვილი ფიქრობდა, რომ საჭირო იყო არტაანის ახალციხეზე ადრე დაპყრობა და ამ მიზეზით ადგილზე შეკრებილი ჯარით გადაწყვიტა არტაანზე შეტევა.

სალიჰ ფაშა პირიქით ფიქრობდა და ახმედ ფაშას გაუგზავნა ბრძანება, რომ ჯერ ახალციხეზე გაელაშქრათ. გაიცა ბრძანება ტრაპიზონიდან და სამსუნიდან ჯარების გაწვევს თაობაზე, მაგრამ მკაცრი ზამთრის გამო ეს შეუძლებელი გახდა [**COA, HAT, 43259-L**]. ახმედ ხიმშიაშვილმა სამხედრო ხელმძღვანელობას შესთავაზა, რომ ახალციხეზე თავდასხმა გაზაფხულზე განეხორციელებინათ, მაგრამ ეს წინადადება არ მიიღეს. 1829 წლის 18 თებერვალს, იგი 20.000 ჯარისკაცით ახალციხისკენ გაეშურა [**აბესაძე, 1914: 7**]. გენერალმა პასკევიჩმა გაიგო ამის შესახებ და სანამ აჰმედ ფაშა

ახალციხეს მიაღწევდა, დამატებით 1.500 ჯარისკაცი და 3 ქვემეხი გაგზავნა. ახალციხეში გაგზავნეს თბილისში მყოფი გენერლები მურავიოვი და ჰესე [**Ahmed Muhtar, 1928: 78**]. ახმედ ხიმშიაშვილი ახალციხეში 1829 წლის 4 მარტს ჩავიდა, ციხეზე ალყის შემორტყმას ფიქრობდა, თუმცა დამარცხდა და უკან დაიხია [**Zeyrek, 2002: 523**]. ამრიგად, ახალციხის უკან დაბრუნების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

მომზადების დასრულების შემდეგ, მაისის შუა რიცხვებში ოსმალებმა სხვადასხვა მხარიდან დაიწყო შეტევა რუსული ჯარების წინააღმდეგ. სალიჰ ფაშას კავალერიის მეთაურმა, ქეთჰუდა ბეგმა 6.000 ჯარისკაცითა და 20 არტილერიით არტაანისკენ გაილაშქრა [**Baddeley, 1995: 213**]. ვანის გამგებელი, ისჰაკ ფაშა, ბაიაზეთისკენ გაემართა. პოზიციები დაიკავა ოსმან ფაშას მეთაურობით 2.000-კაციანმა რაზმმა. საპასუხოდ, გენერალმა პასკევიჩმა მაშინვე შეიყვანა თავისი ჯარი ახალქალაქში და იქ მყოფ დანაყოფებთან გაერთიანების შემდეგ ყარსისკენ დაიძრა. გენერალ პასკევიჩს აქედან დაგეგმილი ჰქონდა ერზრუმში გადასვლა [**Allen, Muratoff, 1966: 34**].

1829 წლის 30 ივნისს რუსებმა ბრძოლის გარეშე გადალახეს სოღანლის მთები. ეს ამბავი გაიგო სალიჰ ფაშამ, მაგრამ ჩათვალა, რომ შემოსული ჯარები რუსეთის ჯარის მოწინავე ქვედანაყოფები იყვნენ. სალიჰ ფაშამ გაგზავნა 14.000 კაციანი საკავალერიო დანაყოფი ამ რუსული ჯარების გასანადგურებლად, მაგრამ უშედეგოდ. სერასკერ სალიჰ ფაშამ ვერ შეძლო ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობა [**Erkin, 1940: 67**]. მურავიოვის დანაყოფებმა მოულოდნელად შეუტიეს ოსმან ფაშას შტაბს და იქ მყოფი ოსმალო ჯარისკაცები იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. ჰაკკი ფაშამ უკვე იცოდა, რომელ მხარეს მოძრაობდნენ რუსები და ელოდებოდნენ მათ თავდასხმებს.

1 ივლისს გენერალმა პასკევიჩმა შეუტია სალიჰ ფაშას უფრო მრავალრიცხოვან არმიას და უკან დაახევინა [**Ahmed Muhtar, 1928: 85**]. ზივინის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ რუსულმა კავალერიამ 33 კმ. მანძილზე უკან სდია ოსმალებს და ხელთ იგდო 300 ტყვე და 12 ქვემეხი [**Baddeley, 1995: 218**]. სალიჰ ფაშამ ეს მარცხი არ შეატყობინა ჰაკკი ფაშას, რის გამოც ეს უკანასკნელი ხაფანგში აღმოჩნდა და პანიკაში ჩავარდა. მან ბრძოლიდან უკან დახევის საკითხთან დაკავშირებით შესთავაზა შეხვედრა პასკევიჩს. გენერალმა შეუთვალა, რომ თუ მისი არმია იარაღს დაყრიდა, გაათავისუფლებ-

და. თუმცა, ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა არ მიიღეს ეს შეთავაზება. რუსებმა დაიწყეს შეტევა და დიდი მარცხი აგემეს ოსმალებს. რუსებმა 1.200 ტყვე იგდეს ხელთ, მათ შორის ჰაკკი ფაშაც [**Erkin, 1940: 71**].

უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ოსმალეთის იმპერიამ განიცადა მძიმე მარცხი ზივინისა და მილიდუზის ბრძოლებში, დაზვერვის ნაკლებობა იყო. სალიჰ ფაშამ 1829 წლის ლაშქრობისთვის მიიღო თავდაცვაზე დაფუძნებული ბრძოლის გადაწყვეტილება. ამასთან, მტრის მოლოდინში სოღანლის მთები არ გადაკეტა და არც არანაირი დაზვერვა განუხორციელებია. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ სალიჰ ფაშამ არ შეატყობინა ჰაკი ფაშას ზივინის დამარცხების შესახებ, ძალზე ეფექტური აღმოჩნდა მილიდუზის ბრძოლაში რუსთა გამარჯვებისათვის [**Erkin, 1940: 71**]. გენერალ პასკევიჩის წარმატებებზე გავლენა იქონია სხვადასხვა დაპირებებით მოტყუებულმა მაჰმადიანურმა კავალერიამ.

ზემოაღნიშნული მარცხის შემდეგ სალიჰ ფაშას დაქვემდებარებაში ძალიან ცოტა მეომარი დარჩა. ამიტომ ერზრუმის თავდაცვის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა. როდესაც რუსები მიუახლოვდნენ ერზრუმს, მოსახლეობამ ქალაქის თავდაცვის მიზნით თხრილების თხრა დაიწყო [**Çaycıoğlu, 2018: 139**]. მაგრამ ხალხის ნაწილს, რუსების ბრძოლისა და დევნის შემხედვარე, ეშინოდათ ბრძოლა [**COA, HAT, 43851-A**]. სალიჰ ფაშა გეგმავდა ერზრუმში ჯარის შეკრებას და ბრძოლას. თუმცა, როდესაც მიაღწია ერზრუმს, დაინახა, რომ ხალხი გასაქცევად ემზადებოდა. ის ბრძანებების გაცემით ეცადა ამის შეჩერებას, მაგრამ ვერ მოახერხა [**Aykun, 1991: 51**].

ერზრუმის მთავარმა წარმომადგენლებმა არ ისურვეს რუსებთან ბრძოლა, რათა ქალაქი არ დაზიანებულიყო. სალიჰ ფაშას კი არ სურდა ერზრუმის გადაცემა ომის გარეშე. მაგრამ ეს უკანასკნელი მათ წინაშე მარტო იყო და იძულებული გახდა ერზრუმი დაეთმო [**Aykun, 1991: 55**]. ერზერუმის ჩაბარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ქალაქში სომეხთა დიდმა ნაწილმა. ისინი ომის დროს რუსებისთვის მუშაობდნენ და მათ გამარჯვებას საკუთარ გამარჯვებად აღიქვამდნენ. რუსეთმა კარგად გამოიყენა მათი მომხრე სომხები რეგიონში პროგრესის მისაღწევად და ოსმალური გეგმების გასაგებად [**გოგოლაური, 2018: 101**]. მე-19 საუკუნის ოსმალეთის ისტორიკოსი აჰმეთ ლუთფი ეფენდი საუბრობს რეგიონში სომხებისა და ბერძნების დევნის შესახებ [**Ah-**

med Lütfi, 1999: 371]. გარდა ამისა, ზოგიერთი მაჰმადიანი ქურთი ბატონი მიესალმებოდა რუსეთის ოკუპაციას [**Aykun, 1991: 57]**. ამან გაუადვილა რუსეთს რეგიონში დამკვიდრება.

ერზრუმის ციხე რუსებს გადაეცა 1829 წლის 8 ივნისს. ციხესიმაგრის ჩაბარების შემდეგ, სალიჰ ფაშა ტყვედ აიყვანეს და გაგზავნეს თბილისში [**Akbulut, 2001: 352]**. პორტამ მის ადგილას დანიშნა ტრაპიზონის გუბერნატორი ოსმან ფაშა [**Erkin, 1940: 75]**. ამის შემდეგ აღმოსავლეთ ანატოლიაში რუსეთის მომარაგების გზა უკვე ერზრუმზე გადიოდა [**Allen, Muratoff, 1966, 39**].

მაშინ, როდესაც სალიჰ ფაშა გენერალ პასკევიჩს ებრძოდა ზივინში, 18 ივნისს ვანის გუბერნატორი ისჰაკ ფაშა, 3.000 კაცთან ერთად ბაიაზეთის ციხე-სიმაგრსთან ალყად იდგა. იმავდროულად, გენერალ პოპოვის მეთაურობის ქვეშ ციხესიმაგრეში იმყოფებოდა 3 რუსული დანაყოფი 10 ქვემეხით. რუსი ჯარისკაცების წინააღმდეგობის გამო, ალყამ შედეგი არ მოიტანა. 2 ივლისს ისჰაკ ფაშამ 10.000 კაციანი არმიით კვლავ შეუტია ბაიაზეთს და აიღო ციხის აღმოსავლეთი მხარე [**Çaycıoğlu, 2018: 157]**. ზუსტად ამ დროს, მას შემდეგ რაც ისჰაკ ფაშამ გაიგო ერზრუმის დაპყრობის ამბავი, მან მოხსნა ალყა და ვანში დაბრუნდა. რუსებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს 400 ჯარისკაცი, ოსმალებმა კი 2.000-მდე [**Seyfi, 1940: 131]**.

ერზრუმის შემდეგ, პასკევიჩი მიზნად ისახავდა ტრაპიზონში შესვლას. გეგმის თანახმად, ჯერ ბაიბურთი უნდა აეღოთ, შემდეგ კი ტრაპიზონს დასხმოდნენ თავს. 13 ივლისს რუსები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრნენ ბაიბურთში [**Ahmed Muhtar, 1928: 87]**. აიღეს გუმუშჰანეც, თუმცა შემდეგ, ოსმალთა მიერ სამსუნიდან ჯარის მობილიზაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, პასკევიჩმა ტრაპიზონზე შეტევა გადაიფიქრა და დაბრუნდა ერზრუმში [**Aykun, 1991: 69]**. გენერალ პასკევიჩის ეს მანევრი და ჯარის უდიდესი ნაწილის უკან, საქართველოში გაგზავნა, ოსმალების მხრიდან აღქმულ იქნა, როგორც სისუსტე. რის შემდეგაც ვანისა და ტრაპიზონის ფაშებმა გადაწყვიტეს დაკარგული პოზიციების დაბრუნება. იმავდროულად, ოსმან ფაშა აღმოსავლეთ ანატოლიის დასაბრუნებლად ცდილობდა ჩამოეყალიბებინა მილიციის არმია. ამ მიზნით ბაიბურთში შეგროვდა 16.000 კაციანი ჯარი [**Akbulut, 2000: 55]**. როდესაც შეიტყო, რომ ოსმალთა ჯარი იკრიბებოდა, პას-

კევიჩი სასწრაფო მოქმედებაზე გადავიდა, რადგან ეს გამოიწვევდა ხალხის აჯანყებას ოკუპირებულ ქალაქებში. მან გადაწყვიტა ბაიბურთის მიმართულებით მსვლელობა და ბრძოლა იქ, სადაც მტრის ჯარს შეხვდებოდა [**Akbulut, 2000: 49**].

ოსმან ფაშა, როდესაც რუსების შემოსვლის ამბავი გაიგო, ასევე მოქმედებაზე გადავიდა, მაგრამ ბაიბურთში ჯარებთან გაერთიანების საკითხი უკვე ძალიან გვიან იყო. ამ მიზეზით, ბაიბურთში მყოფმა 10.000 კაციანმა ოსმალურმა არმიამ გადაწყვიტა ქალაქის დაცვა. სანამ ოსმან ფაშას დასახმარებლად ჯარი მოვიდოდა, გენერალი პასკევიჩი შეტევაზე გადავიდა [**Erkin, 1940: 78**]. სწორედ ამ დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოსმალეთის იმპერიასა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა ადრიანოპოლის ხელშეკრულებას, რომლითაც ომი დასრულდა. ამის შესახებ შეიტყო გენერალმა პასკევიჩმა, მაგრამ მაინც შეუტია ბაიბურთს [**Akmaz, 2000: 98**] და აიღო ქალაქი. დაიღუპა დაახლოებით 700 ოსმალო ჯარისკაცი, 1.236 კი ტყვედ ჩავარდა.

რუსულ არმიას გარკვეული წარმატებები ჰქონდა ევროპულ ნაწილშიც. მათ აიღეს ედირნე და საფრთხე შეუქმნეს სტამბოლს. გამარჯვების მიუხედავად, რუსებმა იცოდნენ, რომ ევროპა შეეწინააღმდეგებოდა სტამბოლში შეჭრას [**გოგოლაური, 2018: 99**]. 1829 წლის 14 სექტემბერს დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები ადრიანოპოლში [**Watson, 1988: 300**], რაც 16 მუხლიანი ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა.

ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ოსმალეთს უბრუნებდა ომის დროს დაკავებული ევროპული ნაწილის ყველა ტერიტორიას გარდა დუნაის ყელისა არსებული კუნძულებით. რუსეთის ხელში გადადიოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო მდინარე ყუბანის ყელიდან - წმ. ნიკოლოზის ნავმისადგომამდე ციხე-სიმაგრეები ანაპა, სუჯუკ-კალე (ნოვოროსიისკი) და ფოთი, ასევე ქალაქები ახალციხე და ახალქალაქი. ოსმალეთი აღიარებდა საქართველოს რუსეთის ხელში გადასვლას. რუსეთის ხელში გადადიოდა იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი.

ადრიანოპოლის ხელშეკრულება ადასტურებდა ოსმალეთის მთელ ტერიტორიაზე რუსეთის ქვეშევრდომთათვის თავისუფალი ვაჭრობისა და სასამართლო იმუნიტეტის უფლებას, რუსეთის ქვეშევრდომები ოსმალეთის ტერიტორიაზე სარგებლობდნენ. ასევე, ოსმალეთი უზრუნველყოფდა რუსეთისა და უცხოური სავაჭრო გემების თავისუფალ გასვლას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში [**King, 2008: 217**].

ოსმალეთმა 18 თვის განმავლობაში აიღო კონტრიბუციის ვალდებულება (1,5 მილ. ჰოლანდიური მანეთი). იგი ეთანხმებოდა 1826 წლის აკერმანის კონვენციას, რითაც სერბეთის ავტონომიის დაცვის ვალდებულებას იღებდა.

ადრიანოპოლის ხელშეკრულებით, ახალციხის პროვინციის დიდი ნაწილი რუსეთის კონტროლის ქვეშ მოექცა. ახალციხე, აწყური, ხერთვისი, ჩეჩერექი, ახალქალაქი, ბედრე და ქობლიანი რუსული ტერიტორია გახდა [**იობაშვილი, 1998: 314**]. ახალციხე შევიდა თბილისის გუბერნიაში. ახალციხის პროვინციის დანარჩენი ნაწილზე მოეწყო ჩილდირის სანჯაყი, რომლიც ცენტრი იყო ოლთისი და შეუერთდა ერზრუმის პროვინციას [**Kızılkaya, 2013: 408; Küçük, 2016: 6**].

რეგიონის დაპყრობის შემდეგ რუსეთმა წამოიწყო სომეხთა კოლონიზაცია. რუსეთის კოლონიზაციის პოლიტიკის უმთავრესი მახასიათებელი იყო ძველი მაჰმადიანი ხალხის გადასახლება და მათი ახალი ქრისტიანული თემებით შეცვლა. ადრიანოპოლის ზავის მეცამეტე მუხლით მუსლიმი მესხების ოსმალეთში გადასახლებისთვის თვრამეტ თვიანი ვადა იყო დაწესებული [**მელიქიძე, 2018: 15**]. რუსების მიერ კოლონიზებული ახალი რეგიონი იყო კავკასიის, ანატოლიისა და ირანის კვეთა. ამ რეგიონში რუსეთი მიზნად ისახავდა ოსმალებისა და ირანის წინააღმდეგ ბუფერული სომხური პროვინციის შექმნას. თურქმენჩაის ხელშეკრულების მე-15 მუხლის თანახმად, 1828 და 1830 წლებში, რუსეთმა ირანიდან გადმოასახლა 40.000 სომეხი [**Gözelova, 2014: 3**], ადრიანოპოლის ხელშეკრულების მე-13 მუხლის თანახმად კი ოსმალეთის იმპერიიდან 100.000. ამ მიგრაციულმა მოძრაობამ მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონის დემოგრაფიული სტრუქტურა [**Beydilli, 1988: 57**]. ოსმალეთის იმპერიამ მიიღო ზომები აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები სომხების გადასახლების თავიდან ასაცილებლად. გამოცხადდა, რომ ომის გამო რეგიონიდან წასულ სომხებს დააპატიმრებდნენ და თუ ისინი დაბრუნდნენ, მათ მიწები დაუბრუნდებოდათ. თუმცა ამ ზომებმა არ იმუშავა [**Özcan, 2011: 198**]. რუსებმა ერზრუმიდან და ყარსიდან გადასახლებული სომხების დიდი ნაწილი ახალციხეში ჩამოასახლა [**Akbaba, 2018: 12**]. გარდა ამისა, რეგიონში განასახლეს მცირე რაოდენობით რუსი დუხობორები [**ბალასანიანი, 2016: 44**].

ადრიანოპოლის ხელშეკრულებამ ნათლად აჩვენა, რომ ოსმალეთის იმპერიამ დიდწილად დაკარგა ოდინდელი სამხედრო ძლიერება და რომ მისი დიპლომატია წარუმატებელი გამოდგა [**Turan, 1994: 443**]. ოსმალეთმა ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია რუსეთისათვის საომარი მოქმედებების დროს და, შესაბამისად, იძულებული გახდა მიეღო ხელშეკრულების შეთავაზებული პუნქტები. ამ თვალსაზრისით, 1774 წლის ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების შემდეგ, ადრიანოპოლის ხელშეკრულება იყო ყველაზე მძიმე ხელშეკრულება, რაც ხელმოწერილი იყო ოსმალეთის ისტორიაში [**Karal, 1999: 122**]. გარდა ამისა, ადრიანოპოლის ხელშეკრულება ოსმალეთის იმპერიაში სომხური პრობლემების დასაწყისი გახდა.

როგორც ვხედავთ, ადრიანოპოლის ხელშეკრულებით, ახალციხის საფაშო, რომელსაც ოსმალეთის იმპერია 250 წლის განმავლობაში აკონტროლებდა, რუსების ხელში გადავიდა. თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გამო, ახალციხე იყო ანატოლიის კარიბჭე. ახალციხის დაკარგვით, ანატოლია ღია გახდა რუსეთის ოკუპაციისთვის და რუსებს საშუალება მიეცათ კიდევ უფრო მეტი პროგრესირება მოეხდინათ აღმოსავლეთ ანატოლიაში.

ამ გამარჯვებით, რუსებს საშუალება მიეცათ რეგიონში დაეწყოთ დიდი ხნის განმავლობაში დაგეგმილი, სომხური სახელმწიფოს პროექტი. ახალციხის რეგიონის ეთნიკური სტრუქტურა, მომდევნო წლებში სომეხებისთვის სასარგებლოდ გახდა. რუსეთს სურდა, ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ სომხეთის სახელმწიფოს ბუფერულ ზონად გამოყენება. საქართველოსთვის რუსეთის მიერ ახალციხის დაპყრობა განიხილებოდა, როგორც ქვეყნის გაერთიანებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მანამდე სხვადასხვა სახელმწიფოებთან მოკავშირე და დროდადრო ერთმანეთთან მებრძოლი ქართველი სამეფო-სამთავროები ერთი მმართველობის ქვეშ მოქცევა უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო, რაც დადებითად აისახებოდა მისი მომავლის პერსპექტივაზე.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, დიდი სახელმწიფოები: ირანი, ოსმალეთი, რუსეთი მუდმივად ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ახალციხე - საქართველოს მნიშვნელოვანი სამხრეთ ფორპოსტი. XVI საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს დაირღვა 1555 წელს ირან-ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავი, რის შემდეგაც ოსმალებმა დაიპყრეს სამცხე-ჯავახეთი, აღმოსავლეთ საქართველო და პრაქტიკულად მთელს ამიერკავკასიაში გაბატონდნენ. ოსმალებმა აქ მყოფი ძველი მმართველები თავიანთ პოზიციებზე დატოვეს და, პარალელურად, დაიწყეს თავიანთი ადმინისტრაციული სისტემის დამკვიდრება.

1578 წლის აგვისტოში საფუძველი ჩაეყარა ახალ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს ოსმალეთის იმპერიაში - ჩილდირს (ახალციხის) ეიალეთს, რომელიც გახდა დასაყრდენი ირანისა და საქართველოს წინააღმდეგ ოსმალეთის იმპერიის გამუდმებული, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ლაშქრობებისა მომდევნო ორსაუკუნენახევრის განმავლობაში.

ოსმალთა სრული გავლენა და კონტროლი კავკასიის სამხრეთით დიდხანს არ გაგრძელებულა. ირანის ტახტზე შაჰ აბას I-ის (1587-1629) ასვლის შემდეგ, რეფორმებით გაძლიერებულმა ქვეყანამ, დაკარგული პოზიციების დაბრუნების მიზნით, ომი გამოუცხადა ოსმალეთს. 1603-1639 წლებში ახალციხე და აღმოსავლეთ საქართველო გადაიქცა საომარ ზონად ოსმალეთსა და ირანს შორის. აღნიშნული საომარი მოქმედებების დროს ახალციხე ჯერ ირანის ხელში გადავიდა, შემდეგ კი ისევ ოსმალეთის იმპერიამ დაიბრუნა. ამ პერიოდში პოლიტიკურად დანაწევრებული ქართული სამეფო-სამთავროები ცდილობდნენ ორ იმპერიას შორის მიმდინარე საომარი დაპირისპირებები თავიანთი ინტერესებისათვის, ქვეყნის თავისუფლებისათვის გამოეყენებინათ და ამიტომაც ქმნიდნენ ალიანსს ხან ოსმალეთთან, ხან ირანთან.

ახალციხეზე სრული კონტროლის დამყარების შემდეგ, ოსმალეთის იმპერიამ ეს რეგიონი მოაწყო ტრადიციული ოსმალეთის სახმელეთო რეჟიმის, თიმარის სისტემის შესაბამისად. შემოწმდა და აღირიცხა რეგიონის ქალაქებისა და სოფლების შემოსავლები. პირველი რამდენიმე ათწლეულის შემდეგ რეგიონის მართვა გადაეცათ სამ-

ცხის ათაბაგებს, რომლებიც მანამდე ახალციხის მმართველები იყვნენ. ეს სისტემა გამოიყენებოდა ოსმალეთის იმპერიის რეგიონებში, განსაკუთრებით იქ, სადაც მჭიდროდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები. რა თქმა უნდა, ეს ათაბაგები დაინიშნენ ამ პოზიციაზე იმ პირობით, რომ ისლამს მიიღებდნენ ოსმალეთის ტრადიციული ფორმის მიხედვით და მართავდნენ რეგიონს ოსმალეთის სახელმწიფოს სახელით.

მას შემდეგ, რაც მე-18 საუკუნეში პეტრე I (1682-1725) სათავეში ჩაუდგა რუსეთს, ქვეყანა ჩაერთო კავკასიის პოლიტიკურ კონფლიქტებში და ქართულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა, ოსმალეთისა და ირანის ნაცვლად, მოკავშირეობის დამყარება რელიგიურად დაკავშირებულ რუსეთთან სცადეს.

მე-18 საუკუნის შუ წლებში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში. ერეკლე II-მ, რომელიც 1744 წელს კახეთის მეფე გახდა, მამის, ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (1744-1762) გარდაცვალების შემდეგ, თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა და საქართველოს სრული გაერთიანებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. 1768-1774 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენამ კიდევ უფრო გაამყარა ეს იმედი. ამით გამხნევებულმა ერეკლე II-მ ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ დაიწყო უფრო აქტიური პოლიტიკის გატარება, რის გვირგვინიც 1770 წლის ასპინძის ბრძოლა იყო. 1774 წლიდან, ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების ძალით, სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში რუსეთის სახით გამოჩნდა ახალი მოთამაშე, რომელმაც თანდათან საფრთხე შეუქმნა როგორც საკუთრივ საქართველოს, ისე ოსმალეთისა და ირანის ინტერესებს.

ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით, ოსმალეთის იმპერიამ დაკარგა ყირიმი და მონოპოლია შავ ზღვაზე. ამიერიდან სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს სამეფო-სამთავროებთან მჭიდრო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა ოსმალეთის იმპერიისთვის.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ეძებდა შეთანხმების გზებს ახალციხის მმართველ სულეიმან ფაშასთან. ოსმალეთის ხელისუფლება მხარს უჭერდა ამ დაახლოებას. თუმცა, რუსებთან ერეკლე II-ის ურთიერთობის გამო, თავს იკავებდა.

აღნიშნულ პერიოდში ერეკლე II-მ დაიწყო ლაშქრობები აზერბაიჯანში, დაიკავა ერევანი და განჯა. თუმცა, ამ ალექსანდრე ბატონიშვილის აჯანყების, ოსმალეთისა და ირანის საფრთხეების, ევროპასთან კავშირის უშედეგო მცდელობის გამო ქართლ-კახეთის მეფე იძულებული გახდა მიეღო რუსეთის მფარველობა. 1783 წელს ხელი მოეწერა გეორგიევსკის ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა, ირან-ოსმალეთთან შედარებით, დიდი უპირატესობა მოიპოვა ამიერკავკასიაში.

რუსეთისგან განსხვავებული მოლოდინი ჰქონდა ერეკლე II-ს გეორგიევსკში გაფორმებული ხელშეკრულებისგან. ეს იყო რუსეთის მფარველობით საქართველოს მტრების ძლევისა და ქვეყნის გაერთიანების იმედი. თუმცა, მეფის ეს იმედები არ გამართლდა. გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერიდან გამომდინარე, ირანისა და ოსმალეთის გაღიზიანების პირობებში, რუსეთის დახმარება არასაკმარისი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, მათი მოქმედება არაადეკვატური იყო. ოსმალებმა, ტრადიციულად ლეკების გამოყენებით, დალაშქრეს რეგიონი, ერეკლეს კი გაუგზავნეს წერილები და მოსთხოვეს რუსეთთან ალიანსის გაუქმება. ამ თხოვნის შეუსრულებლობის შედეგად, ახალციხის მმართველმა სულეიმან ფაშამ 1785 წელს, პირადად მოაწყო ლაშქრობა საქართველოში. ამ პერიოდში სომხებმა, ისარგებლეს რა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ქართველებისა და რუსების მიერ განხორციელებული სამხედრო მოქმედებებით, დაიწყეს საქმიანობა რეგიონში მრავალი საუკუნის წინ გაუქმებული სომხური სახელმწიფოს აღსადგენად, მათ საჩუქრები გაუგზავნეს როგორც რუსებს, ასევე ერეკლე II-ს, თუმცა, 1787-1791 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის დაწყებისთანავე, სომეხთა ეს სურვილი სამომავლოდ გადაიდო.

1787 წელს გაჩაღდა რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი, რის მიზეზიც, ერთი მხრივ ოსმალეთის წინააღმდეგ 1787 წელს გაფორმებული რუსეთ-ავსტრიის ალიანსი იყო, მეორე მხრივ კი - პორტას სურვილი დაებრუნებინა ყირიმის სახანო. საომარი მოქმედებები წარმოებდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში. მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს ოსმალეთის იმპერიას კავკასიის ფრონტზე რუსეთთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა, რეგიონში ფაშების ძალაუფლებისთვის ბრძოლის, ბრძანებებისადმი დაუმორჩილებლობისა და ჯარისკაცების გაწვევაში არსებული პრობლემების გამო, მან ეს უპირატესობა დაკარგა. კავკასიის ფრონტზე გაგზავნილი მეთაურების მიერ

თავდაპირველი მოვალეობების დავიწყება და ერთმანეთთან დაპირისპირება გახდა რუსეთის გადარჩენის მიზეზი იმ დროს, როდესაც რუსებს ძალიან უჭირდათ. გარდა ამისა, კავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლამ შეასუსტა კავკასიის მუსლიმთა წინააღმდეგობა და ამ ვითარებამ რუსების წინაშე მარცხი გამოიწვია. ომის დროს, საქართველოსთან ურთიერთობები, ტრადიციულად, ახალციხის გუბერნატორების მეშვეობით მყარდებოდა, თუმცა ერეკლე II-სა და ახალციხის მმართველ სულეიმან ფაშას შორის უთანხმოებამ, ეს ორი ძალა ერთმანეთს დაუპირისპირა და ოსმალეთს არ მისცა შესაძლებლობა ესარგებლა რუსების მძიმე მდგომარეობით საქართველოში. ერეკლე ცდილობდა ოსმალეთის წინააღმდეგ, სოლომონთან ერთად ემოქმედა, რომელიც ფოთისა და აჭარის ხელში ჩაგდებას ლამობდა. მათი ეს მცდელობები უშედეგოდ დასრულდა.

1791 წლის იასის საზავო ხელშეკრულებით, ოსმალეთის იმპერია იძულებული გახდა ყირიმი რუსეთის საკუთრებად, ქართლ-კახეთის სამეფო კი რუსეთის მფარველობაში მიღებულად ეცნო. ამას მოჰყვა რუსეთის მიერ ჯერ თავისი სამხედრო ყოფნის გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში, შემდეგ კი საქართველოს საბოლოო დაპყრობა.

ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენის ზრდას არ შეეგუა არც ოსმალეთის იმპერია და არც ირანი. იასის ზავის შემდეგ მათ მიმართეს სხვადასხვა გზას რეგიონში რუსების შესაჩერებლად. თავიდან ოსმალეთმა არჩია დიპლომატიის გზით მოქმედება, ნაცვლად საქართველოს მიმართ რუსების საქმიანობაზე იარაღით გამოხმაურებისა. პარალელურად, ყაჯართა დინასტიისა და აღა-მაჰმად-ხანის ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ, ირანი დაუბრუნდა თავის ყოფილ პოლიტიკას საქართველოს მიმართ და დაიწყო აგრესიული მოქმედებების განხორციელება. ირანმა რუსეთისგან მოითხოვა საკუთარი ძველი უფლებების აღიარება აღმოსავლეთ საქართველოზე და ამავე დროს, მოუწოდა ერეკლე II-ს შესულიყო მათი ქვეშევრდომობის ქვეშ. ერეკლემ სცადა ახალციხის ფაშას მეშვეობით ოსმალეთთან ურთიერთობის გააქტიურება, თუმცა უშედეგოდ. ირანის მოთხოვნის უარყოფის შემდეგ, აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წელს აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა სამხედრო ექსპედიცია და ააოხრა თბილისი. მიუხედავად მძიმე მარცხისა, ერეკლემ, სიცოცხლის ბოლო წლებში ოსმალეთთან კავშირის შესაძლებლობა მოსინჯა. ახალციხეში გაიმართა შესაბამისი

შეხვედრებიც. მაგრამ, აღნიშნულ პერიოდში ოსმალეთმა ვერ შეძლო აქტიურად ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში.

მიუხედავად იმისა, რომ ირანმა ოსმალებს რუსების წინააღმდეგ მოკავშირეობა შესთავაზა, ოსმალეთს შეეშინდა კავკასიაში ცხელ კონფლიქტში შესვლა. საუკუნეთა მიჯნაზე იგი შეეცადა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 და 1787-1792 წლების ომის ჭრილობების მოშუშებას და რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი სპარსეთის და აზერბაიჯანელი ხანების შეძლებისდაგვარად დახმარებას. სასაზღვრო პროვინციების გუბერნატორების მეშვეობით პორტა მუდმივად ინფორმირებული იყო მიმდინარე მოვლენების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ოსმალეთის იმპერიას სურდა ომისგან თავის არიდება, ევროპაში მომხდარი მოვლენების გამო, 1806 წელს, მას კვლავ მოუწია რუსებთან ომში ჩაბმა.

მანამდე, ოსმალეთის პასიური პოლიტიკისა და აღა მაჰმად ხანის შემდეგ ირანში დაწყებული არეულობების შედეგად, რუსებმა გაიმყარეს პოზიციები როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში. 1798 წელს ერეკლე II-ს გარდაცვალება ქართლ-კახეთის სამეფოს დასრულების მომასწავლებელი იყო. 1801 წელს გიორგი XII-ს გარდაცვალებასთან ერთად, იმპერატორ ალექსანდრე I-ის 12 სექტემბრის მანიფესტით, ქართლ-კახეთის სამეფო ანექსირებულ იქნა. რუსეთი უკვე მაშინ ცდილობდა ახალციხის საფაშოზე კონტროლის დამყარებას, მაგრამ ოსმალეთთან ურთიერთობების გაფუჭებას მოერიდა და ეს საქმე მომავლისთვის გადადო.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა ისეთი სერიოზული წინააღმდეგობა, რომელიც მოითხოვდა ომს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირება 1806 წელს მასშტაბურ სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა, რასაც ნიადაგი მოუმზადა იმ დროს ევროპულ პოლიტიკაში განვითარებულმა მოვლენებმა. ოსმალეთ-რუსეთის 1806-1812 წლების ომი, დაიწყო დასავლეთის სახელმწიფოების ზეწოლის შედეგად და გაგრძელდა კავკასიაში ოსმალეთის დაცემის პროცესი.

ომის პირველმა ეტაპმა დიდი კონფლიქტების გარეშე ჩაიარა. შემდგომ პერიოდში მუდმივად შეუთანხმებელი მოქმედებების გამო, დაიწყო ომის უფრო მძიმე ეტაპი. მიუხედავად იმისა, რომ რუსები რთულ ვითარებაში იყვნენ, ისინი ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდნენ. ოსმალთა მარცხის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, ჯარის

არაორგანიზებულობასთან ერთად, კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის მთავრებს შორის კონფლიქტი იყო, რომელიც განსაკუთრებით ახალციხეში იყი თვალში საცემი. სწორედ ამ რეგიონში იგრძნობოდა ანტიოსმალური განწყობილება, თუმცა ოსმალეთმა იმ ეტაპზე მასზე კონტროლის შენარჩუნება მოახერხა. ამავე დროს, პორტა იძულებული გახდა შეგუებოდა იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევას.

ომის პერიოდის ახალციხის პროვინციის მდგომარეობას საკმაოდ პრობლემური იყო. ამ საფაშოს მმართველების - შერიფისა და სელიმ ფაშას ურთიერთდაპირისპირებამ, გარკვეულად იმოქმედა ომის მიმდინარეობაზე და გახდა კიდეც მიზეზი ოსმალეთის პოზიციების შესუსტებისა. ახალციხის ფაშა სელიმ ხიმშიაშვილის საქმიანობას „თავისუფალი და ერთიანი საქართველოს“ იდეის განსახორციელებლად, რეგიონის ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა ოსმალეთის მმართველობამ არ მისცა მას გასაქანი და იდეაც განუხორციელებელი დარჩა.

1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი, შიდაპოლიტიკური დაპირისპირების, სამხედრო და ადმინისტრაციული კონფლიქტების გამო, ოსმალეთის მარცხით დამთავრდა, არადა, კავკასიური ტომების დახმარებით შეეძლო მოეგო. ომის დროს, საფრანგეთიდან მომდინარე საფრთხის გამო, რუსეთის არმიამ ვერ შეძლო ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილის გაგზავნა კავკასიაში. ამასთან, საქართველოში მიმდინარე აჯანყება და რუსეთის ომი ირანთან ქმნიდა კარგ შესაძლებლობას ოსმალეთისათვის. მაგრამ პროვინციებში მმართველებს შორის წინააღმდეგობების არსებობის გამო, პორტამ ვერ მოახერხა საკმარისი ჯარისკაცების გაგზავნა ომის ზონებში, რაც მას მარცხის ფასად დაუჯდა. ოსმალეთმა ვერ შეაჩერა რუსების იმერეთზე, სამეგრელოზე, გურიასა და სვანეთზე გავლენა და კონტროლი. თუმცა, ბუქარესტის ხელშეკრულებით, შეძლო ომის დროს დაკარგული ფოთის, სოღუჯაკისა და ანაპას ციხეების უკან დაბრუნება და ამით ჩერქეზებზე გავლენის შენარჩუნება.

1812-1813 წლებში საქართველოში ადგილი ჰქონდა რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებას კახეთში, რომელიც უხეში ძალის გამოყენებით სისხლში იქნა ჩახშობილი. რელიგიური და ადმინისტრაციული პრობლემებით იყო

გამოწვეული 1819-20 წლების ანტირეჟიმული აჯანყება იმერეთსა და გურიაში. თუმცა, სამწუხაროდ, ვერც ამ გამოსვლებმა მიაღწიეს მიზანს.

სელიმ ხიმშიაშვილის სიკვდილით დასჯის შემდეგ, 1817 წელს მისი ვაჟი ახმედ ბეგი აჯანყდა ოსმალეთის მმართველობის წინააღმდეგ, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მამის - სელიმ ხიმშიაშვილის აჯანყების ერთგვარ გაგრძელებად. მამამისის მსგავსად, მისი მიზანი იყო რეგიონში ქართული ინტერესების გატარება. აჰმედ ბეგმა, რომელსაც კარგი კავშირები ჰქონდა ქართულ სამეფო-სამთავროებთან, შეძლო ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება. მას სერიოზული სამხედრო ძალა გააჩნდა, თუმცა, ერზრუმის გამგებელმა ბაბა ფაშამ მისი გამოსვლა ჩაახრჩო. მიუხედავად ამისა, აჰმედ ბეგი შეიწყალეს, რის შემდეგაც ოსმალთა სამსახურში ჩადგა.

მიუხედავად იმისა, რომ 1812-1813 წლების რუსეთ-ირანისა და 1821-1823 წლების ოსმალეთ-ირანის ომების შედეგად რეგიონის პოლიტიკურ რუკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა, მიღწეულმა სამშვიდობო ხელშეკრულებებმა ვერ უზრუნველყო გრძელვადიანი მშვიდობის უზრუნველყოფა და გახდა ერთგვარი საფუძველი 1826-1828 წლებში ირანულ-რუსული და 1828-1829 წლებში ოსმალეთ-რუსეთის სამხედრო დაპირისპირებებისა. 1826-1828 წლების ირანულ-რუსული ომის შედეგად, ირანმა უარი თქვა თავის უფლებებზე როგორც აზერბაიჯანზე, ისე საქართველოზე. მან დაკარგა გავლენა კავკასიის პოლიტიკაში.

1828-1829 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი, თვისი შედეგებით, ძალიან მძიმე აღმოჩნდა ოსმალეთის სახელმწიფოსთვის. იენიჩართა გაუქმების, ბერძნული აჯანყებისა და სერბეთის ავტონომიის პრობლემების გამო, პორტამ ომი მოუმზადებლად დაიწყო, რასაც რუმელიასა და კავკასიაში მისი მარცხი მოჰყვა. ოსმალებმა დაკარგეს შემდეგი ციხე-ქალაქები: ანაპა, ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ყარსი, ერზრუმი, ბაიბურთი, რომლებიც, როგორც კავკასიაში დასაყრდენი, დიდი ხნის მანძილზე ოსმალეთის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ აჭარის გარდა საქართველოს ტერიტორია მთლიანად რუსეთის კონტროლქვეშ მოექცა.

ირანთან თურქმენჩაისა და ოსმალეთთან ადრიანოპოლის ხელშეკრულებების შედეგად ჩრდილოეთ აზერბაიჯანისა და ახალციხის რეგიონის ხელში ჩაგდებით რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში დიდი უპირატესობა მიიღო. პოზიციების გამაგრების

შემდეგ, რუსეთმა დაიწყო რეგიონის კოლონიზაცია მისთვის სანდო ელემენტებით. რუსეთის კოლონიზაციის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი იყო ძველი მაჰმადიანი ხალხის ემიგრაცია და მათი ახალი ქრისტიანული თემებით ჩანაცვლება. ამ მიგრაციულმა მოძრაობამ შეცვალა რეგიონის დემოგრაფიული სტრუქტურა. რუსეთიდან, ერზრუმიდან და ყარსიდან გადმოსახლებულ სომეხთა უმეტესი ნაწილი, დასახლდა ახალციხის მხარეში.

ადრიანოპოლის ხელშეკრულებამ ნათლად აჩვენა, რომ ოსმალეთის იმპერიამ დიდწილად დაკარგა სამხედრო ძალა და წარუმატებლობას მიაღწია დიპლომატიის სფეროში. ოსმალეთის სახელმწიფო ვერ შეეწინააღმდეგა რუსეთის მიერ მოთხოვნილ პირობებს და იძულებული გახდა მიეღო ყველა პუნქტი. ამ გაგებით, 1774 წლის ქუჩუქ-კაინარჯის შეთანხმების შემდეგ, ადრიანოპოლის ხელშეკრულება იყო ყველაზე მძიმე შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილი იყო ოსმალეთის ისტორიაში, რასაც მომდევნო პერიოდში მოჰყვა ოსმალეთის იმპერიაში სომხური პრობლემების დასაწყისი. ამ გამარჯვებით, რუსებს საშუალება მიეცათ რეგიონში დაეწყოთ დიდი ხნის განმავლობაში დაგეგმილი, სომხური სახელმწიფოს პროექტი. ახალციხის რეგიონის ეთნიკური სტრუქტურა, მომდევნო წლებში სომეხებისთვის სასარგებლოდ გახდა. რუსეთს სურდა, ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ სომხეთის სახელმწიფოს ბუფერულ ზონად გამოყენება. საქართველოსთვის რუსეთის მიერ ახალციხის დაპყრობა განიხილებოდა, როგორც ქვეყნის გაერთიანებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მანამდე სხვადასხვა სახელმწიფოებთან მოკავშირე და დროდადრო ერთმანეთთან მებრძოლი ქართველი სამეფო-სამთავროები ერთი მმართველობის ქვეშ მოქცევა უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო, რაც დადებითად აისახებოდა მისი მომავლის პერსპექტივაზე.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი :



ახალციხის გუბერნატორის, სულეიმან ფაშას წერილი სულთნისადმი[1]

ჩემო დიდო და ძლიერო ფადიშაჰო,

მიუხედავად იმისა, რომ მეფე ერეკლე ზოგჯერ ოსმალეთის იმპერიისგან დაცვას ითხოვდა, ამ რეგიონიდან გაგზავნილი წერილები სწორედ საპირისპიროს ამტკიცებს. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ მეფე ერეკლე, თითქოს, ოსმალეთის იმპერიის მხარეზეა, ის რეალურად მოქმედებს რუსეთთან ერ¬თად. ამიტომაც, ჩემი რჩევაა არ ერწმუნოთ მეფის სიტყვას. რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილება თქვენზეა...

[1] COA, HAT, 194 / 9626, ჰიჯრით 29.12.1203 წელი (=20.09.1789).

ახალციხის გუბერნატორის, სულეიმან ფაშას წერილი სულთნისადმი[1]

ჩემო დიდო და ძლიერო ფადიშაჰო,

ახალციხის გუბერნატორი და სერასკერი სულეიმან ფაშა ვაცხადებ, რომ თბილისის ხანს ერეკლეს სურს შეწყალება ოსმალეთის სახელმწიფოს მხრიდან, სანაცვლოდ კი რუსულ ჯარს დაატოვებინებს რეგიონს და რუსების მიერ გაკეთებულ თერგის გზას დაკეტავს. მან რამდენჯერმე გამოგზავნა თავისი კაცები ამის სათქმელად. გაახლებთ ერეკლეს წერილს იმ შემთხვევისათვის, თუკი აპირებთ მისთვის დანაშაულის პატიებას და შესაბამისი ბრძანების გამოცემას. რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილება თქვენ გეკუთვნით...

[1] COA, HAT, 180 / 8119, ჰიჯრით 29.12.1204 წელი (=09.09.1790).

ბაბა ფაშას წერილი სულთნისადმი[1]

ჩემო დიდო და ძლიერო ფადიშაჰო.

გარდაცვლილი სელიმ ფაშა, როდესაც იგი ახალციხის პროვინციის გუბერნატორი იყო, დევნიდა ხალხს და აზარალებდა რეგიონს, რომელსაც დიდი ზიანი მიადგა სელიმსა და შერიფ ფაშას შორის ბრძოლის გამო. მას შემდეგ, რაც ჩემი დიდი სულთნის

[1] COA, HAT, 494/24263, ჰიჯრით 29.12.1230 წელი (=02.12.1815).

ბრძანება მივიღე, ერზრუმიდან წამოვედი. თქვენი ბრძანებით, მე ჯერ რეგიონს ჩამოვაცილე შერიფ ფაშა, რომელიც დაინიშნა ბურსას გამგებლად. ამის შემდეგ გავემართე სელიმ ფაშას წინააღმდეგ, რომელიც აჭარაში გაიქცა. მან აჭარის რეგიონში ჯარის შეკრება სცადა, შემდეგ კი ხიხანის ციხეს შეაფარა თავი. ჩვენ ჯერ მოვიპოვეთ კონტროლი რეგიონზე და შემდეგ მისი დამორჩილება ვცადეთ. ციხეს ალყა შემოვარტყით და შევძელით ციხეში შეღწევა. ციხესიმაგრეში შესვლის შემდეგ, სელიმ ფაშას ცოლსა და შვილებს სიკეთით მოვეპყიროთ და, თქვენი ბრძანების შესაბამისად, ზიანი არ მიგვიყენებია. სელიმ ფაშას ხელში ჩაგდების შემდეგ, იგი სიკვდილით დავსაჯე და მისი მოკვეთილი თავი სულთნის მაცნეს გავუგზავნე. სელიმ ფაშას ქონების აღსაწერად საიმედო ოფიცერი დავნიშნე. მე დავსაჯე ისინი, ვინც არ ემორჩილებიან თქვენს ბრძანებებს. თქვენი დავალება შესრულებულია. როცა სხვა ბრძანება გვექნება, მთელი ძალით და ერთგულებით შევასრულებ მასაც. რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილება თქვენ გეკუთვნით...

სულთნის მინაწერი:

...ისინი ვინც ბოროტმოქმედებას ეწევიან, აუცილებლად დაისჯებიან. ბეწვის ქურთუკი უნდა გადაეცეს ფეჰლივან ფაშას მაცნეს ამ ამბის მოტანისთვის. ამიერიდან არავინ უნდა იდევნებოდეს მესხეთისა და ერზრუმის პროვინციებში. უნდა დაიწეროს განკარგულება ახალციხისა და აჭარის განვითარების შესახებ. გარდა ამისა, ღირებული ბეწვი უნდა გაეგზავნოს ჰაზინადარ სულეიმან ფაშას და მის ძმისშვილს იბრაჰიმ ბეგს ამ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობისთვის... ერთგულ მოსამსახურეებს მშვიდობა ორთავ სამყაროში, ამინ.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია:

ოსმალური საარქივო დოკუმენტები

(პრეზიდენტის ოსმალური არქივი - ”COA”):

1. COA, HATT-I HÜMAYUN, 12-445
2. COA, HAT, 10–333 –C
3. COA, HAT, 10-333-H
4. COA, HAT, 10-333-F
5. COA, HAT, 26-125
6. COA, HAT, 2-58-C
7. COA, HAT, 25-1228
8. COA, HAT, 10-333-C
9. COA, HAT, 27-1281
10. COA, HAT, 19-879
11. COA, HAT, 18-811
12. COA, HAT, 28-1338
13. COA, HAT, 24-1220
14. COA, HAT, 1220
15. COA, HAT, 1221
16. COA, HAT, 55537
17. COA, HAT, 10268
18. COA, HAT, 6688-A
19. COA, HAT, 6693
20. COA, HAT, 1743
21. COA, HAT, 6721-G
22. COA, HAT, 145-6101
23. COA, HAT, 795
24. COA, HAT, 798¬36994-İ
25. COA, HAT, 798-36994-M
26. COA, HAT, 52
27. COA, HAT, 4067
28. COA, HAT, 4052
29. COA, HAT, 23702
30. COA, HAT, 41305-A
31. COA, HAT, 1005-42140
32. COA, HAT, 283
33. COA, HAT, 44599
34. COA, HAT, 1105-44615-Ç
35. COA, HAT, 789-36772
36. COA, HAT, 81-3360
37. COA, HAT, 72-3024
38. COA, HAT, 107-4217
39. COA, HAT, 105-4143
40. COA, HAT, 161-6702
41. COA, HAT, 1363-53836-0
42. COA, HAT, 1002-42061-0
43. COA, HAT, 798-36994-0
44. COA, HAT, 283-16858
45. COA, HAT, 799-37032-0
46. COA, HAT, 282-16793
47. COA, HAT, 1318-51382
48. COA, HAT, 1105-44615
49. COA, HAT, 481-23564
50. COA, HAT, 1226-47910

51. COA, HAT, 662-32276
52. COA, HAT, 475-23309
53. COA, HAT, 44615-D
54. COA, HAT, 44517-I
55. COA, HAT, 44558-I
56. COA, HAT, 44629-A
57. COA, HAT, 44615-C
58. COA, HAT, 44517-G
59. COA, HAT, 7584
60. COA, HAT, 44704
61. COA, HAT, 44603
62. COA, HAT, 47906-A, B
63. COA, HAT, 38094
64. COA, HAT, 38095
65. COA, HAT, 44291-A
66. COA, HAT, 43115-M
67. COA, HAT, 44291-C
68. COA, HAT, 43115-S
69. COA, HAT, 44241
70. COA, HAT, 42947
71. COA, HAT, 42477-G
72. COA, HAT, 42478
73. COA, HAT, 42477-R
74. COA, HAT, 42487-B
75. COA, HAT, 42478-G
76. COA, HAT, 42477-F
77. COA, HAT, 43899
78. COA, HAT, 43259-L
79. COA, HAT, 43851-A
80. COA, CEVDET-İ HARİCİYE, 12-552
81. COA, C. HR, 552
82. COA, C. HR, 7253-1
83. COA, C. HR, 7253-2
84. COA, CEVDET-İ ASKERİYE, 6584
85. COA, C. AS, 1938
86. COA, C. AS, 924-39954
87. COA, C. AS, 5873-7769
88. COA, C. AS, 876-37591-0
89. COA, CEVDET-İ DAHİLİYE, 237-11848-0
90. COA, C.DH., 298-14875-0
91. COA, MALİYEDEN MÜDEVVER, MAD, 27
92. COA, DEFTERHANE-İ AMİRE, DFE, 857

თურქული წყაროები და ლიტერატურა:

1. Ababay Feridun, Çıldır'ın Yönetsel Örgüt Süreci; Kuzeydoğu Anadolu'nun Tarihi Coğrafyası ile Osmanlı Taşra Örgütü, Ankara, 2000.
2. Ababay Feridun, Çıldır Tarihi, Kadıoğlu Matbaası, Ankara, 1987.
3. Acar Ahmet, Tarihte Hamşioğulları, Ankara, 1995.

4. Ağalarlı Mübariz, XVI.-XVII. Yy. Azerbaycan Safevi Devleti'nden Osmanlı Devleti'ne Gelen Elçiler, I. Milletlerarası Türkiye-Azerbaycan Münasebetleri Sempozyumu, Kastamonu, 2016.
5. Ahmet Cevdet Paşa, Osmanlı İmparatorluğu Tarihi, C. 2. İstanbul, 2016.
6. Ahmet Cevdet Paşa, Tarih-i Cevdet, C. I-XII., İstanbul, 1892.
7. Ahmed Lütfi Efendi, Vakanüvis Ahmed Lütfi Efendi Tarihi, Akt: Ahmet Hezarfen, YKY, İstanbul, 1999.
8. Ahmed Vasıf Efendi, Mehasinül Ashar ve Hakaikül Ahbar, Ankara, TTK, 1994.
9. Akbaba Esra, Ahıska'dan Anadolu'ya Göçler 1828-1921, İstanbul Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Yüksek Lisans Tezi, İstanbul, 2018.
10. Akbulut Uğur, 1828-1829 Osmanlı-Rus Savaşında Bayburt ve Çevresi, Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Yüksek Lisans Tezi, Erzurum, 2000.
11. Akbulut Uğur, 1828-1829 Osmanlı-Rus Savaşında Trabzon ve Çevresi Askerinin Rolü, Uluslararası Tarih-Dil-Edebiyat Sempozyumu, Trabzon, 2001.
12. Akbulut Uğur, Rusların 1828-1829 Osmanlı-Rus Savaşında Doğu Anadolu'yu İşgali ve Bunun İngiltere'nin Hindistan Yolu Politikasına Etkisi, Yeni Türkiye, S. 73, Yeni Türkiye Stratejik Araştırma Merkezi, 2015.
13. Aksan Virginia H., Kuşatılmış Bir İmparatorluk Osmanlı Harpleri 1700-1870, İş Bankası Kültür Yayınları, İstanbul, 2017.
14. Akmaz Ahmet, Osmanlı-Rus İlişkileri İçinde 1829 Edirne Antlaşması, Erciyes Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Doktora Tezi, Kayseri, 2000.
15. Aktepe Münir, Ahmed III, DİA, II, İstanbul: TDVY, 1989.
16. Aktepe Münir, Tuzcuoğulları İsyanı, Tarih Dergisi, C. III., S. V-VI., İstanbul, 1953.
17. Aliyev Afig, 1829 Tarihli Edirne Antlaşması'ndan Sonra Rusya'nın Ahıska Siyaseti ve Ermenilerin Ahıska'ya İskânı, Uluslararası Ahıska Türkleri Sempozyumu, C.2, Erzincan, 2017.
